ენათმეცნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

114
1935

4

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ ე ქ ს ე ბ ი

ვ. მაიაკოვსკი
ს. ჩიქოვანი
ა. ძუთათელი
ვ. გორგაძე
გრ. აბაშიძე

პ რ ო ზ ა

რ. გვეტაძე
დ. შენგელია
კ. გამსახურდია
შალვა დადიანი
ვ. გვახალია
შ. რადიანი
ბ. ნადირაძე

ბიბლიოგრაფია

ბ. ბ.
ბ. მებუკე

1 9 3 5

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

54991

1654

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

4

წელიწადი მეთოთხმეტე

Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
საქართველ
პარლამენ
ეროვნულ
ბიბლიოთ

სახელგამი 1935 ტფილისი

პ/მგ. რედაქტორი: **გიორგი ყურულაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გრ. მუშიშვილი
შალვა რადიანი
გალაკტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლეო ქიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემნა შენგელაია

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.
კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

პარტგამომცემლობის პირველი სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

მთავლ. რწმუნ. № 7083. შეკვ. № 103. ტირაჟი 6000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. მაიაკოვსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. მაიაკოვსკი

ამხანაგ ნეტტეს, ხომალდს და ადამიანს

ტყვილად არ შევკრთი,
იმ ქვეყნიურს არ ვამბობ ზღაპარს,
სადაც გადამდნარ გაზაფხულის
სხივები ჰკვეთდენ,
ვხედავ —
მოარღვევს ნავთსადგურში
ტალღების ფაფარს
ამხანაგი
ტეოდორ ნეტტე.
მაშველ რგოლების სათვალეთი
ის არი,
ვიცნობ...
ნეტტევ,
სალამი,
მახარებს რომ ცოცხლად მეგულვი:
რკინის ბაწრებით,
კაუჭებით,
მილებით, ვინძლო
იქუხო ზღვაზე,
სხვა ცხოვრებით აკვამლებულით.
მოადექ ნაპირს,
ხომ არ გიშლის აქ ზღვა ქვიანი.
ქვაბთა ფუხფუხით
ბათომიდან მოხველ მხნეობით.
ნეტტევ,
თუ გახსოვს:
როცა იყავ ადამიანი
ჩვენ დიპკუპეში
ერთად ჩაის შევექცეოდით.

შენ იყავ მშვიდი,
ირგვლივ ძილში სიზმარებს ქსოვდენ,
დალუქულ ქალაქს დახედავდ
ირიბად, გვერდზე.
ო, რამდენს მოჰყევ
ამბავს რომკა იაკობსონზე,
ხან სასაცილოდ,
ოფლის ქცევით
ამბობდი ლექსებს.
ჩასთვლიმე დილით —
დაცერილი ჩახმახი შედგა...
ვინ გაგიბედოს თავს დაცემა,
ვინ არის მარდი.
ჰე, განა მაშინ იფიქრებდი,
ერთი წლის შემდეგ
აქ შემხვდებოდ
ძმაო ნეტტევ,
როგორც ხომალდი.
უკან მთვარეა,
შარავანდით
ტალღიდან ცამდე
რომ გაარღვია
ანისლებული სივრცეთა რკალი:
თითქო ბრძოლიდან,
ყრუ კედლებში რომ განიცადე
შუქივით მოგდევს შენ
გმირობის ბრწყინვალე კვალი.
წიგნში კომუნიზმს უჯერიან საშუალოდ,
ითქმის:
„რაც დაიწერა წიგნში
ყველას განა ფასი აქვს“.
მაგრამ „ოცნებას“
ხორცს შეასხამს ეგ მაგალითი
და გამოაჩენს კომუნიზმის
არსს და ხასიათს.
ჩვენ რკინის ფიცში შევკავშირდით,
ამ ფიცს ვატარებთ,
თუნდ ჯვარზე ავალთ,
თუნდ ტყვიებით დაცხრილონ გული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ქვეყანაზე
„ურუსეთოდ და ულატვიოდ“
ვიცხოვროთ ყველამ,
ერთ ცხოვრებით,
კაცობრიულით.
ჩვენს ძარღვში სისხლი სჩქეფს და არა
წუმპე ციების,
მივდივართ წინ,
ირგვლივ გვესმის
რევოლვერთ ყეფა.
მოვკვდებით მიტომ,
რომ ხელახლა განვხორციელდეთ
ათას დიდ საქმედ,
სტრიქონებში
და ხომალდებად.

* *
*

ვიცხოვრებ,
ვივლი,
წლიდან წლამდე
საიდან სად...
მაგრამ დასასრულ
არ ვისურვო მე სხვა სიკეთე.
მე მინდა შევხვდე უკანასკნელ
სიკვდილის საათს,
როგორც მას შეხვდა
ტეოდორ ნეტტე.

თარგმანი დ. ვაჩეჩილაძის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჟდენ ბვეტაძე

ლაშაური საღამოები

რომანი

ჩემი გულითადი მეგობარი, პოეტი ლაშა თვარელი ანაზდათ მძიმე ავად გახდა. რაც დრო გადიოდა მისი მდგომარეობა უარესდებოდა. ექიმებმაც დაკარგეს თითქმის იმედი, მაგრამ ყველას გასახარად, შემოდგომის მიწურულს, ლაშას უკეთობა დაეტყო.

სნეული მალე ისე წამოვიდა, როგორც წყაროს თვალი დიდი გვალვის შემდეგ. იმავედროს ვატყობდით, რომ სავსებით მის განკურნებას და ფეხზე წამოყენებას კიდევ კარგა ხანი დაჭირდებოდა, ამიტომ ვცდილობდით მოვლა არ დაკლებოდა.

ლაშა ერთი კაკალა კაცი იყო.

რიგრიგობით ვუთევდით მეგობრები ღამეს.

როცა თვალსაჩინოდ მოღონიერდა, მხოლოდ მაშინ ვიწყეთ მის ბინაზე ერთად შეკრება.

ბინა-კი ლაშას ხალვათი და მყუდრო ქონდა, თანაც დასამხარ ალაგას.

მაღალჭერიან და ფართო ფანჯრებიან ოთახში, ცოტა მაგრამ იშვიათი ნივთები, ისე ელაგა, რომ მათი დანახვა ყოველთვის საამო და მიმზიდველი ყოფილიყო.

ერთი საგანი უხილავი ძაფით იყო დაკავშირებული მეორესთან, მეორე მესამესთან და ამგვარად თვითეული მათგანი წარმოადგენდა ოთახში შექმნილ ჰარმონიულ მთლიანობის განუყოფელ ნაწილს.

ყველაფერს ემჩნეოდა ფაქიზი ხელი.

მე ვიცოდი თუ ამავე ხელმა როგორ უწყალოდ გაიმეტა ლაშას გული და ამიტომაც თვალს ვარიდებდი ნივთებს, რომლებიც ახლა წარმოადგენდენ დაკარგულ სიყვარულის პატარა ძეგლებს, დაფარულებს მსუბუქ მტვერით.

დამტვერილიყვენ აღმოსავლეთით მთელ კედლის გამშვდომ თაროებზე ძვირფას ყდებში ჩასმული წიგნებიც. დიდიხანია მათ ყდებზე ოქროს წარწერები არ გაუფერავს ნაზ დიასახლისს და არც ლაშას გადაუშლია მათი ფურცლები.

მზისა და სიხარულის, სილამაზისა და სიყვარულის პოეტი გაძვალტყავებული იწვა მაღალთავებიან წითელ ხის ლოგინში და ისე უსუსური გამხდარიყო, რომ საბნის სიმძიმეც კი ტკივილს გვრიდა.

მის უმწეობას და საშინელ შესახედაობას მალავდა შირმა, რომლის აღება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ.

შეიძლება ლაშა ამ შირმას არ ელოდა უფრო იმიტომაც, რომ ეს ფარშავანგის ბოლოსავით გაშლილი და ფორაჯებიანი აბრეშუმი არაერთხელ ყოფილა მისი უსაზღვრო ბედნიერების მოწამე და ალბათ მას უნდოდა იგივე შირმა ქონოდა სხვებისათვის გაუგებარ მწუხარების დასაფარავად.

მაგრამ როცა დავრწმუნდი ხიფათი აშორებული იყო, ვიძალე და შირმა მარაოსავით დავკეცე.

ეს ურჩობა ლაშამ მალე დამიმადლა: ოთახში მეტი სინათლე დადგა და თვითონაც შეღავათი იგრძნო.

იანვრის დამლევს სუსხიანი ამინდი დაიჭირა. რამდენიმე დღის მერმე მოთოვა კიდეც. მეგობრებმა, ლაშას ლოგინის ახლო, ყრუ კედელში ჩუქურთმიან ქვით ნაგები განიერი ბუხარი გავაჩაღეთ და კიბორჩხალა ჭაღს ლილისფერი ჩარსავი შემოვახვიეთ.

ლურჯი შუქი ოთახში ზღაპრულ ფერად დაიღვარა.

ამის მერმე, ლაშას შესაქცევად შეკრებილი მეგობრები ხშირად ვბაასობდით პოლიტიკაზე, ქვეყნის ჭირვარამზე, პოეზიაზე, ქალებზე, ახალ ოჯახზე და ვინიცის კიდევ რაზე. პაექრობაში ზოგჯერ ლაშაც ერეოდა და მისი ხმის გაგონება ხალისს გვმატებდა.

ხან, რომელიმე ჩვენგანი კითხულობდა ახალ ლექსს, თუ ნოველას და ამგვარად საღამოს გატარება თანდაყოლილ ზნედ გვექცა.

ასე მიდიოდა დრო.

ლაშამ ოთახში დაიწყო სიარული.

დდე მარტო მყოფი ფანჯრიდან გაცქეროდა თოვლით დაფარულ მახათის გორებს, მლაშე ტბის იქით მდებარე უნაგირა მთებს და თვალს ადევნებდა ცაში ჩხავილით მიმფრინავ ყვავებს.

მის ბინამდე ვერ აღწევდა ქალაქის ხმაური და ირგვლივ დამკვიდრებულ მყუდროებით თავმობეზრებული მოუთმენლად ელოდა ჩვენს მისვლას.

საღამოს შეკრებილი მეგობრები კვლავ ვაბამდით მუსაიფს მოგიზგიზე ბუხართან.

ერთხელ, ლაშამ გვირჩია, რომ ყოველ შეკრების დასასრულს მორიგეობით გვეთქვა რაიმე ამბავი.

ყველას მოგვეწონა ეს აზრი.

დავასკვენით, რომ პოეტების ასეთი სერობა მოგვეწყო მხოლოდ დასასვენებელ დღეების წინ. თანაც ამ საღამოებს მეგობრის საამებლად, ვუწოდეთ „ლაშაური საღამოები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილიც ვყარეთ:
პირველად ამბავს უნდა მოყოლილიყო გულბათ.

თოვაში

ბარაქიანად თოვს. რუსთაველის პროსპექტის ორივ მხრივ ჩამწკრივებული ხეები ისე არიან დათოვილი, თითქოს თეთრ ნაბდებ მოხურული გოლიათები იდგენ.

ელექტრო-შუქზე თოვლის ფარატინები სპეტაკ პეპელებივით ირევიან. თუ მთელ ღამეს ასე თოვა, ხვალ ვერც-ერთი ავტომობილი გარაჟიდან ვერ გამოვა, მაგრამ აი დარდი.

მე ფეხით სიარული მირჩევნია.

ახლაც ბავშვივით მინდა გავგორდე ამ თეთრ მოლზე და თოვლის ფიფქში ამოვიგვარგნო.

ნელა მივდივარ.

შესანიშნავი ღამეა.

არამგონია ტფილისის ბადალი ქალაქი სადმე იყოს.

აქ ზამთარიც სხვანაირი იცის.

მეტწილად შემოდგომის ღამეებია ტფილისში აუწერელი.

მაგონდება პატარა ლექსი:

ცაზე ღრუბლები ისე აწყვია
და ცას მოუსხამს იქდენი მარწყვი,
ისე კიდია მთვარე ერთ ალაგს,
მთვარე იმგვარად ეფრქვევა ქალაქს
თითქოს ქარვაა გამონახადი
და ფიროსმანის არის ნახატი.

ბესიკის ქუჩის ყელში შეგროვილი ხალხი გაფაციცებით უცქერის ავტომობილს, რომელსაც წასვლა ვერ მოუხერხებია, რადგან თოვლზე აცურებული მისი ბორბლები ერთ ალაგს ბზრიალებივით ტრიალებენ.

— რა ჯობია მარხილს და მასში შებმულ ეჟვნებიან ცხენებს. ჰაი გიდი, რა დრო იყო!—ჩაილაპარაკა ჩემს გვერდით ვიღაც მოქალაქემ. დავაკვირდი: ეტყობოდა ნაცხოვრები კაცი იყო და ახლა წარსულის მოგონებით ედგა მხოლოდ სული. რამდენი სინანული და შეღლიც იფარებოდა მის კილოში.

საშინელებაა სიბერე.

ყველაფერი უკან გეზიდება. ახალს ვერ ეგუები. ეს ხშირად მარტო ასაკის ბრალი არაა, მაგრამ მაინც დიდი უბედურებაა სიბერე. ამიტომ ახალგაზრდამ არცერთი წამი არ უნდა დაკარგოს უმიზეზოდ, უსიყვარულოდ.

ჩქარა თორემ წავიდა
ჩვენი ახალგაზრდობა.

მაგონდება ერთი ყივჩალი პოეტის სტრიქონები და გზას განვაგრძობ.

უეცრად მუსიკის ხმებმა შეარხიეს ტყვიისფერი ჰაერი. მალე მუსიკა ომახიანმა სიმღერამ შეცვალა და თანაც გამოჩნდა წითელარმიელების გუნდი. ქართული ჰანგის შელოდიურობა გადასული სიფიცხესა და ბუნკაროობაში, ჟრუანტელს მგვრის.

ეს წითელ-არმიელი ბიჭები ახალ ქვეყანის, ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს არწივები არიან. ვინა თქვა ქართული მოდგმა დაბერდაო. სისულელეა, დეგენერატების ფილოსოფიაა.

აბა შეხედონ ამ ვაჟკაცების ადლიან ბეჭებს, მგლის მუხლებს, მათი ტანის მიმოტანას.

—რა კარგად მღერიან.—მომესმა ქალის ხმა მათი ცქერით გატაცებულს.

გაკვირვებით შევხედე. გამიღიმა. ნაცნობს გავს. სად მინახავს, ვინაა?

—ნუთუ მართლა ვერ მიცანით? ასეთი გულმავიწყობა გაგონილა!—ახლა სიცილით მეუბნება.

—როგორ არა, როგორ არა!—ერთბაშად მომაგონდა ვინც იყო, სადაც შევხვდი და ხელი გავუწოდე.—თქვენს თავს რა დამავიწყებს, ზეინაბ ქალო, განსაკუთრებით იმ ღამის შემდეგ.—საყვედურით ვეუბნები და თანაც მალულ უჩვეულო სიხარულს ვგრძნობ.

—კიდევ ჯავრობთ? მე-კი მეგონა ყველაფერი მაპატიეთ. დიდი გულჩახვეული კაცი ყოფილხართ. რამდენჯერმე მინდოდა მას შემდეგ თქვენი ნახვა, მაგრამ ბოლოს ისე უეცრად მომიხდა ქალაქიდან წასვლა, რომ განზრახვა შეუსრულებელი დამრჩა.—ხუმრობით, უბრალოდ მითხრა და თვალი თვალში გამიყარა.

გძელ წამწამებსა და მოშვილდულ წარბებზე თოვლის ნამცეცა ფიფქი ეყარა.

ხოხობიც მოიჩრდილებდა
მისი თვალ-წარბის ჩრდილშია.

ამ ქალზეა სწორედ გამოთქმული. ტუჩ-კბილიც როგორი აქვს!—გაოცებული ვუცქერი, თითქოს ის არ უნდა იყოს, ვინაც მგონია.

წყვილად გავყევით პროსპექტს.

ტანზე შევავლე თვალი.—მაღალი თეძოები ოდნავ ერხეოდა ვიწროდ შეკერილ თუთუნისფერ პალტოში.

—აღალი იყოს შენზე, იმ ღამეს ჩემი შერცხვენა. — ვთქვი გულში და უეცრად ფეხაცურებულს წელზე ხელი მოვხვიე.

მისმა ტანის სითბომ ელვასავით ტერფებამდე დამიარა. მხარში შევუდექი. წაქცევის შიშით ჩემს მკლავზე სავსებით დანდობილი—სუფთა, ტკბილი ქართულით მელაპარაკება პოეზიაზე, მეკითხება თუ რას ვწერ, რა არის ახალი მწერლობაში და მინდა ეს წამი საუკუნედ იქცეს.

უცებ გამახსენდა, რომ „ლაშაურ საღამოზე“ ვარ წასასვლელი და საგონებელში ჩავარდი: რომელი დავთმო არ ვიცი—ქალი, თუ ბუხართან მეგობრების გვერდით მოსალოდნელი სიამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგახანს ვიყოყმანე. ბოლოს გავუტყდი ჩემს თანამგზავრს და თან ვთხოვე ისიც წამოსულიყო.

—სამაგიერო ხომ არ გინდა გადამიხადო?—შემეკითხა მაცდურად.

როგორც იყო დავარწმუნე ჩემი განზრახვის სიწრფელეში. მალე ნებას დამყვა და ორთავე გავეშურეთ ლაშას ბინისაკენ.

გაუფრთხილებლად შევაღე კარი.

ჩემს მეტი ყველა იქ იყო.

ერთხმად მისაყვედურეს დაგვიანება, მაგრამ როცა ჩემს გვერდით უცხო ქალი დაინახეს, მაშინვე წამოიშალნენ, თავაზიანად მოგვეგებენ, პალტოები მოგვხადეს და ბუხართან ახლოს დაგვსვეს.

ზეინაბის იერმა და საამურმა საუბარმა ყველა მოხიბლა. განსაკუთრებით მოეწონათ მისი ვაჟური, სადა სითამამე და ცეცხლი, რაც ისე ქონდა შეხამებული ქალურ კდემა მოსილებასთან, რომ წაუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა პირველ ნახვისთანავე.

ცოტახნის განმავლობაში მან ბევრის თქმა მოასწრო. რატომღაც გაოცებული დავრჩით როცა გავიგეთ, რომ ის ინჟენერია და უკვე რამდენიმე წელიწადი იქნება, რაც რიონჰესის მშენებლობაზე მუშაობს.

მერმე და როგორი სიყვარულით და უნარით ყვება ამ სადგურის აგების ეპიზოდებს, რა ხატოვანი სიტყვებით აგვიწერს მომავალ ქუთაისის გარემოს!

როგორი ნათელი გონებით და დაკვირვებით აფასებს მოვლენებს. ჩვენ წინ ზის ლამაზი ქალი, მაგრამ არა ისეთი, რომლის საზრუნავი საგანია მხოლოდ ტუალეტი; არც ისეთი, რომელსაც დაკარგული აქვს იერი და ყველაფერში მამაკაცს ბაძავს.

ლაშა ხარბათ უსმენს სტუმარს.

— ამ ეპოქის ქალი სწორედ ისეთი უნდა იყოს,—ვფიქრობ მე,—როგორიც აგერაა და ბავშურ გულწრფელობით იცინის ჩვენს მოსწრებულ თქმებზე.

ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ მას თავის ვარდისფერ ფჩხილების მოვლისა და რომანების კითხვის მეტი ჯერ არაფერი ეკეთებიოს. მაგრამ ნამდვილად რამდენჯერ გაუთევია თურმე თეთრად ღამე, რომ ვადაზე ადრე დამთავრებულიყო რიონჰესის გვირაბის გათხრა.

რაც დრო გადის უფროდაუფრო მეტ მოწიწებას ვგრძნობ ამ იშვიათ ქალისადმი და თვალს ვეღარ ვაშორებ მზისაგან გარუჯულ მის პროფილს, რომელიც ბუხრიდან გამოცემულ ელვარე შუქის ოვალში ახლა ასე სათნო ჩანს.

ზეინაბმა პაპიროსისათვის ჩანთა გახსნა, რის დროსაც, პუდრის კოლოფთან ერთად, თვალი მოვკარი პატარა რევოლვერის პრიალა ლულას და გავკვირდი. მან ეს შემატყო, ჩანთა მშვიდათ დახურა და ცეცხლი მთხოვა, თანაც ღიმილით ცნობის მოყვარეობა მისაყვედურა. ნირწამხდარმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხელ რკინის საკეცით ნაკვერცხალი მივაწოდე და ჩუმად, ჩემდაუნებურად, რაღაც უხეირო ქათინაური ვუთხარი.

ვიგრძენი არაფრად ეჭაშნიკა ჩემი ქცევა.

უხერხულობის გასაქარწყლებლად წამოვდექი და პატარა მაგიდა ბუხართან მოხერხებულ ალაგას დავდგი, შემდეგ ზეინაბს ხუმრობით დიასახლისობა შევთავაზე.

მან ეს ხალისით იკისრა და ბუხრის თაროზე დალაგებული რამდენიმე ბოთლი ტკბილი სასმელით და საინი ხმელი ხილით მაგიდაზე ლაზათიანად დააწყო, მომცრო სასმისები შარბათით აგვივსო და სავარძელში ისევ ჩემს გვერდით დაჯდა.

მალე ეს უცხო ქალი ჩვენი სერობის თანაბარ მოზიარედ მივიჩნიეთ და ჩვეულებრივ დავიწყეთ მუსაიფი. მაგრამ ჩვენი კილო აღარ იყო ჩვეულებრივი. თითოეული ჩვენგანი ცდილობდა ლამაზად ელაპარაკა, საგნის ცოდნა გამოეჩინა და ზედმეტი არაფერი ეთქვა.

ამ ქალმა ჩვენს თავყრილობაში საარაკო წესრიგი დაამყარა და საუბარი საინტერესო გახადა.

ბოლოს, დათქმისამებრ, გულბათს ამბის მოყოლა ვთხოვეთ.

ზღვა და სიყვარული

ამბავს, რომელსაც მე თქვენ მოგითხრობთ ახლა, — თქვა გულბათმა წყნარად,—და რომელიც მოხდა ამ ნახევარი საუკუნის წინად, თუ უფრო ადრე, შეიძლება ვუწოდოთ: „ზღვა და სიყვარული“.

რომელიღაც წიგნში წამიკითხავს, რომ სიყვარული თვითონ სიცოცხლეა, დანარჩენი მისი სამკაული—ზოგი ცუდი, მდარე; ზოგიც ბრწყინვალე და ძვირფასი.

მე ვფიქრობ, ეს ხალასი ჭეშმარიტებაა. მე იმასაც კი ვიტყოდი, რომ სივვარულის გრძნობა ნამდვილად ყველა გრძნობაზე უფრო მიწიერიცაა და ბიწიერიც. მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს მის მადლს, მის ცხოველ მყოფელობას.

სიყვარული ადამიანს ძალას მატებს, ცხოვრებას, აზრს და ლაზათს აძლევს.

რათქმა უნდა, სიყვარული არაა მარტო შიშველი ვნების, ხორციელ აღტკინების დასაოკებელი რამ. თუმცა სქესი მისი პირველი წყაროა. მაგრამ სიყვარული მაშინაა მხოლოდ სრულყოფილი და დიადი, როცა საქმე გულსაც ეხება.

და თუ მართლა გული მთელი თავის მგრძნობელობით იღებს მონაწილეობას სიყვარულის ურთიერთობაში, მოსალოდნელია მწვავე და ზოგჯერ აუტანელიც გახდეს სატრფოს (ამ სიტყვას უნდა დაუბრუნდეს ძველი

შარავანდედი) დაკარგვა, ან ღალატი. ამავედროს უთუოდ უმეცრება იქნებოდა დაგვესაჯა ვინმე იმისათვის, რომ თქვას: მიყვარდა, მაგრამ აღარ მიყვარს. ან: მიყვარდა, მაგრამ ახლა სხვა მიყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაკიცხია მხოლოდ ის, ქალი იქნება თუ კაცი, ვინც სიყვარულს მრუშობად აქცევს, ან შეეცდება დაფაროს ღალატი.

— არ ხარ მართალი გულბათ ჩემო, არა. — სიცილით შეაწყვეტინა პაატამ. — ნათქვამია:

სიყვარულსა მალვა უნდა
როგორც ცხენსა ნაპარავსა...

— გეტყობა მეგრელი ხარ... სრულებითაც არაა აუცილებელი ქადაგათ იქცე და ყველა გამვლელ-გამომვლელს ყურები გამოუჭედო შენი გულის ამბებით. — ცალყბად უპასუხა გულბათმა მას და პაპიროსს მოუკიდა.

— თუ ძმა ხარ დაანებე თავი ფილოსოფიას. — ახლა მკვახედ ესროლა პაატამ.

— მე მგონია გასაგებათ ვლაპარაკობ... და ერთხელ კიდევ ვამბობ: უკადრისი და არაკეთილშობლური ქცევაა, მიუტოვებელია, როცა ცდილობ დაარწმუნო ერთი შენს გულწრფელობაში, და ნამდვილად-კი სხვა გიყვარს. ვიმეორებ, ეს ქურდობაა და როგორც ყოველგვარი ქურდობა, იგიც უნდა იქნეს დაგმობილი.

თქვენ ამაში სავსებით დამეთანხმებით, როცა ჩემს წილად სათქმელ ამბავს ბოლომდე მოისმენთ.

— ო,ო,ო. აგრე ჯობს. — თითქმის ყველამ ერთხმად შევძახეთ და თითო სასმისი შარბათი კვლავ შევსვით.

გულბათმა დაიწყო:

— ვარდის ფურცლობისას, შოთას ენით რომ ვთქვათ, ევროპიდან დაბრუნდა ახალგაზრდა ილია, თავის ასაკთან შედარებით, კაცი დიდათ განსწავლული.

მაგრამ ერთი ნაკლი ქონდა: ცხოვრებას უცქეროდა ფერადი შუშით და ამიტომაც ხშირად უფრო გულის კარნახით მოქმედებდა, ვიდრე გონების რჩევით.

ბრწყინვალე სურვილებს ბავშურ გულწრფელობით აყოლილი ანგარიშს არ უწევდა გარემოებას, არც იმ პირობებს, რომლებშიაც მას უხდებოდა ყოფნა.

ილია ცხოვრებაში გამოვიდა იმ დროს, როცა გადაგვარების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა ქვეყნის საქეს კიდევ ფლობდა. მართალია, ბატონყმობის ინსტიტუტი გაუქმებული იყო, მაგრამ ხალხი ისევ ძველ, არაადამიანურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, საიდანაც მისი დახსნა მარტო კეთილ სურვილებით, რათქმა უნდა, უნაყოფო ცდას წარმოადგენდა.

და ოცნებით გატაცებული ილია მალე მიხვდა, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა.

ის ყოველ ნაბიჯზე ხედავდა თავის თანამედროვეთა ფუქსავატობას და თანდათან რწუნდებოდა, რომ მათი უმრავლესობის ლტოლვის საგანს შეადგენდა მხოლოდ კარიერა და ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაწინაურებულიყო მეფის სამსახურში, როგორ მოეწყო საკუთარი ცხოვრება, მოეხვეჭა მოსახვეჭელი.

ზოგი გრძნობდა ხალხის უმწეობას და ცდილობდა ქომაგობა გაეწია მისთვის, მაგრამ ისე, რომ თვითონ მათ ამით არაფერი დაშავებოდა. ზოგი კიდევ თვალს ხუჭავდა და ერიდებოდა სინამდვილის აშკარად დანახვას.

მოკლედ, ასეთი იყო, თუ იყო, მეტწილად მაშინდელი ინტელიგენცია.

მას არ ქონდა ნიშანდობლივი იერიც. რაც დრო გადიოდა ინტელიგენცია, მცირედის გამოკლებით, უფროდაუფრო ითვისებდა უცხო ენას, ზნეს, ბუნებას და ხან ნებით, ხან უნებლიეთ, სავსებით კარგავდა მკვიდრ ნიადაგს.

ილიასა და ხალხისათვის მისებრ თითო-ოროლა მართლა გულშემატკივრებს ხიზლს გვრიდა ამ უსახო და უხერხემლო ადამიანებთან შეხვედრა.

ილიამ გადაწყვიტა — გაცლოდა მათ წრეს და უშუალოდ გამხდარიყო ხალხის ჭირის მოზიარე, შებრძოლებოდა ხალხში ფესვებგამდგარ უვიცობას, აეხილა თვალი მისთვის და ამ გზით თვით ხალხი აემოძრავებია უკეთესი მერმისის მოსაპოებლად.

მან შეიგნო, რომ ნამდვილ საქართველოს წარმოადგენდა სწორედ ეს ხალხი, რომელიც, ადრე თუ გვიან, თვითონვე გახდებოდა ქვეყნის მესვეური და ამიტომაც გადაწყვიტა განზრახვა სისრულეში მალე მოეყვანა.

მაგრამ ერთმა რამემ დააბრკოლა.

სახელდობრ:

* * *

ზაფხული ილეოდა.

დგებოდა შემოდგომის წყნარი და თვალღია ღამეები.

ერთ ასეთ ღამეს, გვიან, ილია მარტო ბრუნდებოდა წვეულებიდან.

მთაწმინდას მოსირმულ ფაფანაკივით ეხურა ბაკმიანი მთვარე, რომლის შუქი გამდნარ ქარვასავით ლივლივებდა მძინარე ქალაქის თავზე.

ღვინისაგან სხეულში ჩამდგარი მხურვალება რომ განელებოდა, ილიამ მაღალი გახამებული საყელო გაიხსნა, მთვარეზე გიშერივით მბზინავი ცილინდრი მოიხადა და კოჯრის ქაცვიან ნიავით ოდნავ გათოშილი ჰაერი რამდენჯერმე მთელი მკერდით შეისუნთქა, მერმე სიონს შეხედა და ქუჩის მეორე მხარეს ამართულ სამრეკლოს ქვის დიდ სვეტს მიეყრდნო.

მან დიდხანს უცქირა მჭუნვარეთ სიონის გუმბათს, მასზე ალაპლაპებულ ჯვარს.

ბოლოს ხელი ჩაიქნია და გზას გაუდგა. თანაც დაბალის ხმით ბესიკის ლექსის მღერა დაიწყო:

სევდის ბალს შეველ შენალონები
მოკრეფად მსურდა ვარდის ყონები.

ძველი ტფილისის ფოლორცებში, რომლებიც დაჩრდილული იყვენ დაბალ ორსართულიან სახლების აივნებით, ის მიდიოდა ნელა და მჩატედ, ხანდახან ტანის რწევით.

როცა შუაბაზრის ქუჩის ყელს მიაღწია, მთვარემ პირდაპირ სახეში მიანათა მას და აქამდე მხარდამხარ მადევარი ლანდი ერთბაშად უკან მოექცა. ილია შეჩერდა. მან ილლიაში ამოიჩრა თავის განუყრელი ჯოხი, რომელსაც სახელურად გაკეთებული ქონდა სპილოს ძვლისაგან გამოსახული ურჩხულისს თავი, და პაპიროსს მოუკიდა.

ერთი ბოლთაც ვერ მოასწრო, რომ ამდროს შემაზრზნელი კივილი მოესმა. შეშფოთებულმა მყისვე იქაურობას თვალი მიმოავლო, მაგრამ ვერავინ შენიშნა. კივილი-კი თანდათან მძაფრდებოდა. ილიამ მთელ ტანზე ეკლების ჩხვლეტა იგრძნო. უეცრად მახლობელ შუკიდან შავი ბოლი ბოლქვად ავარდა, მალე ალიც გაჩნდა და მთვარის არილი არე-მარე წითლად აელვარდა.

ილია სწრაფად დაეშვა თავქვე და გაჩირაღდნებულ შუკაში შეიჭრა. ახლა ირგვლივ საშინელი ზრიალი და ჩოჩქოლი იდგა. ფანჯრებზე და აივნებზე საცვლების ამარა გადმომდგარი ქელაბი ცივი ხმით კიოდენ,ხოლო კაცები გაუგებარ ყვირილით გამორბოდენ ჭიშკრებიდან და გზადაგზა იცვამდენ ტანისამოსს. კარის მეზობლები-კი ავეჯს გარედ ყრიდენ და იმავე დროს ცდილობდენ ცეცხლი მათ სახლებსაც არ გადადებოდა.

ილია ატყობდა, რომ ეს ორსართულიანი ხის სახლი, მოხარატებულ ფართო აივნით, მალე იქცეოდა ცეცხლის ზვინად და მაშინ შიგ მომწყვდეულ ადამიანების გადარჩენა არა თუ შესაძლებელი იქნებოდა, არამედ მათ ფერფლსაც ვეღარავინ ნახავდა. მან სწრაფად მოისაზრა რა უნდა ეღონა და უმწეოდ მოფუსფუსე ხალხს შეძახა:

— კიბე ვის გაქვთ, კიბე!

ამის თქმა და კიბის მოტანა ერთი იყო.

ვიდრე იავანს კიბეს მიადგამდენ, ილიამ ცილინდრი და ჯოხი ვიღაცას მიაჩეჩა, მერმე ფრაკი გაიძრო, თავზე მოიხვია და კიბე მარდათ აირბინა.

ყველამ აივანს მიაპყრო თვალი.

შუკაში ხმაური შენელდა.

გამწარებული მანდილოსანიც თითქოს დაცხრა.

ყოველი წამი საუკუნეს უდრიდა.

რომელიღაც მხარეს სახურავი ჩაინგრა და ცის მლოკავ ალს უთვალავი ნაპერწკლები აყვა.

ხალხმა დაიგმინა. აქა-იქ კვლავ გაისმა ქალების კივილი, ხოლო აივანზე უსასოოთ მყოფი მანდილოსანი უხმოდ ჩაიკეცა.

უცებ, ყველას გასაოცად, მოაჯირს მოაწყდა ილია, რომელსაც ხელში ეჭირა საბანში გახვეული ქალი.

ალაკ-ალაგ ცეცხლისაგან ამომწვარ პერანგის სახელოებიდან მკლავების კუნთები ილიას რიყის ქვებივით უჩანდა.

სიხარულით ლონემოკრებილმა მანდილოსანმა, შვილის ვადაბრუნებს, თავზე საფრად მოხვეული ფრაკი მოხადა, რომ ძირს უფრო იოლად ჩასულიყო.

ამ წუთს, ძვირფას ნადავლით ხელში, ილია გავდა ფაფარივით თმა აყრილ ზღაპრულ ლომკაცს, რომელსაც ალში შერეულ მთვარის შუქზე, შავი დიდრონი თვალები საოცრად უბრწყინავდა.

მისმა გამოჩენამ ყველას შვება მოგვარა.

კიბესთან ერთმანეთზე მიტმასნებულმა ხალხმა ატეხა ილიას გამამხნევებელი და სახოტბო ყიჟინა.

ილიამ მოაჯირს გადმოალაჯა და როცა პირით აკეთ მდგარმა კიბეზე ფეხი მოიმაგრა, ჯერ იმავე მოაჯირზე და მერმე ჩამოვლილ საფეხურებზე ზურგით მიწოლილმა, ფრთხილად იწყო ძირს დაშვება.

ქალს მარტო შიშველი ფეხები უჩანდა.

ვიღაც ახლად მოსული ჭაბუკი ილიას შუა კიბეზე მიეგება მისაშველებლად, მაგრამ მან ბოლისაგან მოხალულ შეძახილით იგი უკანვე ჩააბრუნა.

დაადგა თუ არა ილიამ მიწაზე ფეხი, მაშინვე კიბეზე ჩიტივით ჩამოფრენილმა დედამ შვილს სახეზე საბანი გადახადა და ერთი ცივად შეკივლა:

გულშეწუხებული ქალი ოდნავ სუნთქავდა.

ილიას თვალი მოტაცა მისმა შვენებამ.

— ჩემთან წამოიყვანეთ დედაშვილობას, ჩემთან. — თითქმის ვედრებით უთხრა მას ვიღაც შავებით მოსილმა ტანმაღალმა ქალმა და წინ წაუძღვა.

იმავე ჭაბუკმა ერთხელ კიდევ ცადა შენაცვლება, მაგრამ ილიამ კვლავ უკმეხად ჩამოიცილია იგი გზიდან.

ილიამ ბავშვივით ატატებული ქალი მახლობელ სახლში შეიყვანა და ლოგინზე მზრუნველობით დააწვინა.

რამდენჯერმე ცხარე სურნელოვან წამლების შესუნთქებისა და წყალის პკურების შემდეგ, ქალი მოსულიერდა. მალე გრძელწამწამებიანი თვალები გაახილა და პირველად შეხედა ილიას, მერმე დედას გაულიმა და ისევ მილულა თვალები.

ყველანი ფეხაკრეფით გავიდენ მეორე ოთახში.

შავებიანმა ქალმა ილიას მოწიწებით მიუტანა ფრაკი, ცილინდრი და ჯოხი.

ილია საჩქაროდ მოემზადა წასასვლელად.

დამშვიდობებისას ქალის დედამ, როგორც პირველს, ისე აკოცა და ალერსით მიაცილა კარამდე.

ილია რატომღაც გახარებული გამოვიდა გარეთ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ხანძარს მიუახლოვდა, სიამაყე იგრძნო.
ხალხით კვლავ სავსე იყო შუკა.
ილიას აქეთ-იქიდან ქება ესმოდა.
ყველა თავაზიანად უთმობდა გზას.

შუკას გაცილებულმა თვალი მოკრა ქვევიდან მომავალ რამდენიმე თულუხს და პრიმიტიულად მოკაზმულ ცეცხლის მჭრობელებს.

— დროზე გეშველათ თქვენ, დროზე თქვენ მოდიხართ, — სიცილით ჩაილაპარაკა მან და შინისაკენ ნელა წავიდა.

მეორე დღეს სამხრობამდე გვერდ შეუცვლელად ეძინა.

— საღამოს, — განაგრძო ცოტა შესვენების შემდეგ გულბათმა, — ილია ყვავილებით ესტუმრა ჯერ კიდევ მისთვის უცნობ დედა-შვილს.

დიდი ხალისით მიიღეს.

ქალი ისევ ლოგინში იწვა.

დედამ თბილად უთხრა შვილს:

— ამ ღვთის კაცმა გადაგარჩინა, მზევინარ, გენაცვალე.

მზევინარმა ჯერ გაოცებით შეხედა ევროპიულად მორთულ კაცს, მერმე მთელი სახით გაუღიმა და მისგან მოძღვნილი ყვავილები ბალიშზე დაიწყო.

მზევინარი ხარბად ყნოსავდა ვარდებს, თანაც დამფრთხალ შველის თვალებით უცქეროდა შორიახლო ცილინდრით ხელში გაჩერებულ ილიას.

დედამ იშვიათ სტუმარს მზევინარის ლოგინთან ახლო დაუდგა სკამი, ბოდიში მოიხადა და მეორე ოთახში გავიდა.

ილიამ ქურდულად გადახედა მზევინარს. ქალის გაშლილი ქერა თმა ისე ეფინა ბალიშზე, თითქოს თაფლი ყოფილიყო დაღვრილი სპეტაკ ეტრატზე.

რაღაც არამიწიური სილამაზით იყო მისი სახემოსილი. ღიმილისას მარცხენა ლოყაზე პატარა ღრუ უჩნდებოდა და ეს უფრო შნოს აძლევდა.

ილია ხედავდა მარმაშა საბანში ქალწულის გაშხვართულ ტანის ყოველ ნაკვთს და არ ჯეროდა, თუ ეს ის ქალი იყო, რომელიც წუხელის დაწვას გადაარჩინა.

ლაპარაკს ვერცერთი ვერ ახერხებდა. მხოლოდ ხანდახან ბავშვებივით ულიმოდენ ერთმანეთს.

ბოლოს მზევინარმა დაარღვია სიჩუმე და ილიას გულადობა შეამკო თანაც მადლობა გადაუხადა, რომ მისი გულისათვის ხიფათში ჩაიგდო თავი.

— თქვენ არაფერი გაქვთ სამადლობელი. მადლობელი მე ვარ, რადგან თქვენთვის თავგანწირვამ უდიდესი სიხარული მომანიჭა, — რაღაც უხერხულად თქვა ილიამ.

— არ ამბობთ მართალს. თქვენ ხომ არ იცოდით ვისთვის შედიოდით ცეცხლში. — კეკლუცად უპასუხა ქალმა.

— გულმა მიგრძნო.

მზევინარმა ლმობიერად შეხედა მის წინ ასე გულუბრყვილოდ მოლაპარაკე კაცს, რომელმაც გუშინ საარაკო შეუპოვრობა გამოიჩინა. ქალი თანდათან სათუთ გრძნობით იმჭვალებოდა ილიასადმი. ეს შეატყო ილიამ და სიხარულით ცას ეწია.

ამ დღიდან მოყოლებული, ილიას გული მზევინარის სახატედ იქცა.

ილია ცდილობდა მუდამ მასთან ყოფილიყო, მისი ნასუნთქი ჰაერი ესუნთქა, მისი ქორფა ტანის სურნელი ეყნოსა, მისი უმანკო და საამური ხმა გაეგონა, მის დიდრონ, სასოებით სავსე თვალებში ეცქირა და მის ტანისამოსს შეხებოდა.

მზევინარი მალე მოკეთდა.

ფეხზე მყოფი უფრო მიმზიდველი ეჩვენა ილიას.

ერთხელ, როცა ისინი ჩვეულებრივ მარტო დარჩენ, ილიამ ენის ბორძიკით მზევინარს გაუმხილა თავისი წადილი და ცოლად წაყოლა თხოვა.

მზევინარი ელდანაკრავივით გაფითრდა.

ხმის ამოღება ვეღარ შეძლო. თვალის ჩინი დაეკარგა. ის ფანჯრიდან დიდხანს უცქეროდა ჩამავალ მზით მოვარაყებულ ნარიყალას, ბოლოს სახე ხელებით დაიფარა და უცებ ოთახიდან გაიქცა.

ილია სახტად დარჩა.

ვერ გაეგო რას მოასწავებდა მზევინარის ასეთი ქცევა.

— ნუ გიკვირს, შვილო, სულ ბავშვია. — მოესმა ჩაფიქრებულ ილიას მზევინარის დედის ხმა. — ისე-კი შენც ხედავ როგორია, — განაგრძობდა ტკბილად ის და შუა ოთახში გაჩერებულ ილიას კრძალვით უახლოვდებოდა, ამ კრძალულობაში მკაფიოდ გამოჭვიოდა მისი გოროზობა, გამთბარი დედური სიყვარულით. — მაგის მეტი არავინ დადის ჩემს ბარობაზე, არც მას ყავს ვინმე ჩემს მეტი, ობოლია. მამა მისი შამილთან ბრძოლაში დაიღუპა. შენი იღბალი ყოფილა და თუ მართლა გულით გინდა მზევინარის ცოლობა, შეირთე. ჯერ კარგად არ გიცნობ, მაგრამ ვგრძნობ კეთილი უნდა იყო და ამდენი ვაების შემდეგ თავს უკვე ბედნიერად ვთვლი. — ქალს ხმა აუკანკალდა.

აღტაცებულმა ილიამ ორივე ხელი დაუკოცნა მოხუცს.

*
* *

დაქორწინდენ.

ილია ორკაცად იქცა და ორკეცი ძალით შეუდგა ახალ ცხოვრებას.

მზევინარს-კი, რაც დრო გადიოდა უხალისობა უფროდაუფრო ეტყობოდა. ფერიც დაკარგა. სილაღეც. ხშირად იყო ნაღვლიანი და მწუხარე. ილია თავს ევლებოდა, ცდილობდა გაეგო მისი კაეშნის მიზეზი, მაგრამ გუმანი ვერაფერზე შეეჩერებია.

მზევინარი ექიმის მოყვანის ნებას არ აძლევდა.

ამ საგანზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა.

— იქნებ ორსულათაა და ესირცხვება ექიმის. შეიძლება უგუნებოთაც ამიტომ არის. — ფიქრობდა ილია. — უცხოეთში წავიყვან, გულს გადააყოლებს, თორემ ამ ყოფაში სანთელივით დადნება. — გადაწყვიტა ბოლოს მან და განზრახული მზევინარს გაუზიარა.

ქალმა თანხმობა განუცხადა.

მართლაც, ტფილისი მალე დატოვეს.

ზამთარი და გაზაფხული საზღვარგარეთ გაატარეს.

მოიარეს საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია.

მზევინარი სავსებით გამოიცვალა, ვარდივით გაიფურჩქნა და მერცხალივით მალხაზი გახდა.

ქმარს გვერდიდან არ იშორებდა. — როგორც-კი დროს იხელთებდა, მყისვე კისერზე მოეხვევოდა, მთელ სახეს დაუკოცნიდა.

გახარებულ და ბედნიერ ილიას მიწაზე აღარ ედგა ფეხი. თითონაც გაბავშებულს თავი ნეტარ სიზმარში ეგონა და მზევინარის ბაგეთაგან შესმულ ნექტარით მთვრალს, ყველაფერი უზომოდ წარმტაცი ეჩვენებოდა.

ერთმანეთს სულში იძვრენდენ და გულჩრელა ჩიტებივით უდარდელად დაფრინავდენ უცხო მხარეში.

მაგრამ როცა ზაფხულის პირველ თვეში საქართველოსაკენ იბრუნეს პირი, მზევინარმა ერთბაშად მოიწყინა.

უზრუნველი, ხალისიანი იერი კვლავ დაკარგა.

გზაში ავად გახდა.

სტამბოლში რამდენიმე დღეს მოუხდათ ცდა და ამ ხნის განმავლობაში მზევინარი ერთხელაც აღარ ამდგარა ლოგინიდან.

მეხდაცემულ ილიას ის უფრო ტანჯავდა, რომ ავადმყოფი წამალს არ იკარებდა და არც ხემს იღებდა პარში.

სასოწარკვეთილი და გაოგნებული ილია თეთრად ათენებდა ღამეებს მის სასთუმალთან.

უკანასკნელ ღამეს მზევინარს გვიან ჩაეძინა. ილიასაც აეკერა თვალები. ცადა ფხიზლად ყოფნა, მაგრამ მეტი ველარ აიტანა დაქანცულობა და სავარძელში მოკრუნჩხულს თავი მხარზე დაუვარდა.

როცა თვალი გაახილა, ოთახში უკვე მზის სვეტი იდგა. უცებ წამოხტა შემკრთალი, თვალები მოიფშვნიტა და მზევინარს დახედა.

რაღაც ჩაუწყდა მკერდში და გახევდა. კარგახანს იდგა სუნთქვა შეგუბებული. მერმე ოდნავ გონს მოსულმა თვალები კვლავ მოისრისა და ქალს შეეხო.

მზევინარის ხელი ყინულივით ცივი და ნოტიო იყო.

— მზევინარ, მზევინარ! — ერთი საზარლად დაიღრიალა და ლოგინთან მუხლებზე დაეცა.

როდის იყო, როდის არა, თავი ძლივს აწია, გაჭირვებით წამოდგა და ფანჯარასთან ბარბაცით მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავარვარებული მზე ბოსფორს თაკარას აფრქვევდა. ყველაფერი თვალისმჭრელი ფერებით იყო მოოქვილი. წყალში ჩადგმული მარმარილოს სასახლეები უზარმაზარ გედებს გვანდენ. მინარეთები და კოშკები მოკრიალებულ ცის კაბადონს უწვდენდენ თავებს.

„ოქროს რქა“ სავსე იყო გემებით, რომლებზედაც ათასნაირი ფერისა და ზომის დროშები ოდნავ ირხოდენ.

ილიას შეუმჩნეველი რჩებოდა ეს უცხო სილამაზე. ის იცქირებოდა ამ ზღაპრულ ხედის იქით, უცქეროდა ზღვას, გვალვით ადრე შეტრუსულ ჯეჯილივით რომ ბიბინებდა ცის დასალიერამდე, მაგრამ ცხადად ვერც მას ხედავდა.

მზერა დაჩლუნგებულს არც გემთა სირენების ხმა ესმოდა.

დიდხანს იდგა ფანჯარასთან გამოფიტული და გონება დახშული. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ბოლოს ერთი უცნაურად შეირხა, ფანჯარას ცივად მოშორდა და ნელა, ფრთხილად მიუახლოვდა ლოგინს. დააცქერდა: სულ რამდენიმე დღის წინათ სიცოცხლით სავსე და ჯადო ღიმილით გაცისკროვნებული სახე, მზევინარს ფიქალივით გახდომოდა. აბრეშუმივით სათუთი თმა გახუნებოდა. ღიათ დარჩენილ თვალებში მგზნებარე გუგების მაგიერ უბრალო შუშის კენჭები ეწყო და გრძელი წამწამები, მიმზიდველობას რომ მატებდა მის მზერას, ჩხირებად ქცეოდა. შნოიანი შოთი ცხვირი ისე გათხელებოდა, რომ ნესტოებში მღვრიე სინათლე ატანდა. ნიკაპი გაწვრილებოდა და ოდესღაც წითელი ტუჩები ხახვის ფურცელივით გათეთრებოდა, საიდანაც კრიალა კბილების ნაცვლად შეყვითლებულ ძვლის მარცვლები ჩანდენ.

ილიამ მთრთოლვარე ხელით მიცვალებულს საბანი წააფარა სახეზე, ქუდი დაიხურა და მოგონილ სიმშვიდით კარი გაიკეტა.

მეორე დღეს, დილით ადრე, სასტუმროდან მუშებმა გამოიტანეს საგანგებოდ ნაკეთები მოგრძო ზანდუკი, რომელსაც ჯვარედინად ტყავის მაგარი თასმები ქონდა შემოკრული.

რამდენიმე საათის შემდეგ ილია გემის ერდოზე იდგა და როგორც დიდიხნის მშიერი, თუთუნის ბოლს ზედიზედ ლუკმებივით ყლაპავდა.

ის ღამე ერდოზე გაათია.

მეორე ღამეც.

მის გაწყალებულ თვალებს რული არ ეკარებოდა.

ილიამ დროს ვარაუდიც დაკარგა. არც ცდილა გაეგო გემი რომელ ნავთსადგურში შედიოდა, ან სად რამდენხანს ჩერდებოდა.

უკანასკნელ ღამეს ამინდი შეიცვალა.

ღილა უმზეო და პირქუში გათენდა.

ზღვისა და ცის შუა სივრცე გამქრალიყო.

სქელი ნისლი რუხ ბამბის მთებივით ამართულიყვენ ყოველმხრივ. გემს თითქოს უჭირდა მათი გარღვევა. შორიდან მოისმოდა ერთ-ერთი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. მალე ზღვა ურიცხვ ლომების ჯრგვივით ალრიალდა.

პირწმინდა და თვალუწვდენელ ბრტყელ ჭიქასავით სწორი ზღვა ახლა საოცრად კვარჩხალებდა. აზვირთებული ტალღები გემს ნაფოტივით ისროდენ აქეთ-იქით. ხან უკან იხევდენ, რომ მერმე უფრო მეტი ძალით დატაკებოდა მის ზღუდეებს.

ერდოზე არავინ ჩანდა.

როცა ბათუმამდე კიდევ რამდენიმე საათის სავალი-ღა იქნებოდა დარჩენილი, ანძასთან მალულად მდგარმა ილიამ თვალი მოკრა ზანდუკს, რომელიც ზევით სწრაფად ამოქონდათ მეზღვაურებს.

ამის დამნახველს თვალებიდან ნაპერწკლები წამოცვივნდა. ილიამ კუნთებში ჯერ ტკივილი იგრძნო, მერმე უჩვეულო ღონე და მოაჯირთან მისულ მეზღვაურებს გულზე ცეცხლმოკიდებული მივარდა. ცდილობდა ძვირფასი განძი ხელიდან გამოეტაცა მათთვის და თან არადამიანური ხმით ყვიროდა, იმუქრებოდა, ხან საცოდავად ეხვეწებოდა ყველას ზანდუკის დაბრუნებას.

არაფერმა გაჭრა.

იქვე მყოფმა კაპიტანმა ილიას ერთი ალმაცერად შეხედა და ფრანგულად მრისხანედ უთხრა:

— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ გემით მიცვალებულის წაღება აკრძალულია. ამ წესის დარღვევისათვის თქვენ პასუხს აგებთ.—შემდეგ, ხმაურზე მოცვენილ სხვა მეზღვაურებს უბრძანა ილია შეებოჭათ.

მეზღვაურებმა ზანდუკი ჰაერში რამდენჯერმე გაქან-გამოაქანეს და... ზღვაში გადააგდეს. იმავე დროს ილიამ მოულოდნელად თავი გაინთავისუფლა, ქვასავით შეკუმშული მუშტი კაპიტანს სახეში გაარტყა და ვიდრე მეზღვაურები გონს მოვიდოდენ, გემიდან გადახტა.

ცამდე ატყორცნილი ვეება ზვირთები ზანდუკს ხან აქაფებულ ქეჩოზე მოიქცევდენ, ხან ქვესკნელში ჩაიტანდენ. უკანასკნელად, მოაჯირიდან გაფაციცებით მაცქერლებმა მეზღვაურებმა შენიშნეს, რომ ზანდუკს რალაცა ჩაბლაუჭებოდა, მაგრამ კარგად ვერ გაარკვიეს რა უნდა ყოფილიყო.

გემი შხუილით მიაპობდა ბობოქარ ზღვას.

მალე გახვლილი მანძილი თახახიან ნარმასავით უხეშმა ნისლმა დაფარა და მეზღვაურები ამაოდ ცდილობდენ კიდევ დაენახათ რამე.

*
* *

გულბათმა ლიკიორით პირი გაისველა და წამოდგა. ყველანი ჩუმად ვიყავით. ზეინაბს ღაწვები გაფერმკრთალებოდა. ლაშა თვალს არ აშორებდა ბუხარში ნახევრად დანაკვერცხლებულ კუნძს. სხვები პაპიროსს პაპიროსზე

ეწეოდენ და სავარძლებში გადაწოლილები თვალებიდან უცნაურად მოკიაფე მზერას ისროდენ.

— ეს სიყვარული კი-არა სიგიჟეა. — დაარღვია მყუდროება პაატამ.

— ასე ფიქრობენ უგულო ადამიანები. — თავაუღებლივ თქვა ლაშამ.

— პირველ შემთხვევაში ილია უთუოდ რაინდულად მოიქცა. ამისათვის დიდების ღირსია ის. მაგრამ სიცოცხლეზე ხელის აღება იმ დროს, როცა ამას არავინ საჭიროებს და არც იოტის ოდენა სარგებლობის მოტანა შეუძლია ვინმესათვის, მე მგონია, ეს მხოლოდ თვითმკვლელობაა. თვითმკვლელობა-კი მართლაც სისულელეა და მეტი არაფერი. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა გივი და თან ბუხრის თაროზე შიშველ ქალის, პატარა ქალის ქანდაკებას მიჩერებოდა.

— ილიას დაღუპვა ლამაზია და გმირული. — სიხმარში მყოფივით წამოვიძახე მე.

— თვითმკვლელობა მხოლოდ ლაჩრებს და უგემურ ხალხს შეუძლია.— დაიჟინა გივიმ. — ვაჟკაცობა ისაა ჭირს გაუძლო. შენ, ჩემო რაიბულ უნდა იცოდე, რომ სცენაზე გამოსვლა უფრო ძნელია, ვიდრე სცენიდან გასვლა.

— თუ დამარცხდი, თუ როლს ვერ მოერიე, თუ მიზანი დაკარგე, მაშინ რა იქნება უფრო ძნელი!.. — ვიყვირე.

— სცენაზე მეორედ გამოსვლა. — უგულოდ მიპასუხა გივის მაგიერ პაატამ. — ბრძოლის ველიდან გაქცევა ყოველთვის სირცხვილი იყო.

— დაწყნარდით, რა გაჩხუბებთ. მსჯავრის გამოტანა ადრეა, ჯერ არ დამთავრებია ამბავი. — გაგვაფრთხილა გუმბათმა, და ოთახში სიარული შეწყვიტა. კვლავ სიჩუმე დამყარდა. მეზობელ ოთახიდან გამოდიოდა ბავშის გულამოსკვნილი ტირილი. ბუხარში ახლად შედებული კოპიტის შეშა ტკაცუნებდა. მე მესმოდა ზეინაბის გულის ცემა და მისი მაჯის საათის ხმა. — ბათუმის მოშორებით, — ზეზე განაგრძო ამბავი გულბათმა, — იმავე საღამოს მეთევზეებმა ნახეს ნაპირზე გამორიყული ზანდუკი და მის გვერდით სილაზე პირაღმა გაშოტილი ილია, რომელსაც ცალ ხელში ჩაბღუჯული ქონდა ზანდუკის თასმა.

გაოცებული მეთევზეები სასწრაფოდ შეეცადენ ილიას მოსულიერებას. ერთმა მათგანმა, მოხუცმა ზექერიამ, რომელსაც პირქუში სახე ქონდა, ხოლო გული სათნო, რატომღაც ყველაზე უფრო მოინდომა ამ უცხო და გადამთიელ კაცს სიცოცლე დაბრუნებოდა. მართლაც არ გაუვლია დიდხანს, და ილიას გაქვავებული ცხვირის ნესტოები შეუტოკდა, სახის კუნთები და ქუთუთოები შეერხა.

მის ახლო ჩაჩოქილმა კეთილმა ზექერიამ ისეთი სიხარული იგრძნო, თითქოს ღვიძლი შვილი გაცოცხლებოდა. მან კმაყოფილებით დაისვა ნიჩბივით ფართო წვერზე ხელი და მარდათ გაიმართა წელში.

სხვებსაც გაეხსნათ შეკრული წარბები.

ზღვა ისე აღარ მძინვარებდა. ფხიან ბორიოს ნისლი გაეფანტა და ნახევრად მოწმენდილი ცის კიდე ჩამავალ მზისაგან წითელ-ოქროსფერ ბჭყვიალებდა. ეს ბჭყვიალი, დანაწილებული სირმის ძაფებად, ზღვის ამორიაქებულ დისკოს ეწნებოდა. თვითონ მზე არ ჩანდა.

მეთევზეებმა ილია კარავში დააწვინეს.

მან მთელი ღამე ბურანში გაატარა.

მხოლოდ დილას მოვიდა ცნობაზე და როგორც-კი შეძლო საგნების ცხადად დანახვა, მაშინვე დააპირა ადგომა, მაგრამ ისე ქონდა სხეული დალეწილი, რომ ხეირიანად განძრევაც ვერ მოახერხა.

ლაპარაკის უნარიც დაკარგოდა. მხოლოდ ერთი ამოილუღლუღა:

— ზანდუკი.

— დამშვიდდი ეფენდი. — თბილად უთხრა იქვე მდგარმა ზექერიამ. — შენი სკივრი უვნებლადაა, ნუ გეშინია, მოყვრებთან ხარ.

ილიას თვალები ცრემლებით აევსო. მალე დაგუბებულმა ნაღველმა გადმოხეთქა და ამხნის განმავლობაში პირველად აღმოხდა კვნესა. კვნესას გული თან ამოყვა და ამოდნა კაცი ხის ფურცელივით აცახცახდა.

ზექერია სასთმალთან დაუჯდა.

მოხუცი ანუგეშებდა ილიას და თანაც ცდილობდა ეგრძნობინებინა მისთვის, რომ ირგვლივ გულშემატკივარი ხალხი ეხვია, რომ ცრემლი არ შეფერის ვაჟკაცს.

მისი მშობლური ლაპარაკი, მისი ხმის კილო მალამოსავით ეცხებოდა ილიას დაიარებულ გულს.

გასამხნევებლად და შესაქცევად ზექერიამ ბევრი რამ უთხრა და უამბო ილიას.

თანდათანობით მანაც ამოიდგა ენა.

ილიამ მოიწადინა ამ კეთილ მოხუცისათვის ყველაფერი ეთქვა.

და როცა მთელი სურათი დახატა, როცა გული მოიოხა, თითქოს კისრიდან გელაზი მოეხსნათ, ისეთი შეღავათი იგრძნო. დამშვიდდა, თვალები დახუჭა და გაინაბა.

მრავალ საოცარ ამბების მომწრე და გამგონე ზექერიას ილიას თავგადასავალი ზღაპრად მოეჩვენა.

გულაჩუყებულმა ზექერიამ ჯერ ლომის ბრჭყალებიანი თითები ფარცხივით დაისვა წვერზე, მერმე ილიას სიბრალულით გადახედა, ადგა და კარავიდან გავიდა.

— ჰოვ, ურემი გააწყვე. — მიმართა მან ერთ ახალგაზრდა მეთევზეს, რომელიც კარავის წინ გაფენილ დიდ ბადეს ჩაცვენილ თევლებს ულებდა, და ისევ კარავში შევიდა.

ჯერ კიდევ მზე აჭარის მთებს არ იყო ამოცილებული, რომ ზექერია ილიას მხარში შეუდგა და გარეულ გამოიყვანა.

როგორც-კი დაინახა ურემზე შედგმული ზანდუკი, ილიას მუხლები სულ წაერთვა, მაგრამ ზექერიამ ღონიერ მკლავებით ერთბაშად ზეიმაგრა მისი დაქანცული სხეული.

ზექერიამ ის ფრთხილად დასვა ურემზე და ახალგაზრდა მეთევზე დაარიგა ნელა ევლო.

ზღვა დაწყნარებულიყო.

თბილი ნიავი ქროდა.

როცა პირველად ზანდუკს შეეხო, ილიას ცივმა ოფლმა დაასხა, მაგრამ მერმე ბათუმამდე ხელი აღარ მოუშორებია მისთვის.

* * *

ილიამ ზანდუკი სოფელში წაიღო.

ეზოში თავისი ხელით გაჭრა სამარე და მიწაც თვითონ დააყარა მზევინარს.

სამარის ირგვლივ ოთხი მუხა დარგა. თვითონ სამარის გულზე ზამთარ-ზაფხულ მოყვავილე ვარდი გაახარა.

მერმე მუხებზე გაურანდავი ძელები გადვა და თითოეულ ხეზე უსურვაზი და ფათალო შეუშვა.

როცა მზევინარის უკანასკნელ სამყოფ ტალავრის მოწყობას მორჩა, სადათ ჩაიცვა და ხალხში გაერია.

კარიდან-კარზე იწყო სიარული. სოფლის ლხინი და ვარამი გაიგო. გლეხების ცხოვრება გულზე დაიწერა.

პირველ ხანებში გაუმჟღავნებელ უნდობლობით ეპყრობოდენ მას გლეხები. ეცოდებოდათ კიდეც. თანაც უკვირდათ ნასწავლი კაცის ასე დაბეჩავება. მაგრამ მალე დარწმუნდენ, რომ ილიას ოდნავადაც არ ქონდა დაკარგული თავის ღირსება.

ილია დაუზარებლად ეხმარებოდა გაჭირვებულს და ექომაგებოდა სუსტს, რის გამო ის მთელი სოფლის სათაყვანო კაცად იქცა.

დროც აღარ რჩებოდა თავის თავზე ეფიქრა.

გვიან წვებოდა, ალიონზე დგებოდა და პირს წყაროზე იბანდა.

წყაროდან პირდაპირ სამარესთან მიდიოდა. ტალავარს რამდენჯერმე შემოუვლიდა, უსურვაზს და ფათალოს ლერწებს გაუსწორებდა. ტალავერში მზის პირველ სხივების შეჭრისთანავე კი კვლავ სოფლის საქმეს კიდებდა ხელს.

მან სოფელში ააგო ორ სართულიანი ქვის დიდი შენობა და შიგ სკოლა გახსნა.

ამ სკოლაში უფასოდ სწავლობდენ ღატაკი გლეხის შვილები.

ამ სკოლაში არა ერთი და ორი სასახელო მოღვაწე აღიზარდა.

ილია სამუდამოდ სოფელში დარჩა.

ტფილისში იშვიათად ჩამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრობდა მარტო ვნება-აღკვეცილი და ჟინდამცხრალი.

საღამოებს ტალავერში ატარებდა..

დაჯდებოდა სამარის ახლო ქვის სკამზე და გარინდდებოდა. ფოთლებში ჩამოღვრილი მთვარის შუქი მოშვებულ წვერზე აიაზმასავით ეპკურებოდა. ასე ბურანში მყოფს ხშირად დათენებია თავზე.

გავიდა დრო.

ილიას თმა და წვერი შეეევერცხლა.

ბეჭებში მოიხარა.

ერთხელ, როგორც ჰაერი ხაროში ჩაგდებულს, ილიას მოესურვა მზევინარის ნივთების ნახვა. მზევინარის დაკრძალვის შემდეგ ის პირველად უნდა შეხებოდა მათ და ამიტომ გული უცნაურად ეკუმშებოდა.

ილია კარგახანს წრიალებდა უმწეოდ 20 წლის წინად დაკეტილ კარადასთან. ბოლოს გაბედა და კლიტე, რომელიც ჯვარის მაგიერ ეკიდა კისერზე, მთრთოლვარე ხელით გადაატრიალა. კარის ჭრიალზე სისხლი გაეყინა და თვალებში ციცინათელები აუთამაშდა, მაგრამ მალე ძლია სისუსტეს.

კარადიდან მოწიწებით გადმოალაგა ნივთები და თითოეულ მათგანს სასოებით დაუწყო ლოლიავი.

ნივთებს ძველი სურნელება შერჩენოდათ და ილიას ყნოსვა გაუმახვილდა. მან კვლავ იგემა მზევინარის თმის სურნელება, იგრძნო მისი ტანის სიახლოვე და მთელი წარსული ცხადად წარმოუდგა თვალწინ.

მოგონებებით ტკივილებ განახლებულმა პატარა, ყვითელი ტყავის ჩემოდანიც გახსნა.

უცებ სახეზე ალმური მოედვა.

რატომღაც, უჩვეულო მღელვარებამ მოიცვა მისი გონება, როცა ჩემოდნიდან აბრეშუმის ზონარებით შეკონილი ქაღალდების დასტა ამოიღო.

მან რამდენჯერმე შეატრიალა ის ხელში. მერმე მაგიდას დაეყრდნო და საწოლთან დაკიდებულ მზევინარის სურათს მიაშტერდა. მზევინარს ჩვეულებრივი წყნარი და უზადო გამომეტყველება ქონდა, თვალები სინაზით სავსე..

მორცხვ ღიმილს ოდნავ გაეპო მისი ბაგე. სურათი ისეთ მოძრავ იერით იხედებოდა, თითქოს დალაპარაკებას აპირებსო. მან მზევინარის სურათს თვალი მოარიდა და ბარათების კონა ისევ ჩემოდანში ჩადვა. წელმოწყვეტილი ადგა. საპყარივით გაიარ-გამოიარა. მაგრამ მალე თანდათან ნაბიჯს უმატა და გესლიან ფიქრებით გახელებულმა ოთახში სირბილი დაიწყო.

გალიაში დამწყვდეულ აფთარივით ის კედლიდან კედელს აწყდებოდა, ხან დასაკლავ ზვარაკივით აზმუილებული თითებს იკვნეტდა.

მის გულში ახლა ისეთი ხანძარი ენთო, რომლიდანაც ოდესღაც მზევინარი იხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარშეცვლილი ილია აივანზე გაიჭრა.

გაზაფხულის მშვიდი და თბილი საღამო იყო.

გადახრილი მზე უხვად აფრქვევდა სხივებს ამწვანებულ სოფელს.

ილიას ეზოში რიგზე გაშენებულ ხეხილს კვირტები დახეთქოდა, ხოლო მიწა სულ დაეფარა ფირუზისფერ ქორფა მოლს.

აყვავებულ ტყემლებს და ატმებს, რომლებიც დიდ ჩიჩილაკებივით იდგენ აქა-იქ, ფუტკრები მხიარულ ბზუილით დახვეოდენ და ჰაერში თაფლის სუნი იდგა.

მახლობელ ბაღებსა და ზვრებში მეზობელი გლეხები მუყაითად ტრიალებდენ.

სადღაც ძაღლი ყეფდა.

ხბო ბღაოდა,

ბავშვი ბავშვს ეძახოდა.

ვიღაცა შეშას ჩეხავდა.

შარაზე ფეხშიშველი და თმა აბურძგვნილი პატარა გოგო წკეპლიტ ბატებს მიდენიდა, თანაც წკრიალა ხმით მღეროდა:

აქეთ ყანა, იქით ყანა
კოხტა ბიჭმა წამიყვანა,
ერთი ისეთი მაკოცა
გუნებაზე მომიყვანა.

ილიამ ერთი შეხედა ახლად შეფოთლილ ტალავარს და კვლავ ოთახში შევარდა, ჩემოდნიდან ბარათები ამოიღო, ზონარი შემოაგლიჯა და მოუთმენლად გაშალა პირველი მათგანი.

ელვის სისწრაფით გადაიკითხა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე.

ილია კანკალმა აიტანა. სახე მოეღრიცა. წვერი თავის ბულულად ექცა, ყბები ჩაენგრა. თვალები უფსკრულებში ჩაუცვინდა. შუბლზე სიმწრის ოფლმა მარცვლებად გამოჟონა და ტუჩები ვაშლის ჩირივით გაუხდა. ბუნდოვანად წარმოუდგა წარსული: ხანძარი, ჯვარისწერა, უცხოეთში გამგზავრება, სტამბოლი, ზანდუკში ჩასვენებისას მზევინარის ლოგინში ნაპოვნი ცარიელი შუშა, რომელსაც მაშინ ყურადღება არ მიაქცია და მიხვდა მის უეცარ სიკვდილის მიზეზს, მან კიდევ ერთხელ გადაიკითხა უცხო ვაჟისაგან სულ ბოლოს მონაწერი წერილი, საიდანაც გაიგო:

რომ მზევინარს სხვა ყვარებოდა.

რომ ჯვრისწერის წინა ღამე მზევინარს სხვის სარეცელზე გაეთია.

რომ შემდეგაც სხვას ეკუთვნოდა თურმე მისი გული.

ილიას თვალთ დაუბნელდა.

გაშრა კაცი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

ორი ლექსი

მდინარის გადაგდება

რიონის პირას, ფეხადგმულ ოდას
ჩაეთვლიმა და ვიწრო ეზოდან
ორი მეურმე გადმოდიოდა
და მყუდროების სუნთქვა ისმოდა.
მეტიჩრებივით ალვები თეთრი
ავარდნილიყვენ ბუჩქებზე მაღლა
და აფრენილი მთვარიდან მტრედი
ფრთებით ვარცხნიდა რიონის ტალღას.
ტანაწეული და ტანმორჩილი
იხაზებოდენ მგზავრნი მთვარეზე.
ეგდო რიონი მუხლებ მოჭრილი
და თქმულებანი თქვეს მდინარეზე.
შემდეგ მოხუცმა ტანმორჩილს
უთხრა:
„მივდივართ, მაგრამ წყალის ნაყვაა“.
გახედა მთვარეს, გადააფურთხა
და ნელ ნაბიჯით მდინარეს გაჰყვა.
დაბალმა ჰკადრა: — რიონი თურმე
მართლა დასტოვებს ადგილზე წრიალს.
ფოთში უხმობენ მრავალ მეურმეს
და დიდ მდინარეს შორს გადისვრიან.
მაღალი მგზავრი სუნთქავდა ღამეს,
ისმენდა ხმას და ყლაპავდა სიოს.
— კაცო, ნუ მეტყვი მეენცარ რამეს;
რაო და როგორ დასძრავენ რიონს.
— როგორ და რიონს ნაბადას იქით
გასწევენ. გვერდზე დარჩება ფოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილს შეიცვლის მდინარის ფიქრი,
მოკოპიტდება სხვა კალაპოტი.
მაგრამ მაღალი აღივსო იჭვით —
წელში გასწორდა მოხუცი მუხა.
ვერ დაიჯერა შეგირდის ნიჭი
და გლეხურ სიბრძნით გაეპასუხა:
— ვიცი მდინარე იცვლის კალაპოტს,
ზამბახს მოისხამს თვით მაგნოლია.
საუკუნენი უნდა მალამოთ
ამგვარ შეცვლასო გამიგონია.
მდინარე რიონს
ვინ დასძრავს ბაბა.
ტყვილა შრომაა. გამძლე აქვს ბუდე.
რაც არ უქნია მამას და პაპას
განმიმარტე და დამისაბუთე.
— უკვე დაუწყეს კალაპოტს გახსნა,
გათხარეს მიწის ვრცელი განივი.
ჯაფაში ნახარჯ დღეების ფასად
მოყავთ მდინარე დილიჟანივით.
მაგრამ ჯიუტი ურწმუნო ლახვარს
აწვდიდა მგზავრს და აღარ დაინდო:
ჯერ აუხსნელი თქვენი განზრახვა,
ვერ შესრულდება ხალხის მკლავითო. —
შეყვნენ კამათს და მოხუცის ჭკუა
ფეხს არ იცვლიდა. თრთოდენ თითებიც
და ტანმორჩილი გასროლილ უარს
ვეღარ არღვევდა მაგალითებით.
მაშინ დაბალი შესდგა და უთხრა:
კობამ ხომ იცის ჭაობის ბაგა,
იცის და ამბობს ხალხის საკუთრად
გადაისვრისო მდინარეს სხვაგან.
კობა ამბობსო?! ურწმუნო თომა
შეჩერდა, თითქო ალმასი ნახა.
მაშ ვარგებულა და ხალხის შრომა
შეასრულებსო — წამოიძახა. —
რიონიც ამგვარ შეჯნების მერე
იბრუნებს მხარს და გაარღვევს საკანს.
ყამირიც დაჰყრის დაბლობში ფერებს
და სულს ჩაუდგამს
გარდაცვლილ საგანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვის მთურგვნელო სულო ძლიერო
ბინდში ეწვევი დაფნების ბანაკს.
ბუნებაც კაცთა საბედნიეროდ
ემორჩილება უბრძნეს ამხანაგს.
ბელადი ბინდშიც ალიონს ხედავს
პალიასტომშიც განსჭვრიტავს ფაცერს.
კობას ნაფიქრი ჩვენს ნამოქმედარს
ფესვივით კვებავს და ავაჟკაცებს.
ამბობს მოხუცი წრფელი გუნებით.
და მყუდროს სძინავს ღამესა შიგან.
ცაზე მთრთოლავი თეთრი ფურები
აკამკამებენ რიონის იგავს.
ჭალადიდიდან გადადის მთვარე,
შემდეგ ფოთის და ზღვის ჭიშკარია.
და ორი მგზავრი, ერთი მდინარე
ბრძოლის ველისკენ მიიჩქარიან.

გაზაფხულის თოვლი

მოულოდნელად მოვიდა თოვლი,
როგორც ჭაბუკის ლოყებზე ფიფქი
პოეტის რვეულს მწვანედ დაფოთლილს
გადააფრქვია სუსხი და ფიქრი.
დადგა ქუჩაში სევდა ტალახის,
იანვრის ხავსი ეწვია ოთახს.
სარკმელს განშორდა თეთრი ქალაქი,
სახლში შაირი ქარივით შფოთავს.
მას სურდა გასვლა საგაზაფხულოდ:
ხვნაში, თესვაში რგებოდა წილი.
ეხლა მცივანა საბანს იხურავს,
კანკალებს როგორც ქუჩის ყმაწვილი.
მაგრამ საჩქაროდ ცეცხლი დავანთე,
ღუმელს მოუსხდა მცივანა ბწკარი.
გრძნობების ერჟოლვა შეშას გავანდე
და აუდუღე ჩაისთვის წყალი.
დაცხა. მუხლებში ჩაუდგა სითბო
და გაიზმორა სიამით სამჯერ.
შევხედე, ვნახე მცივანა ვითომ,
ლადრის კურცხალზე ლესავდა კლანჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი დღის შემდეგ ფიქრები გალღვა
მზე და ღუმილი შეხვდენ ურთიერთს
წამოფრთხიალდა შაირის ღალღა
და გადაშორდა ოთახს წუთიერს.
მისი სურნელი ილტვოდა ბარად
ფრთა ფრთას შემოკრა ფრინველმა სამჯერ.
მეც დავედევნე გაფრენილ ბარათს
და სუსხის ფესვი ჩემს სულში ავჭერ.

1935. გაზაფხული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

სტელლა

რომანი*

თინამ ჩაი საჩქაროდ დალია.

ნააბაზანევზე რომ არ გაციებულიყო, ჯემპერი ჩაიცვა და:

— მშვიდობით-მშვიდობით-მშვიდობით!.. — დაუქნია გრეტას მარჯვენა ხელის კაპიწი ნიავისაგან დარხეული ვერხვის ფოთოლივით. ბავშვმა გამორკვევაც ვერ მოასწრო, რომ თინამ ბინის კარები გაიხურა და მხიარული ლილინით კიბეები ცეკვით ჩაირბინა.

შოფერის გვერდით რომ მოხერხებულად მოეწყო:

— ვერაზე! — სთქვა და კაბინის კარი მაგრა შეირახუნა.

ავტო რომ ნელი ქაქანით გასრიალდა, ქალს ნიავი სახეში ვაჟკაცის სუნთქვასავით შეელამუნა და ახლად დაფენილ ასფალტზე აბიბინებული ბორბლები ვენტილატორივით წყნარად აფაჩუნდა,

მზისაგან ოდნავ შემლღვალ გუდრონზე აკრულ შინების თქრიალში ასხლეტილი კაუჩუკის წკაპუნი საამოდ გაისმოდა და გულს ტკაცუნით ახალიბესდა.

ყური მიუგდო, — ოთხტაქტიანი მოტორი მისი ოცდაოთხი წლის გულივით შეუფერხებლად ფანცქალობდა და უნაშთენოდ დამწვარ რევნარის აირებს ოდნავ გასაგონი ფათურით ისროდა დიფერთან მოთავსებულ მაყრუადან.

ჰაერი მოყნოსა, — წვა სრული იყო და უსუნო.

მიაყურა, — მუშაობა ზუსტი და შეუკრთომელი.

სვლაც ნანაური და მოქნილი.

შესანიშნავად, შემოგარებული ჰაერს გატყორცნილი სარივათ ჰკვეთდა და გასხეულებული სივრცე სახეში ნიავად ხვდებოდა.

ეს მანქანა საბჭოეთის პირმშო იყო და ახლა, ქუჩაში ლალად გაშვებული, მიჰქროდა სტადიონზე გაქცეულ კომკავშირელივით.

---

* იხ. 1935 წლის „მნათობი", № 3

ექვსცილინდრიანი მოტორი მოჭარბებულ ძალას ზუსტად და დაუზოგავად ხარჯავდა, რადგან ამ საბჭოეთის ცის ქვეშ წყარო: ხილოვანისა უშრეტია და უხვად ბოძებული. მხოლოდ სისწრაფის კოლოფით გადაცემულ სიჩქარეთა სხვაობა აკრთობდა მას ხანდახან და საჭეზე დაყრდნობილ შოფერის დაკაპიწებულ ხელზე მოსჩანდა ნემსებით ამოჩხვლეტილი ინდიგოსფერი ნიშანი. ეს ნიშანი გულს გამოხატავდა და გული იგი განგმირული იყო კუპიდოს ისრით. ჭრილობიდან შეყვარებულის სისხლი გადმოდიოდა და სისხლი იგი წვეთ-წვეთად ეცემოდა სიყვარულის ნემსებით დაისრულ „ნინას“.

თინამ იცოდა, რომ ამგვარ „ნაკოლიან“ ბიჭებს „დოსკუმ სვოის“ ეძახდენ და ახლა, ამ დოსკუმ სვოი ბიჭს ირიბულად რომ ახედა, რატომლაც დაასკვნა, რომ მისი ნინა თმაშეკრეჭილი და ქერა უნდა ყოფილიყო. ალბათ, კალათბურთსაც თამაშობს და, რომ კისკისებს, სიცოცხლე და გატაცება წკარუნობს ამ სიცილში.

ნინა, ნინა,
ჩემო ნინა!

ამყვა მოტორის ტაქტს და—უცნაურია! რამდენიც მეტს იმეორებდა ამ სახელს, იმდენი ნინას წარმოდგენილი სახე ხორცს ისხამდა, ცოცხლდებოდა და ეს ცელქი, დაუდეგარი ნინა იქ კი არ იყო, სადღაც სხვაგან,—აქ იყო, მათ გვერდით, და მათთან ერთად რომ იჯდა ავტომობილში... ფუი ეშმაკს!.. ეს ხომ ის არის?.. ნინა!.. ეს ხომ?.. თითქოს გაახსენდა, მაგრამ უეცრად მანქანამ საყვირის ბღუილით მოიქნია იგი და წონასწორობა დაკარგული ქალი შოფერის ლონიერ მკლავს გამეტებით დააჯახა.

თინამ გამორკვევაც ვერ მოასწრო, რომ მუხრუჭის წაჭერილი ქანჩი საკისურებში საცოდავად აწკმუტუნდა და აღებულ გეზიდან გვერდით გაქნეულმა თავგზააბნეულ დედაბერს მხუილით ჩაუქროლა.

გულგახეთქილ დედაბერს შიშით ხელში ნავთის ბიდონი გაუვარდა, აიტაცა და, თვალწინ ჩაქროლებულ მანქანას რომ მტრულად გახედა, შიგ მჯდომ შავტრუხა გოგონას მოჰკრა თვალი.

გოგონამ ჯერ შემკრთალი თვალები შეაფეთა მოხუცს და საღად რომ დაინახა, თავდამავიწყებელი ღიმილი სახეში შეანათა. ბერიქალს ტკბილად შემოევლო ეს სიცოცხლით სავსე ღიმილი და მასაც უნებურად გაეღიმა...

ეს გოგონა მას ოჯახურ ზრუნვებში შეუმჩნევლად გაპარულ ახალგაზრდობასავით უცინოდა და გაანჩხლებულ მუქარისათვის მოღერებული ბიდონი სიხარულით დაუქნია.

თინას მის დანახვაზე თავისი გამზრდელი ბებია გაახსენდა. უნდოდა ამ მოსიყვარულე ღიმილისათვის, ნიშნად მადლიერებისა, რაიმე გადაეგდო სახსოვრად, თუნდაც ყვავილი, ანდა სულ უბრალო რამ, მაგრამ თან რომ არაფერი ჰქონდა ისეთი, ვიწრო სავარძელში, რამდენადაც მოეხერხებოდა მობრუნდა და ხელი ალერსით დაუქნია.

რომ გაიმართა, ისევ შოფერის საჭეზე დადებულ კაპიწს დახედა უნებურად და თვალში ისევ ეს აბეზარი, ყოვლად მოუსვენარი და ეტიჩარა ნინა შემოეფეთა. ეს ნინა, თითქოს სიმტკიცესა და რწმენას ანიჭებდა ვაჟკაცს. თითქოს ეს ხელი ასე დაჰყვა მის პატრონს დედის მუცლიდან და უეცრად ისე მკაფიოდ და ხელსახებად გაახსენდა ყოველივე, რომ კინაღამ ხმამაღლა ამოხდა:

— ეს ხომ ჩვენი ნინაა!.. ერთი იმ კუდიანს დამიხედეთ და!

ნინა ხარატთა ამქრის ოსტატი იყო.

ტექნიკის დაუფლების წრის აქტიური წევრი და კულისების მჩარხავ კომკავშირელთა ბრიგადირი.

ქობულეთში წასვლის წინ ჭორს მოჰკრა ყური, თითქოს ნინას ვილაც შოფერი მოსწონდა, მაგრამ მაშინ არად ჩაუგდია. ხალხი რას არ იტყვის! მის ენის საბრუნავს რომ ავყვეთ, სად წაგვიყვანს! ესეც რომ არ იყოს, აბა რა იმის საქმე იყო, ვინ მოსწონდა ნინას? და აი, — ესეც შენი ჭორი!

ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ეს ნინა სწორედ ისეთი იყო, წელან რომ ისე ალა-ალად წარმოიდგინა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის ნინა რატომღაც კალათბურთს თამაშობდა და ეს კი, — ნამდვილი, — ტენისს. ალბათ მეხსიერებაში ჩარჩენილი და მივიწყებული სახელის გამო თუ აღიძვრა ეს კუდიანი და ახლა, ნამდვილობაში გადმოსულმა, ხორციც ნამდვილი შეისხა!

და აი ახლა სამივე ერთად მიჰქრიან და უხარიათ, რომ ეს ცხოვრებაც ამ გაქნეული ავტოსავით მიექანება, მიექანება, და თუ შენც მთელი შენი სხეულით, სულით, შეგნებითა და გატაცებით ამ გაქანების შესაფერი ინერცია არ განავითარე, ფეხდაფეხ არ მიჰყევ მას, დაიღუპები... საკმარისია ერთის წამით, ერთის წუთით შეაჩერო საკუთარი ინერცია (არ შეიძლება, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი ახერხებს), რომ რაიმეს მიგანარცხოს, ამოვარდე ადგილიდან და ან დაიღუპო, ან უშნოდ აგითრიოს ცხოვრებამ. ადამიანი ხომ ნივთი არ არის? არც ცხოვრებაა მანქანა. მაშ რაღაა ჩამორჩენილი კაცის ცხოვრება? ჰამლეტიზმი, წუწუნი, უკმაყოფილება, მიზეზიანობა, ინტრიგები და მერე... მერე გახვრეტილ ფარად არ ღირს ზედმეტი ხორცმეტი ადამიანის სიცოცხლე.

— უწინ ასე როდი იყო... — სთქვა მან ხმამაღლა და თავისივე ხმამ თვითონვე შეაკრთო.

— რა ამხანაგო? — შეეკითხა შოფერი.

— არაფერი, ამხანაგო, არაფერი!.. ისე... ჩემთვის ვფიქრობდი... — მიუგო თინამ დამნაშავის ღიმილით.

შოფერმა ხმა არ გასცა და მანქანის ქვეშ რულონივით გაშლილად შემოცურებულ შაქრის ქალალდის ფერ ასფალტს გახედა.

უწინ ეს ცხოვრება მიტაატობდა ნაორდალ გზებზე მამა-პაპური ურემივით. ზოზინა კამეჩები ეწეოდენ მას ღამეებში ატირებული ურმულივით.

რჩეულები ვერ ითმენდენ ამ ტაატს და ფანტასტიურად ბერანებით გაქანებულნი სწყევლიდენ სატანიური მონოლოგებით მაშინდელს, ცხოვრებას კი არა — წუმპეს. მეტაფიზიკაში გადავარდნილი მანფრედის დემონიური სული ბორგავდა აბსტრაქციებში აწრიალებული.

სხვანაირად არც შეეძლოთ, რადგან არც ის ურემი ვარგოდა სამერანოდ და არც მერანი საურმედ.

— რა არის მერე მეტაფიზიკა? — შეეკითხა თავისსავე თავს პსევდოკლასიკურ ტრაგედიიდან ამოღებული მონოლოგის სტილით და დასმულ საკითხს თვითონვე გასცა პასუხი: — მოწყენილობა, სიმარტოვე და უთვისტომობა. ერთად-ერთი მეგობარი იქ ცაა, უბსკრულები, სივრცეებად დალაგებული ბუტაფორია და სტიქიური მოვლენები. არც სიყვარულია, არც თანაგრძნობა. ერთად-ერთი მეგობარი ადამიანისა ობლობაა და სიძულვილი ტიტანური. ამიტომ უყვარდათ ასე ბარათაშვილებს, ბაირონებს, ლერმონტოვებსა და მიცკევიჩებს ბუნების განყენებული აღწერილობანი.

ცხოვრება უკან იყო დარჩენილი და რჩეულთა გაფრენილ სულს სევდა იპყრობდა. ეს სევდა ამაღლებდა ადამიანს და ახალ იდეალებს უსახავდა.

მერე განა ახლა არ არიან განმარტოებული ადამიანები? არ არის სევდა?

არის, ამხანაგო, უეჭველად არის, მაგრამ ეს სევდა ახლა არ არის პროგრესიული. ეს სევდა ახლა ჩამორჩენილი ობივატელის წუწუნია. ახლა, პირიქით, ცხოვრება და იდეალი უშუალო კონტაქტში არიან ურთიერთისადმი, სინამდვილემ წინ გაუსწრო ობივატელებს და ისინი, ისტორიზმში, რუტინაში რომ სხედან, მოსთქვამენ ცხოვრების ამაოებას.

თინას ზიზღის ღიმილმა გადაურბინა მათ გახსენებაზე.

— რეზო? რეზოც ხომ ასე არ არის? მაშ რად არის მის თვალებში ის ვულგარული სევდიანი გზნება? — გაუელვა, მაგრამ მოსახვევში მოქნეულმა მანქანამ გამოარკვია ფიქრთაგან. მერე, სვლაში ისევ რომ გაიმართა, გაფრინდა განივრად გაშლილ ქუჩაში და, რომ მიჰქრიან, სადღაც შორს დედაბერი ბიდონს უქნევს გულდაწყვეტილი და ეთხოვება, მათ კი არა, — თავის ქალიშვილობას.

ნინას უხარია, უუ, თქვენ არ იცით, როგორ უხარია ეს ქროლვა! ეს სიხარული სიხარულია შთანთქმული სივრცეებისა და მეტი აღარ შეუძლია, — კვდება სიცილით, კისკისებს უდარდელად და...

— უუჰ, შენი გულისა! რა კარგია, რა მათრობელი ეს ოხერტიალი სიცოცხლე!

თინაც იცინის ამ სიხარულზე და ის, ლაკირონის რადიატორზე დაცემული მზის შხეფი თვალებს რომ ათინათით სჭრის, — მზე კი არ არის, არც მისი არილია, ეს სიცოცხლეა, ყელამდე მობჯენილი ასპროცენტიანი სიცოცხლე... არა, ეს მარტო სიცოცხლე როდია, ეს, — ნინას უდარდელობა სიცილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახვევში ავტომ ვიღაც ახალგაზრდებს მიაყვირა.

ყმაწვილები შეკრთენ, მოიხედეს და, მანქანამ რომ თვალწინ ჩაუქროლა, თინას მოჰკრეს თვალი.

— უუჰ, რა გოგოა! — ამოხდათ მათ და უკან დარჩენ.

თინამ მკაფიოდ გაიგონა ეს სიტყვები. კმაყოფილებით, რომ არ იცოდა რა ექნა, — თმები გაისწორა და იქ, შიგნით, პატარა ნაპერწკალი აენთო. ეს ნაპერწკალი გაღვივდა, გაღვივდა და ტანს თბილ ჟრუანტელად შემოებურა.

უნდოდა რამენაირად გამოეხატა თავისი აღტაცება და, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა:

— რა კარგი ამინდია, არა? — სთქვა და შოფერს მიუბრუნდა.

შოფერმა შეხედა ცას. მერე უსიტყვოდ მარჯვენა ხელი საჭეს რომ მოაშორა, შუა თითი ცერზე დარდიმანდული დასხლეტით აატკაცუნა და მით უთხრა ყველაფერი.

ამინდი მართლაც რომ მშვენიერი იყო, გოგოც, შოფერიც. თინამ ეშმაკური ღიმილით ირიბულად ახედა ყმაწვილს, რომელსაც კოვბოურ ხალათის საკინძე ოდნავ მოეღეღა, კეფა ამერიკულად, ბოქსის ყაიდაზე, ქონდა მაღლად შეკრეჭილი. ამოპარსულ ღონიერ კისერზე მოღერებული თავი დარდიმანდულად ედგა და გულში შურვილის მაგვარმა გრძნობამ ციცასავით გაბწკალა.

— ყველას ჰყავს ვინმე!.. ყველას!..

— მერე დაასკვნა:

— ალბათ ამ გრძნობასაც უნარი უნდა... — და, თითქოს ამ ნიჭიერების შესამოწმებლად, მაღალ და განიერ თეძოებიდან ოდნავ ჩარკალულ კალთაზე რომ დაიხედა, ეს კალთა სავსე იყო ახალგაზდრობით, სისავსით და თვალს ჯემპერში ამობურცული ჯერ მოუტეხავი ნედლი მკერდი რომ მოხვდა... არაფერი!.. გაეღიმა მხოლოდ ცოდვილიანივით და მანქანაში იმედიანად მოწყობილმა ლორთქო სხეულმა აღებული სიჩქარის შესაბამი ინერცია რომ განავითარა, უეცრად შედრკა.

შოფერი შუქოფორმა შეაჩერა და გზის გახსნას უცდიდა.

თინამ გახედა ქუჩას.

ფიქრებით გარეტიანებულმა უეცრად ვერ გაისაზრა, სად იყო, მაგრამ მალე გამოფხიზლდა და მიხვდა, — ზემელის ჯვარედინთან იდგენ.

აფთიაქის წინ ტრამვაის მოლოდინში შუადღის მზვარეზე გაჩერებულმა ჩარლსთონიანმა ყმაწვილმა მდუღარესავით აავლეს ლირწი თვალები მაგრამ თინამ მტრულად შეუბღვირა მათ და მანქანაც დაიძრა.

ამ ყმაწვილებმა რატომღაც რეზო გაახსენეს და, ავტომ ლენინის ქუჩისაკენ რომ შეუხვია:

— დავბრუნდეთ!.. დაიძახა ისე, თითქოს ვიღაც მოსდევსო, ან რაღაც საშინელი გაახსენდაო. გულგახეთქილმა აცეცებული თვალებით აქეთ-იქით

მიიხედ-მოიხედა და, საჭეს რომ ეცა, მანქანა დაირყა, არეული სვლის გამო ასფალტზე რვიანები დახატა.

შოფერი გაოცდა მის საქციელზე. განრისხებული თვალები სახეში შეანათა და, საჭე რომ ხელიდან გამოგლიჯა, მანქანა ისევ გაიმართა.

ბიჭებმა შოფერს სიცილი დააყარეს, მაგრამ თინას ყურადღება არ მიუქცევია მათთვის.

— ქარხანაში! — დაიძახა მან, თითქოს მათ საპასუხოდ და გაგულისებულმა შოფერმა ავტო დინჯად შემოაბრუნა.

რეზო აქ ცხოვრობდა სადღაც.

რას იფიქრებდა, რომ დაენახა?

მას თვალები ვულგარული სევდით აქვს დაბინდული და ამ თვალებში არის... — აზრი გაუწყდა. ყმაწვილებს რომ გახედა, ისევ რეზო გაახსენდა... და თვალებში, რეზოს თვალებში, იყო, იყო და არის უცნაურად მიმზიდველი გზნება...

ახლა ეს გზნება მას აღარ ანთებს, აღარ იზიდავს და ისე, თითქოს მძიმე ლოდი მოიშორაო, ლაღად ამოისუნთქა.

არის ხოლმე მომენტი, როცა ადამიანი გულში ამოიღებს რასმე, გადასწყვეტს მტკიცედ და მერე აღარ ეინტერესება იგი. თინაც ასე იყო ახლა. რეზოს სახე გულიდან ამოიგლიჯა და შეგნებისაგან, რომ ის ამიერიდან თავისუფალია და შეუზღუდველი, გულს მოეფინა.

მაღლობიდან ხელის გულივით მოსჩანდა მტკვრის გაღმა გორაკებზე შეფენილი, ძველად ნაძალადევი და ახლა ლენინის რაიონი.

მუშათა სახლები ბელურებივით გადმომსხდარიყვნენ მთის კალთებზე და თინას გულმა ისევ იმ ნაჩვევ ადგილებისაკენ გასწია.

ქუჩები:

ფარკოფელის,

ბრიგადირთა,

აუზის,

მაგისტრალის...

ის ამ უბანში დაიბადა, ამ ქუჩებში აღიზარდა და ამ გორაკებმა ატარეს კალთით მისი ბავშობა.

აი კ. მარჯანიშვილის თეატრსაც გასცდენ.

ის აქ, კოტეს დროს, სამხატვრო საბჭოს წევრად იყო გამოგზავნილი ქარხნის კომკავშირის სახელით.

მუშტაიდთან ავტო გაუშვა და ფეხით წავიდა.

ბაღს შუაში ფართო ქუჩა სჭრის და ისიც ამ ქუჩას გაჰყვა.

ირგვლივ სიყუჩე იყო და ამ მყუდროებას ლიანდაგის მოსახვევში ტრამვაის ბორბლების ყურის წამღებად გაბმული ღმუილი არღვევდა.

ხანდახან ორთქლმავალის კვილი ან ავტოს პიპინი თუ მოისმოდა.

ეს მზე, ეს ბაღი, ეს ცისფერი პავილიონები, ტრამვაი და ორთქლმავალი, ეს ქუჩა, კიოსკები, ავტოები და გამვლელ-გამომვლელნი თინასია. გულიც, ეს ტიალი გული, ისეა სავსე, რომ ის მზად არის, ეგვიდეს ამ მზესთან, ხალხთან, ტრამვაისთან და ყოველ მათგანს ცალკე, სათითაოდ ჩამოართვას ხელი მაგრად, ამხანაგურად, უთხრას მადლობა, რომ ისინი ასე შესანიშნავი არიან, კარგი და ძვირფასნი, რადგან ისინიც იმასავით გაუმაძღრად შეჰხარიან, შეჰფრფინვიან ამ გულღრმა ჯამით სახვრეპად მორთმეულ სიცოცხლეს... უთხრას მადლობა ყველაფრისათვის, იმისთვისაც, რომ ისინი არსებობენ ამ ქვეყანაზე, იმისთვისაც, რომ მას ასე ძლიერ უყვარს ისინი, იმისთვისაც... ეშმაკმა იცის კიდევ რისთვის!

ეს შემოდგომის ტკბილი დღეც სავსეა ყურძნის, ლეღვებისა და კომშის მაბრუებელი სუნით.

ეს მუშათა სახლებიც, ამ სახლებში მისი ქარხნის მუშები ცხოვრობენ.

მოსახვევში მწკრივში ჩამდგარი საბავშო ბაღის ოქტომბრელები შემოხვდენ. მასავით ახალგაზრდა ხელმძღვანელს ისინი ორჯონიკიძის ბაღში მიჰყავდა სასეირნოდ.

თინა ამ ბავშებს ყველას ცალ-ცალკე იცნობდა, იცოდა, ვინ ვისი შვილი იყო, რა ახარებდა და რა ესაჭიროებოდა.

კომკავშირის უჯრედის დავალებით ის ხშირად დადიოდა მათთან, თვალყურს ადევნებდა მათ აღზრდას, თამაშობას და კვებას.

პატარებმა დეიდა თინა რომ იცნეს, ირგვლივ ჟრიამულით შემოეხვივნენ, ერთი მეორეს არ აცლიდენ, ჟღიოდენ ჩიტებივით და უამბობდენ ათასნაირ საშინელსა და გასაოცარ თავგადასავალს, ზოგს სიზმარში ნახულსა და ზოგს გამოგონილს, ან და სინამდვილის საფუძველზე შეთხზულს.

გრეტაც აქ იყო, მაგრამ თინამ იგი განზრახ არ გამოარჩია სხვა ბავშებში, რომ მით შური, ან ეჭვიანობა არ აღეძრა მის მეგობართა ნამცეც გულებში. და ისინი ჟღურტულით, ფართო თვალებით რომ ელამუნებიან, თინას ყოველ მათგანისათვის მზად აქვს ტკბილი სიტყვა, ზრუნვა და ალერსი.

— ნოდარ, ეს რა არის, ხელი რატომ არ დაგიბანია?

— შენ, ჩემო მწყერჩიტავ, როგორა ხარ, ა? კიდევ გახველებს? — შეეკითხა იგი პატარა თამრიკოს, რომელიც ამ ორი თვის წინად ფილტვების ანთებით იყო ავად და პატარა ცემში სააგარაკოდ გაგზავნილს უკვე კარგად მოეხედნა, ლოყები ისევ აჭღუებოდა.

— დეიდა თინა, ჩვენთან წამო, ლა! — ეხვეწებოდა თამრიკო მკლავზე დაკიდებული, — მაგრამ თინას არ ეცალა ახლა მათთვის.

—დღეს არ მცალია, გენაცვალე, ხვალ უეჭველად მოვალ.

ბავშებს ეწყინათ, რომ თინას მათი სათამაშოების ნახვა არ უნდოდა.

მათთვის გაუგებარი იყო, რად არის რომ დიდებს არასოდეს არ სცალიათ.

თამრიკოს გაახსენდა: თამაშობის დროს დედა რომ დაუძახებს ხოლმე, არც მას სცალია. ალბათ, დედებიც ასე თამაშობენ, ბავშვობის და იმდენად ცუდი არიან, რომ არ უნდათ მათთან ითამაშონ.

ბავშვებთან ტიტინით გული რომ იჯერა, გამოეთხოვა და გზა განაგრძო.

რკინისგზის ძველ აბანოს ჩაუარა.

კიბეებს აჰყვა და, ლიანდაგებზე ხორთუმივით გადაწვდილ ხიდზე რომ შედგა, — ყური მიუგდო... არა გარემოს, არც იმას, ქარხანაში დგრიალით დაცემული მექანიკური ურო სმენას რომ აყრუებდა, არც პნევმატიურ ჩაქუჩების ტყვიამფრქვევისებურ კაკანსა დი ბოვების გუგუნს, არა, — ეს მისი ოცდაოთხი წლის გულის ცემა აყრუებდა ამ ხმაურს გარეგანს.

დღევანდელი დღე ჯერ ისევ თინასი იყო.

ამ ერთი თვის წინად რომ ეთქვათ მისთვის, რომ ის ფტილისში ჩამოსვლისთანავე პირდაპირ ქარხანაში არ გაიქცეოდა, ქვით გაუტეხდა ვინმეს თავს.

ახლა — კი? შუადღე თავს წამოადგა და ის ჯერ კიდევ უსაქმურად ხეტიალობს ქუჩა-ქუჩა.

რა უყოთ, რომ შვებულებას ყავლი ხვალ გაუდის?

უეცრად ორთქლმავლის გრიალმა შეაკრთო.

ქალაქში ოჩემჩირეს მატარებელი შემოდიოდა.

ასაქცევ ისრის ტარზე ფეხდაბჯენილი მეისრე მატარებელს გზას აძლევდა და ჭრელად ჩაქროლებულ სამგზავრო ვაგონებით მოქნეული ნიავი მის თეთრ წვერსა და ბაირაღს ერთად აფრიალებდა.

უკანასკნელმა ვაგონმა რომ ჩაიარა და რკინისგზელმა ფეხი ტარიდან ძირს ჩამოიღო, თინამ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ის ტანმორჩილი იყო.

ალბად, ქვეყნის გაჩენიდან თუ დგას ეს მეისრე აქ თავისი თეთრად აფრიალებული წვერით და ქალაქში შემოსულ მატარებლებს იღებს.

ალბათ, წუხელაც იმან გაუხსნა გზა თინას მატარებელს, მაგრამ მას არ შეუნიშნავს, რადგან ღამე იყო და, ამას გარდა, რეზო რაღაც ძალზე საინტერესო ამბებს მოუთხრობდა ციტრუსოვან მცენარეებზე და კოლხიდის პრობლემაზე, იმდენად საინტერესოს, რომ ეწყინა კიდეც სადგურში ასე ადრე შემოსვლა.

მერე ფუსფუსი, დამხდურნი, მებარგენი.

ავტოკარები ხარაბუზებივით დაძვრებოდენ ხალხში ბარგით დატვირთულნი და იყო ყიჟინა სულწასულ მგზავრთა:

— Носильщик!.. Носильщик!..

— მებარგე!.. მებარგე!..

ფანჯარაში რომ გაიხედა, პერონზე დასახვედრად მოსული შულცი დინახა და, მადლობის მაგიერ, სახეზე უსიამოვნების ჩრდილმა გაურბინა.

ეს მისი გერმანულნარევი ქართულიც რაღაც განსაკუთრებით აბრაზებდა მას, ყურებსა სჩხვლეტდა და ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლებ ელაპარაკა ამ მართლაც ზერგუთასთან.

ვაგონში ისეთი მყუდროება იყო და სინათლე, წითელი ხის კუპეები და სარკეები, რომ მთელი დღის განმავლობაში შიგ ცხოვრებით შეჩვეულს დაენანა კიდეც მისი დატოვება.

შულცმა შემოსვლისთანავე შენიშნა თინას ეს უხასიათობა. კომფორტაბელურ კუპეში სკვარამი თვალებით მიიხედ-მოიხედა, მზისგან ბრინჯაოსფრად დამწვარ მეგობარს ახედა და მის თვალებში ცოდვილიანი გზნება რომ დაიჭირა, რეზოს მტრული ეჭვიანობით გადახედა.

თინა მიხვდა, რომ შულცს არაფრად ეპრიანა მისი ნაცნობი და მას არც ეს მოეწონა, მაგრამ როცა შულცმა მის ბარგს ხელი დასტაცა და ლინოლეუმით დაფენილ რბილ იატაკიდან დერეფანში ძირს ჩასატანად გაიქანა, თინამ რეზოსთან ვამომშვიდობებაც ვერ მოასწრო ხეირიანად, ისე გაჰყვა შულცს.

ტაქსომოტორში რომ ჩასხდენ, პირველი კითხვა ქარხანა იყო, მაგრამ შულცი უხერხულად აიმრიზა და, პასუხი რომ აეცილებინა, მაფრაშაზე დაცურებულ ჩემოდანს განსაკუთრებული გულდა-გულობით დაუწყო სწორება. რომ გაასწორა, რაღაც წაიბურტყუნა თავისთვის, მაგრამ თინა იმდენად იყო სავსე მთელი დღის შთაბეჭდილებებითა და ჩამოსვლის სიხარულით, რომ არ გაუგია, არც დაინტერესებულა, რა წაიბუტბუტა შუცბუნდელმა.

დღეს ასკურავამაც ბანზე აუგდო სიტყვა. რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— ხომ არ გადამაყენეს? — მაგრამ იმდენად უსაფუძვლოდ მოეჩვენა ეს ეჭვი, რომ ფიქრს თავი გაანება.

ამ დილით თამაშობაში გრეტამ სთქვა:

— მამამ, უუჰ!.. ისევ დალია...

თინას გული ეტკინა გრეტას ამ სიტყვებზე.

ბავშს ჯერ ენაც არ აედგა ხეირიანად და დალევაზე ლაპარაკობდა.

— შულცმა დალია!

თინამ კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვა ყოფილ მატროსისათვის.

სმას რომ დაიწყებდა, მერე სამი-ოთხი დღით იწყებოდა ქაოსი, ბურანი და თავდავიწყება.

რად დალია მერე? რა შეემთხვა ისეთი? თუ შეემთხვა რამე, ვის ანაბარად იყო მერე საამქრო ამ ხნის განმავლობაში მიტოვებული?

— ამიტომ არ მინდოდა წასვლა, ამიტომ და არ დამიჯერეს! — ამოხ ד მოუთმენლად და გაგულისებულმა მუშტი ხიდის მოაჯირს დაჰკრა. ა

ქარხნიდან ისევ ისმოდა გუგუნი ბოვებისა.

მექანიკური ურიები ზარბაზნებივით გრიალებდენ, ელექტრო-მადუღები რკინის რიკულებიან ფართო ფანჯრებში ელავდენ ისისფრად. ტრანსმი-

სიები ღარში გაშვებულ წყალივით ატლაშუნებდენ უთვალავ ლვედებს და პნევმოჩაქუჩების ყურთა სმენის წამლებ რახუნში სამანევრო, ორთქმავალთა სიგნალები ქალის განწირული კივილივით იჭრებოდა.

შუადღის საყვირიც რომ აღმუვდა, თინას უეცრად დააყიწყდა ყოველივე. შეწეული მაგიდის უჯრასავით უცებ გაჰქრა მთელი ამ დილის უთავბოლო ფიქრები.

ეს გუგუნიც სარკმელის მინების ზრიალივით შემოდიოდა მის არსებაში, რადგან ამ საყვირის გუგუნისა და მისი გულის რხევის ამპლიტუდა ერთგვარი იყო.

— ამპლი ტუდა, ამპლი, სუდა!..

— ამპლი, ტუდა, ამპლი, სუდა! — აჰყვა თავის ნაბიჯებს თინაც და ქარხნის კარებს ისე მიადგა, რომ არაფერი გაუგია.

ალაყაფის კარებზე დიქტის უზარმაზარი კბილანა იყო კამარად გადადგმული და სვეტიდან სვეტზე გაკიდებული ლოზუნგი ნაპერწკლებივით ტკაცუნობდა:

გაუმარჯოს მეორე ხუთწლედს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის ახალ კადრებს!

სალამი სოციალისტური მინდვრის ოსტატებს!

ალაყაფი შეაღო თუ არა, მეკარე ღიმილით მიესალმა.

— აა, მომილოცავს ჩამოსვლა!

— მადლობ, შაქროჯან, მადლობ! სხვა, როგორა ხარ? — შეეკითხა იგი და ხელი მხურვალედ ჩამოართვა.

— როგორ ვიქნებით, კარგად! — მიუგო შაქრომ და მერე მოგვიანებით დაუმატა: — ვსუნთქავთ ნელნელა. — და თან გაიღიმა.

— არა, შაქრო, ნელნელა რატომ?.. არ შეიძლება!..—მოუჭრა სიტყვა თინამ. მერე გაიანგარიშა და ისე მიუგო: — ჰო, თუმცა სუნთქვას არა უშავს რა!.. შეიძლება ნელნელაც...—და დიქტისაგან გაკეთებულ პლაკატიდან სივრცეში ამხანაგ ლენინის მოწოდებად გაწვდილ მკლავ ქვეშ რომ გაიარა, ამ დროს ორკესტრმა, თითქოს მის შესახვედრად, სწორედ ის მარში დააგუგუნა, ამ დილით რომ პირველ მაისობის დემონსტრაცია გაახსენა.

თინამ ნაბიჯი უნებურად მუსიკის ტაქტს ააყოლა, კრებას, ფრთხილად, რომ არ შეემჩნიათ, ისე ჩაუარა და გეზი ქარხკომისაკენ აიღო. მერე შედგა, მიტინგს მოხედა და, ტრიბუნაზე კადრების განყოფილების უფროსი ნესტორა ცენტერაძე რომ დაინახა, უნდოდა ისიც შერეოდა, მაგრამ ხარბად მოსუნთქულ ქარხნის სპეციფიურ ჰაერთან ერთად გლეხურ ქალამნების სუნი რომ მოჰკონოსა, შუბლი შეიკრა. შებრუნდა და ახლა რამდენიმე გლეხს მოჰკრა თვალი. ისინი რკინის ნატეხებს ჰკრეფდენ და ჯიბეებში იყრიდენ.

გული მოუკიდა მათ ასეთ საქციელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა ეყვირნა მათთვის, დაეტუქსა, რომ ეს სოციალისტური დოვლათია და ქარხანაში დანაკარგებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ გადაიფიქრა.

— ახლები არიან... ბოლოს თვითონვე მიხვდებიან... მერე ხომ ყველანი ასე არ იქცევიან.

ტენდერების საამქროს წინ ჩაიარა და, ელექტროკრანით ჰაერში ატაცებული რკინის უზარმაზარი აუზი რომ გამოემართა, სახეზე სიხარულის ღიმილმა გადაურბინა.

უეცრად დაავიწყდა დასვენებაში გაცდენილი კაკალი თვე. თითქოს არც არსად ყოფილიყოს, სადღაც გაჰქრა კურორტის დღეები, ზღვა და ნაპირებ-გადალახული სივრცეები. ერთბაშად ჩავარდა კალაპოტში, გაიტაცა საქმიანობის სურვილმა. უნდოდა ვილაცისათვის დაეძახა, რომ ასეთი მუშაობა არაფრის მაქნისია, ბრძანება მიეცა, თვითონაც ჩარეულიყო ამ მუშაობაში და ასე დაეწყო ისევ დღეები დაზიდული ჯაფით, სხდომებითა და საწარმოო გეგმებით.

გული გაუკაჟდა, აზრი განუმტკიცდა, სიარული შეცვალა და შერცხვა ორიოდე წუთის წინ განცდილი გრძნობისა ამ გლეხებისადმი, შერცხვა დღევანდელი დღის ასე უაზროდ დაკარგვისა და უწესრიგო, ენერგიის მომადუნებელი აბურდული ფიქრებისა. მაგრამ რა იყო ყოველივე ეს იმასთან შედარებით, დღეს რომ მთელი დილა მანქანით სეირნობაში და უსაქმო ხეტიალში დაჰკარგა? — არაფერი! ამ შეცდომას ის არასოდეს არ აპატიებს თავის თავს. აბა რა გასამართლებელი საბუთია ის, რომ შვებულებას ყავლი ხვალ გაუდის? განა ასე მოიქცეოდა ის ამ ერთი თვის წინად?

ასე რომ იყო ფიქრად წასული, ძაღლის ღრენა მოესმა. მოიხედა, — ვილაც მართლაც გოლიათივით ვაჟკაცი საამქროს კედელს მიყრდნობოდა და, რომ იღრინებოდა, — ამ გოლიათის გოლიათურივე ძაღლი იყო.

ეს გოლიათები ისინი იყვნენ, — ის მწყემსი და ის ბომბორა ძაღლი ამ დილით რომ მისი ბინის ფანჯრის წინ ჩაიარეს. თინამ შეხედა მათ და შერცხვა, სახე აელეწა, რომ მას თითქმის შიშველს შეასწრო თვალი ამ ხევსურმა, მაგრამ უეცრად ელექტროკრანის სირინოსმა დაისტვინა.

— მაინა — ა!..

— პომალა — ა!.. გაისმა და ციდან წამოსული უზარმაზარი ტენდერი მათ წინ დაეშვა.

— აჰაი, დედასა! — ამოხდა ვილაცას მის გვერდით.

მოიხედა, რამდენიმე გლეხი გაოცებული უცქეროდა ოწინარის მუშაობას.

სანამ მუშები ტენდერს ძირს არ დაუშვებდენ, მანამ ვერ იშაბაშებდენ და აი ისინიც ჩქარობდენ.

— პა-პა-პაჰ, კაცს რა არ შეუძლია და!.. — ჰკვირობდენ გლეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინამ მიიხედა, იცნო ისინი და გული სიამაყით აევსო, რომ ერთი იმ კაცთაგანი, ყველაფერი რომ შეუძლია, ისიც იყო.

მათ შორის იყვნენ ისინიც, რომლებიც წელან ქანჩებს, ხარხნებს, მოქლონებსა და რკინის სხვა ნატეხებს ჰკრეფდენ ქარხნის ეზოში.

გასაოცარია, რად არის, რომ რაღაც ეჭვიანობა იპყრობს? რად სჩხვლეტს თვალებს მათი აქ ყოფნა?

ეს გრძნობა თინამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაიკლას გულში. ეს გრძნობა მას იქიდან დარჩა, როცა გლეხობა წვრილ მესაკუთრეებს წარმოადგენდენ. ახლა ისინიც სოციალიზმის მშენებლობაში არიან ჩაბმული და მან ეს გრძნობები უნდა გადალახოს.

მწყემსმა ქალს თვალი ჯიქურ გაუსწორა, მიაჩერდა და შავი თვალები ცხვრის ბომბორა ქუდის ბეწვებს ქვეშ ისევ ისე აენთო, მაგრამ თინამ ყურადღება არ მიაქცია მას და ნაჩვევი ნაბიჯით ქარხკომის შენობისაკენ გაემართა.

— აა, ჩემი გოგო ჩამოსულა! — მოესმა თინას და, რომ მოიხედა, ხედავს მისი ამქრის ოსტატი ესტატე კობეშავიძე მისკენ გამოქანებული მოდის.

— არ გამეკარო, არ გამეკარო!.. — აასავსავა ხელები თინამ.

კობეშავიძე შედგა.

— რატომ ერთხელს მეტად წერილი არ მომწერე?.. მე შენ გემდური! — შეუტია ქალმა, მაგრამ ესტატემ ყურადღება არ მიაქცია მის სიტყვებს, მიუხვდა ხუმრობას და, რომ მიუახლოვდა:

— გამარჯობა! — სთქვა მან ოდნავ იხტიბარ-გატეხილმა.

— გაგიმარჯოს, ჩემო ესტატე, გაგიმარჯოს!.. — მიესალმა თინა გაინიერი ღიმილით თავის ოსტატს და მერე: — იცოდე, მაინც გემდური! ტყუილია, ჩემ გულს ვერ მოიგებ!

მოხუცი მუშა ისევ გათამამდა და დაკოჟრებული ხელი ტლანქად რომ ჩამოართვა, უნდოდა კიდევ ჩაედინა რაღაც ისეთი, რომელიც მის სიხარულს მთლიანად გამოხატავდა, უნდოდა თავის ახალგაზრდა ინჟენერსა და ამქრის უფროსს მიალერსებოდა მამაშვილური სიყვარულით, მაგრამ რომ ვერ მოახერხა, მხრები ულაზათოდ შეიშმუშნა და ნაძალადევათ დაახველა.

თინამ იგრძნო ეს სიყვარული და მოლბა.

ნაყვავილევი მოხუცის გრძნობიერება თბილად შემოევლო და სიხარულისაგან მუგუზლებივით ანთებული თვალები ოსტატის მზესუმზირას კაკალავით წვრილად მიბჟუტულსა და სიყვარულით მოღიმარ თვალებს რომ გაუსწორა, გული პირამდე აევსო მადლიერებით.

— მაკოცე! — სთქვა მან გრძნობით, მაგრამ მაინც ბრძანების კილოთი და შესაქცევად აბურცული მართლაც ალუბალივით წითელი ტუჩები მოხუცს გაუწოდა.

ესტატე დაიბნა, მაგრამ:

— მაკოცეო! — კიდევ რომ გაუმეორა თინამ უკვე მოუთმენლად, ესტატემ მაჯებით ულვაშები ერთგულად მოიწმინდა და ქალს, ტუჩებში კი არა, თვალებში აკოცა მორიდებით.

კოცნა და თინას აყვირება ერთი იყო:

— მომშორდი!.. მომშორდი, შე ბებერო მელავ!.. მაგ შენი სადგისივით ულვაშებით სახე სულ დამაკაწრე!..

ამ ამბის დანახვაზე მზვარეში გაფიცხებულმა მუშებმა სიცილი დაიწყეს.

— ერთი ამ ბებერ პლუტს შეხედეთ რა ამბებშია და!.. — დაიძახეს მათ, მაგრამ თინამ ყურადღება არ მიაქცია ამ სიტყვებს, უნდოდა რაღაც ეკითხა ესტატესათვის, მაგრამ შერცხვა ამ ერთი წუთის წინ გამომჟღავნებული გრძნობიერებისა და საგანგებოდ დადინჯებული ნაბიჯით პირდაპირ გაემართა.

მუშებმა გზა რომ უტიეს:

— გამარჯობათ, ამხანიგებო! — მიესალმა, თინა კი არა, — ინჟინერი თავის მუშებს გაბედულად, გამომწვეევად, მაგრამ დამხდურთ თვალები რომ პირდაპირ გაუსწორა, მეტი ვეღარ შესძლო და გაეცინა.

— გამარჯობა, სტელლა, გამარჯობა!.. — მიესალმენ მუშებიც სიცილით და თინამ კიბეებზე რომ აირბინა, ეს მეორედ მოესმა დღევანდელ დღეს:

— მირონის გოგოა, ჩვენი სტელლა, მირონის!..

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჭუთათელი

იალაღზე

რიჟრაჟის ნისლი ჟონავს, გაცუდდა,
თქორით ფარავდა გორას — მასპინძელს.
ასპირიანი ქვევრით აცურდა
ცხელი რძის ორთქლში თითქოს ასპინძა.
აწოვებს ფინჯლით ნისლი ჯავახეთს
ნოყიერ ცურებს და ასე ფარავს
მაღალ მთაგორას, ყანას, ბალახებს
და იალაღზე გადაშლილ ფარას.
გადადის ნისლი: ჩანს ოქროყანა,
მაღალ ველების პური და ქერი,
შორს სალამურით მწყემსები დგანან —
ერთი საამურ ჰანგზე დამღერის,
ირგვლივ არტყია მარტო მთის ალყა
და გულის დარდი მას თუ მიანდო.
მზე დაღადღადებს ყანების ტალღას,
იძახის ღალღა: „სარო და ღადო.“
ჯავახელებო, რა დაგაბერებთ
ცხვარის ფარასავით თუ სძოვთ იალაღს...
დაღარულია მთათა მკერდები,
სულ დაამუნჯა მტკვარის ღრიალმა.
დახარბებული თვალი ვერ გაძღა,
როგორც ეს მიწა ბოლოზი, განძი.
მიცოცავს ფარა მთისაკენ მაღლა,
ვით საკმეველი ნაკმევი ნაძვის.
დაცურებულა სიპზე ქაჩაჩი,
ცხვრთა ლაყუჩებს ავსებს სამყურა,
ნამით თუ ლამუნს ერთიც გადარჩა, —
შეახრამუნებს ცხვარი — ყბაყურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მიწურთან საღამოს ვხედავ
ქალის მუხლების მარწუხში ქოთანს
ათასი ცხვარის ცურებთან ედვათ
და მთა პეტელმა გადააქოთა.
ტოკავს ჩხრიალით სავსე ქოთანი,
თავს ედგა თბილი რძის ოხშივარი,
თითქოს შემასვეს მთიდან მოტანილ
სამყურის მსუყე სურნელით ღვარი.
ხიზაბავრაში ჩასვლა არ მსურდა:
ბინდი ფარავდა სოფელს — მასპინძელს.
ასპირიანი ქვევრით აცურდა
თბილი რძის ორთქლში თითქოს ასპინძა.
აწოვებს ფინჯლით ნისლი ჯავახეთს
ნოყიერ ცურებს და ასე ფარავს
მაღალ მთაგორას, ყანას, ბალახებს
და იალაღზე გადაშლილ ფარას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

„მთვარის მოტაცება“

XXXIII. დოსტაქარის შეგონებანი *)

...„Las du triste hopital, et de l'encens fétide.
Qui monte en la blancheur banale des-rideaux...
სტეფან მალარმეს „ფანჯრებიდან“.

დილის ცხრა საათზე ტფილისის სამეანო კლინიკის კიბეზე გაფაციცებით ადიოდნენ თეთრხალათიანი პროფესორები, ექიმები და სტუდენტები. გამდელებს საკაცით აჰყავდათ სნეული ქალები და ბავშვები. პორტფელიანი მამაკაცები და დედაკაცები სწრაფად იხდიდნენ ზემოსამოსს, ჩქარი ნაბიჯით მიყვებოდნენ მარმარის ვარვარა კიბეებს.

დერეფნებიდან ტელეფონების წკრიალი ისმოდა, ხანაც საუზმის სატარებ გოგორების რახრახი. ყველა მიიჩქაროდა. მაინც არავინ ისე არ ასულა იმ წუთში კიბეზე, თამარ შარვაშიძის ძველებურ ნაწნავებისთვის თვალი არ შეევლო.

კიბის დასასრულში მთავარ ექიმს წამოეწიენ თამარი და ანული. ორიოდე ხაფეხურით დაწინაურებული, სვენებსვენებით მიყვებოდა იგი კიბეს, მარცხენა ხელს კიბის მოაჯირს ავლდებდა, მარჯვენათი გულს იმაგრებდა. ჩერდებოდა, სულს ითქვამდა და ისევ ადიოდა.

თამარს თვალში ეცა მისი გაპარსული, კრიალა თავი და ბებერი ხარის ქედსავით დანაოჭებული კისერი. დარბაისელ მოხუცს თვალში მოხვდა თამარის სილუეტი, მაგრამ ახალგაზრდა ორდინატორებისდარად კისერი როდი მოუღრეჯია, კიბის საქცევთან განიერ სარკეში უცხო ქალწულის ტანკენარობა რა შეამჩნია, იამა მოხუცს.

ხომ დიდი ხალისის მომგვრელია, როცა საქმეზე მიმავალს პირმშვენიერი ადამიანი შემოგეყრება ანაზდეულად?

ეს განსაკუთრებით დილითაა სანუკველი. და მერმე ეგ განწყობილება ბრავალ უსიამო შთაბეჭდილებას დაჩრდილავს უთუოდ.

„ეს არის პროფესორი ლოდერელი“.

---

*) გაგრძელება, იხ. „ნათობი“ № 3

უჩურჩულა ანულიმ თამარს, მკლავში მოუჭირა ხელი. სახელგანთქმული დოსტაქარი ჩვეული იყო უცხოთა მიერ ანაზდეულად ხსენებას ქუჩაზე, ავტობუსში და კლინიკაში. სხვადროს არც იმჩნევდა ასეთ რამეებს. ახლა კი დინჯად მიხედა ანულის. შეიცნო ფარჯანიანის ქალი (თუმცა იგი თვალსაჩინო არ იყო არც როგორც სტუდენტი, არც როგორც ქალი) მიიხედა და რა შენიშნა ამ მშვენიერ უცნობს ახლავსო, ჩვეულებრივზე მეტად თავაზიანი სალამი მისცა, ნელმა ღიმილმა დაამშვენა მისი დიდრონი, შავი თვალები (ყვავის ბუდესავითა დაფანჩულ წარბების ჩრდილს ქვეშ), თამარს ბევრი რამ ჰქონდა განაგონი ამ პროფესორის სახელის გამო, თავათაც შეხედა ლოდერელს. თვალი შეავლო მის თეთრ პიჯაკს, მტუტისფერ წვერებს ნაპოლეონ მესამის დარად შეკრეჭილს. ძველმოდურად მოჭრილი ჟაკეტი ეცვა პროფესორს, ზოლებიანი, შავი შარვალი. მაღალი არ იყო, მაგრამ მუხის კუნძისებრ დასკვნილი სხეული დარბაისლობის იერს ჰმატებდა მის აღნაგობას. და როცა დოსტაქარმა ოდნავ შეანელა ნაბიჯი, ანული მიეახლა მოკრძალებულად, უთხრა:

„მე მინდა გთხოვოთ ბატონო პროფესორო, ჩემს ამხანაგს, შარვაშიძის ქალს ნება დართოთ თქვენს ლექციას დაესწროს.“

„სიამოვნებით, სიამოვნებით“.

ესა სთქვა და თამარს გაუღიმა ლოდერელმა.

„მერმე იმედია, ჩემი მეგობარი შესძლებს თქვენი მსმენელი გახდეს“.

„სიამოვნებით, სიამოვნებით“.

გაიმეორა ლოდერელმა და უჩქარა ნაბიჯს.

* *
*

დერეფანში, წალკოტებიდან შინ მობრუნებულ ფუტკარსავით ზუზუნებდნენ სტუდენტები. თამარს სკოლაში ყოფნა გაახსენდა. იამა. ასე ამხანაგურად, ასე თამამად რომ ესაუბრებოდნენ ურთიერთს ქალ ვაჟნი. წყვილწყვილად იდგნენ, მაჯაზე ჰკიდებდნენ ერთმანეთს ხელს, ზოგიერთ ვაჟს ქალის ყურთან მიჰქონდა სახე. იცინოდნენ, ეჩურჩულებოდნენ ურთიერთს. შეხაროდა ამ სტუდენტებს თამარი. პროვინციის სიდუხჭირე აგონდებოდა, ორღობეებიდან, ეზოებიდან, დუქნებიდან ჭორიკანების მუდმივი თვალთვალი.

რამდენი სიხალისე და სიცოცხლე შეჰქონდა ამ სისხამი დილით შეფაკლულ ახალგაზრდულ ლოყებს, ფიცხელ ჟესტიკულაციას, ლაპარაკს და სიცილს ამ კლინიკის მდორე ატმოსფეროში?!

ანულიმ ორი ამხანაგი გააცნო თამარს, ორივენი თამარზე უფრო ახალგაზრდანი. კიდევ ერთი წელი და ისინი ექიმები იქნებიანო, მამისა, ძმისა და ქმრისაგან დამოუკიდებელი ქალები. და მას, თამარ შარვაშიძეს, სამი წელი გაუცდა, თორემ თამარიც ასევე დამოუკიდებელი ქალი გახდებოდა, ბედნიერი, თავისუფალი ქალი. . . . . .

გამოიარა მორიგმა ექიმმა. ვიღაცამ დაიძახა: ტსსს... ყველანი დადუმდნენ. გამოხდა მცირე ხანი და ისევ შექმნეს ახალგაზრდებმა ჩურჩული, კისკისი და კურკური. დერეფნებში საკაცით მიყავდათ გამდელებს ხეწრით შესუდრული ავადმყოფი ქალები (სახე დაფარული ჰქონდათ, ფეხები უჩანდათ სნეულთ, შესაძლოა ზოგნი მიცვალებულნიც ყოფილიყვნენ), მიჰქონდათ შარდის ქოთნები, სისხლით, თელგამით და ალისფერ ბამბით გავსილი ტასტები, დათხუნული ბინტები და მჩვრები. . . . . .

გარშემო მდგარნი უკვე შეჩვეოდნენ ამ სანახაობას და ამ საგნებს ზედგავლენის უნარი დაჰკარგოდათ, თამარის მეტი არავინ ამჩნევდა მათ. ჟამიდანჟამზე მშობიარეთა უეცარი კივილი შეზარავდა თამარს; გამოაღებდნენ პალატების კარებს და მოისმოდა მელოგინეთა კვნესა, კუთვა და გულისწამღები ვიშვიში.

ისევ გამოივლიდა მორიგი ექიმი და ისევ გაისმოდა ტსსს...

„წამო, კლინიკას დაგათვალიერებინებ, ლექცია ჯერ არ დაიწყება.“

უჩურჩულა ანულიმ თამარს. და როცა სტუდენტების ხროვას გამოეყვნენ, ყველანი თამარის ნაწნავებს გასცქეროდნენ. თმაშეკრეჭილი ქალები ირონიულად იღიმებოდნენ. ვაჟები აღტაცებული შეჰყურებდნენ თმებსა და თმების პატრონს. თამარის გარეგნობის გამო, ველარც ქალები მალავდნენ თავიანთ აღტაცებას.

„კარგია, მაგრამ ნამეტნავად პროვინციული სახე აქვს, გარდა ამისა, წელი აქვს მოკლე“. მოშაინურად შენიშნა ხეთერელის ქალმა, „კურსის მადონად“ წოდებულმა და თავის საქმროს გადახედა.

ანული თამარს ეუბნება:

„ხომ ხედავ, როგორ გაოცებით უცქერიან შენს ნაწნავებს.“

თამარს დაცდილი ჰქონდა: როცა ნაწნავებს თავზე იხვევდა ქუდს ქვეშ, მაშინაც ასე უჭვრეტდნენ. მაგრამ ეს უთხრა ანულის: მეც მათსავით თმაშეკრეჭილი ვივლიო ხვალიდან.

პირველ დერეფანში ჰაერსა სწმენდნენ. გულამღვრეული უჭვრეტდა თამარი მწკრივად გაწოლილ მელოგინეებს და ნააბორტალ ქალებს. გაფითრებული სახეები, გალურჯებული ტუჩები, გაჩეჩილი თმები მოხარშულ სიმიდსავით გაყვითლებული ლოყები, მასრასავით გამხდარი მკლავები, მკერდზე დაჭდობილი თითები, ჩაფერფლილი თვალები ელავდნენ ირგვლივ.

ჯოჯოხეთური გნიასი ისმოდა უკანასკნელ პალატიდან. თამარი შეჰზარა ბავშვების ხორალურმა ღნავილმა. ზოგი ჩხაოდა (ისე როგორც წაკიდებულ კატებს სჩვევიათ მარტში), ზოგიც ვასაკასავით კრიახობდა (ისეთ წუთებში, როცა ვასაკას მაისის გველი შეიპყრობს ხოლმე).

საწოლებზე ახლად შობილნი ქოთქოთებდნენ, უმწეოდ ასხმარტალებდნენ მუხლუხასავით მოკლე, ნაბეჭებიან ფეხებს, მუშტებად შეკრული, ლორწოიანი ხელები მიჰქონდათ დაბჩენილ პირთან, მოჯღანული წითელი სახეები საოცრად მოეღრიჯა ტირილს, დალოჭილი, უკბილო პირი ბებრის

ტუჩპირს აგონებდა თამარს. ახლადმოგებულ ლეკვებსავით წკავწკავებდნენ და სწურავდნენ უწამწამო თვალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იადაფორმისა და ხლოროფორმის, იოდისა და ეთერის სუნი სდიოდა ირგვლივ.

ადამიანის სისხლით ხელებდასვრილი ორდინატორები და დები დაფუსფუსებდნენ დერეფნებში და არც ერთს მათგანს აღშფოთება და მღელვარება არ ემჩნეოდა. მიხედავდნენ თამარს და მიიჩქაროდნენ. უკანასკნელ დერეფანში მწვანე სკამებზე რამდენიმე ახალგაზრდა ქალი უცდიდა ჯერს.

გაზაფხულზე თუ ვინმეს გივლიათ კოლხეთის ჭაობებში, მალაქიტისფერი ტბორები თუ გინახავთ თვალჩაღამებული? ლისის, ლელის და ლაქაშის გახრწნილი ფესვები, ბაყაყების, ჯოჯოების, წურბლების — მუდმივი სავანე.

სინესტის ორთქლში გახვეულ წუმპეში უთუოდ თვალს მოჰკრავდით მშვენიერ მცენარეს კოლხურ ფერიას, ბოტანიკაში ნიმფე კოლხიკად წოდებულს. წყლის ზედაპირზე ამოტანილი აქვს კლერტოები კოლხურ ფერიას, პირისფერი ყვავილი ასხია ზედ.

ეს უეჭველია, კოლხეთის ჭაობების სიჩუმით გულშეღონებული, ამ ყვავილის დანახვისას უთუოდ შესდგებოდით და გაიხარებდით.

ასე შესცქეროდნენ თამარს ექიმები, ორდინატორები და სტუდენტები.

* * *

„ესენი ჩვენი კლინიკის მერცხლებია“ ეუბნება ანული თამარს.

აბორტის მომლოდინე ქალები აქ იცდიან. დერეფნის ბოლოს, ზევით ხომ ხედავ მერცხლის ბუდეებს. ამიტომაც დაარქვა მათ პროფესორმა ლოდერელმა „მერცხლები“.

თამარი სიბრალულით და თანაგრძნობით შესცქეროდა ამ ფერმილეულ სახეებს.

ისხდნენ და მორჩილად უცდიდნენ ეს ქალები ოპერაციას, რადგან ეშინოდათ დედობას თავისუფლება არ წაერთმია მათთვის. სულ ორიოდე საათის შემდეგ ისინი ქირურგების შეუბრალებულ დანებს დაუწვებოდნენ ისე მორჩილად და უხმოდ (როგორც მკათათვის მიწურულში მუშაკაცის ცელს ქვეშ მოჰყვება ხოლმე შეყვითლებული ოივის კლერტოები).

* * *

აუდიტორიაში შესვლის უმალვე შენიშნა თამარმა: პროფესორ ლოდერელს აბრეშუმისებრ რბილი ხმა ჰქონდა: დინჯად საუბრობდა იგი, მაგრამ ალაგალაგ უბორძიკებდა ენა. და ასეთ დროს უცნაურად ახამხამებდა გრძელსა და შავ წამწამებს. ლაპარაკის დროს ფართოდ აღებდა

ოქროს კბილებით მოკირწყლულ ყბებს, და ეს ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა ელექტროს შუქზე, თითქოს ცეცხლის ალს ანთებსო პირიდან.

და მოაგონდა თამარს თარაშ ემხვარის ერთად ერთი ოქროს კბილი, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოუჩნდებოდა, როცა თარაში გაიცინებდა. ერთბაშად ლოდერელის ნათხრობს სმენა აარიდა, რატომღაც წარმოიდგინაიდრო, როცა შისი საქმრო — თარაშ ემხვარ პროფესორ ლოდერულსავით ღვაწლმოსილი იქნება, მასავით ღვაწლმოსილი და ჭაღარამოსილი, მასაც ლოდერელსავით თეთრი თმაწვერი ექნება და ოქროს კბილები როგორც ქვემო ისე ზემოყბაზე.

„...ცნობილია, მეცნიერება არითმეტიული პროგრესსიით როდი მიისწრაფვის წინ, არამედ მისი განვითარება სპირალურ ხაზებს მიჰყვება ჟაგიდან ჟამზე.

დღეს უდიდესი ევროპელი მეცნიერებიც უკან იხედებიან ხშირად, ჰიპოკრატესთან ეძებენ თათბირს მკურნალობის ზოგიერთ საკითხთა გამო. ათიოდე წლის წინად მეცნიერება ხელაღებით უარყოფდა წურბლების გამოყენებას. დღეს იძულებული ვართ ქართული კარაბადინებიც შევისწავლოთ და თურმანიძეების მეთოდსაც გამოვიყენებდით საიდუმლოს რომ გაგვიმხელდნენ თურმანიძენი.

ამჟამად მე ვამზადებ ახალ შრომას ხევსურული დოსტაქრობისათვის. საინტერესო მეთოდს ხმარობენ ხევსურები თავისქალის ტრეპანაციის დროს“...

შემდეგ ამისა, პროფესორი ადამიანის სხეულის ნაგებობას შეეხო, შეაქო ეს გასაოცარი მიზანშეწონილება, რომელიც დაცულია ამ უაღრესად რთულ მექანიზმში. მაგრამ ეს არის: სისხლისა და ხორცის მრავალი საიდუმლოება, ჯერაც ბნელითაა მოცული. აქო რენტგენი, რომელმაც ამ საიდუმლო კოშკის მრავალი კლიტე ჩაგვაბარაო. მაგრამ ამ ცხრაკლიტულში კიდევ მრავალი კარია და გვირაბიაო შეუცნობი და შეუვალი.

„გუშინ მე გიამბობდით, განაგრძო პროფესორმა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შემთხვევას. თვით მეცნიერებათა განვითარებაშიაც დიდი წილი მიუძღვის შემთხვევას.“

აქ შეუბორძიკდა ორატორს ენა და მოეჩლიქა, საოცრად აფახულებდა გრძელსა და შავ წამწამებს.

მერმე ისევ გამართა სიტყვა:

„ხომ ისეთი დაუშრეტილი წყაროა შემთხვევა, მაგრამ სწორედ ამ ცხრაკლიტულის ასაღებად თავიდანვე იღწვის ადამიანის გონება. მედიცინაც იმისთვის იბრძვის, რათა ადამიანის სხეული ბრმა შემთხვევის განუკითხავ ჩარევას გადაარჩინოს. ეს მშვენიერად ესმოდათ ბერძნებს.

„ტიხეს“ უწოდებდნენ ამ ბრმა შემთხვევას.“

პროფესორმა განმარტა სიტყვა „ტიხე“, მერმე ასისტენტს მიუბრუნდა რაღაც ანიშნა და განაგრძო: „ახლა მე მივუბრუნდები გუშინდელ თემას სახელდობრ საშოსგარეშე ორსულობას“.

ესა სთქვა ლოდერელმა და აუდიტორიის კარი გაიღო, საკაცეთი შემოიტანეს ზეწარში შესუდრული ქალის სხეული. ისევ ხლოროფორმის სუნი ეცა თამარს.

ორი ასისტენტი შემოჰყვა ავადმყოფს, ქალი და ვაჟი.

ქალი თავზე დაადგა სნეულს, ვაჟი შუშის კარადებთან მივიდა. მინების კედლებს გადაღმა ელავდნენ ნიკელის კატეტები, კიურეტები, მაშები, ჭანგები, მარწუხები და სადოსტაქრო დანები.

ეს საჭურველნი არა ერთხელ ენახა თავის სახლში თამარს, მაგრამ როგორც კი შენიშნა, რომ ისინი ცოცხალი ადამიანის სხეულის გასაკვეთად უნდა ჩამოეღო ასისტენტს, ჟრჟოლა შეიცნო მთელ ტანში და თავი ძირს დახარა.

„საშოსგარეშე ორსულობა, განაგრძო პროფესორმა, ანუ მამაკაცის განაყოფიერებული კვერცხის საშვილოსნოს გარეშე ჩანერგვა ფალოპის მილში“. . . . . .

პროფესორი შესდგა. მცირე ხანს ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა და ისევ განაგრძო:

„ამ მილს მე გაჩვენებთ ახლავე და ასე ეწოდება მისი აღმომჩენის, მეცნიერის ფალოპის გვარი.

თქვენ იცით, ყოველ საუკუნეს თავისი მოარული სენი ჰქონდა.

საშუალო საუკუნეს კაცობრიობას მუსრს ავლებდა კეთრი, ყვავილი და ჟამი.

ათიათასობით იქლიტებოდა ევროპის და აზიის ქალაქების მოსახლეობა. ჩვენს ეპოქასაც გააჩნია ასეთი სენები: გრიპი, ბრმანაწლევი და საშოგარეშე ორსულობა.

ეს „ალბად“ დაუშვებელია მეცნიერებაში, მაგრამ, ხომ იცით, როცა ადამიანურ ცოდნას ძალა აღარ ეყოფა, მაშინ, „ალბად“ და „მაგრამ“ უნდა მოვიშველიოთ. უდიდესი მეცნიერები სწავლობენ ამჟამად საშოსგარეშე ორსულობის მიზეზებს, მაგრამ დადებითი შედეგები ძლიერ ცოტა გვაქვს.“

პროფესორმა განაგრძო მამაკაცის განაყოფიერებული კვერცხის მოგზაურობის ამბავი და თამარი ფიქრს მიეცა. მანანა ანჩაბაძის სახე დაუდგა თვალწინ. მწიფე თამბაქოს იერს გადაიკრავდა მანანას ღვთაებრივი სახე, წვრილ წვრილი ხალებით დაწინწკლული. და ხმა ჰქონდა მანანას ისეთი, ყველა ამას ამბობდა: ტფილისის ოპერა უნდა დაამშვენოსო მანანამ. ახლა მანანას მშვენიერ სხეულს მიწვდა თამარი შინაგანი მზერით. მოიგონა მასთან შავი ზღვის პირად გატარებული ზაფხული.

ხალები ჰქონდა მარჯვენა ბეჭზე, თეძოს თავზე და მარცხენა: მუძუს კერტის მახლობლად. ალბად ამრიგად აჩვენებდნენ სტუდენტებს მანანას განკვეთილ სხეულს და პროფესორი ახალ თაობას უხსნიდა მის მაგალითზე, თუ როგორ უკეთებენ ქალს ოპერაციას საშოსგარეშე ორსულობის დროს.

რატომღაც თხრობის კილო შესცვალა პროფესორმა, წინა რიგები გაიარა, თამარს შეხედა დაკვირვებული თვალით და ახლა უკანა რიგებს მიაშურა, და თამარმა უნებლიედ მიუგდო ყური:

„მაგრამ ჯერაც უჩინო მიზეზთა გამო, განაყოფიერებული კვერცხი მამაკაცისა ვერ აღწევს საშვილოსნოს ღრუმდის და ფალოპის მილში ჩერდება იგი რატომღაც. მიზეზთა შორის შესაძლოა ანთება იყოს, ან მამაკაცის ნერვიულობა (ეგ სულერთია, მემკვიდრეობით იქნება იგი თუ შენაძენი)“.

ისევ მანანა ანჩაბაძის საოცარ გარდაცვალების დეტალები გაახსენდა თამარს, ანული უამბობდა თუ როგორ უპატრონოდ გდებულა მანანას განკვეთილი ტანი კლინიკის პროზექტურაში.

ისევ ხმა აუწია პროფესორმა: „განაყოფიერებული კვერცხი ფალოპის მილში ჩანერგვის შემდეგ ბუსუსების შემწეობით გაარღვევს გარს მოვლებულ პარკს, კუნთოვან ქსოვილში იჭრება, აქ იგი ანაზდეულად ანადგურებს მთავარ ძარღვებს სისხლისას და იქცევა სისხლი მუცლის ღრუსა და საშვილოსნოში“.

მერმე საოპერაციო მაგიდასთან მივიდა პროფესორი, ორდინატორმა ქალმა სანახევროდ ახადა ზედგაჭინთულ ავადმყოფს ზეწარი და თამარს თვალში ეცა ფიქალივით შიშველი ბარძაყები ქალისა.

თამარმა წამოიწია სკამიდან, შეხედა, მაგრამ სახე დაფარული ჰქონდა ავადმყოფს. მერმე ერთბაშად პროფესორის ზურგმა დაფარა ყოველივე და ორიოდე წუთის შემდეგ, თამარმა თვალი ჰკიდა თუ როგორ აუღელვებლად გამობრუნდა პროფესორი ლოდერელი, მის ხელში ელავდა გასისხლიანებული დანა.

და ისევ მანანა ანჩაბაძეს მისწვდა თამარის ფიქრი, ასე ეგონა მანანა ანჩაბაძის განკვეთას დავესწარიო და იწვიმა ცრემლმა თამარის თვალთაგან.

ორივე იდაყვი დააყრდნო მუხლებზე და ხელის გულებით დაიფარა მტირალმა სახე.

XXXIV. ციხისთავის სადღეგრძელო

ღამე შეფარვით ეპარებოდა შურის ციხის ქონტურებს. როგორც კალას, ისე სეითაბადის მთა ჯერჯერ გნოლისფერი იყო, მერმე თარაშმა შენიშნა თუ როგორ მოერია მოთეთრო ხალებს უფრო თალხი, მრუმე ფერები და ელექტროს ციმციმმა ბოლოს მთლად დაამუქა შურის ციხე და სეითაბადი.

ძველი ტფილისის ვიწრო, აზიურ ქუჩებში, ქუჩაბანდებში, მტვრიანი მინით გადახურულ პასაჟებში, ობის, ტყავისა და ცხვრის სუნი იდგა. შეითანბაზრის მოედანზე ჯოგი გადიოდა, მეჯოგეები ზურგზე ჯომლებს უცაცუნებდნენ ცხვრებს. ყურებწაჭრილი ნაგაზები დარბაისლური ნაბიჯით მიყვებოდნენ კიდეებზე ჯოგს, ხოლო ყოჩები და ვაცები ქალაქშიაც განაგრძობდნენ სარდლობას. ქორის ბუდისებრ გაბუძგული ფაფახები ეხურათ მეცხვარეებს, ტანზე გახუნებული თექები ეცვათ და ავტოების, ტრამვაების შორის ისე მშვიდად დადიოდნენ, როგორც ტყვე დანიელ — ლომების ბუნაგში.

უყივოდნენ ფარას, კომბლებით არიდებდნენ განსაცდელს მანქანების შიშისგან მოცახცახე ცხვრებს და მღვრიე მტკვრის ტალღებსავით ედებოდა ქუჩას მტვერში ამოგინგლილი ჯოგი, ქვაფენილზე ვეღარ ეტეოდა, ფილაქანებზე გადმოღვარული.

კინტოები, ნოქრები და ქუჩის უსაქმურნი დუქნების ღია კარებთან იდგნენ, შეხაროდნენ სქელდუმიან ცხვრებს. ყოჩებისა და ვაცების სითამამეს აქებდნენ ხმამაღლა. თვალს დაადგამდნენ რომელიმე თოხლს და ნატრობდნენ შიშხინა მწვადებს.

„საიდან მოელალებიან თუ იცი ცხვარს?"

შეეკითხა თარაშ ემხვარ მის გვერდით მიმავალ ვახტანგ იამანიძეს.

„ალბად ჯავახეთიდან, შირაქს მიდიან."

რეკავდნენ ვატმანები, ავტოების საყვირებს სცემდნენ შოფერები და ჯოგი კი არ თავდებოდა. დგანდგარით მოდიოდა ფარა, ავსებდა მოედნებს და ქუჩებს. ისმოდა მწყემსების ქოთქოთი და კუდბუთქა ნაგაზების ღრენა. მოხუც მეცხვარეს მკერდზე მიეხუტებინა ბამბის ქულასავით თეთრი თოხლი, წინა ფეხები ტრამვაის გადაემტვრია ცხვრისათვის, საწყალობელი ხმით ბღაოდა ბედშავი.

„რითვინა ხარ ეგრეთი ცეტი"? კაცებრ ესაუბრებოდა მეცხვარე თოხლს, ეფერებოდა და მიჰყვებოდა მტვერიან გზას.

„შეხე, ტრამვაის გადაუვლია!.."

შეესიტყვა ვახტანგი თარაშს.

მერმე ორივენი დადუმდნენ და მეტეხისაკენ გადაუხვიეს.

თარაშ ემხვარმა კიდევ ერთხელ მიხედა ბნელში ალანძულ შურის ციხეს და ვახტანგს ეუბნება:

„ამ ციხეზეა ქართლის ცხოვრებაში ნათქვამი: „წარვლო ჰერეკლე მეფემან ბერძენთამან და მივიდა ტფილისად და მიმართებით ციხესა კალიისასა და ციხისთავმან ციხის გამოღმართ აგინა ჰერეკლე მეფესა და ჰრქუა: რომელსა გასხენ წუერნი ვაცისანი და ვაცბოროტისანი. მაშინ ესმა ჰერეკლე მეფესა. განრისხნა მისთვის და აღმოიკითხა წიგნისაგან დანიელ სიტყვა იგი. ვითარმედ აღმოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრეს რქანი აღმოსავლისა ვერძისანი და დაუტევა ტფილისი"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე მდუმარედ მიყვნენ ორივენი ნახევრად ჩამობნელებულ ქუჩას და კიდევ დიდხანს ისმოდა მეცხვარეების ქოთქოთი, ტრამვაების ხეცა და ცხვრების ბღავილი.

„მე თუ მკითხავ ეს „შეითანბაზარია ევროპისა და აზიის ნამდვილი საზღვარი და არა ფაზისი“.

ამბობს იამანიძე.

„კიდევ შორსაა მაგ შენი ქოსები?“

იკითხა თარაშმა.

„მე დიდი ხანია აქეთკენ არა ვყოფილვარ, კარგადა არც მახსოვს, მაინც მოვძებნი.“

ამბობდა იამანიძე.

„თავი დაანებე თუ კაცი ხარ, სადმე შევიდეთ, წავიხემსოთ, სმა მაინც არ შემიძლია.“

„არ შეგიძლია რომელია, ქოსები უნდა გაჩვენო. ჩინებული ღვინო აქვთ“.

ირაკლის ხიდის ყურში დასადაებული, მარტოხელა აქლემი იდგა. უდაბნოების სევდა იხატებოდა მის მელანქოლიურ ჩიჩვირის კიდეებზე. იდგა ირანის ბნელი ტრამალების შიკრიკი, შესცქეროდა ელნათურების ღაჟღაჟა ლამპიონს. გამოივლიდა ბღავილით ფორდი, მაგრამ ეს ბღავილი არავითარ შთაბეჭდილებას ახდენდა მელანქოლიით დანავსულ მჭვრეტელზე. მიჩაქჩაქებდნენ ნახშირით დატვირთული ვირები ირაკლის ხიდზე, ბავშვები უკან მიყვებოდნენ სიმღერით და შეხაროდნენ ვარსკვლავიან ცასა და მტკვარში მობანავე მთვარეს. მიიმღეროდნენ უდარდელად ბავშვები და ისე გაეღოთ პირი, როგორც ქართული ფრესკების მაგალობელ ანგელოსებს. ისევ ბნელ შუკებში დაბორიალობდნენ თარაში და ვახტანგი. მიაწყდებოდა იამანიძე რომელიმე დუქნის, ან სარდაფის კარს, სადალაქო აღმოჩნდებოდა, ან წიგნის მაღაზია, ელექტროს საჭურველთა საწყობი, მკერავთა არტელი ან საგაზეთო კონტორა.

ბოლოს ერთ სარდაფში ჩაირბინა ვახტანგმა.

„სასადილო“ ეწერა აბრაზე. იქავე კიბეზე დედაბრული ხელით მიწერილი იყო „ქოსები“. ვახტანგის უკან მდგარ თარაშს ზურნის ჭიჭყინი შემოესმა.

სარდაფში შესულთ ასეთი სურათი წარმოუდგათ: პატარა ესტრადაზე ვეზირისებურად დინჯად დამსხდარიყო ოთხი მეზურნე.

ისედაც ღიპიან, მელოტ კაცს უშველებელი დოლი ედგა ფეხსა და ფეხს შორის და თვალის მომკვრელს ეს დოლი მისი ფაფუკი მუცლის შენამატი ეგონებოდა. ლოყებღაჟღაჟა მესალამურეს გაშავებული სალამური გაეჩრა გაბუშტულ პირში. წამოჭარხლებული მეთარე დაუდეგარად აჩხაკუნებდა სიმებზე მიზრაფს, სახედამჭკნარი, ტანდალეული ქოსა მოხუცი სტვირს უკრავდა გულსაკლავად, ახალგაზრდული ხალისი კიდევ ბჟუტავდა ნაოჭებისგან და-

ცხრილურ თვალებში. მთლად ჭაღარა თავზე მერცხლის ბუდესავით დაკოსებოდა თუშური ქუდი.

„ჩაჰბერე არტაშ“ ყვიროდა ვიღაც ფაფახიანი ბიჭი.

დუქანში დაწყობილ კასრებს გარს მოსხდომოდნენ მოქეიფენი. შეექცეოდნენ კახურს და მასლაათობდნენ.

რუმბივით გაბერილი, ლოყაწითელი მედუქნე მიეჭრა ახალშემოსულთ.

„რა გექნებათ?“

ეკითხება ვახტანგი.

„ჩინებული ცოცხალი, მირონის ჩალაღაჯი, სუკის მწვადები ახალი ნაშარაბით, ვარიები, ხარჩო, ბოზბაში, ლულა ქებები, ფითი და ჯიგრის ყაურმა, მწვანილი, კიტრი და თვის ბოლოკი.“

უპატაკა მედუქნემ სხაპასხუპით.

ვახტანგი სახეზე მიაჩერდა:

„შენ ხალიანი საქულა არა ხარ, ოსტატო?“

მედუქნე იცინის და სდუმს.

„ხალიანი საქულა არა“?

მედუქნე თავს უქნევს და ისევ იცინის.

„მერმე ხალი რა უყავი საქულ ჯან?“

„ამ დროში, ჩვენითანა ხალხი ნეპრიმეჩნი უნდა იყოს, — მითომაც მამიპარსნია, ახლა ჰამაც სუფთადა ვარ, ჰამაც უშიშრად“.

თარაშ ემხვარმაც გაიღიმა და მის გასწვრივ მჯდარ იამანიძეს შეავლო თვალი. დიახაც გამოცვლილი იყო იამანიძე. დამსხვილებულა, დამშვენებულა. სადღა იყო კუხე სხმარტლისფერი მისი კანისა, ან ჩაცვენილი ლოყები და ჩაშავებული თვალის უპეები. იამანიძის ბინის დერეფანში ასე ეგონა თარაშს უთუოდ გადაიცვამსო ვახტანგი. ასევე მდაბიურად ჩაცმული წამოვიდა. საყელოს ნაცვლად უკრაინული, ნაქარგი ბლუზა ეცვა, ელეგანტურ ინგლისური კრაგების მაგივრად ჩექმები, ბოჰრხარტის ქუდი საკმაოდ გახუნებულ კეპის შეეცვალა.

მთელი საათი იარეს იამანიძის ბინიდან დუქნამდის, ძველებური გულითადობა არ გამქლვანებულა მათ საუბარში.

ეს იყო მხოლოდ, იამანიძეს სწყინდა, თარაშს რომ არც ცოლი შეურთავს, ტფილისში ბინა უნდა გაეყიდნა და ვერც უნივერსიტეტში მოწყობილიყო. არც ის მოსწონდა, თავათ ემხვარი რომ არა სწუხდა ამის გამო სავსებით. იგი მომეტებულად გულჩათხრობილი და პირქუში გაეხადა ცხოვრებას. და ერთი წლის მანძილზე ასეთი ცვლილება? ეს ფრიად აკვირებდა იამანიძეს.

„ხომ კმაყოფილი ხარ, რომ დაბრუნდი ვახტანგ?

შეესიტყვა თარაში.

იამანიძემ თვის ბოლოკი მოკვნიტა და მიუგო:

„რა სათქმელია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
„...თვალს გავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ.“

კვნესოდა მეთარე.

დოლის ბრაგაბრუგმა და ზურნის ჭიჭყინმა საუბარი შეაწყვეტინა მეგობრებს. თარაშმა ღვინო მოსვა და სარდაფის ნესტიან კედლებს მოავლო თვალი. გროტესკული ხაზებით მოეხატნა მღებავის გაურანდავ ხელს ტფილისელი კინტოების კრივი. მწკრივად დგანან გაჯგიმული, ხარისთვალებიანი კინტოები, ნაოჭებიანი შარვლები აცვიათ, ვერცხლის ქამრებით წელდამშვენებულებს. ამავე ფონზე ვერძების ჭიდილია ნაჩვენები, მაცქერალთა სახეზე ოსტატურად გამოსახულია ის საოცარი ჰაზარტი, მარკენალ ცხოველების მზერისას რომ აღეძვრის ადამიანს. ერთ ვერძს სისხლი დასდენია შუბლზე. იქვე რამდენიმე სხვა ეპიზოდი იყო ძველი ტფილისის მოტივებისა, მაგრამ მანდ გამოსახული კინტოები და ყარაჩოღელები ისე გახუნებული მოსჩანდნენ წამალგადასმულ კედელზე, როგორც დღევანდელ ტფილისში გვეჩვენება შეითან ბაზრის ცოცხალი ტიპები.

იმავე კედელზე, ცოტა ქვემოდ ყეენობა იყო დახატული. გონებამახვილ ტფილისელების მიერ სპარსეთის შაჰაბის გასაპამპულებლად გამონაგონი მასკარადი. ეს სურათი უფრო კარგი ოსტატის ხელისა იყო. აქლემზე წამომჯდარ ვითომდაც ყეენს წოწოლიკა, ქალალდის ჩაჩი ახურავს თავზე, ხმლის მაგივრად ქაფქირი უჭირავს მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენათი ხახვწამოგებული შამფური, ყალბი მძივები ჰკიდია ყელზე და სწორედ ეს მძივები ოსტატურადაა გაკეთებული. მეზურნეებსაც არა უშავს, ხარის ქედსავით ნაოჭიანი ლაბები კისრები, დონდლო მუცლები და მოკლე ფეხები. მოძრაობისა და აურზაურის ექსპრესსია მიამიტური შტრიხებითაა გადმოცემული.

დახლის გასწვრივ თაბახიანი კინტოები ეხატა,ტფილისური ნატურ-მორტ, დუთმა ნესვები, გახლეჩილი ბროწეულები, შულავერის ყურძენი და შესანიშნავი დული, თვის ბოლოკი და მწვადები. ეს იყო მხოლოდ. ვისაც ეს ყოველივე თუნდაც ერთხელ არ უგემნია, მათი მირთმევის ხოშზე ვერ მოიყვანდა ხელით ნახატი.

იქავე კუთხეში პატარა ნახატებიც შენიშნა თარაშმა, უსწორ-მასწორო თავები, ზომაზე მეტად გრძელი, ან მოკლე ფეხები, გაფშეკილი ხელები, საერთოდ ისეთი მანერით შესრულებული, როგორიც ბავშვებს და ველურებს სჩვევიათ ხატვისას. ბევრი რამ იყო იქ დახატული: ავლაბრის ტურფები, ყარაჩოღელები, ვერძები, ყანწები, მამლები და კინტოები.

ზურნა მიწყნარდა.

„ხომ გახსოვს ჩვენი საუბარი რომში?“ ეკითხება თარაში ვახტანგს.

„რომელი?“

„ორი გზის გამო“.

„ჩემთვის ყველა გზა დაკეტილი აღმოჩნდა“.

შენიშნა თარაშმა.

საქულამ ცხელი მწვადები მოიტანა. იამანიძე მგელივით მივარდა მწვადებს.

ამბობს: საჭმელადაც ვერ ვიცლიო, დღეს საღამოს ... მიგვიყვანთ.

მერმე ჭიქა გამოსცალა:

„მე ახალი დარდი მიყიდნია,
წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდია.“

ჩხაოდა მეთარე.

ახლა შინაურ ამბების გამოკითხვაზე გადავიდნენ.

იამანიძეს მამა მოკვდომია.

„მამა ჩემი უბრალო მუშა კაცი იყო, ამბობს იამანიძე. წერაკითხვაც არ იცოდა. მატყუებდნენ მამამ მოგიკითხაო, ესა და ეს შემოგითვალაო. თურმე მაშინ გარდაცვლილი ყოფილა. დედა დასნეულებულა. და გათხოვილა, ოჯახი დანგრეული დამხვდა.“

მამა ძლიერ ყვარებია იამანიძეს: მამა რომ მოგიკვდება კაცს უფესვო ხეს ჰგავხარო.

ისევ აიღო ჭიქა იამანიძემ, ულიმის ემხვარს:

„მოდი რაც იყოს, იყოს დავლიოთ ჩვენებურად თარაშ! ეს შენ ჰელლენ რონსერს გაუმარჯოს. რას შვრება შენი ჰელლენ, წერილებს თუ გწერს? რა გოგო იყო... პაჰ, პაჰ, პაჰ.

მე როგორ ვეჯავრებოდი. რაც მე დეიდა მისის დამარხვაზე ვირბინე. ეჰ, ასე ყოფილა ჩემი ბედი. მე სხვის მკვდარს ვმარხავდი და შინ უარესი მჭირდა, მე აქ ამბავი მომიტანეს, შენ მისი მაგიერი გიპოვნიაო, ძალიან ლამაზი ქალიაო. ვიღაც შარვაშიძის ქალს ირთავსო. ააა?“

„რა მეცოლება ჩემო ვახტანგ, ნეტავ მეც არ გავეჩინე უბედურ მამაჩემს.“

„რატომ კაცო? ეს ცხოვრება მაინც სჯობია ზეციერ სამოთხეს.“

„რა მოგახსენო.“

„შენ ვერ ხედავ თარაშ რა ქალებია ტფილისში. პაჰ, პაჰ, პაჰ...

პარიზელები მონაგონია მათთან. ოღონდ უკეთ ჩააცვი, უკეთ აჭამე.

„აფსუს, მე რომ არა მცალია მათთვის. წვერის გასაპარსავადაც არა მცალია.“

იამანიძეს ღვინო მოეკიდა, თვალები გაუბრწყინდა.

„საოცარია, ამ აზიურ ნაწილში რომ ქალები არ სჩანან, არც ქუჩაზე, არც რესტორანებში. სამაგიეროდ იქით რუსთაველისკენ რა ქალებია!! პაჰ, პაჰ, პაჰ... გახსოვს ჩვენი სტუდენტური ავანტურები ევროპაში. ბალმეზონში რომ წავიყვანეთ ორი და... რამდენი გვაწვალეს იმ ჭინკებმა. ჯერ ერთმანეთს არ სცილდებოდნენ, მერმე ცოტა შამპანიური რომ ვასკით, ცალცალკე მიიწევდნენ ოჩანი ხარივით.

ერთად ყოფნა აღარ უნდოდათ. რა ერქვა ჩემსას? ჟერმენ, არა?“

„ჰო ჟერმენ.“ დაუმოწმა თარაშმა უხალისოდ.

„ჰო, ჟერმენ. რა ქალი იყო ჟერმენ. პაჰ, პაჰ, პაჰ... ტკიპასავით არ მცილდებოდა ი ოჯახქორი. ტელეფონებით ამიკლო. ორი პასპორტიდან გამაგდეს მის გამო. მოვიდოდა სალამოს, ჩემს შეზლონგზე გაიმოთებოდა, ნაშუალამევდის არ წავიდოდა. რა ვქნა მე ლექციები მაქვს მეორე დღეს. ჟერმენ კი შეზლონგზე ნებივრობს.

ავიყვან ხელში, დავაცხრები ტუჩებზე, მოვსდრეკ, მოვთელავ, მაინც არ იღლება, ფერიასავით კისკისებს და ისევ მაღიზიანებს. სამ საათზე გავისტუმრებდი. ისევ ამოყვებოდა ლიფტს. რა ამბავია? ხან ხელთათმანს ივიწყებს განზრახ, ხან საპუდრეს, ხინ საფულეს. ისევ დაწვება შეზლონგზე.

აჰ, ჟერმენ, ჟერმენ, ნამდვილი დიაცი იყო, ჟერმენ. „ცივილიზაციის მიერ გახელებული დედალი“, როგორც შენ ამბობდი.

სორბონის ქალები ხომ გახსოვს, სერბიიდან, ჩეხო-სლოვაკიიდან, დანიიდან ჩამოსულნი, ჟენეველი ებრაელი ქალები, ალალების ხროვასავით რომ მოდიოდნენ ყოველ სემესტრის დასაწყისში, საქმროებზე სანადიროდ პარიზს ჩამოსული — სტუდენტი ქალები. კალიასავით მოედებოდნენ სორბონის, ეკოლ დე მინის, ეკოლ ნორმალის აუდიტორიებსა და დერეფნებს, თვალებს აცეცებდნენ, თავიანთ მსხვერპლს უთვალთვალებდნენ, ძუძუებით თეძოებით, ბარძაყებით, დუნდულებით, შეღებილ ტუჩების კაპრიზული პრუწვით გვახელებდნენ და მერმე გიყვარდეს „ფოლი ბერჟერი“, მალმეზონი და პარიზის პატარა სასტუმროების დანჯღრეული საწოლების ჭრაჭუნი...

პაჰ, პაჰ, პაჰ...“

ვახტანგ იამანიძე სუკის მწვადს მისწვდა. თარაშ ემხვარ სდუმდა. ერთი ნორვეგელი ქალი მოაგონდა, ჰედვიკინკ: „ქერა იზოლდეს“ რომ, უწოდებდა ხუმრობით. ყირიმის პურისფერი, თეთრი ძუძუები, ბროწეულის კვირტსავით მაგარი კერეტები, შაბიამანისფერი თვალები, ჭორფლიანი მაგრამ სალუქი სახე. სინანული წაეკიდა გულზე, ღვინო დაისხა და ვახტანგის უკითხავად გამოსცალა. იძალა ღვინომ. მეზურნეებმა მოუხშირეს დაკვრას.

„დავრდომილი, სნეული,
„უნუგეშოდ ვსტირი მე.“

მღეროდა ხმაჩახლეჩილი მეთარე. ელექტროს შუქმა იმატა.

„ახლა ჩემს ქარხანაშიაც მოთავდებოდა მეორე ჯერი. სადგურები განიტვირთენ...“

თარაშს მოსწყინდა იამანიძის სადღეგრძელოები. მახლობელ სუფრებს მოავლო თვალი: ტფილისელი ხელოსნები ისხდენ ერთ კუთხეში. ხელით სჭამდნენ, მადიანად ილუკმებოდნენ და სწორედ ხელებზე ეტყობოდათ, ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ. თარაშ ემხვარს ძლიერ უყვარდა მუშაკაცის პუგრის ჭამისათვის მზერა, მაგრამ მისი ყურადღება მეორე სუფრის ხმაურობ ა

მიიქცია ახლა. ხელოსნების გასწვრივ გრძელი სუფრა გაეშალათ. იამანიძე ამბობდა: ეს ქართველი მწერლები ქეიფობენო. თარაშმა მიიხედა. შარდინ ალშიბაია თამადობდა ამ სუფრას. იამანიძემ და ემზვარმა ყური მიუგდეს: მჭერმეტყველი შარდინი ჩვეულებრივის გულუხვობით არიგებდა „გენიოსის“, „დიდ ოსტატის“, „დიდი პოეტის“ და „დიდი მწერალის“ ტიტულებს (რადგან შარდინი სწორედ იქ იყო გულუხვი, როცა მას არაფერი ეხარჯებოდა). რომელიღაც თავწვრილა, ოქროკბილებიანი მოხუცი ფეხზე იდგა და იუბილარის კდემამოსილებით უსმენდა შარდინის ღალადისს. დღეგრძელების საგანი თავმოდრეკილი იდგა და ყველაფრის გამო ეთანხმებოდა (როგორც იუბილარებს სჩვევიათ ხოლმე), თავათაც ღვინო მოჰკიდებოდა დამჭკნარ ლოყებზე მწერალს და საპასუხო სიტყვაში სამკეცი ფიცით უმოწმებდა: მუქაფას მივუზღავო რუსთაველს. ახლ მეორე წამოდგა აგრეთვე ჭაღარა, გრძელ ულვაშიანი. მას ისეთივე გრძელი და ჭაღარა ულვაში ჰქონდა, როგორიც თამადას ექნებოდა, დროზე რომ არ შეეღება წინდახედულს.

რამდენიმე ახალგაზრდა იჯდა კუთხის ბოლოში, ღვინოს იპარავდენ, თანაც იცინოდნენ ჩუმჩუმად. ზედ ეტყობოდათ „გაბითურებას“ უპირობდნენ, როგორც თამადას, ისე შესაძლებელი იუბილეების პატივისცემულ კანდიდატებს.

საქულამ ცოცხალი მოიტანა.

დუქანში ღრიალმა იმატა. ერთი სუფრიდან მეორესთან მიდიოდნენ მთვრალები, შკენიერ სიტყვებს ეუბნებოდნენ ურთიერთს, მარადიულ ძმობას, ერთგულებას ეფიცებოდნენ, ღვინოს თავაზობდნენ. ლოყაზე უცაცუნებდნენ ხელს, მზეს იფიცავდნენ. ვიღაც, კინტოურ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი კინტოურსა თამაშობდა.

„ეს კინტოები კიდევ არ გადაშენდნენ?“

იკითხა თარაშმა ღიმილით.

„ისინი კიდევ ჩალიჩობენ, ამ უბანში კიდევ დადიან ლანდებივით ძველი ყარაჩოღელები, მეხანჯლეები, მემწვანილეები, ნაამქრალი ხელოსნები, ძველი ტფილისის ნანგრევებში ჯერ კიდევ დაღოღავენ აქა იქ...“ და ასეთ რესტორანებში, თუ გაიგონებ ზურნას, შიქასტებს და ბაიათებს.

ვახტანგ იამანიძემ ისევ იხმო საქულა. ღვინო მოატანინა.

„ეს ზურნა არ მიყვარს, ირანის უდაბნოების სევდა მოისმის ამ გულსაკლავ ჰანგებში.“

„არტაშ გენაც“ შესძახა მოხუცებულ მესალამურეს მოცეკვავემ და ისევ დაუარა. და ვახტანგ იამანიძემ განაგრძო:

„ტანში მაჟრჟოლებს, როცა ზურნის ხმა მესმის.“

„ქართული ჩონგური მაინც ყველაფერს მირჩევნია.

შენიშნა თარაშმა.

ვახტანგ იამანიძეს სადღეგრძელოები შემოელია. აქო ტფილისი, „ალმოსავლეთის პარიზი“. და ჭიქა აიღო ხელში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს შენ რომ მითხარი იმ ციხისთავის ხსოვნისა იყოს ჰერეკლე ბერძენთა მეფე რომ აგინა.“

„ეჰ, ასე იყოს...“

ჩაილაპარაკა თარაშ ემხვარმა და კიდევ გამოსცალა ჭიქა. მალე ღვინო მოერია ორივეს და აირია ურთიერთში მეზურნეების, მეინახეების, ერეკლე მეფის, საქულას, კინტოების, მწერლები, სპარსეთის, ყეენის, მამლების და ვერძების სილუეტები, ცოცხალი და მკვდარი, უკვე დახატული და აწ დასახატავის ურთიერთში არია ღვინომ.

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მამჭრეს,
რატომ კარგი აგიგია.“

მოსთქვამდა მეთარე დიდ ოსტატების ბედს, ჯერ კიდევ ბნელ დროებში ხალხის მიერ გამოტირებულს.

XXXV. გადასული ფერეგის სიმფონია

„რანი და მოვაკანი და სახლი და კარი, ბანი და ...
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და განი და ...
ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიგრძე, სივრცე და განი და..
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმანი, დანი და...

ვახტანგ VI

თარაშ ემხვარ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ევროპაში მაღლებული ენათმეცნიერული განსწავლა საქართველოს მუზეუმის ექსპონატებისათვის არა კმაროდა. მან თავი ვეღარ გაართვა ძველქართულს, არაბულს, სპარსულ, სომხურსა, და ასურულ წარწერებს. თავკიდურების, ბარელიეფების, ფრესკების მინაწერებსა და ქარაგმებს. ქართული, კოლხური, რომაული ბერძნული ფულების ქორონიკოები ვეღარ ამოიკითხა; ქალდეის თეთრი არწივები, ქართული წითელი გრანიტის ვერძები, ქორით მონადირე ქართველი მეფეებისა და ერისთავების ბარელიეფები, უდიდესი ველურობისა და ფაფინირებული კულტურების ნაშთები საგონებელში აგდებდენ მას. ცნობისმოყვარე კაროლინა არ ისვენებდა ყოველ ძეგლს განცვიფრებაში მოჰყავდა იგი.

წარამარა ეკითხებოდა თარაშს მათ სადაურობას და წარმოშვების თარიღს. თარაში ხან წაუყრუებდა, ხანაც ჭოჭმანით იმეორებდა ევროპელ მეცნიერების საეგებიო ვარაუდს. თამარ შარვაშიძისათვის ეს ყოველივე ჩინის ქვაზე დაწერილი ანბანი იყო. იგი ჩვეულებისამებრ მდუმარედ უსმენდა თარაშს, ეჩქარებოდა როდის გაათავებდა იგი დავიწყების მტვრიდან ამოტივტივებულ საგნების გამო თხრობას. ხანდახან შეპარვით უყურებდა მაჯის საათს (რადგან სწორედ 6 საათზე უნდა შეხვედროდა ანულის და მემრ

ფოქსტროტის საცეკვაოდ წასულიყვნენ). ეკრანის ზოლსავით რიალებდენ თვალწინ ძველბერძნული კერპების, ბიზანტიის კეისრების, ქართველი მეფეების, სპარსეთის შაჰების, საქართველოს უთვალავი ერისთავების, წმინდანების, ბერების, დედოფლების და ფეოდალების სახეები. ხევსურეთის დარბაზამდის მიაღწიეს და აქ ენა აიდგა თარაშ ემხვარმა. კარგად იცნობდა ამ მხარეს. ცალკე პირადი მგზავრობისა, ცალკერძ ევროპელი ეთნოგრაფების წყალობით. კაროლინას წინაშე სავსებით ახალი სამყაროს ბჭეები გაიხსნა.

თარაშმა ხეზე ნაწერი ხევსურული ლექსები წარსთქვა, წაწლობა ახსნა, ხევსურული ჯირითის, სისხლის აღების, უკარებლობის და ვაჟკაცობის ამბები მოიგონა.

* *
*

ახლა სვანურ დარბაზში შეიყვანა თარაშმა ქალები.

თამარი აქაც სდუმდა (როგორც ქართველ ქალებს სჩვევიათ ეს), დუმილით მალავდა თავის უვიცობას და უინტერესობას გაუგონარ ამბების მიმართაც.

უხალისოდ შესცქეროდა ექსპონატებს და უნებურად ხელს ახლებდა მათ.

კაროლინა აღტაცებაში მოიყვანა სვანური მაჩვიბის მორთულობამ.

ასეთ სახლში სიამოვნებით ვიცხოვრებდიო (კაროლინამ ეს არ იცოდა სვანურ მაჩვიბში არც ისეთი სისუფთავეა, როგორიც საქართველოს მუზეუმის მიერ გამართულ მაკეტების სახლშია წარმოდგენილი).

ახლა მკითხველმა წარმოიდგინოს ჩვეულებრივი შუაცეცხლი და ზედ შვებული საკარდლე ჯაჭვი. შუაცეცხლის გარშემო თანრიგობით დაწყობილია დასაკარცხულები და სამფეხა სკამები. მათ შორის უდიდესი და უკეთესი ჩუქურთმებით მორთული გვარის მამასახლისს, ქორა მახვშს ეკუთვნისო, ამბობდა თარაში. მათ მომდევნოზე ოჯახის სხვა წევრები სხდებიანო ასაკის მიხედვით. ხოლო მაჩვიბის გარშემო პატარა სარკმლები იყო მაკეტებით გაკეთებული. აქაც იგივე თანრიგობაა. ბოსლის პირველი სარკმლიდან მთავარი ხარის თავი მოსჩანსო. შემდეგ მოზვრები, სულ ბოლოს ძროხები და ხბოები.

— Es ist drollig ამბობს კაროლინა.

სვანური ტანისამოსი მიმოიხილეს. სვანეთის უკანასკნელი მთავრის კონსტანტინე დაედეშქელიანის დევკაცური ჩოხა აჩვენა თარაშმა ქალებს. ამ უზარმაზარი სატევრით ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს თავი წააცალაო დადეშქლიანმა. ახლა კულტების ახსნას შეუდგა თარაშ ემხვარი.

ბერძნული ფალოსის კულტი მოიგონა. იქვე კარიკატურული მანეკენი აჩვენა თავაჩქიანი რაინდისა. ბავშური მიამიტობით გაუკეთებია უბირი ოსტატის ხელს მამაკაცის ფიგურა, მშვილდ ისარი უპყრია ხელთ და უზარმაზარი, უპროპორციო ასო აქვს ამ კაცს ბზისაგან გაკეთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაროლინამ შეხედა ფიტულს, გაიღიმა და თამარს გადახედა.

Ein schamloser Kavalier — ჩაილაპარაკა

„საოცარი, გაუგონარი მისტერია ყოფილა სვანეთში ამბობს, თარაში. ღვთისმშობლობას, ლამარიობის დღეს საქმისა აიღებს ამ ასოს და დაემუქრება მარიამს ასე და ასე გიქენიო, თუ კარგი მოსავალი არ გინებებიაო ამ წელს.“

და პინდარის ლექსი მოიგონა: Erkrankdie Goftheit auch und will verehrt nicht sein.

მიჰყვნენ ისევ სვანურ დარბაზს.

„ესეც ქვათა თაყვანის ცემის ნაშთები“. უთითებს თარაში.

ჩამწკრივებულ ლოდებს უჩვენებს ქალებს, სხვადასხვა ღვთაებათა გამომსახველს. კაროლინამ ბევრი იცინა „ქვის გულისა“ და „დედა ქვის“ გამოპაწია „შვილები“ გარს ერტყა ამ ქვას. გამოხრულ კიდეებში ისე შეხიზნოდნენ შვილები ქვას, როგორც წიწილები კრუხს. თარაში იდგა. მისი ფიქრი მითოლოგიურ ანალოგიებს ეძებდა ამაოდ.

მონადირეთა იდუმალი ენის ნიშნები შეამჩნია კაროლინამ, სვანური ტაბუს თანდროული ნაშთები.

* *
*

თამარი აჩქარებდა კაროლინას. თავის ტკივილსა და დაქანცვას უჩივოდა.

ხვალ ვნახოთო ხელნაწერების განყოფილება.

„ხვალ ექიმთან მიმყავს თათია“.

ამბობს კაროლინა. რაკი შემოვედით, ბარე ვნახოთო.

ხელნაწერების განყოფილებაში შავწვერიანი, გამხდარი კაცი იჯდა, უშველებელ ფოლიანტს ფურცლავდა. სტუმრების დანახვაზე, მან შუბლზე აიკეცა რქის სათვალე, თავის მგლისებური თვალები მიანათა შემოსულთ. უძინარი სახე ჰქონდა, თრიაქით მთვრალს მიაგავდა იგი. ოდნავ დაფანტულად იმზირებოდა, კაროლინას მაღალ მკერდსა და თამარის ლელისებრ ტანს მაინც შეხედა ჯიქური მზერით, მერმე თარაშს მიუბრუნდა:

„მიბრძანეთ რა გაინტერესებთ?“

„ხელნაწერები“

მიუგო თარაშმა.

ზარის ფოლაქს ხელი დააჭირა მგლისთვალიანმა. შემოსულ მსახურს კლიტეები მოსთხოვა. კუსტოსი მოიხმო.

უზარმაზარი სეიფების კარები გამოაღო კუსტოსმა და ოდნავ ჩამობნელებულ არეში შეუძღვა სტუმრებს.

კუსტოსმა შუქი გააძლიერა, შემდეგ ამისა იკითხა: რომელი საუკუნის ხელნაწერები გნებავთო. კაროლინამ კუსტოს შეავლო თვალი. მაღალი, ჟღალწვერიანი, თვინიერი კაცი, იდგა მის წინაშე. ბერს წააგავდა ოდნავ.

თარაშმაც შენიშნა ეს: ქართული სახარების მინიატურებზე ენახა სწორედ ასეთი ჭალარა, წელში მოდრეკილი მახარობლები, და როცა კუსტოსი თამარს დანარჩენ სეიფებს უჩვენებდა, თარაშმა ეს უთხრა კაროლინას ხმადაბლა: „საოცარია, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში მოსამსახურენი ჩრდილებს ემსგავსებიან, ისე ფეხაკრეფით დადიან, თითქოს წიგნების ილლუსტრაციებიდან, ხელნაწერების მინიატურებიდან გადმოსულან და სული ჩაუდგამთო.

„რომელი საუკუნისაა ეს ხელნაწერები"? იკითხა თარშმა ცალყბად.

„მეხუთედან, მე — 19 მდე."

კაროლინა გააოცა ამ მაღალი კაცის წვრილმა ხმამ. ასეთი შთაბეჭდილება მიიღო: თითქოს სულ სხვა ადამიანის ხმაზე საუბრობსო იგი.

„ნომენკლატურა?"

იკითხა თარაშმა

„რვა ათასი".

„სიგელები"?

„18 ათასი".

კუსტოსი თაროებს მისწვდა და გადმოალაგა ეტრატები, ჭილისა და ქაღალდის ხელნაწერები.

„თქვენ ხომ იცით, ევროპაში მე-12 საუკუნეში შევიდა ქაღალდი, ჩვენ კი მეათე საუკუნემდის მოგვეპოვება".

ახლა პალიმფსესტი ეტრატი გადაშალა კუსტოსმა.

„აბა წაიკითხეთ პირველი დაწერილობა" ეუბნება თარაში.

კუსტოსმა საეგებიოდ ამოიკითხა:

„...ესე ვითარცა სიტყვასა არა დავაცადო საყვარელნო"...

ეს ხელნაწერი მეათე საუკუნეში გადაუწერიათო ქართველ ბერებს პალესტინაში.

მე-19 ს. ვიღაც რუს მოგზაურს შეუსყიდნია და როგორც „ეთიოპური კოდექსი" ლენინგრადის ბიბლიოთეკას შეუძენია, მეოცეში ბოლშევიკებს მოუტანიათო საქართველოში.

კაროლინა გაოცებული ათვალიერებდა ხელწერის იშვიათ შედევრს.

ახლა „მოქცევაი ქართლისაი" გადაფურცლა კუსტოსმა.

„აბა თქვენ წაიკითხეთ" ეუბნება კაროლინა თარაშ ემხვრას. თარაშმა ძლივს ამოიკითხა:

„და დაუტევა ჰერაკლე კეისარმან ჯიბღო ერისთავი კალას ბრძოლად და თვით წავიდა ბრძოლად ხვასრო მეფისა. ხოლო მან ჯიბღო მცირეთა დღეთა შემდგომად კალაი გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნითა აღუვსო და მერმე მრთელსა ტყავი გახადა".

და აქ უამბო თარაშ ემხვარმა ქალებს როგორ უწინასწარმეტყველა ციხისთავმა ჰერაკლე კეისარს სპარსეთის მიმართ გამარჯვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარობლობისათვის ოქროთი გაუვსესო პირი ციხისთავს, ხოლო ურჩობისათვის ტყავი გააძვრესო.

რომელიღაც ასტროლოგიური ეტრატი გადმოიღო კუსტოსმა, კაროლინამ ისევ საეგებიოდ დაადო ხელი ეტრატს და თარაშმა ამოიკითხა და გადუთარგმნა:

„ესე არიან ათორმეტნი ეტლნი: ვერძი, კუროი, ტყუბი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიაკალი, მშვილდოსანი, თხის რქაი, წყლის საქანელი, თევზი.“

და ფურცლავდა კუსტოსი ეტრატებს, ჭილის, ქალალდის ხელნაწერებს და პალიმფსესტებს.

ახლა თამარ მეფისათვის გადაწერილი წიგნები გადმოალაგა კუსტოსმა, თარაშ ემხვარმა ეტრატს ხელი წაავლო, მისი სირბილე შეიცნო.

მიხეზი იკითხა.

„ეს დედის მუცლიდან გამოყვანილ, უდღეურ ბატკნების ტყავზეა გადაწერილი, მდვნი ჯოგი მოუნდებოდა ამ ერთი წიგნის შედგენას.“

კაროლინა ცნობისმოყვარეობით აღვსილი ათვალიერებდა მინიატიურებს, წერადდამჯდარ მახარობელზე შეაჩერა თვალი. ლამაზიაო წერადდამჯდარი კაცის პოზა. გასაოცარი ნების სიმტკიცე გამოკრთოდა ამ შესანიშნავ ხელნაწერიდან, იგავმიუწვდომელის ხელოვნებით იყო ვინიეტები შესრულებული.

ქართული ანივით მოდრეკილი ახგელოსი გამოხატავს პირველ ასოს პირველი სიტყვისას. ვეფხქალი ჩონგურს უკრავს, იქვე ხოხბები ხატია, ნიამორები, ჯეირნები, ფრთიანი ლომები, სპილოები, მიმინოები, აქლემები, მაიმუნები, ველური ხარები, ფარშავანგები და დურაჯები.

„ესეც ცნობილი პარხალის ქრესტომათია“

ამბობს კუსტოსი.

„გასაოცარი ბედი სწვევია ამ წიგნს. იგი მეათე საუკუნიდან ჩარჩენილა კლარჯეთში, მერმე მთელი ოლქი გათურქდა, ერი გადარჯულდა და წიგნი ჩარჩა, შემდეგ მე-17 ს. გამოუსყიდნია მარიამ დედოფალს.“

ახლა სახარება გადმოიღო კუსტოსმა, გლეხის მიერ შეკვეთილი მე-12 ს. ორი ქცევა მიწა მიუციაო გლეხს ამ წიგნის გადამწერისათვის.

უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია ბაგრატ მეოთხის აფხაზთა და ქართველთა მეფის ასულის მიერ კონსტანტინეპოლში გადაწერილმა საკითხავმა.

იგი ბიზანტიის იმპერატორის მიქელ დუკასთვის მიუთხოვებიათ და იქ გადაუწერია წიგნი მე-11 საუკუნეში.

თარაშმა დიდ ფოლიანტს ხელი წაავლო. ბოლოს მინაწერი ამოიკითხა.

შენდობას თხოულობდა მონა ღვთისა გაბრიელ პატარაჲ ამ უხარმაზარი შრომის გადამწერი. „გაბრიელ ჰსკაველი და გაბრიელ ხორგაჲ დიდად დამიდგეს თანა, ოდეს მიმჭირდეს მათ პურაჲ მციან. იოვანე გაცვეთილმან კუტალაითა ღვინოი მომართვა“.

ახლა რუსთველის ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერები გადმოალაგა კუსტოსმა, უბადლო ოსტატობით შესრულებული მინიატიურებით დამშვენებული. საუკუნოების ნისლიდან გადმოგვცქერისო ეს ცოდნა ჩამოყალიბებული ჯადოსანი. და მისი ვინაობა რომ არ ვიცით, ეს მომეტებულის შარავანდით მოსავსო ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფეთა მეფეს. ახლა საბა ორბელიანის და დავით გურამიშვილის ხელნაწერები მოიღო კუსტოსმა. გულდაკოდილი დავით გურამაშვილის საცოდავი ავტოპორტრეტი, მას პრუსიული ფრაკის მაგვარი სამოსი აცვია. ცას შესჩივისო თვალებზეაპყრობილი ეს მეფე ლირი ქართული პოეზიისა.

მტკივნეულად იგონებდა ემხვარი სამივე გენიოსს საქართველოდან გადაკარგულს.

ვახტანგ მეექვსის კანონები, ლექსები და ტრაქტატები გადმოალაგეს, მისი ვაჟის ვახუშტის ძვირფასი ეტრატები.

თამარი ისევ სამაჯე საათს დაჰყურებს, მაგრამ აჩქარებას ველარა ბედავს.

თარაშ ემხვარ სარკმელთან მივიდა. ამ ერთ საათში 15 საუკუნეს მანძილი გაირბინა მისმა გონებამ და როცა ავტომობილების ბღავილი და რუსთველის პროსპექტის ქოთქოთი შემოიჭრა გარედან, მას სიზმარში ეგონა თავი.

სეიფების მძიმე კარები დაჰკეტეს. თამარი თავის ტკივილს უჩიოდა ისევ, მაგრამ კაროლინამ ხელსაქმის ნახვაც მოისურვა.

თარაშ ემხვარს ცალი ხელი თამარისთვის წაევლო მკლავში, ცალიც კაროლინასთვის გაეყარა, მაგრამ სულ სხვაგან ჰქროდა მისი გონება: წელში მოდრეკილი მწიგნობრები ელანდებოდა მას, საუკუნოების მტვრითა, ოფლით და ცრემლით გაზინთული ეტრატები, და ჯერაც მის თვალთა წინაშე იხსნებოდნენ, იკეცებოდნენ საუკუნოები, როგორც წეღან ნანახი ეტრატის გრაგნილები. და კიდევ მოესმოდა მას, გადამწერლების, მწერლების საწყალობელი ჩივილი შენდობით მოგვიხსენეთო რომ იხვეწებოდნენ მოკრძალებულ მინაწერებში ერთი საცოდავი გადამწერის ვედრება თან წამოყვა თარაშემხვარს: „მოგვიხსენეთ და ლოცვაი ჰყავთ ჩვენთვის, რამეთუ ვიყავით ჩუენ, ვითარცა თქუენ და იქმნებით თქუენ, ვითარცა ჩუენ.“ ახლა ხელსაქმის დარბაზში შეუძღვა კუსტოსი სტუმრებს.

* * *

შუშის კარადები მტვრისფერ ტილოთი იყო დაფარული, და ეს მწკრივად ჩარაზმული თეთრი კარადები, მარმარის სარკოფაგებს მიაგავდნენ.

პირველ კარადას ახადა კუსტოსმა საფარი და შესანიშნავი საქორწინო რიდე გადმოიღო, თეთრი აბრეშუმის ფონზე ოქროს მალათით ექარგნათ ცისფერფოთლიანი, მწვანე ეკლიანი, შინდისფერ კუკურიანი ვარდები. ეს

ყვავილები ისე ხასხასებდნენ თითქოს თოვლზე დაუყრიათო ახლად მოწყვეტილი ვარდები.

კაროლინა აღტაცებაში მოიყვანა ამ საქორწინო რიდემ.

თამარი დაქანცული იყო, მაგრამ ამ ვარდების დანახვამ [illegible] ამოაფხიზლა.

თარაშმა თამარს შეხედა და იგულისხმა მის სხეულზე ეს საქორწინო რიდე.

მეორე კარადას ახადა საფარი კუსტოსმა. ეს უძველესი დორია, ეუბნება კაროლინას. შინდისფერ ფონზე ძეწნის ფოთლების მინაგვარი მედალიონები იყო გამოსახული, თეთრი მძივები და კილიტები იმ ელვარებს ანიჭებდა ნაქარგს, ივნისის მიწურულში რომ შეუდგება ძეწნის ფურცლობას. და ეს გასაოცარი ფერთათამაში, ნაქარგის სახეებს აცხოველებდა.

ახლა მეორე დორი გახსნა კუსტოსმა, უფრო გვიანი საუკუნის ნახელოვნები.

ეს იყო სითვიანი ნაქარგი. გვირილის თეთრი ყვავილები კილიტებით შეემკო ხელოვანს და ყვავილთა გარშემო მუხის ფოთლები ამოექარგათ.

ხასხასა ლაჟვარდისფერი იმ მოყვითალო სიმწვანეში გადადიოდა, ახალ-ფურცლობის ჟამს რომ ეშჩნევა ფოთლებს მუხისას.

ლეჩაქების კარადა გააშიშვლა კუსტოსმა.

ყაისნაღურით ნაქარგი ლეჩაქები გამოჩნდა ოქრომკედით კიდემოქარგულნი.

„ეს მანდილი მეცამეტე საუკუნის ნამუშევარია“, ბუტბუტებს კუსტოსი.

ფაიფურისფერ ფონზე სხივოსანი მზეა ოქრომკედით ამოქარგული და ამ მზეს უთვალავ ვარსკვლავთა ასაბიები გარს ახვევია ვერცხლმკედით ნაქარგი და ბრჭყვიალა კილიტებით დამშვენებული.

თარაშმა თამარსა და კაროლინას წაავლო ხელი და გულისპირების კარადასთან მიიყვანა.

— Entrückend!“

ამბობს კაროლინა. ცისფერი აბრეშუმის გულისპირს მიაჩერდა, წვრილ-წვრილი საპფირონებითა და ზურმუხტებით დამშვენებულს.

ახლა მეორე გულისპირი შენიშნა თამარმა: თეთრ აბრეშუმზე დიბად ამოქარგული, მანებით დამშვენებული. ჭადრის ფოთლები ამოექარგათ კიდეებში.

ცისფერი, ზღვისფერი, შემოდგომის ფოთლებისფერი ფარჩის კაბები უჩვენა კუსტოსმა თამარს, ფერადფერადი გულისპირები, ელაგა მათ გვერდით.

ახალთახალი იყვნენ ეს კაბები, მაინც ეტყობოდა ზედ: ლამაზმანების თაობებს გაეხადათ ისინი და ახლა ამ მუზეუმს ამშვენებდნენ, მაინც ნამკვდრევის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

უძველეს ნიმუშების ოქრომკედს სიყვითლე შემატებოდა, ხოლო აბრეშუმი შემჭკნარიყო ოდნავ და თეთრი ფარჩის ფონი ჩინური ვარდის ფურცლებს მოგაგონებდათ. (გადაცვლილი საყვარლის საკერავებში ნაპოვნს!)

მიუხედავად ამისა, ფერების ჰარმონიული შეთანხმება საოცარის სინატიფით სუნთქავდა, კეთილშობილი და წყნარი ფერებით გაცხოველებული.

„აჰა ჩვენს ხალხურ პოეზიაში შექმნული მოვის პერანგები.“

ამბობს თარაში და თამარს უჩვენებს შინდისფერ აბრეშუმის პერანგებს. ჯვრისწერის ღამეს რომ იცვამდნენ პატარძლები, მარგალიტებით საკინძე მოოქვილნი.

ქარი ჰქრის, ქარი გრიალებს,
მაღლა ფარდებში ბერავსო,
შიგა ზის ქალი ლამაზი
მოვის პერანგსა ჰკერავსო.

შინდისფერივე შეიდიშები შენიშნა კაროლინამ. იკითხა. კუსტოსმა განუმარტა. ასეთი შარვლები ეცვათო ჩვენს ქალებს მე-19 საუკუნემდის. შეიდიშების ტოტებზე ყვავილების სახეებში, ხან ურჩხულები ელავდნენ, ხანაც ქორბუდიანი ირმები, და მშვლის ძუძუსმწოველი ნუკრები, მოკენწლავე მამალი ხოხბები, მორკინე ირმები, მშველები და გაქცეული ნიამორები.

შესანიშნავი აბანოს პერანგები გადაიშალა მათ თვალწინ ოქრომკედით, ვერცხლმკედით და ფერადი ძაფებით ნაქარგნი.

ერთნი შინდისფერნი, სხვანი პირისფერნი. იშვიათის ოსტატობით შეესრულებინა ხელოვანს მცენარეული კლაკნურები, უბეფოთლოვანი, უბემარყუჟა, კიდეებში სულდგმულიანი სახეები, ორმაგ მიმიკრიას იწვევდნენ ისინი მნახველში, ხან ირმები ეჩვენებოდა ამ ფიგურებში თვალს, ხანაც რომელიღაც მცენარე უცხო და უცხო ფურცლობისა.

ისევ ქალის ქათიბის ყურთმაჯები აჩვენა ქალებს კუსტოსმა, ოქროს ფოჩვებიანი სარტყლები ოქრომკედით კიდეშემოქარგული (ზერდაგი ცხენის ფაფარის დარად დაფანჩულნი.)

სხვანი თეთრი ფარჩისა, პურისათველიანი, ოქრომკედის მანებით დამშვენებულნი.

შემდეგ კარადას გადააცალა კუსტოსმა ტილოს საფარი, ახლა აბანოს სუზანები გამოაჩინა. თოვლისფერ ფონზე მცენარეული კლაკნურით და ყაისნალურით გამოყვანილი იყო ვაშლის ყვავილები, თეთრი მალათით ნაქარგი, ცალ კიდეზე საკმაოდ მიამიტი ლექსები იყო ამოქარგული „სალხინოდ მოსახმარი“ და სხ.

ისევ მოვის პერანგები, ყურთმაჯები, სარტყლები, კაბები, ნამუშევარნი ელაგნენ კარადებში.

იგივე კეთილშობილი ფერების შერჩევა, სისადავე ნაქარგისა (უაღრეს სირთულესთან მომიჯნე) ფერთა სიუხვე, მრავალგვარობა, მყვირალა ფე-

რების ნაკლებობა და რაც უმთავრესია ხელოვნებისათვის [illegible] გემოვნება. აბრეშუმის ძაფი ხან ოქროს ძაფთან იყო შეუღლებული, ხანაც თეთრ სირმასთან.

სამკაულების კარადებს ახადა კუსტოსმა ფარდა, თამარმა ოქროს ჯვარი შენიშნა მათ შორის, მასსიური ოქროსი, ცალმხარეზე მინანქარი, ცალზედაც ოქროს ნაძერწი, დიდრონი ლალებითა და საპფირონებით დამშვენებული.

კაროლინა მანიაკებს შესცქეროდა მარგალიტების, მარჯნის, ალმასების და ფირუზების მანიაკებს.

კიდევ ელავდნენ ჟამმოჭმული ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, საპფირონებით, იაგუნდებით, ლალებით, ვეშაპისთვლებით შემკულნი, პატარა, საწოლის ხატები, ბერძნულად, ქართულად მოოჭვილნი, მინაქარისა და ოქროისანი. ლალებით, იაგუნდებით, ზურმუხტებით შემკულნი, წვრილი ნიშაბურის ფირუზების დამშვენებული აშიები, პატიოსანი ბადახშანებით, დიდრონი ლალებით, ობოლი მარგალიტებით, სინსილებითა და ოქროს თითრიმებით მოსილნი.

ყელსაბამები დიდრონი მარგალიტებითა, ლურჯი იაგუნდებით, დახვრეტილი იაგუნდებით, თმისსატენები, შადის მარგალიტიანი, გულისპირის ჩამოსავლებნი პირის მარგალიტის ჯინჯილებითა.

კაროლინამ წითელი და ყვითელი იაგუნდების ბეჭდებს დაადგა თვალი.

საპირფარეშოს საჭურველნი გადმოალაგა კუსტოსმა:

ოქროსგან ნაკეთები ყურის საწმენდი ილარი, ვერცხლგადაკრული ნიჟარები,

უმარულის სალესნი, თმისსაყოფნი და საკბეჩულნი, ნაირნაირი მიჭვრიტანები, წარბის სავარცხელნი, ხატის, ჯვრის, წიგნის, ფსალმუნის ბუდენი, ვერცხლის მაკრატელნი, ინის თასები, დახატული ყუთები, ჭაწია ზანდუკები, სირმის თავსაკრავები, ნარინჯისფერი საღამური პერანგები, სოსანისფერი შინდისფერი მოვისა და ყირმიზი დარაიისა.

გიშრისა და მარჯნის კრიალოსნები თვალში მოხვდა თამარს.

ქარვის ჯვრები სირმის ფოჩვებიანი, სირმით ნაკერი ხელსახოცები, ქირმანის შალის თავსაფრები, აბრეშუმის ყამჩები, დიბის ქათიბები, იეზიდის ნაქსოვები სიასამურის ბეწვეულით შემკულნი, ფრანგული ატლასის კაბები, ხორცისფერი პერანგები, ცისფერი ტალმები.

აბანოს საჭურველნი აჩვენა კუსტოსმა ქალებს: ქირმანული ხალიჩები, აბანოს პერანგი ქალისა და ვაჟისა, ერთი ბროწეულის ფერისა, ხოლო მეორე სოსანისფერი, ქისები, ბოლჩები, ხავერდგადაკრული წვრილი სკივრები, სპილოსძვლის ნარდები, სადაფის საწერლები, ვერცხლის სასანთლენი,- ვერცხლისა და ოქროს თასები, ფიალები, ვერცხლის სამარილენი, თეფშები, სპილენძის, რვალის, ოქროჲსა და ვერცხლის სურები, ნიამორებისა და ხოხბების ფიგურებით დამშვენებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზითვის ბოლჩებთან მიიყვანა თამარ კუსტოსმა.

ოქრო და ვერცხლისკედით იყვნენ ისინი ნაქარგნი ფერადფერადი ქილიტებით შემკულნი, ზოგიც ფერადის ძაფითა, ყაისნაღურით შესრულებულნი. იქვე ელაგნენ კედლის საფენნი. ნარინჯის, ბროწეულის, სოსანის ფერისანი. ყოველი მათგანი ნატიფი ფერებით იყო ნაქარგი.

ახლა ქისები უჩვენა კუსტოსმა მუქლურჯი, ცისფერი, ზღვისფერი მძივებით ნაქარგნი, მცენარეულნი და სულგამულნი კლაკნილებით შესრულებულნი „ ეს უძველესი ქისაა ჩვენს კოლექციაში “ ეუბნება კუსტოსი თარაშ ემხვარს, მე-14 საუკუნის ხელსაქმის ნიმუშიაო.

ვეფხი იყო ზედ გამოხატული და ძველებური მხედრულით ლექსი ეწერა ზედ. ისევ მოკენწლავე მამლებითა და სირმის ფუნჯებით დამშვენებული ქისები. თარაში გიორგი შარვაშიძის დედისეულ დარაიასთან შესდგა, თამარი იხმმო კაროლინას წაუკითხა ზედმოქარგული მხედრული წარწერა. ერეკლე მეორის სარტყელი შესანიშნავი ჰინდური ნაქსოვი. დარეჯან დედოფლისეული ყაჯარი აჩვენა კუსტოსმა კაროლინას, შინდისფერი ფონზე ვერცხლმკედითა და ოქრომკედით ნაქარგი მცენარეული კლაკნურებითა და ფერადფერადი კილიტებით შემკული. იქვე ეკიდა ნაქსოვი მოსართავები, აბრეშუმის სადავენი და ორტოტიანი მძივის მათრახები.

ერთი მეორე ყაჯარი შენიშნა თამარმა. ქართულ ჯეჯიმზე ყაისნაღურით ამოექარგათ რომელიღაც სუბტროპიული მცენარე. ყაჯარი ოქროსფერი ფუნჯებით იყო მორთული.

წვივსაკრავები გადმოალაგა კუსტოსმა. მძივისა და სირმის ფუნჯებიანი, ერთერთ მამაკაცის წვივისაკრავზე შაირი იყო ამოქარგული:

„მუხლს ვესურვი, მისართმევი ვარ ლომისა, ტანად ალვა, ფერად მზისა“.

იქვე იდგა ქართული აკვანი, ღვინისფერ აბრეშუმზე ოქრო-მკედით მოქარგული არტახები, დასასრულ სპილოსძვლის თითისტარმა მიიპყრო მათი ყურადღება ოქროს კვირისთავით დამშვენებულმა.

ლალები ისხდნენ ზღვისფერ მინანქარის ფონზე.

ქართული უძველესი ოქრომჭედლობის ნიმიშები გადმოულაგა კუსტოსმა სტუმრებს: ბაგრატ კურაპალატის უზარმაზარი ვერცხლის ჯვარი, წმინდა პეტრეს ფიგურა შენიშნა კაროლინამ ლომზე შემჯდარი. დავით აღმაშენებლის ოქროს ჯვარი: ხუცურად ამოიკითხა ემხვარმა: აფხაზთა, ქართველთა კახთა და ლეკთა მეფეს მოანიჭეო ქრისტეანობის მზე, გიორგი მეფის მიერ თამარისადმი მირთმეული ოქროს ხატი, თამარისეული ხატი, წითელი ლალებით და ემალის მხატვრობით დამშვენებული, ისევ ოქროს, ვერცხლის და ემალის ნამუშავარი მე-10 და მე-12 საუკ. უზარმაზარი ჯვარი შამადავლე კურიელისა, ახლა კათალიკოსების ტიარები და ხატები აჩვენა კუსტოსმა სტუმრებს, აუხსნა უძველესი ქართული ემალის ხელოვნების მნიშვნელობა, მისი აღორძინება მე-10 ს. და გადასვლის მიზეზები ახსენა. ბექა ოპიზარის ოქრომჭედლური ოსტატობა მოიგონა.

თარაშ ემხვარმა გელათის მოზაიკა გაიხსენა, იგვიმეორებდა: „ეს ადგილი ... მეოცე-ერიაო მთელ მსოფლიოში, იგი ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინეს ... ... დავით ალმაშენებლისათვის.

კაროლინა ახლა ფრესკების დარბაზებისაკენ მიიწევდა, პრეისტორიული განყოფილებაც უნახავი დაგვრჩაო ჩივოდა, თარაშმა თამარს შეხედა, იგი არას ამბობდა, მაგრამ სავსებით მოქანცული სჩანდა.

მდუმარედ ჩამოვიდნენ კიბეზე სამივე, მხოლოდ მუზეუმის ტალანში გაიღო ხმა კაროლინამ:

მუზეუმი ნამდვილი საკუჭნაოაო, განვლილი გრძნობების, გადასული ფერების, გადახდილი ომების ძველი საკუჭნაო. ასე მგონია სასაფლაოზე ვიყავითო.

„როგორ მშვიდად უცქეროდნენ ერთსა და იმავე კედელზე ერთმანეთს თამარ მეფე და თემურ ლენგი, ერეკლე მეორე და მისი მოსისხარი ალამაჰ-მადხანი. რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და დასძინა: „სპექტაკლი გათავდა. მსახიობები წასულან, უპატრონო ნიღაბები დარჩენილან აქა-იქ“.

ესა სთქვა თარაშ ემხვარმა და თამარსა და კაროლინას ხელი გაუყარა.

რუსთველის პროსპექტზე შინმობრუნებულ ბულებსავით ზმუოდნენა ვტომობილები და მანქანები. ჰაეროპლანები გუგუნებდენ ცაში.

XXXVI. მთაწმინდის მთვარე

მთა წმინდაზე, ფუნიკულიორის რესტორანში ისადილეს იმ დღეს თამარმა და თარაშმა. გვიან მოვიდნენ, ამიტომაც ულიმღამოდ უკრავდა ორკესტრი. თამარმა შენიშნა: როიალი სავსებით მოშლილი იყო. გაცვეთილ სიმღერებს მღეროდნენ ესტრადის არტისტები. მერმე რადიოს გადაცემა დაიწყეს. თარაში საერთოდ უხალისოდ სჭამდა. იშვიათად შეესიტყვებოდა თამარს, მაგრამ როცა ქართული ხალხური სიმღერები მოისმა, განწყობილება შეეცვალა. თამარის გამხიარულებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. თამარი ნერვიულობდა. წარამარა საათს დახედავდა, ეს უფუჭებდა განწყობილებას თარაშს. დიდხანს მოწყენილნი ისხდნენ, მრავალი წლის ცოლქმრული ცხოვრება გაევლოთ თითქოს. თამარმა რამდენჯერმე ახსენა ანული. მერმე ინსტიტუტი მოიგონა. დოკუმენტები წარვადგინე, პასუხს ამ დღეებში მომცემენო.

თარაში სდუმდა. არც ანულის ხსენება ეპრიანებოდა, არც ინსტიტუტისა თამარს უკანასკნელი წინადადებაც მოთავებული არა ჰქონდა, ისე ანაზდეულად გადახედა ტფილისს თარაშმა და ასეთი რამ უთხრა თამარს:

„საოცარია, ეს მთები გნოლისფერი ხდებიან შემოდგომაზე, აქაური კურდღელიც გნოლისფერია ამ დროს“.

თამარი გაოცდა. ვერ გაიგო: რა შუაში იყო ან კურდღელი, ან გნოლის ფერი მთები?

თამარმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ შეამჩნია სიტყვა რომ ბანზე აუგდეს, ისევ ინსტიტუტს დაუბრუნდა. ანული მანუკარაძეს მიყვებაო ცოლად.

თარაშ ემხვარმა ჭიქაში დარჩენილი ღვინო მოსვა და ეუბნება:

„იცი თამარ, მე მაინც ასე მგონია, კურდღელი უნიჭიერესი ცხოველია ნადირთა შორის“.

თამარმა თავისი მომშვილდული წარბები ზეასწია. ჯიქურად შეხედა თარაშს, ეუბნება:

„მე ძალიან მაწუხებს მისოუსტ, შენ ყურისგდება არ იცი საერთოდ, რა შუაშია აქ კურდღელი, მე ანულის შესახებ გელაპარაკები და შენ კი კურდღელს ახსენებ“.

„მაპატიე თამარ, მე ცოტა დაბნეული ვარ. ჩემი ცხოვრება დაიბნა და რად გიკვირს, რომ შეც დაბნეულად გელაპარაკები. რაც შეეხება ყურადღებას, მე მხოლოდ საყურადღებო ამბების ყურადღება თუ შემიძლია.“

„რად ამბობ მაგას მისოუსტ?“

„მე ასე ვფიქრობ“.

თამარმა ჭამა განაგრძო. უხალისოდ სჭამდა, საინს დასჩერებოდა.

თარაშმა კავკასიონისკენ გაიხედა. მზე ჩადიოდა და ვარდისფერი შუქი მოჰფენოდა ყაზბეგის ორმაგ კუზს აქლემისებურს, ხოლო საბძელის მყინვარი ძოწის სამოსში გახვეულიყო.

ახლა აღმოსავლეთისაკენ გაიხედა თარაშმა, ბინდი ეფინებოდა ტფილისზე მომდგარ ტრამალების ზღვას. და ეს თვალშეუდგამი სტეპები ოკეანეს მიმზგავსებოდნენ, ოკეანეს ისეთ მომენტში, როცა იგი უცაბედი გრიგალის მოლოდინში მუქ ფერებს დაისხამს და გაიტრუნება. ხოლო კახეთის გასწვრივ გაჭიმული კავკასიონი, ხასხასა ცისფერი გამხდარიყო და ვულკანისაგან ჩამოლეწილი თეთრი ტალები გაქცეული შველის უკანალსავით დასტყობოდენ მთების მწვერვალებს აქა-იქ.

და მთელი ზურგი კახეთის კავასიონისა ისე მოსჩანდა თითქოს აკვარელით უხატნიაო იგი პირველოსტატს ქვეყნის შექმნისას.

და როგორც ჭარმაგ კაცს, ჯერ სავსებით მხნესა და გულმაგარს, მოულოდნელად მოეწიოს სიბერე, ისე მეყსეულად შეიბურა ცა მუქი ფერით, და მგლისფერი გახდა ტრამალები ტფილისის კარზე მოზღვავებულნი და კავკასიონი ღამემ მოსჭრა ცაზე იასპის ფრად.

თამარმა მოიწყინა. თარაშმა მსახური იხმო. მობორიალდა მსახური და ისევ გაუჩინარდა.

თარაშმა ჩანგალი აიღო. მკვახედ დაარახუნა თეფშზე. მსახურმა ანგარიში მიიტანა.

უსიტყვოდ წამოდგნენ.

უკვე რვა საათი გამხდარიყო.

თამარს იმედი ჰქონდა: თუ ფუნიკულორის ვაგონით ჩავიდოდენ ქალაქში, ანულის კიდევ შინ მიუსწრებდნენ. ანული უთაოდ მოუცდიდა თამარს.

თარაშს კი ეს უნდოდა: ფეხით ჩამოსულიყვნენ მთაწმინდიდან.

აქაც გზა ჯვარედინზე გაიყარნენ მათი სურვილები.

თამარი შეეშინდა: ნებას დაჰყოლოდა, თუ...?

და სწორედ ამ დროს თარაშ ემხვარმა მკლავში წაავლო ხელი.

(მან კარგად იცოდა ქალის ფსიქოლოგია: ქალს სწორედ ისეთ დროს უნდა წაავლო ხელი, როცა იგი ეშინოდეს მოყვება).

ხელი წაავლო და ზიგზაგით ჩამომავალ ბილიკს გაუყენა.

„წამოდი ანულისთან მისოუსტ, რა, ფოქსტორტი ვიცეკვოთ, რაა!.“

ეუბნება ვედრების კილოთი თამარი. „დავბრუნდეთ, ფუნიკულიორით ჩავიდეთ და მივუსწრებთ. უთუოდ მოგიცდითო, დამპირდა ანული“.

„გვიცადოს სანამ არ მოსწყინდეს.“

„მე მინდა ფოქსტორტი ვიცეკვო მისოუსტ, რაა...“

თარაშს ემხვარს ანაზდეულად მოერეოდა ის ერთი ბოთლი ღვინო და ამიტომაც გულახდილად ეუბნებოდა თამარს: „დღეს რაც გიჩვენე იმის შემდეგ თუ ფოქსტორტი გენატრება, მაშინ შენ ის თამარი არა ყოფილხარ, რომელიც მე მიყვარდა“.

„შენ დიდი ეგოისტი ხარ მისოუსტ“.

„ეგოისტი? ალტრუისტები დამთხვეულებია“.

შენებური აფოროზმები დაიწყე“?.

„თუ ჩემი აფორიზმები მოგწყინდეს, ანულისა და მანჯგალაძისა მოისმინე. დაბრუნდი და წადი მათთან“.

თამარმა ტუჩი მოიკვნიტა. დადუმდა.

თარაში ბილიკზე შესდგა. დოინჯი შემოიდგა. ტფილისს გადახედა.

შთაბეჭდილება ასეთი იყო: გრიგალს ჩამოებერტყა თითქოს გარსკვლავების ლაშქარი ციდან და შეფენილიყვნენ ისინი მანდიკურად მტკვარზე გადაფენილ ტაფობზე. ტფილისის გორაკებზედაც ლიცლიცებდნენ ელექტროს წინწკლები, ცახცახებდნენ, ციმციმებდნენ და ჰყვაოდნენ, როგორც ბაიები შავი ხავერდის ფონზე.

ქერუბიმებსავით ზეწამოდგომოდნენ ტფილის ქალაქს ქარხნის მილების სილუეტები. ურჩხულების დარად დაკლაკნილნი ამეთისტოს ცისკენ მიიწევდნენ კვამლის დაგრაგნილი სვეტები.

თამარი და თარაში ხელგაყრილნი ჩამოდიოდნენ მთიდან. თარაშს კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მარტოკა გადგომოდა ამ გზას. მარჯვენა ხელში ეჭირა თამარის მკლავი, მაინც არა გრძნობდა მის სიახლოეს. და მართლაც თამარი ამ წუთში ამას ფიქრობდა: ნეტავი კიდევ თუ მიცდისო ანული?

ხანაც ფოქსტროტის მოცეკვავე წყვილების სილუეტები რიალებდნენ მის წარმოდგენაში.

„იცი მისოუსტ, ანულიმ ექიმი თედელური რომ გაგვაცნო, იგი ბურმე საუკეთესო მოცეკვავეაო ტფილისში.“

„შენ კიდევ ფოქსტროტის გამო ფიქრობ?“

„ფოქსტროტი შენც მოგიხდება მისოუსტ. შენ ტანადი ხარ და გემოვნებით გაცვია“.

„მე გემოვნებით ვიცვამ, მაგრამ უგემურ ცეკვას თავს ვარიდებ, თამარ“.

„მაინც რად არ მოგწონს ფოქსტორტი“?

„ფოქსტროტი სიფილიტიკ ინდიანელების მოგონილია და პარიზელ დემიმონდენების საყვარელი ცეკვა.“

„ექიმი თედელური მეუბნებოდა ძალიან გშვენისო ფოქსტროტი“-

„ოო, ექიმებმა ბევრი რამ იციან!“

„შენ ასეთი ახირება გჩვევია, ყველაფერზე რაც შენ არ მოგწონს...“

„მე მინდოდა დარაიას კაბა შეგიკერო, ქართული აჟურებითა და მანებით მოქარგული თამარ, დღეს რო ვნახეთ ისეთი. ფოქსტროტის მოცეკვავეს ეს არ დაშვენდება“.

„მე ისეთ კაბას ვერ ჩავიცვამ მისოუსტ.“

„რატომ?“

„ჭვრეტას დამიწყებენ, ისედაც ველურსავით მიჭვრეტენ ქალაქში, ჩემი ნაწნავების გამო. ანული მირჩევს მოიკვეცეო“.

„შენ თუ თმა შეგიკრიჭავს, ჩემი სახელი აღარ ახსენო თამარ.“

თამარი შესდგა. თარაშს შეაჩერდა სახეზე.

„შენ მართალს ამბობ მაგას მისოუსტ?“

„მართალს გეუბნები, იცოდე“.

თამარმა გაიცინა.

„მე არა მგონია შენ ასეთ წვრილმანს აყვე“.

„წვრილმანი და ბზვილძანი არ არსებობს ამ ცხოვრებაში. პლანეტებთან შედარებით, მთელი ჩვენი ცხოვრება წვრილმანზე წვრილმანია“.

თამარი დადუმდა და დაწინაურდა. რომელიღაც ბნელფრთიანი ფრინველი ადგა ჩირგვიდან და რეტდასხმული გაუჩინარდა ბარდებში.

გზის ასაქცევთან ქალვაჟნი მიყრდნობოდნენ ხეს და უხმოდ ჰკოცნიდნენ ურთიერთს. თარაშმა ისევ გაუყარა თამარს ხელი, მაგრად, მაგრად მიიკრა გვერდზე და ჩამოყვა დაცერებულ ბილიკს.

ასე მიდიოდნენ ისინი თავდალმართში ვნებისაგან გაბრუებულნი. თარაში მარცხენა ძუძუზე ეფერებოდა თამარს მარჯვენა ხელით. ლაპარაკი ვნებამ ალაგმა სავსებით, სივრცე შეუმჩნეველი გახდა ორივესთვის მყისვე და მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა მთაწმინდის ეკლესიის მოთეთრო ჭიშკარს მიადგნენ.

თარაშმა თავი გადაუწია თამარს, აკოცა ტუჩებში. პირველად ეხებოდა გემო შეიცნო, მაგრამ მაინც იძალა ვნებამ და მეორეჯერაც აკოცა. მერმე წელზე შემოარტყა მარჯვენა, მიიზიდა ქალის სხეული და მარცხენა ხელი შემოხვია მძიმე ნაწნავებით დაფარულ კისერზე და ეს ნაწნავები ისე გრილი და შავი ეჩვენა, როგორიც იყო იმ წუთში თვით დედამიწა.

და ეკლესიის ჭიშკართან მიმდგარი თამარი გაფითრებული მოსჩანდა ამ მთვარიან ღამეში, სულ ახლოს მიუტანა სახე სახესთან და უფრო მეტი შენიშნა თარაშმა: რაღაც უჩინარი მწუხარება მჟღავნდებოდა სახის მისის თითოეულ ნაკვთში.

და მდუმარე, ფერგამკრთალი თამარი ისეთი უცხო თვალებით შესცქეროდა თარაშ ემხვარს თითქოს ეს მისი თამარი არ ყოფილიყო, და არც ის ქალი, რომლის სხეულის სიტკბოება მან იგემა სულ რამდენიმე დღის წინად საერთაშორისო ვაგონის კუპეში.

ეკლესიის ეზომ უცნაურად უსიამო გრძნობა მოჰგვარა თარაშ ემხვარს. უგემურად გამოძერწილი თეთრი ანგელოსები ზედ დადგომოდნენ მივიწყებულ საფლავებს. სიკვდილი, ბნელი და გულმავიწყობა განდობიანო თითქოს ურთიერთს და საშემოდგომო ჭკნობა მცენარეულის უცნაურ მწუხარებას აზვიადებდა. თარაში შესდგა ილია ჭავჭავაძის ძეგლის წინაშე.

შემდეგ ხელი წაავლო თამარს და კვიპაროსების ხეივანს მიაშურეს.

გამხმარი ფოთოლი აშარიშურდა ფეხქვეშ. თარაშ ემხვარ ჯერ რეტდასხმული ჰკოცნიდა თამარს, მერმე ხელში აიტაცა და ხავსმოდებულ ლოდზე დააწვინა; საკინძე გაუხსნა ქალს, აკოცა ორგზის და როცა ვნებისაგან გამოფხიზლდა თარაშ ემხვარი, მთვარის შუქზე შენიშნა: გაფითრებული თამარი, სნეულს დამსგავსებოდა, იწვა ხავსმოდებულ მარმარის ლოდზე და შესცქეროდა მთაწმინდის მთვარეს. ხოლო მთვარე, მთაწმინდის მთვარე ისეთი ფერგამკრთალი და ვნებაგაცლილი იყო, როგორც თოვლზე დაგდებული ღველფი.

XXXVII. მოლაპარაკე ხე

მეორე დღეს საღამოს ექვს საათზე ფარჯანიანის ბინაზე დარეკა თარაშ ემხვარმა. მოხუცებული კეკე გამოვიდა.

შინ არავინ აღმოჩნდა. ბატონი ნორშევან დილიდან არ მოსულაო. ორიოდე წუთით გამოიარა და ისევე წავიდაო სადღაც.

თამარი, ანული და მანჯგალაძე შინ იყვნენ სადილად, მერმე მკერავთან უნდა წასულიყვნენო, ჭავჭავაძის ქუჩაზე.

ახლა ჭავჭავაძის ქუჩაზე წავიდა თარაშ ემხვარ, მკერავთან. ხელი მოაწერესო ანულიმ და მანჯგალაძემ „მმაჩში“, ახალი კაბები დილასვე წაიღესო. ამბობდა ჭორფლიანი მკერავი ქალი. თარაში გამოემშვიდობა

დედაკაცი კიბის თავზე წამოეწია. დილითვე ამბობდა ბნელი. საღამოს რაღაც საბუთები უნდა წარედგინა სამკურნალო ინსტიტუტში. ეგებ იქ იყვნენო წასული.

თარაში გამობრუნდა. რუსთაველის გამზირისკენ მიჰყვა ჭავჭავაძის ქუჩას.

„მმაჩში“ ხელი მოაწერა და ინსტიტუტში წავიდა? ან თამარი რად აჰყოლია მაგას? ჰმ!..

გაელიმა.

მისი ფიქრი მოხუცებულ მამიდას მისწვდა და ლანდადქცეულ თავადს ფარჯანიანს.

როგორ შეხვდება ამ ამბავს ბერიკაცი?

ფიქრობს თარაში, უსაზმნო მზერით თვალს აყოლებს ვიტრინებს.

* *
*

...და თარშ ემხვარს თვალში ეცა ლამაზი ქალების სიმრავლე ქუჩაზე. დღისით ისინი ერიდებიან დასიცხულ ფილაქანებზე სეირნობას. მზვარეს გაურბიან ტფილისელი ქალები და უცდიან საღამოს გრილ ნიავს და მერე ეძებენ წყვილები ბნელ შესავალებს, ბნელ დერეფნებს, შუკებში, ქუჩაბანდებში მდგარ ხეების ლანდებს, უფრო მოცლილნი უფრო შორს მიჰყვებიან თავიანთ კავარლებს.

წყალი მოსწყურდა თარაშს, იქვე კიოსკთან შესდგა. ქალები და ვაჟები ჯერში იდგნენ და უცდიდნენ თითო ჭიქა ბორჯომს. მერმე მამადავითისაკენ გაექცა თვალი. თეთრად კიანთობდა მამა დავითის ეკლესია, ელავდნენ ჯვარედინად განრიგებული ელნათურები ბნელით შესუდრულ მთაზე.

შესცქერის ემხვარი გველეშაპისს ზურგსავით მოდრეკილ მთას და ფიქრობს:

„ვინ იცის, რამდენი ათასი შეყვარებული ეფარება ამ რომანტიულ მთის კალთებსა და უბეებს?.. სიგრილეს მოწყურებული ადამიანები ეხუტებიან მიწას, ვნებამორეული მკერდზე ეკვრიან ურთიერთს“. ჯუფთად დადიოდენ ქალვაჟნი ქუჩაზე მწიფე თაველებსავით ურთიერთისაკენ თავ გადახრილნი. მერმე აღარ ინდომა ფიქრის გაყოლა. ხელი ჩაიქნია და გავიდა ჯერიდან. ჯერ იყო და სასტუმრო „ორიანტისკენ“ მოინდომაწასვლა. ხელი აიღო ამ აზრზე და მიჰყვა რუსთველის პროსპექტს მხარ მარცხნივ და ისევ ქალები მოვარდნენ თვალში.

თვალები.

ღაწვები,

და თეძოები, გათქვირული მკერდები, მუხლამდის გაშიშვლებული წვივები, უცნაური შემოხედვა მშიერი სქესისა. ახალგაზრდა ქალები მოურიდებლად აცეცემდნენ თვალებს, ცალკერძ მის უცხოურ ჩაცმულობას აკვირდებო-

დნენ, ცალკერძ სწორსა და კისერგამართულ ფიგურას. საკმაოდ ბანალურ შენიშვნებს ყური მოჰკრა მისადმი მიმართულს, შეამჩნია, მაგრამ არ შეიმჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტრინებში გამოწყობილ წიგნებს დაუწყო თვალიერება:

წიგნები,

წიგნები,

წიგნები.

საქართველოშიაც იწყებაო ქალალდის წარყვნა.

მესაათის ვიტრინის გასწვრივ ორი ჭალარაშერთული ქალი იდგა, ორივ თეძოგანიერნი. თარაშის დანახვაზე აიყარნენ და უსაქმურის ნაბიჯით მიყვნენ პროსპექტს, ერთი ქერა იყო, ერთიც შავგვრემანი, ორივე ტანადი, საროსტანიანი. კოკეტურად ირხეოდნენ სხეულები.

თარაშ ემუხვარს იამა მწიფე, ასაკსრული ქალების შეხედვა, მრგვალი ძუძუები, მრუმე ხაზები თვალის უპეებს ქვეშ.

ახალი და ახალი დასი მოდიოდა პროსპექტზე უფრო ნორჩები, უფრო ახალგაზრდები. შესაძლო იყო მათ არ ეგემნათ ჯერაც მამაკაცთან სიახლოე, მაგრამ მათ მზერაში ხმიანდებოდა ანაზდეულად, ზაფხულის ცხუნვარე ვნება.

ქალების ლაშქარი მოლაშლაშებდა ქუჩაზე, ქალები იდგნენ წყლის კიოსკებთან, კაფეები და რესტორანები სავსე იყო ქალებით.

ეგეც ცივილიზაციის სენიაო ფიქრობდა თარაში, მამაკაცებზე მეტი ქალები...

და ფიქრობს თარაშ ემხვარ თვისთვის:

„ტფილისი ხომ აზიის სამანზეა. და ტფილიშიაც ამდენი ქალები!?. ტროტუარები, ტრამვაები, ავტობუსები, ავტოები და აივნები სავსეა ქალებით და გოგოებით!“

თეატრების, კინოების, რესტორანების შესავალებს აწყდებიან ქალები. კისკისით, სიცილით მიჰყვებიან ისინი მამაკაცებს, ელაპარაკებიან, ეხუმრებიან, ეთამაშებიან, ელაციცებიან მეორე სქესს.

ახლა ამ წუთში რამდენი ათასი ქალვაჟი განმარტოებულია ტფილიის პარკებში, ბაღებსა და სკვერებში, მამადავითის, სეითაბადის, და მთაწმიდის კალთებში, რამდენი ათასი ქალი მისცემია ტკბობას! აქ კი ათასები მოსდებიან ქუჩებს, თეატრებს, კინოებს. სულ ორიოდე საათი და ყველანი წავლენ თავიანთ სახლებში და ყველა მოუწვება თავის ქმარსა და თავის საყვარელს. მაგრამ ვინ იცის... ვინ ვის?... . . . . .

ერთი რამ უეჭველია: ამ მშვენიერ თვალებს, ამ გათქვირულ მკერდებს, ამ რგვალ თეძოებს, ამ ჯიშიან ფეხებს, ყველას, ყველას ეყოლება მოალერსე და დამუფლებელი. აგერ რომ მოდის ტანალერილი გოგონა სავსებით მარტო, ჩქარი ნაბიჯით, ვინ იცის ეგებ მას უცდიდეს ვინმე ბნელ-

კუთხეში, მერმე ამ „ვინმემ“ წაავლოს მას ხელი და აიყვანოს თავის მარტოხელა ბინაზე.

ვახტანგ იამანიძე მოაგონდა მყისვე. ორნი რომ გაეფიდნენ „ორ დედალ ხოხობზე“ პარიზის დიდ ბულვარებზე სანადირო, ასე ეძებენო თვალის ასახვევად დაწყვილებული ქალები, ასევე ტოლად მოარულ ორ ამხანაგს. და მერმე მოაგონდა ამ ოთხი ამხანაგის ერთობლივი ორგიები გათენებამდის. ახლა თარაშს არ შეეძლო ასეთი რამ, ტფილისში მას იცნობენ ცოტა თუ ბევრად...

გამოიარა ვიღაცა ხალიანმა, ჯიხვივით გოგონამ, სომხურად შეესიტყვა ფერმილეულ ამხანაგს; მწიფე თამბაქოს იერს გადაიკრავდა ხალიანი, სომხეთის მზის ცხუნვარება მოსდებოდა სახეზე. შეხედა თარაშს, ამხანაგს მკლავში მოუჭირა ხელი: ვინ არისო ნეტავი? იკითხა ფერმკრთალმა ქართულად.

„ვგონებ არც ქართველია და არც სომეხი“.

ამბობდა ხალიანი ქალი.

მერმე თეთრლაწვიანი, ქარვისფერ თვალებიანი მოდიოდნენ ორნი, წალისფერი თმები ჰქონდათ, ტყუპებსავით ჰგავდნენ ურთიერთს.

შეფარვ შეხედეს თარაშს და გაიღიმეს. თარაშ ემხვარს იამა მათი მზერისაგან მოგვრილი ალერსი.

ჯუბთად მოდიოდნენ წერწეტა, მაღალკისრიანი გოგონები, ისეთნი როგორიც შევალიე გამბას ქართულ ალბომში შეგხვდება ხოლმე. ზოგი ფერმკრთალი, ზოგი თეთრყირმიზა, ზოგზოგიც მკერდმაღალი და თეძოსავსენი და თარაშ ემხვარს სიხარული აღეძვრა იდუმალი: არც ერთს ლაშაზთაგანს ისე არ გაუვლია მის გვერდით, ცელქურად არ მოეხედნა, არ გაღიმებოდა, ან თვალით არ გაეზომა მისი განიერი ბეჭები. ზოგნი შეფარვით ჩადიოდნენ ამას, ზოგზოგიც სავსებით მოურიდებლად (როგორც პარიზელ და ბერლინელ ქალებს სჩვევიათ ეს) ტერფიდან თავამდის ურცხვად ახედავდნენ ვაჟს. და მოაგონდა თარაშ ემხვარს ევროპელი დემიმონდები ენას რომ გამოუყოფდნენ ხოლმე მას ჰაიდპარკში, სენ მიშელზე ან ფრიდრიჰ შტრასსეზე. და ზოგნიც სწორედ ისევე როგორც ევროპაში, გაივლიდნენ, მოიხედავდნენ და ამხანაგსაც მოახედავდნენ მისკენ.

და ერთმა ცქრიალა, ოდნავ წამოჩიტულმა ქალმა, რომელიც მთელ ჯგუფს გოგონებისას წინამძღოლობდა, ქართულად უჩურჩულა რაღაც თავის ამხანაგებს და მერმე სულ ახლოს მიეჭრა თარაშ ემხვარს და ფრანგულად მიესალმა:

„ბონ სუარ“.

თარაშმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო, მდუმარედ ჩაუარა გათავხედებულ ლიფსიტების ბრბოს. მერმე ჩრდილიან ხეივანში შესულმა გაიღიმა. და მის მეხსიერებაში ზეატივტივდა ასეთი უმნიშვნელო მოგონება: დაღონებული სეირნობდა თარაშ ემხვარი ერთხელ ბერლინში. სკოლიდან

„ლიფსიტები“ მოდიოდნენ. დაწინაურდა ქერა გოგონა, მოულოდნელად უჩქმიტა ლოყაზე ფიქრებში წასულს.

ახლა სტუდენტების დასი შემოეყარა თარაშს, ახალგაზრდებმა ტერ-ფიდან თხებამდის დაათვალიერეს იგი. მოურიდებლად [illegible] ეს უცხოურ აღნაგობის პირისპირ. ნელი ღიღინით მიდიოდნენ ისინი, ხმა მაღლა ლაზღანდარობდნენ. ისევ და ისევ სტუდენტები, სტუდენტი ქალები...

ქართული დიალექტები ისმოდა, ზოგი იმერულად უქცევდა, ზოგი მეგრულად, ზოგიც გურულად, აქა იქ აფხაზური სიტყვებს ურევდნენ საუბარში. მიდიოდნენ ჯგუფჯგუფად სტუდენტები და მათი ერიამული ავტოების, ტრამვაების, ეტლების რახრახს და ბღავილს იჯაბნებდა. ისევ და ისევ თარაშ ემხვარის უცხოურ გარეგნობაზე უჩერდებოდათ გამვლელებს თვალი.

ორი მთვრალი კაცი იდგა ქუჩის კუთხეში. ძლივს აბრუნებდნენ ენას.

და ემხვარმა ნაბიჯს აუჩქარა, ფილაქნიდან ქვაფენილზე გადაიარა და სწორედ ამ წუთში ეს სიტყვები დასცდა ერთ მათგანს:

„ეჰ, ჩემო კარგო, ზოგიერთი კაცის ცხოვრება უნიჭო მწერლის რომანსა ჰგავს... ბოლომდის ჩაათავებ და ასე იტყვი: ნეტავ არ წამეკითხაო.“

„ზოგის?“ იკითხა მეორემ, შავფაფახიანმა.

მერმე პირველმა ძლივს მოაბრუნა ენა, მაგრამ თარაშ ემხვარმა ააცდინა მის პასუხს სმენა.

უნივერსიტეტის ქუჩა დაიწყო, იმძლავრა სტუდენტების ტალღამ...

მოლაშლაშებდნენ ფილაქანებზე, ფილაქანებზე არ ეტეოდნენ... მოჰქროდნენ სტუდენტებით დახუნძული ტრამვაები რეკვით... ბნელ შუკებსაც მოსდებოდა ახალგაზრდობა და ისმოდა ყველგან მათი სიცილი, ხარხარი და ზიმზიმი, ქუჩის კუთხეებში ჯგუფჯგუფად იდგნენ და მღეროდნენ გამყივანი ხმით. სტუდენტების უბახმა პარიზის ლათინური კვარტალი მოაგონა ემხვრას, სან მიშელის ბულვარი...

* * *

მაღალი, საროსტანიანი ქალი მიდიოდა განათებულ ვიტრინის გასწვრივ.

სევდის იერი გადაჰკროდა მარტოხელა ქალწულს. ელენ რონსერი მოაგონდა თარაშს და რაღაც უცნაური გულისტკივილი მეიკნო.

ინანა: უკანასკნელ წერილზე რომ არ უპასუხა.

* * *

სამედიცინო ინსტიტუტის კიბეზე ადიოდა ემხვარი.

წყვილწყვილად მოქოთქოთებდნენ სტუდენტები. ისევ ათვალიერებდნენ მის ტანისამოსს, აკვირდებოდნენ ემხვრის ცხოურ გარეგნობას.

თარაში გაფაციცებით ეძებდა ანულის წითელ ქუდს, მალალურისფერ ბერეტს თამარისას.

პირველი სართულის აუდიტორიები დაცარიელებული დახვდა. ადამიანის ოფლის სუნი კატასავით ეცა სახეში. ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირზე მიიფარა. მეორე სართულის დერეფნებს ხვეტავდნენ დარაჯები...

ინსტიტუტის ვესტიბულთან შესდგა ტრამვაი. უამრავი ხალხი ირეოდა ვაგონში...

ვაჟები განზრახ წინ მიიწევდნენ, უმოწყალოდ სრესდნენ ხალხში გახირულ ქალების სხეულებს.

ქალები კოკეტურად აღებდნენ პომადით შეთხუპნილ პირს, ცუდი პომადის და ოფლის სუნი იდგა ირგვლივ (ძმრის სუნის მინაგვარი).

ტრამვაი მიჰქროდა რუსთველის პროსპექტზე. გულზე ბრაზი წაეკიდა ისევ თარაშ ემხვარს: წინ მიმავალ ტრამვაის ვაგონში თამარი და ანული მსხდარიყვნენ ეგებ, მათაც აწვებოდნენ ალბად ვაჟები, მათაც გაეაზე ავლებდნენ ხელს და ძუძუებზე ელაციცებოდნენ... . . . . .

თარაშ ემხვარს გული აემღვრა ამ სურათის შემყურეს, გაქანებულ ტრამვაიდან ისკუპა და მიჰყვა პროსპექტს.

და ისევ მოლაშლაშებდა ქუჩაზე ქალების აურაცხელი ლაშქარი, ოპერიდან, რუსთველის თეატრიდან და კინოებიდან ისევ პომადით შეთხუპნული, კაპრიზული ტუჩები, თეძოების ვნებიანი რწევა, მტოკავი დუნდულები და გრძელი წვივები, შუბის წვერივით მოღერილი ძუძუები, დამშეული სქესის მრუში თვალები... . . . . .

და თარაშ ემხვარი მზად იყო ამ წუთში წამოწეოდა რომელიმე მათგანს და როგორც პარიზში, ან ბერლინში ეს მიღებულია, თავაზიანად ქუდს მოუხდიდა, გამოეცნაურებოდა რომელიმეს, ხელს გაუყრიდა, ჯერ სადმე რესტორანში შეიყვანდა და მერმე თავის ბინაში...

და თითქოს წინასწარ შეთქმულანო, პროსპექტზე მიმავალი ქალები და ვაჟები, თმებიდან ტერფამდის თვალს აყოლებდნენ და გაოცებული შეჰყურებდნენ მის ჩაცმულობას და უცნაურ აღნაგობას. და ეს ერთობლივი შემოხედვა პროსპექტზე მოლაშლაშე ხალხისა, საშინელი მარტოობისა და მიუსაფრობის გრძნობას ჰბადებდა ემხვარის გულში.

ამ წუთში კაროლინა მოენატრა თარაშს. კაროლინა ყველაზე მახლობელი ეჩვენება რატომღაც.

წყუროდა.

ათვალიერებდა ბორჯომის წყლის კიოსკებს, მაგრამ თეატრებიდან გამოსული ხალხი მისეოდა წყალს და მწყურვალე თარაშ ემხვარ ჯერში დგომას ერიდებოდა. თანაც ეჩქარებოდა სასტუმრო ორიანტში მისვლას. ეგებ დაწოლამდის მივუსწროვო კაროლინას.ორიანტის კიბის სამიოდე საფეხური აიარა, საათს შეხედა: თორმეტის ნახევარი იყო.

გამობრუნდა: ეგებ რესტორანში იჯდესო კაროლინა.

რესტორანში შევიდა თუ არა, იმ წუთშივე თვალი მოჰკრა ესტრადის მახლობლად მჯდომარე თამარის თავს.

იქვე კუთხის მაგიდას მიუჯდა. და ბორჯომის წყალი ითხოვა, ფერმე რესტორანის შუაგულში დამსხდართა ზურგებს შორის მზერა გააპარა და ხედავს: ორმაგ მაგიდას უსხედან ანული, მანჯგალაძე, თამარი, კაროლინა და სამი ქალი.

ორკესტრი ჯაზბანდს უკრავდა.

თეატრებიდან მოსულნი მაგიდებს აწყდებოდნენ, არეებში ხალხი იდგა და სუფრების დაცარიელებას უცდიდა, თანაც სუფრების არეებში ფოქსტროტის მოცეკვავეთ თვალს ადევნებდა. თარაშმა წყალი მოსვა, საფერთქლებიდან ოფლი მოიწმინდა. კიდევ გაიხედა ესტრადისკენ და...

თამარს შიშველი, გაპარსული კისერი უჩანდა.

„თმა შეუკრეჭია? მაშ ასე...

შენ ჭკუაზე გინდა იარო?..

ანულის ჭკუაზე?..

მაშ ასე!..“

ეს უკანასკნელი ორი სიტყვა ხმამაღლა წარმოსთქვა ემხვარმა და კიდევ დალია წყალი მღელვარების გასაქარვებლად, დალია და ისევ გახედა და ახლა თამარის ადგილი ცარიელი დახვდა. კიდევ შეავლო თვალი მის მეინახეთ, არც მანჯგალაძე სჩანდა მათ შორის.

ახლა ესტრადისკენ გაიხედა და ხედავს სამი წყვილი ცეკვავს სუფრების არეებს შორის. ერთი მათგანი შეიცნო: თამარი და მანჯგალაძე.

მანჯგალაძეს თავისი დევური თათები მოეხვია თამარის წელზე. ცეკვავდა თამარი ფოქსტროტის მონოტონურ რიტმს აყოლილი და მანჯგალაძის ახმახი ფიგურა საოცრად ირწეოდა, ზედ ეკვროდა თამარს. გულარეული შესცქეროდა თარაშ ემხვარი, თუ როგორ მიეხუტებინა მანჯგალაძეს თამარის სხეულის წელისქვედა ნაწილი. სუფრებთან დამსხდარნი მრუში თვალებით შესცქეროდნენ მათ ცეკვას, და როცა ცეკვა მოათავეს, დაიგრიალა გარშემო ტაშმა. რესტორანში მყოფნი კისერს იგრძელებდენ. ყველა თამარს მისჩერებოდა. თავს აქნევდნენ ვნებისა და ღვინისაგან აღტყინებულნი. თარაშ ემხვარი შეურაცყოფას გრძნობდა განუსაზღვრელს.

ერთბაშად ასეთ დიალოგს მისწვდა თარაშის სმენა.

ორი ნაღვინევი ვაჟი საუბრობდა, ქუდიანი და უქუდო.

„ის ქალი პროვინციელი უნდა იყოს. ღმერთივით გოგოა ოჯახქორი“.

„პროვინციელი? როგორღა შეატყვე?“, ეკითხება უქუდო.

როცა ტაში დაუკრეს, გაწითლდა, ამბობს ქუდიანი„

„ეჰე, ალბად ახალი აფრენილია. უეჭველად გააბოზებენ ტფილისში.“

თარაშ ემხვარმა სამმანეთიანი დასტოვა სუფრაზე, კარებთან მოზვავებულ ხალხს თან გაჰყვა სასტუმროს ვესტიბიულისკენ.

* *
*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდუმარე სიონს ჩაუარა ემხვარმა.

რკინის ჭიშკართან მათხოვრები დამხობილიყვნენ.

ფარეხის კარებთან მიყრილ ცხვრებსავით მოკუნტულიყვნენ გლახები.

თარაშმა თვალი შეავლო ცისკენ ალანძული გუმბათის გოლიათურ შუბს და მიჰყვა სიონის ბნელ ქუჩას.

ამ სიბნელეშიაც ამჩნევდა თარაში, თუ როგორ მიიწევდნენ ძველ ტფილისისაკენ უზარმაზარი, ნაცრისფერი ახალი სახლები.

დაკარიელებულ შეიხანბაზარში მრუმე სილუეტები დალასლასებდნენ. გასცქეროდნენ ირანელი მეხილეები ოქროს ქერეჭით მოოჭვილ ცას და ჟღურტულებდნენ ირანულად.

ირაკლის ხიდი გადაიარა თარაშ ემხვარმა.

ყივოდა მოლაჰ მეჩეთიდან.

ვარსკლავიან ცას შეჰყეფდა ყურანის ლექსებს.

* *
*

პირველის ნახევარზე მიაღწია ემხვარმა ფარჯანიანების ბინასთან.

კარი ჩაუკეტავი დახვდა. გაოცდა. დარბაზი გაიარა. სუფრაზე დაურეცხავი საინები ეყარა. მამიდა არმადარის ოთახიდან კატების ღნავილი ისმოდა.

სძინავთო გაიფიქრა და სამზარეულოში შევიდა. მოხუცებული კეკე გააღვიძა. ბაგრატიონის ქალი ავადაიო, ამბობდა კეკე, თვალებს იფშვნეტდა. კვნესოდა წამოდგომისას.

ბატონი უქეიფოდ იყოო, სადღაც წავიდა, მერმე არ მოსულაო, მე აქ წამძინებია და არ ვიცი სად არიანო.

თარაში ისევ ზალაში გამოვიდა. ეუცხოვა კატების ღნავილი.

საწოლ ოთახის კარი გამოაღო თუ არა, დაფრთხნენ კატები, ერთი მათგანი დაგმანულ ფანჯარას მიაწყდა და მორთო ღნავილი. საწოლის ფარდა გადასწია თარაშ ემხვარმა და ხედავს: ზედ სასთუმალთან მდგარ სავარძელში თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ფარჯანიანი უძრავად იჯდა. სისხლით შეღებილი იყო ჩოხის კალთები.

იქვე გასისხლიანებული სამართებელი ეგდო.

კიდევ ერთი ლამპა აანთო თარაშმა ოთახში. მიცვალებულს ყელი გადაჭრილი ჰქონდა. სისხლს მოესვარა თეთრი ახალოხიცა და ჩოხის მასრებიც.

ახლა ფანჯარა გააღო ემხვარმა. საწოლის ქვეშ ღნაოდენ კატები.

კეტი აიღო და გამოდენა. და როცა ფანჯრის თაროზე ახტა თეთრი ხვადი, მან ისე მოხედა და დაუბრიალა თვალი, თითქოს სატანა ჩასვლიაო გვამში.

თარაშმა თვალი შეასწორო სისხლში ამოსვრილ დრუნჩს.

ისევ გააღვიძა კეკე. დედაკაცმა პირჯვარი გადაიწერა. ხელზე ემთხვია მიცვალებულს. ფერხთით დაუვარდა და მუხლებზე მოეხვია ნაბატონარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაშმა ააყენა მოხუცი ქალი. კატები ფანჯრიდან გადენა. ოთახი დაკეტეთ. მე ახლავე მოვალო, ეს უთხრა და ბნელ ქუჩას მიაშურა.

ავლაბრის მოედანზე მხოლოდ მილიციელების სილუეტები მოსჩანდნენ. უკანასკნელი ტრამვაები მიჰქროდნენ პარკისკენ, ზუზუნებდნენ ტელეგრაფის მავთულები, თარაშ ემხვარი მიჰყვებოდა ნავთლუღის შოსსეს. უნდოდა ქალაქს გასცლოდა როგორმე. ნელნელა ცარიელდებოდა განიერი თემშარა.

გზაზე შემოყრილ ფურგუნებსა და ურმებს პურის, ღვინისა და საქონლის სუნი მიჰქონდათ ქალაქში. ხანდახან დატვირთული საბარგო ავტომობილი ჩამოიქროლებდა, ჩაბღაოდა ღამეს დალურსულ ყურებში, მერმე ისევ მიწყნარდებოდა მოტორების თუხთუხი და ბორბლების ლასლასი, გაისმოდა გაუსაპნავ ურმების ჭრიალი და მთვლემარე მეხრეების „ჰამო,“ ხან შოლტი გაიტლაშუნებდა ბნელში, ხან კიდევ, პატრონის დედის მლანძღველი გლეხის შეძახილი ისმოდა.

ზანტად მოდიოდნენ ქიზიყური კამეჩები, მოაბრიალებდნენ ბნელში ელვარე თვალებს.

მოედინებოდნენ ქალაქისაკენ ქიზიყური კამეჩები, წყვილწყვილად, ძმურად, მხარშეწყობილნი, მედგარნი, უშიშარნი და თვალებბრიალა, თითქოს დაძრულიყვნენ ქალაქისაკენ ბეგემოტების უკანასკნელი ნაშიერნი, რათა კამეჩების, ცხენების, ხარების სისხლი აეღოთ მოტორებისა და მანქანების ქალაქში...

თარაშ ემხვარმა ქუდი მოიხადა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მიყვა ბნელსა და განიერ შოსსეს. ნელა, სულ ნელა ზუზუნებდა ნიავქარი ტელეგრაფის მავთულებში და ერთბაშად გაოცდა თარაშ, როცა ადამიანის ხმამაღალი საუბარი გაიგონა ბნელში. რადიოს სვეტი იდგა ვაკეზე და ლაპარაკობდა . . . . . .

ბეჯითი, მკაფიო ხმით ლაპარაკობდა ხე. სჩანდა რომელიღაც უწყების საანგარიშო მოხსენება მიდიოდა.

ციფრები,
ციფრები და კიდევ ციფრები . . . . . .
ტონები,
მეტრები,
და კილომეტრები . . . . . .
საქართველოს ბამბას ახსენებდნენ, საქართველოს ჩაის,
საქართველოს აბრეშუმს,
საქართველოს ნავთს,
რამის,
სელსა და შავქვას,
საქართველოს რკინას,
საქართველოს ფოლადს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პურსა და სიმინდს,
ამომშრალ ჭაობების ჰექტარებს,
გაყვანილი გზების კილომეტრებს,
სკოლების, ინსტიტუტების,
საავადმყოფოების, ქსენონების,
დისპანსერების, ელსადგურების რიცხვს და კილოვატ საათებს,
გაყვანილი გზების და შოსსეების სიგრძეს, სივრცეს და რაოდენობას. . . . . .

და დარაზმულნი, წყვილწყვილად, ძმურად, მიიზლაზნებოდნენ ქალაქისაკენ ქიზიყური კამეჩები, ელვარე თვალებს უბრიალებდნენ ღამეს, პურის, ღვინის და საქონლის სუნი მიჰქონდათ ქალაქში, და არც ამ კამეჩებს და არც მათ მეხრეებს აღარ ესმოდათ მოლაპარაკე ხის ღაღადისი.

XXXVIII. უძღები შვილი

ოქუმის სასახლე იავარქმნილიყო სავსებით. ჩუქურთმიანი სვეტები შექანებული ეჩვენა თარაშ ემხვარს, თავკიდურები ფრინველებს წაებილწათ სკორეთი. ურთხელის რიკულები დაეძროთ, კიბის ტერასზე გადმოსულ სახურავის ყავარი დაელპო წვიმას. კირი შემოსცლოდა თეთრ სასახლეს ამაყად გადმომდგარს ბექობზე.

პაპისეული დიდი ცაცხვი მართლაც მოეჭრათ, ჭადრისა და მუხის ხეებს ხმობა შეპარვოდათ, მოხუცებული მსხლის ხეებს ფითრი მორეოდა, ბალჩას მესრები მორღვეოდა, მაგნოლიები თოვლს ჩამოელეწა, გუნდის ხეები დაემსხვრია გასული ზამთრის ქარსა და თოვლს. ხულას, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გადასცლოდა, განზე მოეღრიჯა ჟამთა სიავეს ძველთაძველი წაბლის სახლები.

ქვრივის ძაძებით მოსილი დედა აივანზე იჯდა, სათვალე შუბლზე აეკეცნა, ჯვალოს კაბას აკერებდა წელში უზომოდ მოხრილი. მოხუცებულ ცირუნიას იატაკზე მოერთხა, ლობიოს რეჯგვავდა ხელტუკით.

თარაშმა თვალი ჰკიდა: უკანასკნელი თვეების მანძილზე მთლად მტუტისფერი გახდომოდა თმები მაიას.

აჭრიალდა პირდაბჩენილი იატაკი თარაშის ფეხქვეშ.

თავი ზეასწია მაიამ. შვილი ვეღარ იცნო, სტუმარი ეგონა, წამოიწია, ჯვალოს კაბა ძირს დაუვარდა. ხმაზე შეიცნო ვინც იყო. დიდხანს ჰკოცნიდა უსიტყვოდ. თარაშმა სისველე შეიცნო ღაწვის არეში. ხელმეორედ მკერდში ჩაიკრა თავისი გულიკო. და ეს „გულიკო“ რომ გაიგონა თარაშმა, ასე ეგონა პატარა ვარო.

სახლში შესვლისას შენიშნა თარაშმა: აბლაბუდები მოსდებოდა ფანჯრებს, ბუხრის თავები თქეშს ჩამოერეცხა, ცირუნიას უკანასკნელი სამი კბილიც აღარ შერჩენოდა.

ცირუნია წინ მიუძღოდა დედაშვილს.

ყანყალებდა ფეხქვეშ იატაკი, უზომოდ ჭრიალებდნენ დაფერფლებული კარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეწვში ამოსვრილ სავარძლიდან გადმოვიდა თეთრი მწევარი, ყურები გააბარტყუნა, გაიჭინთა, გაიზმორა და თარაშს მიეჭრა. ყნოსვით შეიცნო პატრონი. უკანა ფეხებზე აღიმართა, მკერდზე მიაბჯინა წინა თათები. წკმუტუნებდა მგელიკა, უმწეოდ ეახამხამებდა დაწირპლულ, გაწითლებულ თვალებს. ნაწიბურები ღერღერად უჩანდა მწევარს, ძლივს დალასლასებდა დამშეული ცხოველი (გადაგვარებულ ნათავადარს დამსგავსებოდა). დაამშვიდა თარაშმა მგელიკა. თავზე გადაუსვა ხელი. აწკმუტუნდა მგელიკა და კალთაში ჩაუყო ზუთხსავით წაგრძელებული თავკისერი.

* * *

დედის ოთახში, დანჯღრეულ სავარძელში ისხდნენ თარაში და მაია. დედა ხელისგულს უსვამდა კალთაში ჩადებულ მარჯვენას ვაჟისას. სიტყვები აღარ ჰყოფნიდა სიხარულის გამომსახველი. იქვე დაცუცქული ცირუნია მუხლის თავებზე ეფერებოდა გულიკოს.

თარაში ერიდებოდა ლაპარაკს. არ უყვარდა წრესგადასული გრძნობიერების გამხელა (ჯიქურად გამჟღვანებული გრძნობა ბანალობის მიჯნაზე სდგასო). როგორის გულისტკივილით იგონებდა უცხოეთში დედას და მამისეულ ოჯახს. საქართველოში მობრუნებულმა ეს მეორეჯერ მოაკითხა მოხუცებულს, ეგებ იმიტომაც, წაქცევაზე მდგარი ოჯახის დანახვაც სიმძიმილის მომგვრელი რომ არის, ან არადა დანაპირებს რომ ვერ უსრულებდა: ოქუმიდან წაყვანას უპირებდა დედას და გადიას, არ კი იცოდა სად წაეყვანა. ახლა სულგანაბული გვერდით უჯდა ორივეს, ზეწამოდგომა ეზარებოდა, აღარც ეზოს დანახვა ენატრებოდა, არც ჭადრების ხეივნისა და ხილნარისთვის თვალის მოვლება. აღარ უნდოდა მიმოეხილა ბავშობის თვისის ტკბილი სავანე აწ დანგრეული, იავარქმნილი.

მიმოიხედა დედის ოთახში: ყოველი სკამი, ძველი შეზლონგი, კარადა, თახჩა, ფანჯრის რაფები, ბუხრისთავები, ჭერი, კედლები, საწოლები, სურათები და მაგიდები ამეტყველდნენ ძველი განცდებით. მისი ბავშობა ყოველ მათგანს ეხსომებოდა.

ყოველ კუთხიდან, ჭუჭრუტანიდან იჭყიტებოდა აწ გადასული მისი ბავშობა. და აეშალნენ იარები, გულის არეში მიყუჩებულნი.

ფრთხილად შეჰყურებს დედის სახეს თარაშ ემხვარ.

ჰმ, მოხუცებულს ნაოჭები მომატებია, თვალის უპენი ჩაღრმავებია!

ლაწვის თავებზე, ყურის არეში ნაოჭები ზედმისევიან და მისუსტებულ კისრის გარშემო ნაოჭების სამკეცი რგოლი შემოვლებია (მუხთალ სიბერის შანიაკი გარდაუვალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე რა პატარა ამბებს უამბობს დედა! რა, უმნიშვნელო საგნებს ეხება ცირუნია და როგორ მძიმეა მოსასმენად ეს ყოველივე. უკურნებელი სევდით გულს უთრთვილავენ თვით წვრილმანებიც.

ახლა სოფლის ამბები წამოიწყო ცირუნიამ თავისებურად.

არზაყანი მომჯობინდაო, ჯოხით დადისო; ძიძა ხათუნა გაცივდაო, ისევ გამოკეთდაო, კაც ზვამბაია დაიჭირესო, ორ კვირას იჯდა, ისევ გამოუშვესო. ქელეშს ყბაყურა სჭირსო. ცირა დაუბრუნეს კაც ზვამბაიას, რადგანაც ფეხი ულრძვიაო ცირას.

თარაში დილის მატერებელს ჩამოჰყოლიაო.

ეს რა გაიგო დედამ, ცირუნიას ანიშნა. დაფაცურდა გადია. სამზადს მიაშურა. ბოლოს ცირუნიას ველარ ანდო მაიამ ხაჭაპურის გამოცხობა. ადგა, თავათაც წავიდა სამზადში.

თარაშ ემხვარმა თვალი მოავლო ოთახს.

ყოველივეს სახე შესცვლია გარშემო, მისი ბავშვობა კი გუშინდელი ამბავია. არა?

აგერ, იმ საწოლზე წოლილა ბალლი მისოუსტ, იმ სამფეხა სკამზე მჯდარა გულიკო, ის ირანული ნოხი, ლომი რომაა ზედ გამოხატული, ძლიერ უყვარდა გუჩას. (პირველად ამ ნოხისაგან შეიცნო ლომის სახე გუჩამ). იმ მაგიდასთან რძე უსვამს თარაშს და ეს რამდენიმე სახელის მტარებელი თარაშ ემხვარი გაორებას გრძნობს მრავალკეცს: თითქოს ერთი იყო თარაშ ემხვარ აქამდის და ახლა კი მრავალი ნიღაბი იჭვრიტება ახლო წარსულზე ჩამოშვებულ ბნელი ფარდიდან. და ეს ყოველივე ისე შორსაა და ისე ახლოს.

ნამდვილი იგი იყო: ერთი ვიღაცა,

მრავალი სახელის,

მრავალი ასაკის მატარებელი,

მრავალ აღნაგობით წარმოდგენილი. და უნებურად ჯადოქრული კალეიდოსკოპი წარმოუდგა თვალწინ თარაშ ემხვარს, ერთი და იმავე საგნის მრავალნაირად გამომჩენელი.

არც ის დრო ეშორება თარაშს, როცა იმ გახუნებულ პლუშის მუთაქას მოახტებოდა, მუთაქა რაში იყო, ხოლო თარაში — ერამხუტ.

ამ გახუნებულ შპალერების ნახატებს შესცქეროდა დილაადრიან ბალლი გულიკო, როგორი ფანტასტიური ცხოველები და ფრინველები ელანდებოდა ამ უნიჭო მონახაზებში!

შელამებულზე ბუხრის წინ ზის მარტოკა ბალლი მისოუსტ. საკუთარ თითებს ეთამაშება. ცერი ეს ცნობილი რაინდია ვარდან ვარდანიძე, ჯუჯა, მაგრამ მუხის კუნძივით დასკვნილი ვაჟკაცი.

„ადე ვარდან, აიღე ფარხმალი და წაართვი მზეთუნახავი ზღვათა მეფეს ოქროსნაწნავიანი“.

„შენ ჰეი, შერგილ, უბრძანებს თარაში საჩვენებელს, ეახლე რაინდს და გზა უჩვენე“.

„შენ კი შემადავლე (შემადავლე ჰქვია შუა თითს) უჩინმაჩინის ქუდი დაიხურე და ღამით მიეპარე ბროლის ციხე-კოშკს ზღვათა მეფისას.

„შენ ქოსატყუილა, შენც ნაცარქექიავ, თქვენც თან [illegible] ჩემს მოყმეებს“, უბრძანებს მისოუსტ უსახელოს და ნეკს, რადგან ზღაპარშიც გაუგონია: უჩინარნი და მატყუარნიც გამოსდგომიაო კაცს გაპაჭირში.

თარაშ ემხვარ წამოდგა.

უწესრიგოდ ჰკიდია კედლებზე მამისეული ლეკურები, სატევრები, კაჟიანი თოფები.

ფოტოსურათები მწერებს წაუბილწავთ სავსებით. როგორ გახუნებულან ეს ჩინოსანი ემხვარები! შავწვერა, მკერდგანიერი, ვიწროწელიანი დეკაცები. ასეთ შავ წვერებსა და თეთრ ჩინებს ნატრობდა ოდესღაც თარაშიც. სჯეროდა: ხმალი უდიდესი სამკაულიაო მამაკაცისა. ასეთ ჩინოსნად გახდომა ყოველგვარ ოცნებას აღემატებოდა ოდესღაც.

კედელთან მივიდა. მხოლოდ ერამხუტ ემხვარის სურათი სუნთქავდა კვლავინდებურის სიხალისითა და სიცხოველით. შავ ჩოხიანი უჩინო რაინდი, ამეტყველებას ლამობსო თითქოს.

ისიც მოაგონდა თარაშს, როცა გუბერნატორი, ან მაზრის უფროსი ეწვეოდა მამას, მამიდა და დედა მალავდნენ ერამხუტის სურათს და ასე იმალებოდა ისედაც ლეგენდადქცეული ერამხუტ ემხვარ, სიკვდილის შემდეგაც ემალებოდა რუსეთის თეთრი მეფის სატრაპებს. ამ სურათის გადაგდებაც უნდოდათ, მაგრამ ენანებოდათ კარგი ნახატი.

თარაშ ემხვარი უკუდგა. ჰმ, რა ეშველებოდა თვით უდიდეს გმირობასაც ამ ქვეყანაზე, პოეტკაცის ენა, მითების მთხზველის ლეგენდა და მხატვრის კალამი არ მიშველებოდა? უეჭველია, იგი ისევე გახუნდებოდა, როგორც ეს თეთრი ჩინები, ეს საპირეშემოცვეთილი ავეჯი, ან ის სიმებდაწყვეტილი ჩონგური უქმად მიგდებული კუთხეში.

ეს გაიფიქრა და ფარდას გადასწია თარაშმა.

დაკონკილი, ქედანისფერი ღრუბლები დასავლეთისკენ მიიჩქაროდნენ. და ისე დაბლა მისცურავდნენ ისინი ფქვილისფერ ცაზე, თითქოს ჭადრების წვეროკინებს ეხებიანო.

ჯიბეში ხელებჩაწყობილი დადიოდა ოთახში. უცნაური ფიქრები შემოსეოდა გულზე. კარადასთან მივიდა. გარკანგახუნებული წიგნები ისე უწესრიგოდ ეყარნენ თამჩებზე, როგორც ბუკინისტების დაზგებზე უნახავს ტფილისსა და პარიზში.

მოოქროვილი ენციკლოპედია, გეოგრაფიული ატლასები, რომანოვების საიუბილეო ალბომები, საბინინის საქართველოს სამოთხე, ჯანაშვილის პატრიოტიული ისტორია საქართველოსი და საქართველოს აურაცხელი წმიდანების „ცხოვრებაი და წამებაი“, კულინარიის სახელმძღვანელონი, დარიგებანი კუჭის სნეულებათა წინააღმდეგ, კონდაკები, ლოცვანები, მიმი-

ნოს, ქორის და ცხენის კარაბადინები. ფურცლავდა მტვერიან წიგნებს, მამის ხელწერა იელვებდა აქა იქ.

მამა მოიგონა. შეებრალა სხვის მიწაში მივიწყებული. სტრატეგის სახელმძღვანელოდან წმ. გიორგის ორდენების როზეტები გამოსცვივდა; კერძო ბარათები, საალდგომო, საახალწლო მილოცვები, რუსი გენერალ-ლოიტენანტების, გრაფების, გარუსებულ ქართველ თავადების გვარი და სახელები უმწეოდ ფართხალებდნენ მტვერში.

ზემოთა ყუთი გამოაღო, ძველი თამასუქები, მეტრიკული მოწმობები, ცხენების და მიწების ნასყიდობის ქაღალდები, ისევ მისალოცი და სამძიმრის ბარათები ხვდებოდა ხელში.

ამ უთავბოლოდ დაგდებულ არქივში ეტრატის გრაგნილს წააწყდა თვალი.

გაოცდა.

ფანჯარასთან მიდგა და გახსნა ეტრატი.

წვრილი, მხედრული ხელით იყო იგი გადაწერილი.

„სახელითა ღვთისათა, თამარისაგან ბაგრატიონისა, ნებითა ღვთისათა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, დედოფალთ დედოფლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელისა.

„მოვიდა წინაშე ჩუენსა ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარ ეფისკოპოსი და მწიგნობართუხუცესი, გვეჰაჯა და მოგვახსენა, რათამცა ესე წყალობის წიგნი ვუბოძეთ ერთგულსა ყმასა ჩუენსა ამირახორსა ვარდან ჰემუხვარსა, რომელმანცა თავი თვისი ისახელა და ჩუენცა გვასახელა ჟამსა ოდეს ერთგულთა სპათა ჩემთა რუქნადინ სულტანი კარნუ ქალაქსა კართა გააქციეს. ამისთვის გვიბოძებიან ადგილი ეგრის წყლით დასავლით ვიდრე კილასურამდი. ყოვლითა მზღვრითა მისითა, მთითა, ბარითა, წყლითა, კლდითა, ტყითა და ყოვლისა სახმრითა და უხმრითა“...

დედამ შემოუსწრო თარაშს ეტრატის კითხვისას.

თარაშ ემხვარმა შეამჩნია დედას ფერი ეცვალა.

„ვისი სიგელია გულიკო?“.

შეეკითხა, ხაჭაპური მაგიდაზე დასდო.

„თამარ მეფისა“.

მიუგო თარაშმა და განაგრძო ეტრატის თვალიერება.

„რად იკითხე დედი“?

„არაფერი შვილო, მე კათალიკოსის ეტრატი მეგონა“.

„სად არის კათალიკოსის ეტრატი“?

ეკითხება ცნობისმოყვარეობით აღვსილი თარაში.

მაია აიმღვრა რატომღაც. ჯერ უარზე იდგა. არ ვიცით თუ სად არისო კათალიკოსის ეტრატი.

მერმე ასე სთქვა: კარადის ქვედა უჯრაში ეგდო, ამას წინათ მივაკითხე და ველარ ვნახეო. შესაძლოა საწყალ მამაშენს წაელო სხვა საბუთებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაშს ყურმოკვრით განაგონი ჰქონდა რომელიღაც ეტრატის გამო. შეევედრა დედას, როგორმე მოეძებნა კათალიკოსის ეტრატი. ქვედაუჯრის გასაღები დაიკარგაო, ფიცულობდა დედა, ჯერ წაიხემსე, მერმე დავძებნიო, ხაჭაპური გაცივდებაო.

სამხრობა გადავიდა. ისევ ძველი საბუთების გამო გამოესაუბრა თარაში დედას. ჩემი შრომისათვის მესაჭიროებაო ძველი ეტრატები.

გასაღები ეძება, ველარსად მიაგნო. თარაშმა უჯრის გატეხვა დააპირა, მაგრამ დაენანა ურთხელის კარადა. და ახლა მომეტებულის ინტერესით გამოკითხავდა დედას რა ეწერაო იმ ეტრატში?

ისევ ბანზე აუგდო დედამ სიტყვა. უხანო ნოშრევანის ამბავი მოიგონა. სწყევლიდა ანულის.

ახლა კაც ზვამბაიას ოჯახს მიუბრუნდა. კეთილ თათბირს აწვდიდა ვაჟს: ძიძა და მამამძუძე ინახულეო. არზაყანმა ოჯახი აურიაო მამას, ახლა შენ უნდა გაერიოო, მამა და შვილი შეარიგეო. არზაყანიც გკითხულობდაო გუშლამ. თარაშმა ღვინო მოსვა, დედას ეკითხება:

„ვინ ყოფილა თუ იცი, დედი, ვარდან ჰემუხვარი“.

„რა გადაეკიდე, შვილო, ამ ძველ ამბებს? მამაშენი ამბობდა: წინაპრების თქვენი წინაწინაპარი ყოფილაო ვარდან ჰემუხვარი. სხვა არაფერი ვიცი“. თარაში ადგა, ეზოში გავიდა.

შეღამებისას ბუხრისპირად დამსხდარიყვნენ მაია და ცირუნია. ქსოვდნენ. ნელი, ნელი ხმით საუბრობდნენ. თარაში შუაში ჩაუჯდა დედასა და გადიას. ხელსაქმით გართული ქალების სიახლოვე ამშვიდებმდა მას. ახლა ნათესავების ამბებს გამოიკითხავდა. ძია ქაიხოსრო ფერიცვალების დღეს მოსულიყო მაიას სანახავად. ცირუნიას ახლად ნაკურთხი ყურძენი მიერთმია. სადილობისას ქათმის ერთი ბარკალი შეუჭამია ბიძია ქაიხოსროს, ერთი ჭიქა ღვინო დაულევია, ერთი მარცვალი უგემნია მწიფე ყურძნისა.

„მერმე...“ ესა სთქვა მაიამ და ცრემლები მოერია...

„მერმე ე მანდ მუთაქაზე მიეძინა ბედშავს და სული ზედ არ აყოლია უხანოს“.

ეზოდან ქათმების ტკარცალი მოისმა და ბებერი მწევრის უსაზმნო ყეფა.

„ყოველ მეორე დღეს მოფამფალდებოდა ბედშავი, გიკითხავდა და გაბრუნდებოდა.

ისე დაფარფატებდა, ქარს დაჰქონდაო თითქოს“.

სჩივის ცირუნია.

„მუდამ თავის მისოუსტის მზეს ფიცულობდა, ძია ქაიხოსრო.

ყოველ ზაფხულში მიმინოს გეშავდაო შენთვის, გვიან შემოდგომამდის გიცდიდა, მერმე გააფრენდაო. ერახმუტს ჰგავსო ჩემი მისოუსტ. მასავით ეყვარებაო ქორმიმინო. შარშანდელი კაპუტი ფერისცვალებამდის შეუნახნია.

მერმე ვინ მოუვლიდაო მიმინოს. ცირუნიას ეჟვნები შეუბსნია და გაუფრენია. არც ის დაუმალავს მაიას თემრაზ ემხვარიერ[illegible] გადაეგო და ბიცოლა ლიზას გული გასქდომოდა, რაკი მისი [illegible] ბოლშევიკს გაჰყოლოდა. სამიოდე ხანგადასული ქალი დარჩაო თქვენი გვარიდან კიდევ. ახლა შენზეაო, შვილო, ვარდან ემხვარის ნაშიერების ბედი. შენა ხარო გვარისა და დედის იმედი.

ცირუნიამ ჩურჩულით ამცნო: ამ წელს მალანურობა იქნებაო ოქუმში. ტასია მონოზანი როგორც იქნა გათხოვდაო, „მარგალიტივით ტყუპები" ეყოლაო ტასია მონოზანს.

* *
*

ნესტისა და ობის სუნი იდგა ოთახში, ამიტომაც ცეცხლი დაენთო ცირუნიას ბუხარში. წიფლის ნამორს ეპარპაშებოდა ალი. დედა და შვილი ნაშუალამევსაც ბუხრის პირად ისხდნენ. მაია კერავდა. თარაშ ემხვარი მოხარშულ ცერცვსა სჭამდა.

„ხომ გახსოვს, დედი, აქ რომ ვიჯექით ოცი წლის წინად?

შენ მაშინ არც ერთი ჭალარა არა გქონდა თმაში."

„მაშინ არც ერთი... გულიკო, შენ კარგად მყავდე და ჭალარა ნუმც გამომლევია, გულიკო."

„ხომ გახსოვს, დედი, ზლაპარს რომ მიამბობდი, რა ზლაპარი იყო აბა თუ გახსოვს?"

„ზლაპრები კი არა, სიცხადე გადამავიწყდა, გულიკო."

„ჰო ვგონებ ეს ცაში დაკიდული კოშკი ერქვა იმ ზლაპარს." რომელიღაც მზეთუნახავი ცხოვრობდაო იმ კოშკში, რომელიღაც რაინდი ეტრფოდაო იმ მზეთუნახავს."

ჰო, ოქროს კბილი ჰქონდაო იმ რაინდს, ოქროს ნაწნავი იმ მზეთუნახავს." შეახსენა მაიამ.

მერმე ეშმა შეჩენიაო იმ მზეთუნახავს, ოქროს ნაწნავები მოიკვეცაო ქალმა და შესძულდა იმ რაინდს მიჯნური.

მაიას სათითური გაუვარდა ხელიდან. თარაშმა უპოვნა.

„ხომ გახსოვს, დედი, გუბეში ქაღალდის ნავებს რომ ჩავაგდებდი, ეს ვითომ გემი იყო. ალმასებით გავსილი ზანდუკები მომქონდა ამ გემით შენთვის ქვეყანა შემოვიარე, დედი, მაგრამ ხომ ხედავ ხელცარიელი მოგიხველ."

„შენ მეტი ხარ ვიდრე ალმასების ზანდუკი, გულიკო."

თარაშმა თავი ჩაჰქინდრა, ძაღლების რულმორეული ყეფა შემოდიოდა ფანჯრიდან და მარტოხელა ჭოტის ძახილი.

XXXIX. მეოცნებენი

ლუკაია ლაბახუა უთენია მოვარდა ოქუმში. კბილები უკაწკაწებდა, სავსებით გაზუზულს (ენგურზე გადასვლისას მეურმეებს წყალში გადაეგდოთ, ხუმრობით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად ლილისფერი გამხდარიყო. ცახცახებდა, ენა ეჩლიქებოდა.

„ასე ადრე რამ მოგიყვანა ბეჩა ლუკაია“? ეუბნება ...

„სუუ, ცირუნიამ არ გამთქვას, თორემ დამიჭერენ.“

თარაში გაოცდა.

„ლუკაია ტარიელთან ერთად გადაასახლეს, მაგრამ ეს მის მეტს არავის ახსოვს ოქუმში.“

განუმარტავს დედა.

„ხვალ მანალურობაა, შურიგე“. იდუმალი გამომეტყველებით სთქვა ლუკაიამ.

თარაშმა გაიღიმა:

ტფილისიდან კინოს ექსპედიცია გამოეგზავნათ, ამიტომაც ეწყობა მალანურობა

თარაშმა არაყი დაუსხა ლუკაიას. ჯერ იუარა, მერმე გამოსცალა, მაინც კანკალებდა მეძებარსავით.

თარაში ოთახში შევიდა. ნაცრისფერი კოსტუმი გამოუტანა პარიზში შეკერილი.

მეორე ჭიქის შემდეგ ლუკაია უკვე საკმაოდ შეშიკჭიკებული იყო.

ახალი ტანისამოსის დანახვამ თვალები გაუბრწყინა. არ სჯეროდა მას, რომ აჩუქებდნენ ახალ ტანისამოსს. იგი ხეციებისა და შარვაშიძეების გამონაცვალს იყო ჩვეული, არასოდეს მკერავს არ გაუზომია მისი სხეულის სიგრძე და სიგანე.

არაოდეს უგრძვნია ლუკაია ლაბახუას ის სიხარული, ახალი სამოსის ჩამცმელი რომ იგემებს ხოლმე.

მთელი თავისი სიცოცხლე ნასხვისარი ძონძები უტარებია.

ჩაი მიატოვა, შარვალს ხელი წამოავლო:

„ჰნი...“ იცინის.

მაიას ელდა ეცა, კოვზი გაუვარდა ხელიდან. მაინც არაფერი სთქვა.

უხვანჯრო შარვალი როგორ უნდა ჩავიცვაო. ჰნი!?

თარაშმა მეორე ოთახში შეიყვანა ლუკაია.

ლუკაია იცინოდა და ნაზობდა. თარაშმა შენიშნა: ერცხვინებოდა შარვლის გახდა ლუკაიას (თუ ახალი ტანისამოსის ჩაცმა“?)

მაია გულნაწყენი წამოდგა. არ მოსწონდა თარაშის გულუხვობა, მაგრამ დუმილი არჩია.

მალე ჩაიცვი, თორემ გაცივდებიო, აჩქარებდა თარაში ლუკაიას.

როგორც იქნა დაიყოლია. ნიფხავ-პერანგი არა სცმოდა ლუკაიას. ახლა ესეც გამოუტანა თარაშმა.

თარაშმა შენიშნა: ლუკაიას გაჩხირული ფეხები კალიისას წაგავდნენ.

დიდხანს ამტკიცებდა ლუკაი, ნიფხავ-პერანგი რა საჭიროაო? (რადგან თავის სიცოცხლეში არა სცმოდა) და ლუკაიას დალეული, გალურჯებული სხეული ქრისტესას ჰგავდა (ბიზანტიური პერიოდის მხატვრების მიერ დახატულ გარდამოხსნებში).

როგორც იქნა შარვალი ჩაიცვა ლუკაიამ.

„უხვანჯროდ როგორ იქნება, დიი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაშმა შეუბნია შარვალი, შეუბნია და ისევ შეუხსნია. ახლა თვითონ შეაბნევინა.

საყელოს გაკეთებაზე მტკიცე უარი სთქვა. ვინმე მიყელებს და წამალრჩობსო. არც ქუდი გაიკარა, ეს „ნასტავლი“ ხალხის საქმეაო. თავისი ფაფახი დაიხურა, ქორის ბუდესავით გაბურძგვნილი, მწითური ფაფახი.

სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ორივე ხელი ჯიბეში ჩაიყო, დინჯად გაიარ-გამოიარა.

ეს იყო მხოლოდ: წარამარა ხელს ივლებდა შარვალზე, ზევითკენ სწევდა, მაინც იატაკზე მიჩოჩავდნენ შარვლის ქუბები.

საერთოდ ლილიპუტებს აგონებდა იგი თარაშს, ევროპის ცირკებისა და სასტუმროების დერეფნებში მოფუსფუსეთ.

თარაშ შინიდან გასვლას აპირებდა. მისი ერთად ერთი ახალი კოსტიუმი ლუკაიას ჩააცვა (ბაგაჟი ჯერ არ იყო მოსული). ამიტომაც მამისეული ჩოხა გამოატანინა დედას. მაია სწუხდა: ნამკვდრევს რად იცვამო, უმტკიცებდა:

არ მოგერგებაო მამისეული ჩოხა.

თარაშს ნაფტალინის სუნი ეცა (მას ყნოსვა ჰქონდა უზომოდ განვითარებული). ასე ეგონა: ამ ნაფტალინს მკვდრის სუნიც ახლდა. იგივე, პერლაშეზის სასაფლაოზე რომ იგრძნო პირველად, როცა უკანასკნელად აკოცა მიცვალებულ მამას.

ხვანჯრიანი შარვალი ჩაიცვა. ლუკაიამ ჩექმები ბატის ქონით გაპოხა.

მაინც ერთი საათი მოუნდა მამისეული აზიურების ჩაცმას. მერმე ახალოხის ღინკილოების შეპნევას შეუდგა. და როცა ჩოხა გადაიცვა, მაიას ცრემლები მოერია. ოცდარვაწლიანი ჯანსული წარმოუდგა.

სწორედ ასეთი იყო ჯანსული, როცა ახალმა სასიძომ მაიას მამის, შერგილ დადიანის, ოჯახში შემოაგელვა პირველად ცხენი. იგივე ორბული თვალები, პატარა ყურები, ბროწეულის ყვავილისფერი, იგივე ცხვირი, ოდნავ, სულ ოდნავ მოდრეკილი, მაღალი კისერი, გრძელი ფეხები, ვიწრო წელი, განიერი მხრები და მაჯები და პატარა ხელები.

უკუდგა მაია.

მერმე მიეახლა ვაჟს და აკოცა. აკოცა, მაგრამ არ კი იცოდა იმ წუთში, ეს მისი ვაჟი იყო თუ საქმრო რჩეული.

ან თუ სიზმარი ხომ არ ყოფილა მისი ჯაფით და ცრემლით სავსე სიცოცხლე? და ერთადერთი ვაჟის უცხოდ გადახვეწა, ცხრა ზამთრის ბნელი ღამეები მარტოხელგატარებულ ოქუმში. წყლიანი თვალები მოიფშვნიტა მაიამ. ხედავს: არა, ეს მისი საფიცარი გულიკოა, ჭადარსავით ტანკენარი, ეს მისი სიცოცხლეა, სასო მომავლისა.

სწყევლიდა იგი ღვთის გლახაკს ლუკაია ლაბახუას თავის გულში (თარაშის კოსტიუმი რად გადაიცვაო) და ლოცავს იგი კარგ მეფეხურს ლუკაია ლაბახუას (სიხარულით რომ აღავსო მოხუცის გული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისე მახლობელი, ისე მშვენიერი მოსჩანდა თარაში მიცვალებულ მამის ჩოხაში მორთული, რომ ბედშავ მაიას ვერც კი გაერჩია, ეს მისი ძე იყო, თუ საქმრო რჩეული!

თარაშმა სკამზე დასვა ლუკაია, კიდევ დაუსხა არაყი.

„როგორ არიან თქვენები“?

ეკითხება.

„დია ყოველივე კარგი გაგახსენოს, შურიგე, ღმერთმა“. ესა სთქვა ლუკიამ, თავის დაკონკილ ჯუბას მივარდა, წერილი გამოიღო და თარაშს გადასცა.

კონვერტზე ეწერა:

ჰერ ემუხვარისადმი, ოქუმში.

ხოლო მეორე მხარეზე: კაროლინა შარვაშიძის მიერ გამოგზავნილი.

(ისე, როგორც დასავლეთში მიღებულია).

და კაროლინა შემდეგსა სწერდა:

„ძვირფასო ბატონო ემხვარ!

არ დაგიმალავთ, ფრიად გამაოცა თქვენმა მოულოდნელად წამოსვლამ ტფილისიდან.

ხანდახან ასე მგონია: თქვენ მაინც კარგად გიცნობთ მეთქი. უნდა გიცნობდეთ კარგად, რადგან ზოგიერთ უცნაურობათა კიდეგან, სულიერად მენათესებით.

მაგრამ თქვენ ისეთი ნაჭედობის კაცი ხართ, მითიურ ოქროს გველივით უსხლტებით ადამიანს ხელიდან. მაინც მგონია გიცნობთ მეთქი, მაგრამ ზოგიერთი თქვენი საქციელი სავსებით უცნაურია და ჩემთვის გაუგებარი.

არ გამიჯავრდეთ და ძალიან მეწყინა თქვენი გაუჩინარება.

არ ვიცი, რა მოხდა თქვენსა და თამარს შორის ტფილისში. მერწმუნეთ, მე საკმაო ტაქტი აქაც არ დამაკლდებოდა, ხოლო თამარს—გულჩათხრობილობა.

მეც ვყოფილვარ ოდესღაც თამარის ასაკში, ეს არის, ვგონებ, ქართველი ქალი უზომოდ გულჩათხრობილია (მე მას არ ვამტყუნებ, ვიმეორებ: ორ ნაბიჯზე აქედან ჩადრია და ჰარემი). ახლა უფრო მეტს გეტყვით: თქვენ ყველანი ასეთნი ხართ. ახლადმოსულ უცხოელს ასე ეგონება ქართველი ადამიანი ფრიად გულღიაა.

ამას მხოლოდ იგი იტყვის, ვინც ქართველი თამადების ენამზეობას და ტკბილსიტყვაობას ბრმად მიენდობა.

დიახ, თქვენ გულჩათხრობილნი ხართ, რადგანაც ბევრ რამეში ევროპელებსავით სტყუით და აზიელებსავით აჭარბებთ. შესაძლოა, ეს იყოს უდიდესი ხელოვნება ამ ქვეყანაზე. არ ვიცი, შესაძლოა...

და ასე: სამ დღეს გიცდიდით ტფილისში, ხან ნაცნობებს ეკითხებოდით, ხან ქუჩაში გეძებდით. სამი დღის შემდეგ ზუგდიდს მოვბრუნდით ორივენი, რადგან თამარი ინსტიტუტში არ მიიღეს.

უთქვენობა ფრიად დაგვეტყო ზუგდიდში. თათიას [illegible] ხანს აძლევს. თამარიც ვერაა კარგად. უგუნებობას თავი მისცა სავსებით (მე ვამჩნევ მხოლოდ: სწუხს, არ კი ამხელს, ხანაც სრულ უსასოებას ეძლევა).

ხანდახან უკრავს, კაცმა რომ სთქვას, ამ დაბოლოს ბევრს უკრავს, ხანაც ბულვარულ რომანებს კითხულობს. დღისით თავის ტკივილს უჩივის, ღამღამობით ჩვენს ოთახში გვესმის თუ როგორ წრიალებს, სტირის მძინარი.

ბაბუა ტარიელს ჯერ ფრიად გაეხარდა თამარის მობრუნება ოჯახში, ახლა ისევ განაგრძობს ბუზღუნსა და ღრენას. ახლა მშვენიერი მთვარიანი ღამეებია ზუგდიდში. მე და თამარი ვზივართ გვიანამდის ალუჩის ქვეშ. დანამდვილებით არც კი ვიცით თქვენ თუ სადა ხართ. ეს ლუკაიამ აიჩემა: ოქუმშიაო. ველარ დავამაგრეთ და გამოსწია. მეც ვისარგებლე შემთხვევით და გიძღვნით გულითად სალამს.

თქვენივე ნათქვამიდან მახსოვს: თუ ოქუმში დავბრუნდი, მეურნეობას მივყოფო ხელს (მაინც მგონია, თქვენ იქ ვერ გასძლებთ და ისევ ტფილისს მიბრუნდებით).

მე წარმატებას გისურვებდით ყოველ საქმეში, მაგრამ თქვენსავე სიტყვებს მოგაგონებთ: „მეოცნებეთა მეურნეობა ცაში მოხერხდესო ეგებ“.

XL მალანურები მოვიდნენ

ვშიშობ, ჩემმა მკითხველმა არც კი იცოდეს: თუ რა არის მალანურობა.

ეგ ჩემი რომანის საგანს არ შეადგენს, მაგრამ რა ვქნა? სქოლიოში ჩამოტანილი ამბავი არ მიყვარს. სქოლიოში უმნიშვნელო ამბები ჩამოაქვთ ხოლმე. ხოლო მალანურობა, როგორც მკითხველი თავათ დარწმუნდება, საბედისწერო გახდა ჩემი გმირებისათვის, ამიტომაც შევეცდები დაახლოებით აგიწეროთ იგი. მით უმეტეს, სწორედ იმ წელს, უკანასკნელად გაიმართა იგი ოქუმში.

და გაიმართა იმადაც, მთავრობას უნდოდა ფილმზე გადაეღოთ ეს ძველი მისტერია მომავლის მეისტორიების თავის სატეხად (მე გულწრფელად მეცოდება ისტორიკოსები, რადგან ვერ გამიგია: როგორ შეიძლება რაიმე სწორედ ისევე აიწეროს, როგორც ეგ მომხდარა ოდესმე?).

27 აგვისტოს მთვარე სრული ხდება.

სწორედ მარიობის წინა ღამეს მნათე აიღებს და სამჯერ დაჰკრავს ბუკს.

სოფელ ოქუმში ჯერ კიდევ დარჩენილი იყო უძველესი ბუკი, სათანჯოს ციხიდან მოტანილი. ამ ბუკით ამცნობდენ ომის დაწყებას ენგურის ზეობას.

ოქუმელმა მნათემ, როგორც უკვე მოგეხსენებათ ჩემი ნათხრობიდან, უფრო სარფიან საქმეს მოჰკიდა ხელი. ამიტომაც ლუკაიმ ოთხბოლოს იკისრა ეს საქმე. უნდა გენახათ რა სასაცილო იყო ეს ქონდრისკაცი, როცა მან ეს უზარმაზარი ბუკი გაირჭო პირში!

მთელი სოფლის მოხუცები, დროული კაცები მოგროვდნენ.

12 მალანური, ან როგორც იტყვიან, „ტარიელი“ ამოირჩა. ახალგაზრდები კინო ოპერატორის ჯილდომ წაახალისა.

ექვსი მათ შორის დადიანის მომხრე, ექვსიც მეფისა.

თორმეტივე საგანგებოდ მოირთო, ისე როგორც ძველ დროში უქნიათ ეს.

ახალოხები შარვალში ჩატანებული ჰქონდათ, თავზე წითელი ჩაბალახები, ფეხზე უძიროები.

* *
*

თარაშ ემხვარ დილიდანვე თან გაჰყვა ლუკაიას. ეკლესიის ეზოში შავებითმოსილი კინოაპარატები დაედგათ. ბალღები და კომკავშირელები გარს ეხვეოდენ ფოტოგრაფებსა და კინო რეჟისორებს.

იჯდა თარაშ ემხვარ ცაცხვის ქვეშ, თავის ბავშობა აგონდებოდა ისევ. ეს ფუღურო ცაცხვები დაპატარავებული ეჩვენა. ეს ადგილი სამთავიანი დევის ბუნაგად ჰქონდათ მიჩნეული არზაყანს და გულიკოს. რამდენჯერ მოჯირითებულან ისინი ცხენჯოხებზე გადამჯდარნი ამ ბუნაგის ასაკლებად. შელამდებოდა თუ არა, შინისაკენ გაჰქუსლავდენ „მიცვალებულთა სულების“ შიშით.

მისოუსტი არჩევდა გარს მოგროვილ გლეხებში ნატოლარებს, თითქმის ყველანი დაცოლშვილებულიყვნენ, ორიოდე მომკვდარა, რამდენიმეს თმა გაჭალარავებია საფეთქელთან.

ახლადმოჩიტული თაობა შორიდან უჭვრეტდა, მოხუცები თავზე მობურულ ჩაბალახებს იხდიდენ, მოკრძალებულ სალამს აძლევდნენ „ჯამსულ ემხვარის“ ვაჟს.

იქვე მოირთხამდნენ, დარბაისლურად ესაუბრებოდნენ.

ხომ საკმაოდ გახუნებული, მამისეული ჩოხა ეცვა თარაშს, ჩაბალახი კისერზე ჰქონდა დაუდევრად გადაგდებული, მაგრამ მეზობლები მაინც მორიდებულად შესცქეროდენ „უცხოს“. ზოგი იჭვნეულად იღიმებოდა, გლეხურად ჩაუცვამსო. ეს ახალ დროს ხარკს უხდისო ნათავადარი.

საერთოდ, თარაშის ჩამოსვლამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ზოგი ასე ამბობდა:

სკოლის უფროსად გაუგზავნიაო მთავრობას. სხვანი უნდობლად იღიმებოდნენ:

ოქუმში რა გააძლებიებსო „ევროპიაში“ ნაცხოვრებ კაცს.

ასოცი წლის ომარ ლომიამ მარჯვენა მკერდზე აკოცა თარაშს, მერმე მხრისთავზე ხელი გადაუსვა ალერსიანად, ჯიქურად შეხედა ფვალწარბში. პირჯვარი გადაიწერა. ეუბნება:

„დაილოცოს უფლის სახელი. პირწავარდნილი ჯანსულია. სწორედ ასეთი იყო ცხონებული, რუსეთიდან პირველად რომ დაბრუნდა იმ წელს.“ ესაა მხოლოდ, ჯანსულს ოდნავ უფრო შეყრილი წარბები ჰქონდაო, დასძინა.

შინმობრუნებული თარაში იჯდა, გლეხურად უქცევდა, მწარე თუთუნს სწევდა. გვერდით უსხდნენ ნატოლარები, სკოლის ამხანაგები. და უჩვეულო სითბოსა და სინაზეს გული გაეთბო მისთვის.

„შენ რამდენი შვილი გყავს ჯვიბი?“

გურამ შენ?

გეგის?

ესტატეს?

ჯვებე შენ?

ჯვიბის სამი შვილი ჰყოლია, სამივე ვაჟი, გურამს ექვსი ქალვაჟი, ესტატეს ორი მოჰკვდომია, ერთი ქალვაჟი სკოლაში დაუდისო, ჯვებეს ხუთი,

„ხუთივე ვაჟი?“ ეკითხება ისევ თარაში.

„ოო, კარგია, კარგი. შენ ნადირობა გიყვარს, მე მახსოვს სასროლი ბადეც არა გძულს, აიყოლიე ბიჭები, და გიყვარდეს.“

ყველამ თარაშს შეხედა: ჯვიბიმ, გურამმა, გეგიმ, ესტატემ და ჯვებემაც. კითხვა არ შეჰკადრეს. მაინც უსიტყვოდ იგრძნო და დაფიქრდა: მას არავინ გააჩნდა მოხუცებულ დედისა გარდა.

ისევ ბავშვობას მიუბრუნდენ.

„ის როგორ იყო მისოუსტ, უბელო ცხენი რომ გაგიჭენდა ამ ეკლესიის მოედანზე, ფაფარზე ებლაუჭებოდი, ცხენი გააჩერეთო იხვეწებოდი? წრეულს კი დიდმარულა აგიღიათ შენ და არზაყანს.“ ეუბნება ჯვიბი ესვანჯია.

„მე შენზე უფროსი ვარ, გულიკო, ვგონებ ორი წლით, პირველი მე ვეძგერე შენ ცხენს.“ ამბობს ღიმილით გეგი ბერია. მერმე ის იყო ომარი, ოტია და ჯვებე წამოგვეშველნენ.

„მე ისიც მახსოვს, წამოიწყო გაჭაღარავებულმა ესტატე შელეგიამ, შენ და არზაყანს ოქუმის წყალში ტანი დაგიბანიათ, მე იქვე ჭალაში ყანა მქონდა მამიშენისა. მუხის ჩეროში ვისვენებდი, სადილს ვუცდიდი. უცებ კივილი მომესმა. ვიფიქრე: ჩემს დედაკაცს ფონი აერია მეთქი. გავიხედე: კაც ზვამბაიას ბიჭი არზაყანი მორბის და შემცხადებულსავით მოჰკივის. გაუხდელად გადავეშვი და ყურებში ხელი დაგავლე პატოინსქუა.“. . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

პატარა ჯამუ მოცუნცულდა. სადილად გიცდისო ძი.

თორმეტ მალანურს თორმეტი წვეტიანი, ფრთებგაყრილი ჯოხი მოართვეს, თხილის მაჭუკები.

ლოცვა დაიწყო.

თორმეტი მალანური ორად გაიყო.

ერთი ბუტბუტებს, დანარჩენები ამინს „სწირავენ“.

ფოტოაპარატები მოამზადეს კინოოპერატორებმა.

მოხუცი გლეხები მოკრძალებულად უახლოვდებიან მალანურებს. მალანურები ლოცავენ. ღრმადმოხუცებულნი შორს უდგანან (რადგან სურათის გადაღება ცოდვათ მიაჩნიათ).

ახალგაზრდები კინოოპერატორების მუშაობას თვალს ადევნებენ. ზოგზოგი „ევროპულად“ მორთულ ლუკაია ლაბახუას უჭვრეტს. ბიჭები ცაცხვებზე გასულან.

„ლუკაია პიჟონ“, დაიჩხავლებს ცაცხვიდან ერთი.

„ლუკაია ჩარლსტონ“, გასძახის მეორე.

„ლუკაია ჩემბერლენ“, კისკისებენ სხვანი.

არავინ იცის თუ ვინ მისცა ასეთი ახალთახალი კოსტიუმი შლუ ლუკაიას. რადგან თარაშმა დაანამუსა ლუკაია წინასწარ.

* *
*

ჯვიბი ესვანჯია ეკლესიაში შეუძღვა მისოუსტს.

როგორი პატარა, საცოდავი ეჩვენა ოქუმის ეკლესია. ოდესღაც მოწიწებითა და განცვიფრებით აღვსილი შესცქეროდა მისოუსტ ამ კანკელის მხატვრობას! როგორ აფორიაქებდა მის წარმოდგენას ეს პირდაღრენილი ეშმაკი აღსავლის კარზე ზეთით ნახატი, წმინდა გიორგის ცხენის ფლოქვებს ქვეშ გაგებული! გახუნებულა ბიბლიური გრძელწვერა ღმერთი, ანაფორაგახდილ ნახუცარს დამზგავსებოდა. და ეს გრძელწვერიანი მახარობლები უმუშევარ ნაკაცარებს მოაგონებენ მნახველს. სამხრეთის კედელზე ორიოდე ძველი ფრესკა შენიშნა თარაშმა წამალგადასული. მხოლოდ ამ ფრესკებს უჭვრეტდა იგი როგორც ძველი ხელოვნების ნაშთს. აღმოსავლეთის კედელზე უზარმაზარი, წითელი ლენტი გაეკრათ წინა ღამით კომკავშირელებს და ზედ ეწერა: „რელიგია ხალხის გონების ბანგია“.

საკურთხევლის წინ უმწეოდ დაბორიალებდა დაჩიავებული, ტანმორჩილი მოხუცი მღვდელი (ილორიდან მოეყვანათ იგი მოხუცებს იმ დღისთვის.) ღონემიხდილი ჩიფჩიფებდა იგი ფსალმუნის სტროფებს. თარაშ ემხვარს უყვარდა მოხუცებული მღვდლის მიერ წართქმული ფსალმუნის ლექსები. ახლა არც ერთი გასაგები სიტყვა არა სწვდებოდა მის სმენას.

„აი აქ იდგა პირველ ადგილზე ცხონებული მამა შენი“, უჩურჩულებს თარაშს ჯვიბი ესვანჯია.

ხუთიოდე ემხვარის ქვრივი, ერთი მოხუცი ლიპარტიანი, ორიც შარშანია და ერთი დახუთული დადიანი კიდევ დარჩენილიყო ოქუმელი აზნაურების წრიდან. უფრო სეირისთვის მოსულიყო აქ დამსწრე ხალხი. ეტყობოდა: ამ ხალხს „კინოში მოხვედრა“ ერჩია სასუფეველში შესვლას.

ერთბაშად ეკლესია დაიცალა, ისევ აიღო ლუკაია ლაბახუამ ბუკი და კინო ოპერატორმა დაატკაცუნა.

შემდეგ ხატი დაჰკიდეს მკერდზე ლუკაიას (მღვდელი ეკლესიის ეზოდან გავიდა წესისამებრ).

მოზიმზიმე ბრბო გარს შემოერტყა ლუკაია ლაბახუას.

„ოისა“.

შესძახა ლუკაიამ.

„გაისა“.

დაიქუხა მრევლმა.

„ოისა“, „გაისა“ ისმოდა გრიალი. ვერცხლის ხატით მკერდდამშვენებული ლუკაია წინ მიუძღოდა ხალხს და „ოისა, გაისას“ ძახილით სამჯერ შემოუარეს ეკლესიას.

თარაშს თავისი ბავშვობა მოაგონდა.

და ეს გაუგებარი „ოისა“ „გაისა“ ერეოლასა ჰგვრიდა.

მორწმუნეთა მცირერიცხოვან მრევლს უკან მისდევდენ აპარატმომარჯვებული ფოტოგრაფები, კინოოპერატორები, მათი შოფერები და სხვები, და „ოისა გაისას“ რეფრენში კანტი კუნტად შეაპარებდნენ ბიჭები: „ლუკაია ჩარლსტონ,“ „ლუკაია პიქონ“, „ლუკაია ჩემბერლენ“-ს.

ეს შეძახილი კომიურ კილოს აძლევდა უაღრესად პათეთიურად განზრახულ ძველთაძველ მისტერიას.

მერმე თარაშ ემხვარმაც თავის ბლოკნოტი ამოიღო და დაწვრილებით ჩაიწერა ეს ცერემონიები, რადგან ბევრი რამ დროს წაეშალა მისი ხსოვნიდანაც.

* *
*

და თორმეტი მალანური ხალხს გაეთიშა. თორმეტივე ეკლესიაში დაამწყვდიეს, უზარმაზარი ბოქლონი დაადვეს ეკლესიას.

ეკლესიის წინ მოგროვილი ხალხი განზე დაამწკრივეს, შარა გააკეთეს ხალხსა და ეკლესიის შორის და ეკლესიის სიგრძე ჭოლოკი დასდგეს ამ შარაზე.

ისევ გააღეს ეკლესია, ტყვე ტარიელები გამოუშვეს. თორმეტი მალანური ექვს ექვსად გაიყო და ორივე მხარე ჭოლოკს დაეჭიდა აქეთ იქიდან. დიდხანს იძიძგილავეს, იბრძოლეს, მაგრამ ამ ბრძოლას აკლდა ის გააფთრებული ძალის დაჭინთვა, ძველად რომ სჩვეოდათ ტარიელებს.

ამ წელსაც მეფის მალანურებმა აჯობეს დადიანისას და არც ამის გამო აუტკენია ვინმეს თავი. მერმე „მეფის ტარიელები“ წესისამებრ ეკლესიის კარზე ჩამოსხდნენ, დადიანისანი ცაცხვის ძირს დაბანაკდნენ და ძველებურად შეებნენ შაირებით ურთიერთს. არც ჩვეულებრივი მყრალისიტყვაობა ყოფილა ამ წელს მეფის მალანურებს რომ ჰქონდათ წესად ძველ დროებაში.

რამდენიმე ფრთიანი ფრაზა მაინც ჩარჩებოდა ამ ზმნებიდან მსმენელს. უფროსმა მეფის მალანურმა ასეთი რამ გადასძახა დადიანის მალანურებს:

მეფემ შემოუთვალაო დადიანს, ჩემს მეძებარს კუდი მოგლიჯაო მგელმა, დადიანი ტყეში წავიდესო, ის კუდი მოსძებნოსო და ისევ შეურჭოსო ძაღლს თავის ადგილზე.

ახლა დადიანის მალანური ამყრალდა: დადიანმა ეს შემოუთვალაო მეფეს: ჩემს მწევარს კვრცხები ჰქავაო, ყოველ დილას მეახლოსო მეფე და კვერცხები დაფხანოსო მწევარს, სამაგიეროდ სამ მარჩილს მიიღებსო ყოველ დღე.

(სხვა რამეც ითქვა უარესი, მაგრამ ავტორს ესეც საკმარისად მიაჩნია ქართველ ფეოდალების ბილწსიტყვაობის გასახსენებლად).

ახლა მაჭუკების სროლა დაიწყეს. ვერც ერთმა მალანურმა ეკლესიას ვერ გადააცდინა მაჭუკი ამ წელს.

„ასეა, როცა რწმენა არაა რაიმე საქმის მიმართ, იქ ოსტატობასაც ვერავინ გამოიჩენს“. ასე ფიქრობდა თარაშ ემხვარ და სწორედ ამ დროს ერთი ბრგე ვაჟკაცი გამოეყო დადიანის მალანურებს, მწითური, კატჯვარისაგან ყელგამოლადრული.

ისროლა მაჭუკი და ეკლესიას გადააცდინა. უნებლიედ დაიგრიალა გარშემო ტაშმა. კინო ოპერატორმა აპარატი მოიმარჯვა და სთხოვა მწითურს წელში გასწორებულიყო. თარაში შეაცქერდა ამ კაცს. ბორას ნისკარტივით მოხრილი ცხვირი ჰქონდა მწითურს. ტანადაც ბორასა ჰგავდა მხრებჩამოლეწილს. უზარმაზარი, გველისპირული სატევარი ეკიდა წელზე ამ ახმახ დევკაცს. და როცა აპარატი მოაშვირეს, გაფითრდა და ნერვიულად აუფახურდა მწითური, გრძელი წამწამი.

თარაშ ემხვარ აწრიალდა მის დანახვაზე. ჯვიბი ესვანჯიას წაავლო ხელი. ვინ არისო? იკითხა.

ლომკაცია ტარბას უფროსი ვაჟიაო, მამის სიკვდილის შემდეგ ქალაქიდან მობრუნებული. ციხიდან გაქცეულაო ამ ორი კვირის წინად. სამი წელი ყაჩაღობდაო აფხაზეთში. ჯამლეთი ჰქვიანო ამ ტარბას,—უჩურჩულა ჯვიბიმ თარაშს. მერმე ჯვიბი დაინტერესდა. ჩააცივდა თარაშს: რად იკითხეო ამ ტარბას ვინაობა?

„უცნაური სახე აქვსო ამ კაცს“. ესა სთქვა თარაშმა და კიდევ შეხედა ჯამლეთ ტარბას.

თარაშ ემხვარს გუნება შეეცვალა ანაზდეულად. ჯვიბის დაემშვიდობა და ეკლესიის ეზო გადაიარა. მცირე მანძილი უკლდა კაც ზვამბაიას სახლამდის ისე წამოეწია ლუკაია. ჟინჟლავდა ოდნავ. თარაშ ეუბნა მიდიოდა ფიქრებში გართული. ლუკაიამ გზა გადაუჭრა. ჯიქურ მივიდა. ეუცხოვა: თარაშ ემხვარს მიწისფერი დასდებოდა.

კაც ზვამბაიას მუხის ჭიშკარი გადარაზული დაუხვდათ. თარაშმა მიზეზი იკითხა.

„ფრთხილობენ შურიგე.“

ამბობს ლუკაია.

„რისთვის მერმე?“

„დიი.!. როგორ რისთვის შურიგე, განა არ იცი, ტარბების სისხლი მართებს არზაყანს.“

თარაში დადუმდა და ჯამლეთ ტარბას უცნაური სახე თვალწინ დაუდგა და მისი გველისპირული სატევარი მოიგონა.

მერმე სახეზე ჩამოისვა ხელი, თითქოს ობობის ბლანდი მოიცალაო თვალთაგან.

„ვოჰ კაც, ვოჰოო....“

დაიძახა ლუკაიამ. თარაშს გააჟრჟოლა ამ ძახილის გაგონებისას.

ეს „ვოჰ“ ბავშობაში სმენია წისქვილის კარზე, ყანაში, ტყეში რომ უძახოდნენ ურთიერთს ოქუმელი გლეხები.

„ვოჰ კაც, ვოოოჰ“.

ისევ დაიძახა ლუკაიამ. ახლა გააფრთებული ნაგაზები გამოცვივდნენ ჩალის ზვინიდან. მეწინავეებმა აკაციის მაღალ მესრებს მოაშურეს, სამიოდე ჭიშკარს მივარდა, ერთად ერთი ბებერი მურა შეიცნო თარაშმა, სიყმაწვილეში ნანახი.

კაც ზვამბაიამ ძაღლები დატუქსა. ჭუჭრუტანაში გამოიჭყიტა. მერმე ურდული გამოიღო.

„მადლობა უფალს, ჩემს სახლში რომ მოხვედი მშვიდობით.“

ამბობს კაც და პირიჯვარს იწერს. მე მალანურები მეგონეთო დასძინა.

არზაყანმა და ძაბულმაც გაიგეს თარაშის მოსვლა, არზაყანი უკვე ფეხზე იდგა, ოდნავ კოჭლობდა. მაგრამ თავის სამზადიდან არ გამოდიოდა. არზაყანის მიერ კოლექტივში შესვლამ მამაშვილნი გაჰყარა. არზაყანს სამზადი ერგო და ეზოს ნახევარი. არზაყანმა „თხრილით შემორაგვა თავისი წილი. და ეს ყოველივე კოლექტივში შეიტანა. ასე რომ ამ თხრილს გადალმა არ მიდიოდა მამასთან სამტროდ დაუბრებული არზაყან.

ხათუნა, ჯამუ და ქელეში, მხოლოდ შეღამებულზე თუ გაბედავდნენ არზაყანის ნახვას.

ძაბული სიარულს უშლიდა არზაყანს, მაგრამ თარაშის მოსვლამ ისე ააღელვა იგი, მას სავსებით გაემართა ფეხი და ნერვიულად დადიოდა კერის გარშემო.

კარი გააღო. ხედავს: აივანზე სხედან. ხათუნა მუხლებზე მოხვეულა თარაშს. ჯამუ და ქელეში იქვე სხედან. კაც ზეზე იდგა და ხმა ამაღლა ქაქანებდა. ალბად მე მაგინებსო. გაიფიქრა არაზყანმა და კარი მიუგდო. ისევ დადიოდა ფიქრებში გართული შუაცეცხლის გარშემო. ცოტა რამ ძაბულისგან განაგონი ჰქონდა არზაყანს — თარაშის ტფილისიდან მობრუნების გამო. თამარი ტფილისში დარჩენილაო, ვგონებ წაკიდებულანო. ამასაც ძაბული ამბობდა.

და არზაყან მოუთმენლობამ შეიპყრო.

დიდი ხანია ასე არ მონატრებია მას თარაშის ნახვა. და თარაში თითქოს მკვდრეთით აღსდგაო მის გულში. ახლა იგი ძველი თარაშია, საყვარელი მისოუსტ, გუჩა, გულიკო. თარაში ისევ მისი საფიცარი ძმაა და ახლა დამარტოვებულ არზაყანს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მათ შორის. ეს აწუხებს არზაყანს: თამარი რას ფიქრობს ნეტავი?

რას აკეთებს ამჟამად ტფილისში? უეჭველია, როგორც კი ფეხი სავსებით მოურჩება, არაზყან ტფილისში წავა და თამარი ისევ მისი გახდება. და ერთ წუთში შეეშინდა უხილავი გულთმისნობის ძალით ძაბულიმ არ შეატყოს ეს ფიქრები მას.

შესცივდა რატომღაც. ცეცხლთან მივიდა. სამფეხზე წამოჯდა. ხელისგულები ცეცხლზე მიაფიცხა, თითქოს ყინვის ლანქერი შემოერტყაო სხეულზე და ძაბულის ეუბნება სავსებით უსაზმნოდ (რათა, სიჩუმეს არ გაეთქვა):

„იცი ძაბული, ჩოხა შვენისო თარაშს.

ძაბულიც ხედავდა ეზოში შემოსვლისას, ჩოხა რომ შვენოდა თარაშს, მაგრამ შეეშინდა: ეგების მცდისო და მკვახედ უპასუხა:

„არაფერსაც არ შვენის ჩოხა თარაშს. შენ უფრო გიხდება ჩოხა.“

არზაყანმა სიყალბე ამოიკითხა ქალის გაბზარულ ხმაში და თვალებში შეხედა ჯიქურად ძაბულის. და ისევ იელვა ძველმა იჭვხეულებამ თარაშის მიმართ.

თქმასაც მოერიდა და არაფრის თქმასაც, ამიტომ ეს უთხრა:

„რა კარგი კოსტიუმი უჩუქნია მაგ გადარეულ ლუკაიასათვის.“

„ლუკაია სულ გააგიჟა მაგ შენმა თარაშმა.“

გულის გარეშე სთქვა ძაბულიმ და მუგუზლები მირეჯგ-მორეჯგვა.

ადგა არზაყან და ისევ გამოაღო კარი. უკვე შელამებულიყო. ძაღლები აივანზე ირეოდნენ. სტუმარი შინ შეეყვანათ, მხოლოდ ხათუნა დაფათურობდა, ჯამუს ჭრაქი დაჰქონდა.

ისევ ასტკივდა ფეხი არზაყანს, მუხლები მოეჭრა. შეშა დაუმატეო კერას, ეს სთხოვა ძაბულის, რადგან საღამოს სინესტე საგრძნობელი გახდა მიწურში. პირაღმა წამოწვა საწოლზე.

ისევ თამარის სახემ იელვა მის თვალწინ და კვლავ მოენატრა თარაშის შემოსვლა. ინატრა მალე მოვიდესო ღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მძინარე მამას თუ გამოაპარებდა სტუმარს ხათუნა.

იწვა არზაყან და მჭვარტლიან ჭერს შესცქეროდა. ისევ ტფილისისაკენ, თამარისაკენ გაეშურა მისი გულისხმა. ძაბული მიწურს ჰგვიდა, ალაგებდა სახლს თარაშ ემხვარის მოლოდინში.

არაზაყან ისევ თამარისათვის ფიქრობს, ცხადლივ, მთლად ცხადლივ წარმოდგენილი აქვს არზაყანს თამარი. უეჭველია, თამარი ისევ იგივე დარჩა, მას რომ უყვარდა იგივე თამარი.

რა უყოთ მერმე რომ არ მოაკითხა ავადმყოფს.

ან როგორ შეეძლო ტრადიციული, ძველებური ოჯახისშვილს უცოლო ვაჟი ენახულებინა, თუნდაც ავადმყოფი.

მაშ, შარდინ ალშიბაიას ჭორები გაბათილდა?. ტფილისს შემთხვევით წასულან ერთად, ეს რომ არა, თარაში როგორ დასტოვებდა მარტოკას ტფილისში? თარაშს ბინა გაუყიდნიაო, ამბობდა ძაბული, ოქუმში აპირებსო დასახლებას. თარაში ხომ ახირებულზე ახირებული კაცია, მისგან არც ესაა გასაკვირველი, თარაში თავისნება კაცია, ალბად მოსძულდა დიდი ქალაქები, ახლა სოფელი მოენატრა, დასახლდება ალბად ოქუმში.

კიდევაც ამბობდა წრეულს ზაფხულში, ერთ ცხენს ვიყიდიო და ერთ ულელ ხარს, მეც სხვებსავით ვიცხოვრებ, ვიმუშავებ და ვინადირებო. შესაძლოა, შესაძლო კი არა, ეს ასეა: თარაშს კაროლინა უყვარს. ეს გაიფიქრა არზაყანმა და ის ღამე გაახსენდა, მოკვლას რომ უპირებდა არზაყანი თარაშს. ხომ სავსებით უმართებულოდ შემოაკვდებოდა არზაყანს დედის ძუძუს თანაზიარი თარაში.

ჰკოცნიდა?

მერმე რა? ლამაზ ქალს ვინ არ აკოცებს, თუ მოიხელთა? ასეთ რამეს არც არზაყანი დაერიდება. თუნდაც კაროლინა ჩაიგდოს ხელში სადმე ხელმარჯვედ არზაყანმა... მერმე ხომ გამოაგდო თამარმა სახლიდან.

ისევ პირალმა წევს არზაყან. ძაბული ფართიფურთობს. კეცებს ახურებს, ხაჭაპურები უნდა დაახვედროს სტუმარს. მოგვიანებით უეჭველად მოვა თარაში, და ისევ თამარს მისწვდა არზაყანის აფორიაქებული ფიქრები. კიდევ ერთა კვირა და არზაყან სავსებით გაჯანსაღდება. მერმე ტფილისი... ინსტიტუტი, თამართან შეხვედრა, ქალაქში ეს ყოველივე უფრო იოლია. ალარც აბეზარი ნახუცარი შეუშლით მათ ხელთ, ალარც ჭორები პროვინციისა...

ძაბული გაეხმაურა. ღვინო თუ დარჩაო ცოტაოდენი?

ჰო, ღვინო არ დაულევია არზაყანს გუშინ. ასე რომ სტუმრისთვის იკმარებსო ღვინო. და ღვინის ხსენებაზე ძაბული წამოიჭრა რატომღაც არზაყანსა და თამარს შორის.

რა უყოს არზაყანმა ამ ერთგულსა და სათნო ძაბულის? სამსახური მიატოვა ბედშავმა მის გამო, ულუკმა პუროდ დაჰყარა ოჯახები ოქუმში. დღედაღამ თავს დასტრიალებდა არზაყანს.

ოო, რა სასტიკი ვართ მამაკაცები!.. მაგრამ, რა!.. საშსახურს ისევ უშოვნის დაბაში ძაბულის.

სხვარიგად გადაუხდის არზაყან პატივისცემას ძაბულის, სხვა რა დააკლდა ძაბულის? ჯერ არც არზაყანმა და არც ძაბულიმ არ იციან თუ რა არის მათ შორის ქალი და კაცი? (დედის სიახლოეს როგორ ჩაიდენს ასეთ რამეს აფხაზი ვაჟკაცი.)

ამას ფიქრობდა არზაყან და სწორედ ამ წუთში ძაღლების ყეფა ატყდა. არზაყანს შენიშნული ჰქონდა: ასე გამწარებულად არასდროს ყეფენ ძაღლები, თუ მართლაც ვინმე არაა ეზოში შემოსული. ჯერ იყო და შეშფოთდა. ზოგნი ჭიშკრისაკენ უტევდნენ. ზოგნიც. თხემლნარისკენ ეს არ ეპრიანა. ახლა ყეფა უმწეო წკავწკავად შესცვალეს იმ ძაღლებმა, ჭიშკრისაკენ რომელნიც უტევდენ. უცებ ერთი აღრიალდა საწყალობელად. ეტყობოდა: ვილაცამ შემოჰკრა ჯოხი. და ეს ერთი, უცილოდ ბებერი მურა უნდა ყოფილიყო, თივის ზვინზე აყმუვლდა შემზარავი ხმით. არზაყანს გააჟრაჟოლა ტანში. თავი გადმოყო საწოლიდან და ძაბულის ეუბნება: გაიხედე, რა ამბავია?

ძაბულის ხელები ცომში ჰქონდა ამოსვრილი. მაცალე, კეცი გამიცივდებაო. ისევ შეუტიეს ძაღლებმა, ახლა მამის ოდასახლის ახლოს. არზაყანმა წამოდგომა დააპირა და ძაბულიმ დაასწრო.

გაიხედა კარიდან. ქელეში მორბოდა, ანთებული ჭრაქი ეჭირა ხელში. ვინ არისო? შესძახა ხმადაბლა ქელეშს ძაბულიმ.

არავინ, მალანურები მოვიდნენო.

მალანურები მოვიდნენო?

არზაყანი კედლისკენ მიბრუნდა. ეს არენბა არლდანის და გვანჯ აფაქიძის ოინებიაო. ვის რათ უნდა ეს თვალთმაქცობა, სისულელეა ამ წელს მალანურობის გამართვა. კოლექტივიზაციის ეპოქაში, მალანურობა რა გასამართავი იყოო? დაძრწიან ეს მალანურები სოფლად, მათხოვრობენ, ხალხს აწუხებენო.

ამის თქმა მოასწრო არზაყანმა და უკანა კარზე დააკაკუნა ვილაცამ. ფრთხილად, ძალინ ფრთხილად დააკაკუნა.

არზაყან წამოდგა. ფეხი გაანძრია თუ არა, საშინელი ტკივილი შეიცნო. მოკრძალებულმა კაკუნმა აფიქრებინა: ალბად თარაში და ხათუნაა. ძაბულის ისევ ცომში ჰქონდა ხელები ამოსვრილი. ვიდრე ძაბული ხელებს. დაიბანდა, კიდევ განმეორდა კაკუნი და საკმაოდ გარკვეული ჩურჩული ორი კაცისა.

„ალბად ის წყეული მალანურებია, ძაბული გაუღე ჭირიმე კარი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსთქვა არზაყანმა და ისევ კედლისკენ მიბრუნდა, რათა მალანურებს არ გასაუბრებოდა.

ძაბულიმ წინსაფრით ხელები შეიმშრალა და ურდული გამოაძრო კარიდან და თვალის დახამხამებამაც ვერ მოასწრო, ორი სატევრიანი მამაკაცი შემოიჭრა ფაცხაში. ქალის დანახვაზე შესდგნენ. ერთი მათგანი, ახმახი, მწითური დაწინაურდა, მხარმარჯვნით მოუარა ძაბულის და არზაყანის საწოლისაკენ გაემართა, ხოლო მეორე შავფაფახიანი ძაბულის ეცა. პირის მოკუმვა მოუნდომა. ხმაურობამ არზაყანს მოახედა: და სატევარამოწვდილი ჯამლეთ ტარბა ზედწამოდგომოდა.

განაბულ ვეფხსავით ისკუპა არზაყანმა და ეცა ტარბას. მარჯვენა ხელი გადაუზნიქა. მიაწვა მკერდით სატევრიანი და შეიბნენ სამკვდროდ ზვამბაია და ტარბა...

შავფაფახიანმა იძალა და შეუკრა ძაბულის ხელები, მიაწვა მკერდგანიერ ქალწულის ფაფუკ სხეულს, მაგრამ ისევ ივაჟკაცა ძაბულიმ, ძუმგელსავით გაბოროტებული მისწვდა შავფაფახიანის განიერ მაჯას და უკბინა.

ისევ გაისმა ძაღლების ხორალური ყეფა და წკავწკავი. ზედიზედ გავარდა ბერდანა ეზოში. და სწორედ ამავე წუთში ექვსი ლანდი სროლით მიუახლოვდა კაც ზვამბაიას ოდას. კაც ზვამბაიამ და მისმა გაზრდილმა უკანა კარიდან გამოხტომა მოასწრეს და ტყვიებმა დაამსხვრიეს აივნის რიკულები. ხათუნამ და ლუკაიამ კარები გადარაზეს შიგნიდან და თარაშისა და მისი მამძუძეს ლანდები სროლით გაემართენ არზაყანის ქოხისკენ. მთვარეც ჯერაც არ იყო გამოსული. კაც და თარაშ მირბოდნენ, ისროდნენ, წაიქცეოდნენ,ისევ დგებოდნენ და არზაყანის ფაცხისკენ მირბოდნენ სროლით.

ძაღლები მაგრად უტევდნენ ბნელში მორიალე თავდამსხმელთა ლანდებს.....

* * *

.... და სწორედ იმ წუთში, როცა ჯამლეთ ტარბას ხელიდან გაუვარდა სატევარი, არზაყანს დაზიანებულმა მარჯვენამ უღალატა, თვალებზე ბინდი გადაეკრა და საწოლზე წაიქცა გულშეღონებული. ჯამლეთ ტარბამ ხელი უშვა და სატევრისაკენ დაიხარა, მაგრამ წელში გამართვაც ვერ მოასწრო, ისე მიეჭრა თარაშ ემხვარ. ელვის უსწრაფესად დაიხვია ხელზე ჩოხის კალთა და სატევარი წაართვა ტარბას. გაცოფებული ჯამლეთ ტარბა ხელცარიელი ეძგერა თარაშს, მაგრამ თარაშმა ევროპული ბოქსი იხმარა. ჯერ გულისკოვზის ქვეშ მჯიღი ჰკრა ჯამლეთს, ტარბა დაბარბაცდა, დაიზმუვლა მხეცსავით და ისევ მიეჭრა და შემოჰკრა ემხვარს. გაჭინთა მკლავი თარაშ ემხვარმა და ბორასებრ ცხვირზე ზევიდან ჩამოჰკრა.

პირგასისხლიანებული, ღონემიხდილი ტარბა ტფილისური თავურით ეძგერა ემხვარს. თავი გადასწია სწრაფად თარაშმა და ისეთის ძალით ჩასცა მარჯვენა ფერდში გველისპირული სატევარი მოსისხარს, რომ ეს უზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზარი ვაჟკაცი თოფნაკრავ დათვსავით აბღავლდა და ფულურო ხესავით დახვავდა არზაყანის საწოლის გასწვრივ.

შავფაფახიანს ძაბული წაეჭცია კუთხეში მიყრილ სიმინდის ნაქურჩალზე, ძაბული არ ეშვებოდა, შავფაფახიანი კი არზაყანისკენ მიიწევდა. მიეჭრა კაც ზვამბაია, მშვიდად წამოაყენა შავფაფახიანი, თავისი გამხმარი მარჯვენა ისეთის სიმძაფრით გაარტყა სახეში, რომ ეს გახელებული ვაჟკაცი მოცელილსავით დასცა სოხანოზე, მერმე აუღელვებლად ამოიძრო სატევარი და ორჯერ ზედიზედ გადაატრიალა მის გაფატრულ მუცელში (და ამ წუთში ისეთი საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა კაც ზვამბაიას, ზედვე ეტყობოდა: უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო ასეთი რამ მისთვის). და როცა ძაბული წამოდგა და ადამიანის შიგნეულს დახედა: „შეძრწუნდა (ეს ნაწლავები სწორედ ისეთნი იყვნენ, როგორიც იმ თხისა, კაც ზვამბაიამ რომ გამოშიგნა იმ დღეს კაკლის ქვეშ).

მინაწერი:

მეორე დღესვე ოქუმიდან გადაიკარგნენ: კაც ზვამბაია, მისი ვაჟი არზაყან და თარაშ ემხვარ. თუ ჩემმა მკითხველმა იცის თუ რას ნიშნავდა წინად მოსისხარის გაჩენა საქართველოს მთიან პროვინციებში, იგი ადვილად წარმოიდგენს ჩემი გმირების უბედურებას.

ერთი თვის შემდეგ შარდინ ალიშიბაიამ და გვანჯ აფაქიძემ ხმა დააგდეს ოქუმში: კაც ზვაბაია, თარაში და არზაყანი ტყეში შემოაკვდათო ტარბებს და მერმე ენგურში გადაუყრიათო გვამები. ენგურელი მებორნეც ამტკიცებდა სამი ჩოხიანის გვამი ჩამოატარაო ენგურმა. ვგონებ ისინი უნდა ყოფილიყვნენო.

ხათუნამ ქმრისა, ვაჟისა და გაზრდილის ნიშანი გამოიგლოვა, ხოლო ძაბულიმ არზაყანის ქვრივად გამოაცხადა თავი და ჯვალოს ძაძა შეიკერა კიდევაც. ხოლო მე, ამ უბედური ამბავის ავტორი, დავლონდი ფრიად და სასოწარკვეთილმა ეს გადავწყვიტე: თხრობა შემეწყვიტა სავსებით.

მეორე წიგნის დასასრული.—

P. S.

ჩემი რომანი „მთვარის მოტაცება“ სამკარიანია. პირველი კარი ლირიულ ინტერმეცელომდის უწევს, ხოლო მეორე—41 თავამდის.

კ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა დადიანი

ურდუმი

ისტორიული რომანი *)

სამ გუმბათში შემწყვდეული, შეყინული ამბები

გუმბათი პირველი

I

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ეკატერინეს მოახსენეს: საზღვარგარეთიდან გამოწერილი ავეჯეულობა ჩამოიტანეს და სად გვიბრძანებთ დავალაგოთო.

ეკატერინეს აშკარად დაეტყო სიხარული.

ამ ფიქრზე კი თავის თავი დაიჭირა:

— ჰმ... რა ცოტა მახარებს! როგორ ჩამოვრჩი მოწინავე ცხოვრებას? თუ იმისათვის, რომ ეს ევროპიული ავეჯი კვლავ გამაერთიანებს განათლებულ ქვეყნებთან? ჰმ... მარტო ავეჯი! ირგვლივ ხალხი არ არის, რომ ფრანგულად მაინც შეეძლოს ლაპარაკი... თუმცა ჩემი ქმარი ხშირად იტყვის— ზრდილობით და საქციელით მეგრელები ფრანგებს არ ჩამოუვარდებიანო, მაგრამ... ეეჰ!

საკითხი მაინც ვერ გადასწყვიტა: დროებით, სანამ გახსნიდნენ, სად უნდა დაელაგებინათ ჩამოტანილი ავეჯი.

ძველი დიდი სასახლე, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელი მოგზაურები, ამ ბოლო ხანებში ეგრე საუცხოოდ რომ აღწერა ეკატერინეს კარგად მცნობმა ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსსემ, დიდი ხნის დამწვარი იყო.

სამაგიერო მხოლოდ ეხლა-ხან ააშენა დავითმა, 28 ოთახიანი, რიყის ქვისაგან, მაგრამ აქ ავეჯის გახსნა და დალაგება ამ ჟამად არ ხერხდება: მუდამ სტუმრებით სავსეა მთავრისა და დედოფლის ყურეც. აი, ეგერ კორძაიაც მოსულა თავის ამალით.

სამეგრელოში კი განსაზღვრულ მისაღები დღეების დანიშვნა ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია ეკატერინეს. ის კი არა ზოგჯერ რომელიმე შე-

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამამებული კნეინა ან აზნაურის ცოლი პირდაპირ საწოლ ოთახში შემოეჭრება მწოლიარეს.

მეგრელებს ეს შინაურობა,—ეკატერინემ კი გულში „ფამილიარობა“ წარმოთქვა,—სიყვარულად მიაჩნიათ და ეს რომ დაუშალო უგულო ადამიანის სახელი დაუვარდება. ამიტომაც მისაღები დღეები ვერ განუსაზღვრავს. ეს მხოლოდ დავითმა შესძლო, თვით მთავარმა და ისიც მისაღები დღეები კი არა, მხოლოდ საათები, მაგრამ რა? ეს საათებიც თითქმის მთელ დღეს შეიცავს:

სისხამ დილაზე წამოდგომა, კანცელარიის საქმეები, შემდეგ მიღება მთხოვნელთა, ან საპატიო პირთა. ეს საღილობამდე და ნასადილევსაც, თითქმის შუაღამემდე, კვლავ „საქმეები“. ეკატერინეს ეს არ შეუძლიან, არ დააცლიან. ხან ეს მოდის, ხან ის და თითქოს კარის კაცებიც ჰყავს, უკითხავადაც ვერავინ ვერ უნდა მოვიდეს, მაგრამ საკუთარი დრო ძალიან იშვიათად რჩება. ისიც დილაობით, ჩაის დალევის დროს, ან როდესაც ტანისამოსი უნდა გამოიცვალოს და პირის ფარეშს შეუდგეს.

ვერ დააჩვია ხალხი ჯერ კიდევ წესრიგს. და ასე იქნება სულ, სანამ ქვრივი დედოფალი, დავითის დედა მარია, ცოცხალია.

მართა და ლევანი ხომ, განსვენებული მთავარი, დავითის მამა, მეტად პრიმიტიულად ძველებურ, პატრიარქალურ ცხოვრებას ეწეოდნენ. დრო და ალაგი არ გააჩნდა მათ სტუმრის მიღებას, მათ განმარტოებას. მუდამ ირგვლივ ხალხი ესიათ. ეხლაც განა ეგრე არა ცხოვრობს ქვრივი დედოფალი? ხომ თითქო ხალხისაგან აღარაფერი ეკითხება, ხომ საქმეებში არც ერევა: აღარც დარბაზობას მართავს, შეყუჟულა დავითის მამიდის, პუპის ხის სასახლის ერთ ოთახში, მაგრამ მაინც თუ არ ლოცულობს, სულ სხვადასხვა ჯურის და წოდების ხალხში იმყოფება.

მსახურთ-უხუცესი ივანე ჩიქვანი კი ელოდება ეკატერინეს პასუხს: სად უნდა გადმოალაგონ ჩამოტანილი ავეჯი.

ეკატიერინეს გაუჭირდა თქმა: მის სასახლეში ამ ჟამად არ შეიძლება აურზაურის შეტანა. ეს როგორმე ღამით უნდა მოხერხდეს. გახსნით კი სად უნდა გახსნან შეჭედილი ყუთები?

მსახურთ-უხუცესმა იხსნა:

— თუ მიბრძანებთ, დედოფალ მართას ვთხოვ და დროებით მის დიდ დარბაზში დავალაგებ.

ეკატერინეს იამა ეს გამოსავალი, მაგრამ მოერიდა. მსახურთ-უხუცესი მაინც რომ თავისას დაადგა, ეკატერინე დათანხმდა, მხოლოდ თხოვა—ისე კი გამოიყვანე, რომ არ აწყენინოვო, მაგრამ მსახურთ-უხუცესმა იცოდა თავისი საქმე და რამოდენიმე წუთის შემდეგ მართას დიდ დარბაზში შეიქნა ჩაქუჩების კაკუნი, გაზების ღრიჭინი და, ოდესლაც სალხინოთ გამართული სამყოფელი, ულაზათოდ მოიფინა ყუთის პაწია ფიცრებით, ნამჯითა

და მტვერით და სპარსულ ყაიდაზე აგებულ კედელ-ყურეს. ლეო XIII ფრანგულ გემოვნებაზე ნაკეთები ავეჯი თითქო უხეშად ჩანს.

უცხოეთის ერთი მწერალი ამბობს, რომ „ფორუმთან და ტახტთან“ მუდამ იყრის თავს ისეთი ხალხი, რომელთაც თავიანთი პირადი ანგარიშები აქვთ და ეს ანგარიშები მუდამ ძალიან წვრილმანებზე ხურდავდება.

ასე იყო სამეგრელოს მთავრის კარზედაც. მსახურთ-უხუცესი თავადი ივანე ჩიქვანი ამ გვარ წვრილმან ხასიათის ხალხს ეკუთვნოდა და მუდამ მისი ერთგული იყო ვისგანაც საპირადო სიკეთეს გამოელოდა. სხვებთან კი იყო უხეში, უკმეხი და მიუხედავათ მისი მეგრელობისა, ხშირად უზრდელიც.

სწორედ ამ მიზეზის გამო მას სურდა მუდამ ეამებინა მხოლოდ მთავრისა და დედოფლისათვის.

ქვრივ დედოფალ მართასთან ივანეს სხვა ანგარიშებიც ჰქონდა. მართა თავის დროზე უფრო ჩიჩუებს წყალობდა. ეხლაც მას ახლავს, დავითის გამზდელი, მორდუ პეხუ ჩიჩუა, ჩიქვანებს კი მართა თავის დედოფლობის დროსაც ერიდებოდა, არ წყალობდა. ივანეს კი მუდამ ახარებდა თუ კი მართას რითიმე აწყენინებდა, შეაწუხებდა, შეავიწროებდა. ეს უფრო მას შემდეგ, რაც ჯერ ლევანის სიცოცხლეში მართა არსებითად ქმარს იყო ჩამოშორებული. ლევანის სიკვდილის შემდეგ ხომ კიდევ უფრო. მხოლოდ მსახურთ-უხუცესი ამას მუდამ წვრილმანებში ამჟღავნებდა. რა ექნა? ქვრივი დედოფალი, რაც უნდა იყოს, დედა იყო დავითისა. თორემ სხვა უბრალო თავადის ცოლი რომ ყოფილიყო, უფრო საგრძნობლათად შეაწუხებდა: მრუდე გზით თუ სიმართლით მამულს ჩამოუჭრიდა, ყმებს წაართმევდა და სხვ.

მაგრამ დედა იყო მართა დავითისა.

ამიტომაც უფრო წვრილმანი, თითქო ხელთ დაუჭერელი, მაინც შეწუხება, შევიწროვება და აწრიალება მოხუცი ადამიანისა.

აი ეხლაც: განა არ შეეძლო ივანეს სადმე სხვა ალაგი მოეძებნა ავეჯის გადმოსალაგებლად, გასაწმენდად, გამოსაწყობად. მაგრამ სიამოვნებამ, რომ მისდამი არაკეთილად განწყობილი ადამიანი შეაწუხოს, დასძლია და ეკატერინე შეაგონა ავეჯი მართას ბინაზე გადმოეწყოთ.

მართას დიდხანს ვერ მოახსენეს, რაც ხდებოდა დარბაზში, რადგან თავის ჩვეულებრივ დილის ლოცვაზე იდგა. და კარგი დაყუდებული ბერივით საათობით კითხულობდა ჟამნსა და ჭყონდიდლის ბრძანებით მისთვის განსაკუთრებით შედგენილ ლოცვანს. მაგრამ, როგორც კი შეატყვეს, რომ რამოდენიმე მეტანია გააკეთა, შემდეგ ისევ წელში გასწორდა და ეხლა უნდა ისევ ლოცვას შეუდგესო, დაასწრეს და ყოველივე გააგებინეს.

მართამ ლოცვა შესწყვიტა, მხოლოდ არ განრისხებულა. გულში ეწყინა და მსახურთ-უხუცესს დააბრალა ესეთი უზრდელობა, მაგრამ სიტყვით არა უთქვამს-რა, მხოლოდ მოისურვა თავის თვალით ენახა რაც ხდებოდა

და დარბაზს შევიდა. შორი ახლო გაჰყვა მისი ამალა: გამდლები, მოახლეები, ქეშიკები და დარბაზის კართან შექუჩნდნენ—აბა, რას იზამს მართა დედოფალიო. მაგრამ მართას სიმშვიდე არ დაუკარგავს, თუმცა ნახა, რომ სულ გადაქოთებული იყო იქაურობა.

ივანე ჩიქვანი თავს ადგა მუშებს და აფრთხილებდა, — საზღვარ-გარეთული ავეჯეულობა დაუზიანებლად ამოეღოთ.

ქვრივი დედოფლის დანახვაზე ჩიქვანმა სალამის ნიშნად თავი დახარა. მართას სალამზე არ უპასუხნია, მხოლოდ თვალი გადაავლო აფორიაქებულ დარბაზს და ივანეს მშვიდად შეეკითხა:

— რა არის ეს? ვინ გიბრძანათ ამის მოტანა? ჩემმა შვილმა?

— არა, ბატონო, დედოფლის ბრძანებით. საზღვარ-გარეთიდან მოუვიდა ავეჯი, ფრანციიდან, გრაფ როზ-მორდიუკს გამოუგზავნია.

— მერე, აქ ჩემთან უნდა დააწყოს?

— არა, ბატონო, დროებით... ბიჭო, ბიჭო! ნელა, ნელა! არ დაგემტვრეს...— და მიაშურა მუშისაკენ, რომელსაც რაღაც აჩაჩხული, უცნაური რამ იკრი-ბოკრო ამოჰქონდა ყუთიდან.

ეს იკრი-ბოკრო მუშის ხელში გაიშალა, დაიღვლარჭნა და თითქოს დაინგრაო.

ვერვინ მიხვდა, რომ ეს ევროპიული ლონგ-შეზი იყო სანებივროდ წამოსაწოლი, გასაწევ-გამოსაწევი და საქანაო. ეგონათ, რომ მართლა დაინგრათ და დიდის დანანებით კუთხეში უშნოთ მხარ-თეძოზე წამოაწვინეს.

მართაც განცვიფრებით შესცქეროდა ყოველივე აქ დაგროვილს და არ ითქმის, რომ სახეზე სიხარული გამოხატოდეს. პირუკუ! თითქო საყვედურმაც კი გაუელვა თვალებში.

აგერ გომფაშოსავით გამობერილი, დაბალი, ჩაგვარჯღნილი განჯინა. ჰო, განჯინა უნდა იყოს! წითელი ხისაა, მაგრამ როგორი ფართო ხის ფოთლებია ზედ გამოყვანილი, მხოლოდ დახატული კი არა, ზედ მიკრული თუ თვით ხეშიგან ამოლრუტნული.

მართამ ხელიც კი შეახო.

ფოთლებია უცნაური თითქო ერთი მეორეზე ძაფით გადაცმული და ბოლოებში მომრგვალებულ ვარდებად გამონასკული.

არ მოეწონა ქვრივ დედოფალს: ვარდი! ვარდი უნდა იყოს ისეთივე სიზუსტით ამოჭრილი, როგორც ეს მის საპირფარეშო ოქროთი დაფერილ სურმადანსა და ჩოფზეა გამოყვანილი. ესეც კია, ეს ხელსაწყოც მის მზითევშია მოტანილი. აქ კი სადღაც ცხრა მთას იქით ნაყიდი ხის ხარა-ხურა მოაქვთ დედოფლისათვის. ნეტა რა საჭიროა! სავარძელი და საკარცხული კიდევ ჰო. თუმცა ესენი რასა ჰგვანან!? ისე კი რა საჭიროა ამდენი წამოსაწოლი და საკოტრიალო? ხალიჩაზე ვითომ არ შეიძლება მშვენივრად ფეხის მორთხმა, ჯდომაცა და წამოწოლაც? განსაკუთრებით თუ ქვევით ორი და სამი

ბუმბული უგია! ან ეს განჯინები, ან ეს ფეხ-დაგრეხილი მაგიდები, ესეც მოფოთლილი და ყვავილებიანი! არა, ძალიან შეიცვალა დრო!

თვით ჯდომაც კი სხვანაირია ეხლა: მაღლა უნდა წამოსკუპდე მაღალ მაგიდასთან და გვერდითაც ვინმე „ტინგიცი“ უნდა მოგისკუპდეს. არა! მამა მისის სახლშიაც იქ, საჩხერეს, შემოვიდა ეს „რუსული“ ავეჯეულობა, მაგრამ თუ ვინმე რუსის გენერალი არ იყო მათ სახლში, ზურაბიც, ეს განთქმული „რუსოფილი“ წერეთელი და მთელი ოჯახიც ფეხ-მორთხმით ტახტზე ან ხალიჩაზე ჯდომას რჩებოდა, მუთაქაზე მიყუდებას და ლურჯ სუფრაზე ან დაბალ და გრძელ ტაბაკზე „პურის ჭამას“.

მაგრამ ეს რაა? ვაიმე! ნარდი, ჭადრის ხისაგან გაკეთებული, ჯავარიანი სადაფებით მოოქვილი და სპილოს კაცებიან, როგორ ოხრად გადმოუგდიათ იატაკზე. ნარდის ფიცარი შუაზე გახეჩილა, ნატიფი სპილოს ძვლები დამტვრეულა.

— ახალი მოგაქვთ და ძველს ამტვრევთ?! — აქ კი გაფიცხდა ქვრივი დედოფალი და გაჯავრებული დარბაზიდან გავიდა.

ეს უნდოდა სწორედ მსახურთ-უხუცესს. პირველხაწებში რომ ისე მშვიდად იყო წერეთლის ქალი და მხოლოდ დამცინავი საყვედურით გამოიყურებოდა, არაფრად ეჭაშნიკა. მხოლოდ, როდესაც განადგურებულ ნარდის დანახვაზე შეატყო, რომ მართას ბებერი ლოყები აუტკრიალდა, გაფიცხდა და გაკუნტრუშდა, ამან დიდი სიამოვნება მიაყენა. ქვრივი დედოფლის უძლური გულის-წყრომა მას სიხარულს ჰფენდა.

თითქო მეტად კარგი საქმე გააკეთაო, გული მოიოხა და თვითონაც გავიდა დარბაზიდან. მუშებზე თავმდგმურად კი გზაზე შეხვედრილი მთავრის ძიძიშვილი ქუთარი ორზოლია გააგზავნა.

0

განაწყენებულ ქვრივ დედოფალს გზა მისცა კარებთან შეხურხლულმა მისმა ამალამ და შორიახლო გაჰყვა.

თან ერთი-მეორეს უჩურჩულებდნენ: „ამას არ მოითმენს დედოფალი. უთუოდ შვილს მოახსენებს და სიცხე დაადგება ივანე ჩიქვანსო,“ მაგრამ დედოფალი არ წავიდა მთავრის სასახლისკენ. ისევ თავის ოთახში შევიდა და ტახტზე თითქო ღონე-მიხდილი დაეშვა.

სიჩუმე გამეფდა ოთახში. მისი ამალა კედლთან ატუზული გაფაციცებით უკვირდებოდა მბრძანებლის თითოეულ სულის თქმასაც. მაგრამ დედოფალი გარინდული, მუთაქაზე პირ-ქვედამხობილი თითქო არც ინძრეოდა.

ერთი მაღალი ქალი გამოეყო მხლებლებს, მივიდა ტახტთან, მიუჩოქა და ტახტიდან უძლურად გადმოშვებული დედოფლის ხელი აიღო. მიუალერსა და შემდეგ აკოცა კიდეც.

— ლერწამისა! — გაისმა მართას ხმა. დრტვინავდა ეს ხმა: — მე ნარდი კი არ მენაღვლება მაინც და მაინც. მართალია, საუცხოვო იყო, იშვიათი, ძვირად თუ გაკეთდეს ეხლა იმისთანა! მე ისა მწყინს, რომ იმტვრევა

ყველაფერი ძველი და ახალი რაც მოდის, რა საც აკეთებენ, უნიადაგოა, ზეერელე.

ხმის ბგერას ჩამოშორდა ცრემლ-ნარევი კილო. ეხლა ... საყვედურ გაისმოდა.

— ამ ჭავჭავაძის ქალმა სულ არია ყველაფერი. მაინც განსვენებულმა ჩემმა ქმარმა დიდად გაანებივრა: „ჩემ რძალს ეს ნებავს, ჩემ რძალს არ აწყენინოთ, ჩემ რძალს ეს მიართვით და სხვა.“ მაგანაც გამოიდვა თავი და მთელი ოჯახი თავზე წამოიცვა. სულ თავდაყირა დააყენა ყველაფერი... ქართულიც კი არ იცის ხეირიანად. სულ ფრანციცულად ლიკლიკებს. უკადრისიც არის და, ხომ ხედავთ, როგორის ტუჩ-აბზუებით ეპყრობა აქაურებს. თქვენა გგონიათ, რომ მეგრელები უყვარს? თქვენც არ მომიკვდეთ, არაფერი არ მოსწონს აქაურობისა: არც ზნე, არც ჩვეულება, არაფერს ჩვენებურს პატივს არ სცემს.

ყველანი ისევ ისე ჩუმად იყვნენ. ვინ შებედავდა სიტყვის შებრუნებას. მართალია, არა ერთხელ მოუსმენიათ დედოფლისაგან მისი რძლის საყვედურები, მაგრამ თუნდა მეათასჯერაც განემეორებინა, ვინ რას ჰკადრებდა. მართაც იმეორებდა ერთხელ აკვიატებულს:

—არა, არც მე ვარ მეგრელი ქალი...

განა არ იცოდნენ ვისი ქალიც იყო, მაგრამ არც ამაზე შეუჩერებიათ. იცოდნენ, რომ მართას უყვარდა თავისი შთამომავლობის გახსენება.

— იმერელი ვარ, დიდი ზურაბ წერეთლის ქალიშვილი. ეგ თუ ჭავჭავაძის ქალია თავის გვარით ჩემთან ვერ იტრაბახებს, ჭავჭავაძეები აგერ ეხლა გამოიჩიკნენ, წერეთლის გვარი კი რამოდენიმე საუკუნეა იმერეთს აზანზარებს. თვით მამა ჩემი ერთ დროს იმერეთის მეფის, სოლომონის სახლთ-უხუცესი იყო. მამა მაგისი კი? თუ მის გენერლობაზე იტყვის, მამა ჩემიც შემდეგში რუსის გენერალი იყო. და თუ რუსების ერთგულებას მოიხსენებს, მამა ჩემს სწორედ ამ რუსების გენერლობისთვის, სოლომონ მეფის მომხრეები მოღალატეს ეძახოდნენ. განა არ ვიცი! თუ ასე არ არის დაჰკითხეთ თუ გინდათ მარიამ აბაშიძის ქალს, ტაია ბატონიშვილის ძეულლეს, აი სოფ. ბეთლემში რომ ცხოვრებს...

—ტაია? ეს ჩვენი მდივან ბეგი? — შეჰბედა ლერწამისამ.

—ჰო. მარიამი მამაჩემს მოღალატეს ეძახის. რადგან მამა ჩემი მარიამის მამა და ბიძებივით, სვირელ აბაშიძეებსავით არ გაჰყვნენ სოლომონ მეორეს ტრაპიზონში. ჰო და მაშ რითი უნდა მოჰქონდეს თავი ჩემ რძალს კატოს?..

მხლებლებმა იცოდნენ, რომ ეკატერინეს ყოველთვის უმოკლებდა და უქართულებდა სახელს მართა დედოფალი.

—რითი-მეთქი? იმით რომ ჩემმა შვილმა გააბედნიერა და ოდიშის დედოფლობა მიანიჭა? ჰეი, ჰეი, ფიქირ-ბეი!

ამოიოხრა მართამ და ცოტა შეჩერდა. შემდეგ ისევ წაუსია:

—ამ ამბავს ივანე ჩიქვანი თავის დღეში ვერ გამიბედავდა, კატო რომ ასე აგდებით არ მეპყრობოდეს. ჩემი ბინა რა ავეჯის საწყობია, სალარო, საკუჭნაო თუ რა? არა, მე აქ აღარ დამედგომება! წავალ ისევ ჩემ სალხინოს.

სალხინო სოფელია მთიან სამეგრელოში და მთავრებს იქ საზაფხულო სასახლე ჰქონიათ გაშენებული. მართაც მეტი ხნობით იქ ცხოვრობდა და თუ აქ ამ ჟამად ჩამოსულიყო, უფრო შვილის თხოვნით — ეს ზამთარი ჩვენთან ზუგდიდში გაატარეო, მაგრამ წვრილმანმა მოვლენამ შესცვალა დედოფლის გეგმა.

ეტყობა გულში მტკიცედ გადაეწყვიტა მართას სალხინოს გამგზავრება, რადგან ბრძანა მის ერთგულ პეხუ ჩიჩუასთვის ეთქვათ, რომ წასასვლელად ყოველივე დაემზადებინა.

ქეშიკმა ის იყო კარი გააღო მართას ბრძანების ასასრულებლად, რომ ოთახში შემოვიდა თვითონ პეხუ ჩიჩუა და მართას მოახსენა, მის სანახავად პეტრე დადიანი მოვიდაო.

პეტრეს მოსვლამ ცოტა არ იყოს გააკვირვა მართა.

მართალია, ქვრივი დედოფალი არავითარ საზოგადო საქმეებში არ ერეოდა, ანუ უკედ არ რევდნენ, მაგრამ ისე განაგონობით მაინც იცოდა რაც ხდებოდა სამეგრელოში. მართამ იცოდა, რომ გიორგი ჭკადუაშელი რაღაც შეთქმულებას ამზადებდა მთავრის წინააღმდეგ და პეტრე ხომ გიორგის ძმა იყო.

მაშ როგორ მოვიდა პეტრე ამ ჟამად სასახლეში?

ესეც, მართალია, ლევანი და მართა დიდი მეგობრები იყვნენ პეტრე და გიორგის ოჯახისა. აკი მაგათი მამა, დიდ-ნიკოდ წოდებული, პირველი კაცი იყო ლევანის კარზე, სჯულმდებელი და მხედართ-მთავარი, მაშასადამე, შვილებიც მართასთვის საყვარელი ხალხი იყო. აკი მართას თავის გულში მათდამი სიყვარული არც აღმოფხვრია, მაგრამ ეხლა, როდესაც დავითსა და ამ ოჯახს შორის თითქმის მტრობამ დაიბუდა, ეხლა, როდესაც პეტრეს უფროსი ძმა გიორგი — ქვეყანა ამტკიცებს — დავითს აშკარად განუდგაო, პეტრეს მოსვლა, თუნდა ძველ მეგობარ და მწყალობელ მართა-დედოფალთან, დიდი გაბედულებაც იყო და გასაოცარიც.

მართამ კი გაიფიქრა: პეტრე გონიერი კაცია, მწიგნობარი, დარბაისელი, ზოგი „ფილასოფოსსაც“ ეძახის, უთუოდ იმიტომ მოსულა, რომ მშვიდობიანობა ჩამოაგდოს მთავარსა და მის ოჯახს შუა. პეტრემ იცის რასაც აკეთებს. და ეხლა ჩემი ნახვაც მოუსურვებიაო.

მაგრამ, ვაიმე, თუ ჩემი იმედი აქვს, რომ შვილთან ვუშუამდგომლებ!? შეიძლება ძველი დრო ჰგონია ისევ პეტრეს, როდესაც ჩემი დავითი ცოტა რასმე მეც მიგონებდა... ვაიმე, რომ ეხლა არაფერი გამოვიდეს?!

მაინცდამაინც სიმხნევე მოიკრიფა, გულში არ შეუშინდა, თუ დაჭირდებოდა ამ საქმეზე შვილთან საუბარი და უბრძანა პეტრეს ეთქვა ოთხოვნათ მოსულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ა

პეტრეს მოსვლამ მთელი სასახლე შეაძრა. ეს ამბავი არ იცოდნენ მხოლოდ ეკატერინემ და დავითმა.

მათთვის არ მოუხსენებიათ, რადგანაც პეტრე მოვიდა თუ არა, განაცხადა—მართა-დედოფალს ვახლავარ, მთავარს ჯერ ნუ შეაწუხებთო.

პეტრე კი იმდენად დიდი კაცი იყო—უარი არ ეთქმოდა სასახლეში მოსვლაზე. ამისათვის არც ბრძანება იყო რაიმე გამოსული მთავრისაგან—ჭკადუაშელი ბატონიშვილები არ მიიღოთო, თვითონ პეტრეც ჯარით ხომ არ მოდგომია სასახლეს? მეტად მცირე ამალით მოვიდა, სულ რაღაც ექვსიოდე კაცი ახლდა. არც მართა-დედოფალს ჰქონდა აღკრძალული, რომ თუნდა მთავრის უსიამოვნო სტუმარი არ მიეღო. ეს იყო მხოლოდ, რომ ამ გვარ სტუმარს სასტუმრო სასახლეში არ მოასვენებდნენ, მის მხლებლებსაც არავინ გაუმასპინძლდებოდა და არც მათ ცხენებს მისცემდენ საკვებს. ამით უნდა მიხვედრილიყო მართას ასეთი სტუმარი, რომ ენახა ქვრივი დედოფალი და ისევ თავის გზას გადგომოდა. ამისთანა სტუმრის მოსვლა და წასვლა შეიძლება მთავარს არც კი გაეგო.

პეტრე კი სხვა იყო. პეტრესთანა თვალსაჩინო ადამიანის მიფუჩეჩება სამეგრელოში შეუძლებელი იყო და მერმე კიდევ იმ დროს, როდესაც მისი ძმა გიორგი მთავრის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა.

სწორედ ამაზედ ჰქონდათ ცხარე კამათი მთავრის პირად შინაყმებს.

ამ ჟამად ცხრანი იყვნენ სამორიგეო ოთახში. სულ თავადიშვილები: პეტრე მხეიძე, გიორგი გელოვანი, თეიმურაზ ახვლედიანი, ხოსია ჩიქვანი, არჩილ ფაღავა, დუტუ ბატონიშვილი, გრიგოლ დგებუაძე, გახუ ფაღავა, სოლომონ ფაღავა.

ამათ მთავარი თავის „კონვოის“ ეძახდა და მათი მოვალეობა იყო შეიარაღებულებს მორიგეობა გაეწიათ სასახლის კარზე. მიეღოთ სტუმრები, გაეცილებინათ, სადილობისას თავს დასდგომოდნენ მთავარს და ხელზე მოსამსახურეებისათვის თვალ-ყური ედევნებინათ, ლხინის დროს მოელხინათ: ემღერნათ, ეცეკვნათ, დღესასწაულებში ეჯირითნათ, გამგზავრების დროს მთავარს ან დედოფალს ხლებოდნენ, ომში მთავართან ყოფილიყვნენ გამუდმებით და საერთოდ დაეცვათ სასახლის კარის წეს-რიგი, ცერემონიები შინ და გარეთ.

ტანად და ფეხად გამოწყობილნი იყვნენ ჩერქეზულად, სულ სირმა-ვერცხლში ჩამჯდარნი და ცხენ-უნაგირიც და თოფ-იარაღიც მათი რჩეული და საუკეთესო იყო.

ამ ჟამად გიორგი გელოვანი იყო აღშფოთებული:

— სწორე მოგახსენოთ ვერაფერი საქციელია! პეტრე ჭკვიანია ამბობენ და ეს ჭკუაა კაცს სამარეს უთხრიდე და სახლში კი მიდიოდე, ვითომდა აქ არაფერიაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ჭკუა კი არა უარესია, ეშმაკობაა! ჰი, ჰი.—ჩაიცინა პეტრე მხეიძემ და დაგრძელებული ულვაშები თითქო გაისწორა.

— მთავართან რომ არ მოსულა, ქვრივ დედოფალს ეახლა.—ჩააკერა ყველაზე უმცროსმა, პირტიტველმა დუტუ ბატონიშვილმა და გარე ეზოსაკენ გაიხედა. მისი თვალები სასტუმრო სასახლისაკენ იყო გაისრული. თითქო იქ ვიღასაც ეძებს და გულისწარით უნდა დაინახოსო. მაგრამ ამისთვის არავის ყურადღება არ მიუქცევია—რამდენი კაცი საით გაიხედავს, განა ყველა საგულისხმოა?! დუტუსთვის კი მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ ჟამად სასტუმრო სასახლისაკენ ცქერა.

იქ ეჯულებოდა ამ დილით ჩამოსული კორძაიას ქალი, ლამაზი კლეოპიკა.

დუტუმ პირველად ნახა დღეს. და არც თუ სახუმროდ გული აუტოკდა. ეხლაც იმაზე ფიქრობს. ბევრად არაფრად ენაღვლება პეტრეზე საუბარი.

ამის საქმე შეხვედრაა, პატივისცემა და ლამაზი ქალების გაარშიყება...

მზე ისე კარგად ანათებს, ისეთი მშვენიერი ამინდია, ტკბილი და თბილი შემოდგომის დღე. თვითონაც ისე კარგად გრძნობს თავს, მშვენივრად გამოწყობილი, იცის თავის ახალგაზრდობის ძალა. მთავარსა და დედოფალს ორივეს უყვარს, ტოლ-ამხანგებსაც, აი ამ „კანვოინებს". ქალებს მოსწონს. ამისი არა ერთი და ორი მტკიცე საბუთი აქვს სასახლის კარზე, თავის სოფელში, დღესასწაულებზე, ჯარიანობაზე.

გათამამებულია, ლაღი და ბედნიერი.

თვითონ ასე ჰგონია მაინც და... აი ეხლა კორძაიას ქალის ნახვა უნდა ფრიად.

კორძაიას ქალის? ის ხომ ცოლია უკვე, ცოლია სასტიკი კაცის, ჯოლორია დგებიასი.

ცოლი! რა უყოთ მერე!

აქ დუტუ აღარ უღრმავდება ოჯახურ სათნოებისა და ზნეობის ამბავს.

ეს მოსავალია და კარგი იქნება, რომ ეს „მოსავალი" მან მოიმკას.

იცინის გუნება დუტუ ბატონიშვილისა, ემღერება, ეცეკვება და... და დაჟინებით გაჰყურებს იმ სასახლეს, სადაც როგორც გალიაში ფრთქიალებს უთუოდ ეხლა ტან-წერწეტა ეშხიანი კლეოპიკა.

— ოჰ, ტრელია, შე-კაცო, დაუნდობელი ეგ თქვენი პეტრე. — ბოხისხმაობს ლეჩხუმელი ხოსია ჩიქვანი.

— მაგ პეტრესა და მის ძმებს, გიორგისა და ბესარიონს, რას ეძახის მთავარი? — ცბიერ კითხვას იძლევა გრიგოლ დგებუაძე.

— ამ სამ ბატონიშვილს? — სიცილით კითხულობს პეტრე მხეიძე.

— სამ მუშკეტერს. — უხსნის გიორგი გელოვანი.

— რა არის მუშკეტერი? — იკვირვებს გახუ ფალავა, მაგრამ იმ წამსვე თავს იბრუნებს სოლომონ ფალავასკენ. — მართლა, აგერ ჩემ ბიბაშვილს სოლომონს ეცოდინება... ფრანცუცია.

თეიმურაზ ახვლედიანის და არჩილ ფალავას გარდა „ფრანცუცის“ ხსენებაზე იცინის ყველა. ხსენებული ორი კი კუთხეში მიმჯდარა და რაღაც თავის სასაუბროს ჩალრმავებია.

— რატომ ვითომ ფრანცუცი? — ეღიმება სოლომონ ფალავა.

— კაცო, სიძე ფრანცუცი გყავს, გრაფ როზმორდიუკი. — ჩაერია კვლავ გრიგოლ დგებუაძე. — შენი დაც სულ ფრანციცულობს, შენ რა ღმერთი გაგიწყრა?

სოლომონს ეტყობა უნდა რაღაც სახუმაროთი უპასუხოს, მაგრამ ამ დროს პეტრე მხეიძე ეკითხება:

— სოლომონ, მართლა გრაფი ან შენი და რასა გწერს, როდის ჩამოვალთო?

— ჩამოვა კი არა, იცით? — აბოხისხმავდა ხოსია — ცხაკუნია-ურია ვნახე ეხლა...

დუტუ ბატონიშვილმა მოიხედა. ცხაკუნიას ხსენებამ თუ დაუფრთხო ყმაწვილური სიჩქარე. იკითხა კიდეც:

— როგორ? ცხაკუნია-ურია აქ არის სასახლეში?

— დიაღ, აქ არის და იცით რა მითხრა? — განაგრძო კვლავ ხოსია ჩიქვანმა. — ომი იქნებაო.

— ომი? — ცქვიტა ყურები პეტრე მხეიძემ, რომელსაც მეომრობის სახელი ოჯახობით მოსდგამდა. — ომი ვისთან?

— უთუოდ გიორგი ბატონიშვილზე იტყოდა. — განმარტა გახუ ფალავამ. ხოსიამ შეუბრუნა.

— არა, რის გიორგი. ომი რუსეთთან ექნება ოსმალეთს.

— უმ, ოსმალეთს კი არა!.. ეს კარგია შენ მომიკვდე! — გაიხარა პეტრე მხეიძემ.

— ცხაკუნიას დაეჯერება, ბატონო. — დინჯად წარმოსთქვა გიორგი გელოვანმა. — მაგათ მაინც ქვეყნის ამბავი იციან და ყოველთვის ყველაზე წინ.

მაგრამ ამ დროს კუთხიდან არჩილ ფალავას ცოტა ხმა-მაღალი ლაპარაკი მოისმა:

— არა, შენ არ მომიკვდე არა! თეიმურაზ ახვლედიანი არ მომიკვდეს.

— ბიჭო, მე რას მიფიცავ?

— არა, შენი კუბო არ მენახოს!

— რა იყო? რა ამბავია? — მიესიენ ხმა-მაღლა მოლაპარაკეებს.

— რაღა რა იყო, ბაშო! — ჩაულეჩხუმურა თეიმურაზ ახვლედიანმა.

— ახლა არჩილ ფალავას უნდა მომატყუოს, რომ მისი მიმინო ნათელ-ყვითელია...

— მამა არ წამიწყდეს ნათელ-ყვითელია მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნათელ-ყვითელი, ბოშო, ჩვენში კეკუე ვიცით.

— რა ბრძანებთ, ბატონო, კეკუე რომ არაფერი მიმინოა?! ეგ ქალების სანადირო ჩიტია...

— აბა ყვითელ-ნათელი მიმინო მე არ მინახავს და ნადირობაში ხომ იცი მე...თვითონ ლევან დადიას ვახლდი. მწყერზე კი არა ჯიხვებზე და დათვებზე...

— უო! ამდენი ხნის კი ხარ? — შეაპარა გახუ ფალავამ.

— ამდენი ხნის რა? რაც ლევანი გარდაიცვალა ათი წელიწადი არ იქნება და მაშინ მე ასე 23—24 წლის ვიქნებოდი.

— არა, ცოტა მოუმატე, ცოტა, ახვლედიანო!

— ასე ერთი ათი წელიწადი!

— კარგ თუთხმეტსაც არაფერი უჭირს!

შესთავაზეს ლეჩხუმელ თავადს ხანდაზმულობა და შეიქნა ჩვეულებრივი დაცინვა ერთი-მეორეს ხნოვანებაზე, თუმცა 30—35 წელს არც ერთი მათგანი გადაცილებული არ იყო.

ეს ხუმრობა და ლაციცი რომ მოათავეს, ყველა სმენად გადაიქცა: თეიმურაზ ახვლედიანი მთავარ ლევანის ნადირობის ერთ-ერთ ეპიზოდს მოუთხრობდა:

ეს ამბავი, ბატონებო, სწორედ იმ წელიწადს მოხდა, როდესაც დედოფალი მართა ლეჩხუმში ახალ სასახლეში დაბინავდა, სოფ. მურში. ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია: ქმარს, მთავარ ლევანს, მართასთან უკმაყოფილება ჰქონდა...

— ლევანს კი არა მართას ჰქონდა, ბოშო, ან კი როგორ არ ექნებოდა, რაც ლევანი ცოლს ღალატობდა... — ჩააკერა გიორგი გელოვანმა.

— ჰო და — განაგრძო ახვლედიანმა — ერთი კვირა იყო თუ ცოტა მეტი იცხოვრა მურში, მერე ქულბაქში გადასახლდა ლევანი, რომ საქერიასთან ახლო ყოფილიყო. ნადირობა სამარიობოდ დავიწყეთ და კვირა იშვიათად გამოერეოდა, რომ საქერიაზე ორჯერ, სამჯერ არ ავსულიყავით. ქულბაქიდან გათენებისას გავიდოდით და შუადღისას კი მთას მოვექცეოდით. ღამეს სანადირო ქოხში გავათევდით, ხოლო საღამოს ისევ ქულბაქში დავბრუნდებოდით.

— ეჰ, უდარდელი დრო იყო, ბიძია! — ამოიოხრა არჩილ ფალავამ.— მეტი რა საქმე გქონდათ ან მთავარს და ან მის ყმებს!

— ეხლა რა, ვითომ სახელმწიფო საქმეებს ვერ აუდიხარ არა? — დასცინა პეტრე მხეიძემ.

— არა, ეხლა სხვა დროა. – მოუბრუნდა არჩილი. — ჯერ თვითონ მთავარი ნახე! ნადირობა კი არა, სულ ქაღალდებში აქვს თავი ჩარგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცისმარე დღეს მთხოვნელების მიღებას უნდება, მიწერ-მოწერას, ოუს გენერლებთან ლაპარაკს.

— მერე შენ რა?

— მე? ახლა ჩემ სოფელში, ბანძაში, უნდა ვიყო, ძმაო, გიმათუთაა,* საცაა ღომს მოკრეფენ და მწყერი გაწყვება. მერე რა მშვენიერია ღომის დაბალ ყანაში მწყერობა! განსაკუთრებით ჩვენს ვაკეზე: ყველაფერს ხედავ! მეძებარი რომ „ნაბულს“ გააკეთებს, მწყერი აფრინდება, შენც მიმინოს მიუტევებ, გასრიალდება და ქვევიდან მოქცეული ზევით მფრინავ მწყერს რომ ბრჭყალებით ჩაბღუჯავს. ზევიდან კი არ დაეცემა. ქვევიდან შეუტევს. შენც ყველაფერს ხედავ ნათლად, არაფერი არ გეფარება. ჰხედავ, სადღაც ჩანჯდაწყერიანად მიმინო. მიდიხარ და გულაძგერებულ მიმინოს ცოცხალ მწყერის ტვინს რომ ნისკარტით ამოაჩიკნინებ, საუცხოვოა!

— ჰო, კარგი ეხლა, არჩილ, თეიმურაზს აცალე.

არჩილ დაჩუმდა, მაგრამ დაეტყო, რომ მწყერობის მოგონებას გაეტაცებინა თავი და ვინ იცის შეიძლება ბანძაში თავის ტოლ-ამხანაგებში „გულო, შავ-გულოს“ ან „პატარა საყვარელოს“ ღიღინი მოენატრა. არჩილი ხომ თვით ფალავებშიაც ერთ საუკეთესო მომღერლად ითვლებოდა.

ამასობაში თეიმურაზი განაგრძობდა:

— ასე ვინადირეთ ენკენობამდე,** მთა უკვე ერთხელ ჩამოთოვა, მაგგამ რამდენსამე საათში ისევ აიღო. დრო იყო ნადირობა გაგვეთავებინა, რადგან ჯიხვი სულ მაღლა იწევდა მიუვალ, ციცაბო კლდეებისაკენ. მაგრამ ლევანი მეტად გაიტაცა კარგმა ნადირობამ და არ უნდოდა საქერიასთვის თავი დაენებებინა. უნდა იცოდეთ, რომ ამ მთაზე ერთ მხარეს „გულის-თავს“ ეძახიან. ბატონ გიორგის მოეხსენება — და გელოვანზე გადაიქნია თავი თეიმურაზმა — სანადირო ქოხის მარცხნივ ადგილი სულ მიუვალია, ნადირმა ამ ადგილს მიაშურა. ლევანმა კი გადასწყვიტა, მოდი, ბედსა ვცდი ამ მთაზედო.

— მერე ახველით? — შეეკითხა გიორგი.

— აგერ მოგახსენო! ლევანს მაშინ ორმოც კაცზე მეტი ვახლდით, მეგრელებიც და ლეჩხუმლებიც. მთის ყველა ასავალ-დასავალს ვიცნობდით, მაგრამ გულის-თავზე ჩვენგანი ბევრი არ ყოფილა. აქ ასულან სემირნაელამი შემდეგში დათვმა რომ დაგლიჯა, დისიონ ჩემი ბიძაშვილი და უტუია თოდუა, ახლა რომ „მართალიას“ ეძახიან.

— ეს წაჩხურელი ჯამ-ჭურჭელის მკეთებელი?

— ჰო, სალხინოში, მართა-დედოფალს წინეთ ხელზე რომ ემსახურებოდა.

---

* გიმათუთა — ოქტომბერია. „გიმუა“ ნიშნავს ღომის მოკრეფას, ასე რომ თვის სახელიც ღომის მოწევასთან ერის დაკავშირებული.

** ენკენობა—ლეჩხუმში ენკენისთვეში (სექტემბერში) დიდი ბაზრობისა და დღესასწაულის აღმნიშვნელი სიტყვაა.

— ყმაწვილებო, თუ არ აცლით როგორ იქბება! — უსაყვედურა სხვებს ეხლა არჩილ ფალავამ, რომელსაც, როგორც ნადირობის მოტრფიალეს, თვით ნადირობის ამბის გაგება მოსწყურებოდა. შეაგულიანა კიდეც მომთხრობელი:

— განაგრძე, თეიმურაზ!

თეიმურაზმა განაგრძო:

— ჰო და ამათ გარდა არავინ იყო იქ ნამყოფი. მაგრამ ლევანმა გვიბრძანა ავსულიყავით. გავიძღოლიეთ სემირან-ელამი და ყველანი უკან გავყევით. ავედით პირველ ზურგზე, ლევანიც ჩვენთან მოდიოდა. ღრუბლები ჩვენს ქვემოთ იყო დაკიდებული; ხრამში გადავიხედეთ — იქნება სადმე ჯიხვი იყოს მიმალულიო. ამ დროს დავინახეთ, რომ მთელი ხრამი ნისლში გაეხვია. უნდა გავჩერებულიყავით, აქ დაგვეცადნა, სანამ ნისლი გადიყრებოდა. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია: დაუბერა ნიავმა, მიჰფანტ-მოჰფანტა ნისლი და ხევი ნათლად გამოჩნდა ჩვენს წინაშე. მის ძირის ერთ გორაკის ბუსნოზე დავინახეთ მთელი ჯოგი ჯიხვებისა.

— უჰ, შენი ჭირიმე, შენი! — წამოიძახა არჩილ ფალავამ.

— რა გაყვირებს, არჩილ, ეს ჯიხვები არ დააფრთხო! — ნელა ჩაულაპარაკა გახუმ და ყველას სიცილი შესკდა.

— თქვენ გეცინებათ და მე ეხლაც ტანში მაჟრჟოლებს იქ ნახულის მოგონებაზე... — განაგრძობდა თეიმურაზი.

— მამა არ წამიწყდეს თქვენთან არ ღირს ლაპარაკი! — წარმოსთქვა არჩილმა — წამოდი, თეიმურაზ, მარტო მე მიამბე, თუ გიყვარდე! — და წამოსადგომად წამოიწია. მაგრამ არ გაუშვეს და თეიმურაზსაც განაგრძობინეს:

— ჯიხვების დანახვაზე სიხარულის კანკალმა აგვიტანა ყველანი, მაგრამ უცბად წამოუქროლა ქარმა, ხევში საიდანღაც ისევ მორეკა ახალი ნისლი და ჯოგი შიგ გახვია. მაშინ ლევანმა წამოგვჩურჩულა: „არა, ძმებო, ზურგზე გადავიდეთ და წინ გავსწიოთო“. ჩვენც მყისვე მისი ბრძანება ავასრულეთ და ხევში თავქვე დავეშვით. კატებივით მივცოცავდით ფრთხილად; უნდა მოგვესწრო სანამ ნისლი გადაიყრიდა, მანამ მივპაროდით ჯიხვების ჯოგს ახლო. ნისლს კარგა ხანს არ გადაუყრია, ასე რომ ჩვენ ძალიან ძირს დავეშვით, მაგრამ, როცა ხელახლა შემოუბერა ქარმა, ჩვენს წინ ბურუსი გამოჩნდა, მხოლოდ ჯიხვები კი ყველანი გაპარულიყვნენ. ძალიან ფრთხილად მივიპარებოდით მაგრამ მათ მაინც გაეგოთ და გაქცეულიყვნენ. მხოლოდ ორს მათგანს მოვკარით თვალი: შორს, ფრიალო კლდეზე ადიოდენ; დავინახეთ თუ არა უკან გავყევით. სემირან-ელამი ისევ წინ წაგვიძღვა, იმას კიდევ უკან მიჰყვა ერთი ახალგაზრდა ბიჭი ვინმე როსთოხან კვეკვეცია...

— უჰ, ეს რომელი როსთოხანი? — გაიკვირვა პეტრე მხეიძემ — აბრაგი რომ არის?

— ჰო, ჯოლორია დგებიას კაცი... ისე გაუჭირა ჯოლორიამ საქმე, რომ აბრაგად გავარდა თურმე.

— უჰ, მართლა ჯოლორია! — და ფეხზე წამოვარდა დუტუ ბატონიშვილი.

— რა იყო, რა დაგემართა?

— რა და უკვე დროა. შუადღე ჩამოდგა, ჯოლორია და მისი მეუღლე უნდა მივგვაროთ დედოფალსა.

— ჰო, იახელი, ძმაო, იახელი. — დაუდასტურა პეტრე მხეიძემ, რომელიც მორიგეებში უფროსად ითვლებოდა. — მხოლოდ, დუტუ, კორძაიას ქალს, თუ ძმა ხარ, ტყუილა არც გაეხუმრო... ჯოლორია უბედური კაცია.

— როგორ გეკადრება, რას ბრძანებ! — უპასუხა დუტუმ, მაგრამ პეტრე ვერ დააჯერა მისმა სიტყვებმა. გაიფიქრა: დუტუ გულში სულ სხვას ფიქრობსო.

დუტუ გავიდა და პეტრე მიუბრუნდა თეიმურაზის ჯგუფს. თეიმურაზს მისი თხრობა არ შეუწყვეტია.

— ყველას გაგვიკვირდა იმ როსთოხან კვეკვეციას გამბედაობა. რომელიღაც გამოცდილმა მონადირემ მიაძახა კიდეც: „ბალღო, სად მიდიხარ, ღმერთი არ გაგიწყრეს და სადმე ხრამში არ გადაიჩეხოვო“, მაგრამ კვეკვეციამ ყური არ ათხოვა, აფოფხდა და ელვის სიმაღლეზე სემირან-ელამთან ერთად თვალთაგან მიგვეფარა. ღონე გამოგველია მთელი დღე ბობღვით. ნადირი სულ გაგვირბოდა, სათოფეზე არ დგებოდა. მთავარმა მხოლოდ ერთხელ დასცალა თოფი და შველი დასჭრა, ისიც ძლივს ჩამოვათრიეთ კლდიდან, სადაც ტყვიის მოხვედრის შემდეგ აფოფხდა. იმასაც ვერ მივაგნებდით, რომ ორი არწივი არა, რომელთაც სწორედ ამ ადგილას ზემოდან, სადაც დაჭრილი შველი იწვა, ჰაერში კამარა შეჰკრეს. ლევანიც დაიღალა, ღოროტოტო დააკრევინა და ყველანი სადილათ გვიხმო. დავეშვით მთიდან, მის კალთებზე ერთი ვაკე ავირჩიეთ და დავბინავდით. სანამ სადილს აკეთებდნენ, მონადირეებმა დენა იწყეს, როცა ყველამ თავი მოიყარა, თვლას შევუდექით: ერთი დაგვაკლდა. ვილიმაც წამოიძახა — კვეკვეცია გვაკლიაოო. ჰკითხეს სემირან-ელამს. იმან კი ისა სთქვა, რომ გულისთავზე დავშორდით, მე მარჯვნივ გავყევი კლდეს, ის კი ზევით წავიდა... მერე არაფერი მინახავსო. მთავარმა ეს ამბავი რომ გაიგო, ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც ნაბადზე წამოჯდა და გამოაცხადა. ეხლავე შეუდექით კვეკვეციას ძებნას; სანამ არ მომიძებნით პირში ლუკმას არ ჩავიდებო. ყველანი დაღლილ-დახოცილები იყვნენ, მაგრამ მაინც მეტი გზა არ დარჩენოდათ, მთავრის სურვილი უნდა აესრულებინათ. ოციოდე კაცი ისევ გულისთავის აღმართს შეუდგა. სხვები და მათ შორის მეც ლევანმა თავისთან დაგვტოვა.

— ჰაიტ, შე ჩიჩია! ვერ გაბედე კინკრიხოზე ასვლა? — შეუძახა გიორგი გელოვანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ვაჟკაცი ხარ გელოვინო, მაგრამ, იქ რომ ყოფილიყავ, იმ ფრიალო კლდეზე არა მგონია ასვლა მოგეხერხებია.

— ჰო, კარგი ეხლა! აცადეთ, თორემ ეს ხვალამდე ვერ გაათავებს.

არჩილმა ხმა აიმაღლაურა:

— ილაპარაკოს. რა, არ მოგწონთ? მე ძალიან მინდა გავიგო რითი გათავდა საქმე...

— რითი და მოგახსენო: ცოტა ხნის უკან მონადირეების ძახილი შემოგვესმა, თითქო ერთი მეორეს საშველად ეძახდნენ. მთავარი ერთ ალაგას ვერ გაჩერდა, ხელით გვანიშნა უკან გამომყევითო და მიაშურა იმ ადგილს, საიდანაც ძახილი მოისმოდა. როცა აქშინებული და „გულ ამოვარდნილი“ მონადირეებს მიუახლოვდით, ერთ კლდეზე გვიჩვენეს. თმა ყალყზე შეგვიდგა, როცა კლდის ნაპირას, საცა ერთი კაცი ძლივას დაეტეოდა, დავინახეთ კვეკვეცია.

— უჰ, სად ასულა ის ოჯახ-დაქცეული, — წარმოსთქვა პეტრე მხეიძემ. — მაშინვე დატყობია, რომ უკულმართი კაცი შეიქმნებოდა.

— უკულმართი კი არა! — განაგრძობდა თეიმურაზი — ყმაწვილს სიფიცხე მორეოდა. ასვლით კი ასულა, მაგრამ რადგან უკან ჩაბრუნება ველარ მოეხერხებინა, იქვე მიწოლილა. ეხლა როგორ უნდა ჩამოგვეყვანა? საღამომაც მოატანა. იმ ადგილას ასვლისას სულ ჩამობნელდებოდა და მაშინ ვერც კვეკვეციას უშველიდნენ და თვითონაც დაიღუპებოდენ ტყუილ უბრალოდ. რა უნდა გვექნა? დავფიქრდით ყველანი. ლევანი საშინლად იყო დაღონებული, თვალებზე ცრემლი მოადგა; საშინლად ებრალებოდა საცოდავი ბიჭი და უნდოდა უეჭველად დაეხსნა როგორმე. რაც ხმა ერჩოდა დაუყვირა კვეკვეციას: „ჩემო შვილო, თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ლევანი გიყვარს, იწექი და არ გაინძრე. ჩემ თავს გეფიცები, შვილები არ დამეხოცება, ხვალ დილას უვნებელს ჩამოგიყვან. მხოლოდ იწექ და არ გაინძრეო“.

— მერე, მერე, შენი ჭირიმე? — წამოიძახა კვლავ არჩილმა — მეორე დღეს რა მოხდა?

— კაცო, ნუ რახრახებ, თორემ ის ბიჭიც იმ კლდიდან ჩამოვარდება და მერე რას უშვები თეიმურაზს!.. ამბავს ველარ გაათავებს. — ვითომ ნელა ჩაულაპარაკა გახუმ.

არჩილი წამოხტა:

— ფუი, შენ დაგწყევლოს ჩემმა გამჩენმა! რა კვიმატიანი კაცი ხარ!

მაგრამ თეიმურაზი და სხვები არ აყვნენ გახუს ღლაბუცობას. შეეჩვიენ.

— ის ღამე ისე გავატარეთ, მეორე დილითაც ვერაფერი მოვიფიქრეთ ერთხანს. ვილამაც ჩაილაპარაკა: ყველაფერი მორჩომილია, ვერაფერს ვუშველით; ისევ ისა სჯობია — მღვდელი ვიხმოთ, პანაშვიდი გადავახდევინოთ და თვითონ კვეკვეცია ყვავ-ყორნების საწიწკნად დავაგდოთო. ასეთ საგო-

ნებელში რომ ჩავარდით, მთავარმა დაგვძახა: „ჰეი ბიჭებო, გუშინ იმ ყმაწვილს შევფიცე გასაჭირიდან გიხსნი-მეთქი; უნდა როგორმე ჩამოვიყვანოთ და თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ ჩემის ფეხით-ღა შე-ჩამოვიყვან, თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინცო.“

გახუს ამაზე ეშმაკურად გაეცინა. იკითხა:

— მერე წავიდა?

— რას ამბობ, ბოშო! — შეუბღვირა გელოვანმა — იმდენი მხლებლები მთავარს გარჯიდნენ?

— მე კი არ ვიცი! — არ ისვენებდა გახუ — თვითონ რას წავიდოდა, სხვისი ხელით ნარის გლეჯა, ცხადია, უმჯობესია.

— ოჰ, ოჰ! ესეც უტუია თოდუა გამომიჩნდა! მაგას, ბიჭო, უტუია ამბობს მთავარზედაც და ჩვენზედაც... წაისაყვედურა ჩიქვანმა.

— აცალეთ, კაცო, რომ აღარ აცლით?! — ჩაერია კვლავ არჩილი.

— ჰო და მთავრის სიტყვას ვინ წაუვიდოდა! წინ წამოდგა დისიონი. კლდე სალი იყო და წინ-წამოწეულ ქიმების საშუალებით-ღა შეიძლებოდა ბობღვა. დისიონმა თოკები მოითხოვა. თოკი, ხომ იცი, მეგრელებს მუდამ წელში აქვთ გარჭობილი და მაშინვე მიაწოდეს, რამდენიც საჭირო იყო. თოკებიანათ გასწია დისიონმა. სადაც კი შეიძლებოდა, ქვებს მოაბამდა ხოლმე თოკს და მარყუჟს აკეთებდა კიბის საფეხურად. დისიონი დიდხანს მუშაობდა და წინ უეჭველის ნაბიჯით იწევდა, სულ მაღლა და მაღლა ადიოდა. კლდის ნახევრამდე უკვე ავიდა. აქ კი შეჩერდა. ყველანი იმას შევცქეროდით სულგანაბულნი. მოგვიბრუნდა და ძლივ გაგვაგონა: მეტი ასვლა აღარ შემიძლიაო. მთავარმა — შეჰყვირა ძირს დაეშვიო. დისიონიც ნელ ნელა დაეშვა. წამდაუწუმ ჩერდებოდა, თავის გაკეთებულ კვანძებს ეძებდა ფეხის გასაყრელად. როგორც იყო ძირს ჩამოვიდა და, სწორ მიწაზე ფეხი დადგა თუ არა, მკვდარივით გაიშხლართა.

— შეშინებულა ბიჭი

— უთუოდ თავ-ბრუ დაეხვა!,

— თვალი მოსჭრა სივრცემ!

— გული ჰქონია სუსტი!

ახორხოცდა ყველა.

თეიმურაზმა განაგრძო:

— მაშინ სემირან-ელამმა თოკის წვერი გამოართვა, პირჯვარი გადაისახა და დისიონის გაკეთებულ კიბით ასვლა იწყო. ჯიხვივით აიჭრა იმ ადგილამდე, სადაც დისიონი შედგა და მისი დაწყებული მუშაობა განაგრძო. ბოლოს მიაღწია იმ ადგილს, სადაც კვეკვეცია იწვა. საცოდავს გადაუბერტყა ზევიდან წაყრილი თოვლი, დიდხანს სინჯავდა და ბოლოს, რაც ხმა ერჩოდა, დაგვიყვირა: ცოცხალიაო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაგვიყვირა — ვინმე მომაშველეთო. აქ კი უტუია თოდუა, აი მართალიას რომ ეძახიან, ის ავიდა. იმისთვის ადვილი იყო მზა-მზარეული კიბით ასვლა. ხელად

აცოცდა და სიკოსთან ერთად უხიფათოდ ჩამოიტანეს სიცივისაგან გაშეშებული კვეკვეცია.

— მერე მოსულიერდა? — შეეკითხა არჩილი.

გახუს ისევე გაეცინა და უთხრა:

— არჩილ, რა კაცი ხარ! წელან თქვეს კაცი აბრაგად არის გავარდნილიო და თუ არ მოსულიერებულიყო საიდგან...

საერთო სიცილმა შეაწყვეტინა გახუს. არჩილი კი მკერდზე მჯიღს ირტყამდა და გახუს მეგობრულად ემუქრებოდა — დამაცა მე შენო.

— მერე მთავარმა არ დაასაჩუქრა ამსვლელები? — იკითხა ვილამაც.

— როგორ არა! სემირან ელამი და მართალია თოდუა გააზატა.

— რას ამბობ! მართალია თოდუა თავისუფალი გლეხია? — იკითხა დგებუაძემ.

— არ იცოდი?

— მერე და მაინც გლეხობის თავ-კაცად ითვლება, მაინც მათ ემხრობა?

— ბიძია, კუზიანს სამარე გაასწორებსო! — გაისმა ჩიქვანის ბოხი ხმა — გლეხი ფარჩაშიაც რომ გახვიო, მაინც გლეხად დარჩება.

— კვეკვეციას რალა უყო მთავარმა? — იკითხა არჩილმა.

— კვეკვეციას ერთი უღელი ხარი აჩუქა.

— ჰო, ეს ის იქნება ჯორია დგებიამ შემდეგში რომ წაართვა კვეკვეციას ოჯახს — განმარტა გახუ ფალავამ—აკი ხალხში ხმა დადის, რომ სწორედ მას შემდეგ გადავარდა აბრაგად როსთახან კვეკვეციაო.

— არა, იქ მგონი სხვა მიზეზიც იყო. — წარმოსთქა პეტრე მხეიძემ და უცებ შესწყვიტა, რადგან ეზოს მოუხვდა თვალი და წამოიჭრა.

— ყმაწვილებო, აბა გავეგებოთ, ივანე მუხრან-ბატონი მობრძანდება.

— მართლაც ეზოში შემოდიოდა ცხენოსანი რაზმი, რომელსაც წინმოუძღოდა რუსის გენერლის ფორმაში გამოწყობილი, წითური, ჩასუქებული, გაპარსული წვერებზე წაბლის-ფერ ულვაშებ გადმობარდნილი მთავარი, დავითის სიძე, ნონო დადიანის ქალის ქმარი, ივანე მუხრან-ბატონი.

მთავრის „კანვოი“ ეზოში საპატიო ყარაულად გალაგდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო გოგრგაძე

მაისის დილა

აწკრიალდა ალმასებად
შუქთა ნიაღვარი —
ველს დაეცა ვარსკვლავებად
ანთებული ცვარი.

გადაცილდა ცის კამარას
თვითმფრინავის ფრთები
და მოტორის ხმამ დაფარა
შეეერცლილი მთები.

ზღვა ხალხს ტალღად მოაგორებს
ქუჩა — უწყვეტ ზოლად.
მეხის ზრიალს მოგაგონებს
ტანკეტების ქროლა.

და დროშები წითელტარა
გადაშლილი ქარში —
ვარდებივით ჩამომსხდარა
სახლებზე და ბაღში.

ყოველ სახით მზე იცინის!
და მაისის დილა
მხიარული შრომის ჰიმნის
ხმებად გარდაქმნილა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

გ ა მ ო ლ ვ ი ძ ე ბ ა

რტოებ შიშველი და შავგვრემანი
მწუხრად გაშლილი ცაზე კალთებით,
დილით მოვიდა თეთრი ტყემალი
როგორც წისქვილში ღამე ნათევი.

ატმის ხე მოჰყვა ბნელში გაშლილი
ტყემლებს შეფერილს დარში გრიფელით,
როგორც რიჟრაჟის ერთი ნაწილი
აკვამლებული და ღვინისფერი.

შეშრა მინდორი, გათბა ჰაერი,
გამოჩნდენ თოვლქვეშ მომწყვდეულები:
კრამიტიანი სახურავები —
კანდახეთქილი ბროწეულები.

ბუხრიდან თითქო ლურჯი ფრინველი
წავიდა ცისკენ კვამლი რგოლებად,—
ფრინველი ლურჯი და საკვირველი
ცაში იების განმეორება.

წავიდენ... გაქრენ... დაპატარავდენ...
და ველარ მიწვდა თვალი ქებული,
დგას და დაჰყურებს სახლთან ტალავერს
ვაჟკაცის სახე გაბრწყინვებული:

ოდის ჩუქურთმებს, ლერწმებით გრძელით
შემორკალული და შიგ ნარევი,
აზმორებს ვაზი გველივით ბრძენი
მზით გამთბარი და ნამძინარევი.

შემოეხვია აივანს ირგვლივ,
ლერწმებს დაუნთებს ცას სანთლებურად
და ნებიერი ბავშვივით იგიც
მზეზე სატირლად გამზადებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდილა ვაზი — სახლთან ილბალი,
არტყია სვეტს და ჭერში ერევა,
დგას და შეჰყურებს ნაღარიბალი
სახლში შემოსულ ბედნიერებას.

მერე გახედავს: ფერდობზე ოხრად
დაუფერია ნოხები მინდორს —
არ იწოდება მინდორი ნოხად:
დახედავს ძირს და ადარებს თითონ.

როგორც მინდორი გზას მიყოლებით,
მის ფეხქვეშ ნოხი ნამდვილად იდო,
ნოხსაც აჩნია შავი ზოლები —
ნამიჯნარები აჩნია მინდორს...

ატმის ხე ახელს თვალს ალიონთან
ყვავილებს კარგავს ქარში დუმილით,
კოლექტიველის ახალი ოდა
დგას ყვავილებში თაიგულივით.

ყვავილებს აფენს ძირს ალუბალი
და ჰგავს პირველი ფიფქების ცვენას,
ნოხზე ისვენებს ნაღარიბალი,
შეჰყურებს სახლში შემოსულ ვენახს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე გვასალია

მეჯოგე

მოთხრობა

ჯოგი აიშალა. ბლავილით, თქარა-თქურით და ზმუილით დაადგა თემშარას, რომელიც ჭალადიდის ტყეებიდან სოფელ ზანით, ტალერითდა საბაჟოთი ლაკარდას და ჩეგოლას საძოვრებისაკენ მიემართება.

თენდებოდა. ჭაობში, თხმელის ტყეებში და ჭალებზე სქელი ნისლი გაწოლილიყო. ჯოგის პატრონმა, ჯვებე კვარა ცხელიამ ყაბალახით აფხაზურად წაიკრა თავი, ნაბადი შემოიხვია, ლაფშაზე თბილად მოიკალათა და მიტოვებულ ბუნაგს ერთხელ კიდევ გადახედა. შემდეგ ლაფშა თემშარაზე გაიყვანა და თავის ჯოგს ფეხდაფეხ გაჰყვა.

წღვაური ეისლს ხობისწყლის სანაპიროებისაკენ მიერკვებოდა. თემშარაზე ხან გამჭვირვალე, ვარსკლავებით მოჭედილი ალიონის ცა იხედებოდა, ხან ჯანღი მძლავრობდა და გზის გაკვლევას აძნელებდა. ჯვებე კვარაცხელია კვლავ ფიქრებს მიეცა. სამი დღეა ამ ფიქრებს ებრძვის ჯოგის პატრონი, სასტიკი და ყველას მიმართ უსამართლო. მთელ ოდიშში სახელგავარდნილი, სამი დღეა ის ფიქრებში ედავება თავის მწყემსს, აგერ ჯოგს უკან რომ მოჰყვება, ედავება და აქამდე ვერ გადაუწყვეტია: დატოვოს, მიიშოროს თავიდან, თუ წაიყვანოს და ანგარიშის შესახებ იქ, მთებში, მოელაპარაკოს. და აი ახლა ჯვებე იქ იყო, მეჯოგეების კარვებთან, ჩეგოლას საძოვრების იქით, სვანეთის გადასახედთან, და ეს მწყემსიც იქ ედგა თვალწინ...

მოდიან...

თემშარა ხან მარჯვნივ უხვევს და ნაისლარ ჭაობებზე გადადის, ხან ორღობებში ექცევა და მუხლებამდე აზელილ ტალახში ეფლობა, ხან აღმართს ყვება მაღლა და ზევით ჯანღი უჩინარდება, ხან დაბლა ეშვება, განიერ ღელეებში იძირება და იკარგება, ხან ულრან ტყეებში მიბორგავს, ხან ტრიალ მინდორზე და ჭალებზე ბაწარივით მიიკლაკნება. ჯოგს წინ მოუძღვის წაბლისფერი ბოჩოჩხა რქიანი ჯიშიანი ძროხა. იქვე გვერდით ფეხდაფეხ მისდევს მას სამიოდე ასეთივე ლაზათისა და ჯიშის მოზვერი. ესენი პირველობაში ეჯიბრებიან მეთაურს და ხანდახან ერთმანეთს რქით ერჩოლებიან. მათ უკან მიდიან დეკეულები, მაკეები, ატეხილი ფურები, ირმა მოზვერი და პაწაწინა, ახლად ფეხადგმული ლამაზი ხბორები, რო

მელთაც შიათ და პეტელით ცა ძირს ჩამოაქვთ. ჩალვადრიანი ბავი ცხენები გუდებით რძიანნ სულუგუნებს მიათრევენ. ბოლოში ბანჯგვლიანი ნაბზები მიაბოტებდენ, მსხვილ გაშეშებულ კისერს ძლივს აბრუნებენ და მუშტის სისხო ღამენათევ თვალებს დამზვერავად ატრიალებენ. ჯოგს ორი მწყემსი მისდევს უკან, თითო-თითოც მარჯვნივ და მარცხნივ სულ ბოლოს მობრძანდება ჯვებე კვარაცხელია, და ეს ორლობეების ტალახში, პატარა რუებზე და ჭოჭყოებში საქონლის მიერ ატეხილი დგაფური და ტყაპანი აღმართზე ამოსვლის შემდეგ ჯოგის ქოშინი და ზმუილი, ქოფაკების ხრინწიანი ყეფა და მწყემსების სტვენა წარმოადგენს კვარაცხელიას საკუთრებას, სვანეთის მთებიდან, ჭალადიდის ჭონჭყოებიდან ატყავულს და შენაძენს.

მიდიან...

ჯვებემ სვანეთის გადასახედზე დავას ბოლო მოაბა და სენაკის, ხობის, ზუგდიდის, ფოთის და ოჩემჩირეს ბაზრებში ბორგავს, სულუგუნით სავსე გუდებს და ყუთებს დაათრევს, ფუთობით სწონის, ასობით ვაჭრობს, იგებს ფულს, ჩხუბობს, ვილაცას ეფერება, ქეიფობს, საქონელს ყიდულობს და ჰყიდის.

ახლა ის თპილად ზის ცხენზე, თეთრ-წითელი, გრძელი მაღლა აკაუჭებული ულვაშები, ჟღარუ თვალები და ცხვირის ზემოთ ერთმანეთზე სქლად შეზრდილი წარბები აზვიადებენ სიამაყეს.

— ჰუტ ჰოო! — დასძახებენ ჯოგს მწყემსები. საქონელი ზლაზნით მიიწევს, ირმა მოზვრები ეშმაკობენ, იხელთებენ დროს, ჩამორჩებიან და ბურლაობენ, წინა ფეხებით ტორავენ მინდორს, პაწია რქებზე ბალახი და ქვერი აქვთ შერჩენილი.

— ხიი, ქოორე, ქოორე! შე მგლის შესაჭმელო!—დასცხო სახრე მწყემსმა ბარდღემ მოზვერს და ჯოგს შემოუერთა.

კვარაცხელია აენთო... ისევ, ისევ ის მწყემსი! ხედავ, როგორ გავიდა თავს: ჯვებემ აღვირი მიუშვა, წამოეწია:

— შენ რას გიზამ, იციო?! მე გასწავლი როგორ უნდა პირუტყვის უბრალოდ ცემა!

მწყემსმა თავის პატრონს ურჩად შეხედა, თვალი თვალში გაუსწორა, არაფერი არ უპასუხა, სამგლედ გატენილი ფილთა თოფი მხარზე შეისწორა და ნაბიჯს მოუჩქარა...

სვანეთის მთების კალთებამდის უნდა მივიდეს კვარაცხელიას ჯოგი და იქ საზაფხულოდ დაბანაკდეს.

თემშარაზე ფუნის, პირუტყვის და რძის სუნი დატრიალდა. ათას ნაფეხურით დასეტყვილი ტალახი უკან რჩება,ალიონზე ამდგარი გლეხები ქუდის მოგლეჯით ესალმებიან გზად მიმავალ მდიდარ მეჯოგეს. ზოგგან არაყი და ხილი გადმოაქვთ, ზოგად ჯიშიან ხბორებს და ნაგაზების ლეკვებს თხოულობენ და ზოგან ლაკარდაში ამბავს უბარებენ, და ამ ზმუილში, დგა-

ფანში, პეტელში და არყის სმაში სოფელი, ორლობეები, ჭალადიდის ტყე ჭალები, სიმინდის საყანეები რჩება სადღაც უკან...

— დამაცადოს მე იმან! — ამოიკვნესა ჯვებე კვარაცხელიამ და თვალი ისევ მწყემსის ზურგს ჩააჭედა.

სამი წლის წინათ პირველად შეხვდენ ერთმანეთს მწყემსი ბარდღუ და მეჯოგე ჯვებე. ბარდღუს ეცვა ადგილობრივ, ზუგდიდში მოქსოვილი ჩოხის შარვალი და ხალათი, ნაცრისფერი, გახუნებული და გაცრეცილი. ეს იყო საღამოს ჟამს, ყინვა მატულობდა და მეჯოგემ მზრუნველობით იკითხა:

— ხომ არ გცივა, ჯიმა კოჩი?..

— არა, პატონი.

— მაშ მოვრიგდეთ?

— მოვრიგდეთ! — გაიმეორა მწყემსმა და ოდნავადაც გაიცინი. მეჯოგეს მოეწონა ეს უზრუნველი სიცილი.

— წელიწადში შვიდი ბათმანი სიმინდი და წყვილი ხარის ქალამანი, სამი წლის შემდეგ ოთხი მეწველი ძროხა თავის ხბორებით. ჯოგში მორავლდებიან, შენც მეჯოგე იქნები და ამხანაგად გამიხდები. მეტი რა გინდა, ჯიმა კოჩი? — და მხარზე ხელი დაჰკრა.

ბარდღუს მოეწონა ჯვებეს მოფერება, კარგი ვინმე ჩანს, — გაიფიქრა მან, მაგრამ ვაჭრობის წესის მიხედვით ცოტა იყოყმანა, აბა, ხომ არ იყვირებდა: კი თანახმა ვარ, მშვენიერი პირობაა. ჯერ არაფერს უპასუხებდა, ისევ უზრუნველად იცინოდა და ხელებს ისრესდა. მაშინ ჯვებემ განაგრძო:

— კაი რძე და ყველი, ზაფხულობით კაი ჰაერი, ოთხი მეწველი ძროხა, ძანიალი კარგია,.. ამდენს ვინ გიჟი მოგცემს, მაგრამ მომეწონე, თან ნაქეიფარეც ვარ და ესაა ბედი გქონია. — კვლავ დაჰკრა მხარზე ხელი და ლონივრად შეანჯღრია: — ეს რა არის, ძვალი და ტყავი ხარ! ვაი დედასა, მთებში ისე გასუქდები, როგორც ბუღა, მეტი რა გინდა, ჯიმა კოჩი?!

მორიგდენ.

— შენ ამბობ, არც დედა გყავს, არც მამა, არც და, არც სახლკარი გაქვს?..

— ჰო, პატონი...

— მთლად დინაფილ შური [2] ყოფილყარ!

ტბკილად ესაუბრებოდა ჯვებე თავის მწყემსს, რომელიც ცხენზე უკან შემოესვა და ჭალადიდისაკენ მიჰყავდა.

რამდენი ხანია მას შემდეგ! ბარდღუს ახლა ოთხი მეწველი ძროხა ერგება, კვარაცხელიამ უნდა გადაუხადოს, და სად გაჰქრა ნეტავი, სად წაიღო მეჯოგემ თავისი დაპირება, ერთ დროს ბარდღუს რომ მოეწონა?

---

[1]) ჯიმა კოჩი — ძმაო კაცო.

[2]) დინაფილი შური — სულ უპატრონო და ღარიბი, დაახლოვებით დაკარგული სული.

— ჯვებე პატონი! — მიმართა ბარდღუმ ამ სამი დღეს წინათ ჭალადიდში, ჯოგის აყრამდე, კვარაცხელიას და ლაფშაზე შეჯდომა დაგვიანებია.

— რა იყო, ბიჭო? — გაუცინა ჯოგის პატრონმა. ბარდღუ ერთიანად გაწითლდა, თითებს იმტვრევდა და სათქმელს ვეღარ პოულობდა. მერე, როგორც იყო, მოახერხა:

— საცაა უნდა ავიყაროთ, პატონი... მე მინდოდა ჩემს ანგარიშებზე გამეხსენებია. სხვა მწემსები ახლები არიან, თავი ქუდში აქვთ, მე კი მინდოდა გამეხსენებია, რომ ამ ზაფხულს სამი წელიწადი უკვე სრულდება, აი საძოვრებიდან უკან ჭალადიდში რომ დავბრუნდებით, სწორედ სამი წელიწადი იქნება, — და ბარდღუმ თითებზე უანგარიშა გასული წლები და თვეები...

— ეგ მეც ვიცი, მერე რა გინდა?

— მაშინ, პატონი, მე ქალაქში უნდა წავიდე...

— შენ ქალაქში უნდა წახვიდე?! შენ? ვითომ რატომაო? ა, ჯიმა კოჩი, ხა-ხა ხა! ბიჭოს, დუქნების გახსნას და ვაჭრობის დაწყებას ხომ არ ლამობ ამ დროში?.. — და ჯვებე სიცილ-ხარხარით ცხენზე შეჯდა, თითქოს აქ არაფერი ყოფილიყოს.

ლაფშამ მინდორზე გაითოხარიკა, მწყემსი აილეწა, უკან გაეკიდა, უზანგთან ფეხდაფეხ მიჰყვა:

— თქვენ მიბრძანდებით და არც კი გინდათ მოისმინოთ, მე კი ჩემი გაჭირვება უნდა მეთქვა...

— თქვი მერე, შე კაცო! — მოზიდა აღვირი მეჯოგემ.

— მთავრობამ მითხრა, ქალაქში გაგაგზავნიო... — ჯვებე მოიღუშა, ორჯერ ულვაშებზე გადაისვა ხელი და პირი მაინც არ გაიტეხა.

— წადი მერე! ავაი ჯიმალურელი[1])! — აღმოხდა მეჯოგეს, — ამით მაშინებ თუ რა?!.

— წასვლით კი წავალ, პატონი, მაგრამ ორი კაპეიკი რომ მერგება, იმაზე მინდოდა გამეხსენებია...

— მახსოვს, ჯიმა კოჩი... მახსოვს...

— პატონი, მაშინ ახლავე გამოჰყავი ჩემი ძროხები, მთიდან ადრე დავბრუნდები და ჩემს გზას დავადგები.

— წადი მერე, შე კაცო, წადი! — გაბაგრძობდა უაზროდ სიცილს ჯვებე, თითქოს თავისი მწყემსის უკანასკნელი თხოვნა ძროხების გამოყოფის შესახებ არც კი გაეგონოს.

— რა გაცინებს, ჯვებე, ასე არ წავიდეს საქმე, თორემ მე სამართალს მოვძებნი!.. — აენთო ბარდღუ.

---

[1]) ჯიმა-ღურელი — ძმამკვდარო.

[2]) გოლეაფირო — შემოგევლე.

მეჯოგემ სიცილი მიატოვა, შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად დახუჭა ცალი თვალი და გაბრაზებულმა თავის კატუნით წარმოსთქვა:

— მე ჩემს სინდისზე თუ არ მოგეცი, სამართალს საბუთი უნდა, გოლუ-აფირო, ისე რას წაიღებ?!

— ჩვენ ხომ გავრიგდით, ახლა ძროხებზედაც ხომ არ ამბობ უარს?..

— საბუთი? სამართალს ქაღალდი უნდა აჩვენო, თორემ ისე რა!

— შენ არ მოგიცია, მე საიდან მექმება!.. ხელი ჩამომართვი და ეს იყო...

— ხელი? ვოვა ბარდღუია, ვოვა!.. ეგ რომ სამართალში თქვა, ის კაცები სიცილით მოკვდებიან.

თქვა ეს და ჯვებემ ხელმეორედ გადაჭრა ცხენს მათრახი და წავიდა ორლობეებში, თითქოს არაფერიაო. მერე ნახევარი ტანით უკან მობრუნდა, ხელი ჰაერში გააქნია და დაიძახა:

— ბარდღუ, ის ათი ძროხა მოუწველავი არ დაგრჩეს, რძე ჩაადედე, გუშინდელ სულუგუნებს მარილი მოაყარე, ბევრი არ მოგივიდეს, გესმის!..

საღამოს, მეჯოგე რომ დაბრუნდა, ათი ძროხა მოუწველავი დაუხვდა, რძე ჩაუდედებელი, ხოლო გუშინდელი ყველი მარილმოუყრელი. გაბრაზდა მეჯოგე, ეზოში გამოგორდა, ჭალები მოირბინა და ბოლოს, ვერსად რომ ვერაფერი ნახა, კინაღამ გადაირია. ხის გადაჭრილ კუნძზე შედგა და ყელის ძარღვებში სისხლმოწოლილი აქუხდა:

— ბარდღუ... უ... უუ...

— რა ამბავია, მოვდივარ! — მოისმა ომახიანი ძახილი ტყიდან და მალე გამოვიდა კიდეც. გვერდით თავისი მფარველი მოჰყვებოდა. მფარველს სამხედრო შარვალ-ხალათი ეცვა, წითელარმიელის წოწოლა ქუდი ეხურა და გვერდზე ვითოჟირი „ბერლინ-გერმანია“ ეკიდა, რომლის გრძელი ლულაც ვიწრო ჩექმის ყელამდე წვდებოდა. ცალი ხელი ამ რევოლვერის ტარზე ჰქონდა დადებული, ხოლო მეორეთი გაცხარებული საუბრობდა.

მეჯოგე კვარაცხელიამ იცნო ის, და ეს კლდეში დაბადებული, ფეხადგმული და გაზრდილი კაცი იმდენად შეფეთდა, რომ კინაღამ გაიქცა და ტყეს შეეფარა. ერთბაშად გადაწყვიტა მწყემს დამალვოდა, მაგრამ გვიან იყო, ისინი, სულერთია, ყველაფერს შეამჩნევდენ.

— აჰ, ბარდღუ, მე შენი ღმერთი!.. — ამოიკვნესა ჯვებემ და ველარ მოასწრო პირველ თავბრუდახვევისა და შეკრთომისაგან გამორკვევა, რომ მომავალნი მიუახლოვდენ.

— კარგი გამარჯობა შენი! — წამოიძახა წოწოლა ქუდიანმა, მაგრამ ხელი კი არ გაუწოდა ჩამოსართმევად.

— ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ! — მიუგო სწრაფად მეჯოგემ.

ეს იყო და ეს. მეტი სიტყვა მეჯოგისათვის არ ულირსებიათ. მოსაუბრეებმა გზა განაგრძეს. მხოლოდ ერთხელ მოიხედა უკან სამხედრო ფორმაში გამოჯგიმულმა და უგემურად ორი სიტყვა გამოაგდო: „თქვენც წა-

მოდით". შემდეგ ისევ განაგრძო ბარდღუსთან საუბარი, ისევ რევოლვერის ტარზე დაიდო ცალი ხელი, ხოლო მეორე საუბარში მოიშველია. მეჯოგე მდუღარე გადასხმული გაჰყვა უკან მოსაუბრეებს. ვეღარაფრის ხმა ვერ გაბედა. ორჯერ-სამჯერ რაღაც სიტყვები მოადგა ენაზე, მაგრამ თავი შეიკავა. შემდეგ ყური დაუგდო მათ საუბარს. ბარდღუს უცნაურ რაღაცეებზე ელაპარაკებოდა, დაკავშირებულს სწავლასთან, საქონლის ექიმის ხელობასთან და ჯოგების გაერთიანებასთან. კვარაცხელიამ მოთმინებით მოისმინა ეს „ზღაპრები". ასე უხერხულად გათავდა გზა. უკვე მეჯოგეების კარებამდე მიაღწიეს, როცა სამხედრო ფორმაში გამოჯგიმულმა უკმეხად ჰკითხა მეჯოგეს:

— რათ არ აძლევ ძროხებს ბარდღუს?..

— ვინ? მე? არ ვაძლევ ძროხებს? ღმერთო დიდებულო! რას ამბობთ, როდის, პატონი? ბარდღუ, არ გრცხვენია, კაცი უბრალოდ შეგიწუხებია! ვაი, ღმერთო მომკალი და ეგაა! არა, პატონი, გამიგონია?!.

მწყემსმა და მისმა მფარველმა ერთმანეთს გადახედეს და ხმამაღლა გაიცინეს, ხოლო შეშფოთებულმა მეჯოგემ განაგრძო:

— გარიგება გარიგებაა. იალაღიდან რომ დავბრუნდები, ოთხი ძროხა ერგება. ბატონი ბრძანდებით, თუ უნდა წაიყვანოს, თუ უნდა ჩემთან მოამრავლოს. ვაი ჩემი ცოდვა! ჯვებე კვარაცხელია ისე დაეცა, ამაზე თქვენებრ პატივსაცემი პიროვნება შეაწუხოს, არა, პატონი!..

მფარველმა გააწყვეტინა:

— მაშ ტყუილს გიგონებს ეს კაცი? უარი გითქვამს...

— ღმერთო, მომკალი ვინცხამ! გამიგონია, ის კი არა, რაღაცა ვეშასხრე, არ მახსოვს კი რა უთხარ. ეს კი ვიცი ისეთი არაფერი წამომცდენია, არ მოგცემ მეთქი... საქონელი არ ამომიწყდეს, არ მითქვამს, გამიგონია!?

— კაცო, შენ არ იყავი...—წამოიწყო გახარებულმა ბარდღუმ, მაგრამ ჯვებემ გააწყვეტია:

— არა, ჯიმა კოჩი, შენ გამაჯავრე, თორემ ისე ტკბილი სიტყვით რომ გეთქვა, სხვა იყო! — შემდეგ ჯვებემ გაცინება სცადა და სამხედრო ტანსაცმელიანს მიმართა: — ერთი წელიწადია ქვეყანას დაეპატრონეთ და ისე გაათამამეთ, პატონი, ეს მწყემსები, რომ მათთან სიტყვა ვეღარ დაგვიძრავს. თქვენ თითონ ყოფილი მწყემსი ხართ, პატონი, გახა ასე მსახურობდით? ჰაი გიდი, ძველად სხვა პატივისცემა იცოდენ კაცისა...

— ამხანაგო, შენ არ მითხარი,—იშოვა დრო ბარდღუმ და წამოიწყო,— თუ ჩემი სინდისით არ მოგეცი, რამდენიც გინდა იხტუნო, ვერაფერს წაიღებო...

— მომკალი ვინცხამ ახლა, ა!.. ბიჭო, არ გრცხვენია, მე გითხარ იხტუნე მეთქი? ვაი ჩემი ცოდვა! მე ვთქვი, შენ ქაღალდი არ გაქვს მეთქი, ხოლო თუ სასამართლოს საბუთი არ აჩვენე, არაფერს დაგიჯერებენ მეთქი,

მაგრამ აქამდე ხომ არ მიმყავს მე საქმე? შენს ძროხებს ვაძლევ, შვილო, მეტი რა გინდა, ა?! მე გითხარ, იხტუნე მეთქი, ა? — ჩაეჭიდა ამ სიტყვას მოხერხებული მეჯოგე.

— არა, მთლად ასე არ გითქვამს, მაგრამ რაღაც ყურადღება არ მომაქციე... — შერცხვა ბარდღუს.

— მე ვაჭრობის თავი არ მაქვს, გამაგებინე, აძლევ თუ არა ამ კაცს ძროხებს?

— ვაძლევ, ბატონისშვილო, შენი სახელის ჭირიმე, ვაძლევ, მხოლოდ ჯერ დრო არ არის, დავბრუნდები და მივცემ...

მფარველმა ბარდღუს გადახედა. მწყემსმა კმაყოფილებით გაიცინა და თქვა:

— მართალია, ჯერ დრო არ არის, მაგრამ ახლა ამირჩიოს ძროხები.

— ჯვებე, — წამოიძახა მფარველმა, — მე თავმჯდომარე ვარ, ახლავე უნდა მომიწერო ხელი. თუ არ მიგიცია, იცოდე ოთხ მეწველ ძროხას მე ავარჩევ და ყასპებს მივყიდი. თუ კიდევ გავიგე შენზე რამე საჩივარი, პასუხისგებაშიც გადაგცემ... შენ სხვა დრო არ გეგონოს!..

— ვაძლევ, პატონი, აი ახლავე დავაკმაყოფილებ, ბარდღუ, ერთი ჭრელი, კობრა რომაა, მეორე ძეკე, მესამე ჭითაშია და მეოთხე, ახლა რომ ხბო მოიგო ბოჩოჩხა, ოთხივე მეწველი. სულ ხბოებიანად რვა სული, თანახმა ხარ, ა? პატონი, მოგიწერ ხელს, თუ არ გადავიხადო, რაც გინდა მიყავით, თქვენი ხმალი, ჩემი კისერი!

— თანახმა ვარ, — ჩაიბურტყუნა გამარჯვებულმა მწყემსმა.

მაშინ თავმჯდომარემ რევოლვერის ტარიდან ხელი აიღო და ჯიბეებში ქაღალდი მოძებნა. ხელი მოაწერია, ზედმეტი სიმტკიცისათვის ბეჭედიც დაასვა და ჯოგის პატრონს ის მაფრთხობელა თვალი თვალებში გაუყარა:

— პასუხისგებაში გადაგცემ... — გაუმეორა ომახიანად და დაკეცილი ქაღალდი ბარდღუს გაუწოდა, შემდეგ ისევ გამოართვა, და ჯიბეში ჩაიდო, ხოლო მწყემსს დარიგება მისცა:

— ეს ქაღალდი მე დამრჩეს. რომ ჩამოხვალ, კიდევ გნახავთ ორივეს. გავათავე ახლა ამაზე!..

— რავა ხართ, პატონი, ისე, რავა გიკითხოთ? ღმერთო მომკალი! ბარდღუ, გეიქეც, ის ჩაუდედებელი რძე ქე მაინც აადუღე, დავპატიჟოთ ეს კაი კაცი.... — გაეშალა ხავერდად მეჯოგე, მაგრამ სტუმარმა მწყემსი გაიყოლია და ხეირიანი მშვიდობაც არ უთხრა, მეჯოგეს სიტყვა პირში შეატოვა და ისე გაჰყვა შუკას. მალე ორთავენი თვალს მიეფარენ.

მეჯოგე კარავში შევიდა, მიალაგა, ნაბადი წამოისხა, თვალიდან მაინც ვერ მოიშორა: გაუპარსავი წვერულვაში, სამხედრო ქუდი და კაჟივით მაგარი ომახიანობა. შეშფოთდა ჯვებე, ლამის მუხლები მოეკეცოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახლა ზმუილით მიდის ეს ჯოგი ჩეგოლაში. მწყემსი თავის ხელფას პირუტყვს თავს დასტრიალებს. ჩლიქები ხომ არ დაუზიანდათ? ან ჭამა ხომ არ აკლიათ? არა...

— ქოორე შური, ქოორე!..

— ჰუუტ, ჰოო!..

ქოფაკი ძაღლები მუშტის სისხო თვალებს ატრიალებენ, ღრენით ჩაუვლიან მოსახლეთა ეზოებს და შემდეგ ძლევამოსილებით მილაგვალობენ. ყველაზე უკან მიდის ჯვებე კვარაცხელია, ნაბადში შეფუთვნილი და გალურსული.

მეორე დღეს მთები ისე მოახლოვდენ, თითქოს ხელის წავლება შეიძლებაო. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ. ნიადაგი ქვიანი და მწირი შეიქნა. პაწია მდინარეები უფრო ჩქარა მორბოდენ და ფსკერს ლილისფრად ღებავდენ. აცივდა. მთებზე ჯერ ისევ თოვლი იწვა. ამწვანებულ ატამს და ტყემალს ყვავილი ფარფატით ცვიოდა და, ხეების ძირას ყვავილების ვარდისფერი თოვლი ეყარა, მერე ატამიც და ტყემალიც მიილია, წაბლისა და კაკლის ხეები გახშირდა, რცხილა და წიფელა მომრავლდა. დაიწყო უკაცური ადგილები. ამ უდაბურ ალაგას მხოლოდ აქა-იქ ხვდებოდათ თითოდ შეხიზნული მუხისა და წაბლის წმინდა ფიცრისაგან ნაშენი ოთხთვალიანი ოდები, ჰების ოწინარები, გადახურული დარაბიანი ჭიშკრები და კოლენდრიანი ეზოები. გზა ახლა უფრო აღმართებზე ეკიდა ან ტყეში და ჯაფარონებში მიბორგავდა. მეორედ დაღამდა და ეს ხელის მოსმამდე მოსული მთები, ღრუბლები, კაკლისა და წაბლის თამამად გაშლილი ხეები ღამეში უჩინარი შეიქნა, თითქოს აღიგვენ და გაჰქრენ, თითქოს გარემო სულ დაცარიელდა და ქვეყანაზე მარტო სიბნელე, ვარსკვლავები და ძაღლების ყეფა დარჩა. ოთხივე მხარეს აანთეს მაღალი ცეცხლი, შუაში ჯოგი, დაოსებული და დაღალული, ზმუილით, პეტელით და ბლავილით დაწვა და მათი პირუტყვული თვალები ღამეში კელაპტრებივით აენთო. ნაგაზები, ბანჯგვლიანი ბათურიები, გაცოფებული დარბოდენ და კოცონებს ყეფით და გნიასით გარშემო უვლიდენ. ბარდღუმ თავისი საქონელი დააბინავა და მათ გვერდითვე დაწვა. შუალამემდე უნდა ეძინა, ხოლო შემდეგ ედარაჯნა და ამხანაგ მწყემსებისათვის ძილი და მოსვენება დაეთმო.

ჯვებე კვარაცხელია აქაური გახლდათ. ოთხი კილომეტრის მოშორებით წაბლის და კაკლის ტყეში იდგა მისი ოდა. ამ საღამოს იგი ცხენით დაწინაურდა და ახლა ის იყო ჭიშკარი შეაღო:

— ჯვებე, ჯვებე გოლუაფირო! — შემოეგება ახალგაზრდა ქალი.

მეჯოგე კვარაცხელია ჩამოხტა ცხენიდან და ორი თვის შერთულ ცოლს ათრთოლებული ხელი ჩამოართვა, ბედნიერმა ჭიშკრის მიკეტა დაივიწყა. ამასობაში მოხუცი დედა და ასოცი წლის ბეხრეკი მამაც შემოეგებენ, გაუთხოვარი დები შემოეხვიენ, და ერთი ჩორქოლით, ჩიფჩიფით და სა-

ალერსო სიტყვებით დერეფანში ავიდენ. ცოლმა სკამები გამოარბენია, ჯვებემ მოიკალათა. ამ დროს უცაბედად კოცონი შეამჩნია.

— ხედავთ, ჩვენი ბიჭები არიან! — ხარბად გაშალა მკლავები.

— რავა გყავს ჯოგი და მწყემსები?—ჩიფჩიფით იკითხა ბეხრეკმა მამამ.

— ძალიან კარგად, რა გვიჭირს? შენ რავა ხარ, მოხუცო?..

რამდენიმე ხნის შემდეგ მსუქანი ინდოური შამფურზე იწოდა, ქვევრიდან ჩხავერი ამოჰქონდათ, ოდაში დიდი აბაჟურიანი ლამფა ბრდღვიალებდა, ხურჯინში არაყს, საგზალს, საცვალს, ყაბალახს და ათას სხვა წვრილმანს ალაგებდენ, ხოლო დაღლილი ლაფშა ჩალას ახრამუნებდა, და ამ ფაცაფუცში შუალამე ისე მოვიდა, ვერავინ გაიგო.

— გოლუაფირო, მითხარი, ეგრე რათ ხარ მოღუშული? რაც მოხველი, ერთიც არ გაგიცინია, ღვინოს კი ძალიან დაეტანე, ხომ არავინ გაწყენია?.. — ჩაეკრა გულში სათუთად ახალგაზრდა ცოლი ჯოგის მფლობელს, როდესაც ყველანი ძილს მიეცენ.

— ვის უნდა ეწყენინებია! — მიუგო ნაწყენი ხმით ჯვებემ და საბანში მაგრა გაეხვია.

— აბა რატომ ხარ ასე?.. — ჯვებემ არაფერი არ უპასუხა. ცოლმა განაგრძო: — პირუტყვი ხომ არ ჩამოგვართვეს ან იქნებ მწყემსებმა ჩაიდინეს რამე?..

— არა, — ამოიკვნესა მეჯოგემ, — მწყემსებს რა უნდა ჩაედინათ?..

— გოლუაფირო, მე არ მოგიკვდე, მითხარი, რისთვის ხარ მოწყენილი? კაცი ხმას ვერ ამოგაღებიებს...

— რა ვიცი, იქნებ დავიღალე, ხომ იცი, ჯოგი...

— ო, მატყუებ, მატყუებ!.. — გაჯიუტდა ქალი და მკერდზე უფრო მაგრად მიეკრა...

... გარეთ ქარმა უფრო იმძლავრა, ხის ტოტები ძირს ჩამოგლიჯა, ლიად დარჩენილ ჭიშკარს არახუნებდა, ოდიდან ყავარი აგლიჯა და ახლად გაშლილ წაბლის ყლორტები და აკაციის ყვავილები ჩამობერტყა.

დილით ადრე წამოვარდა მეჯოგე. ცოლი თან აჰყვა, თითქოს ბაწრით მასზე მიბმული ყოფილიყოს. სხვებს არაფერი გაუგია, და ჯვებე ცხენზე რომ შეჯდა, მეუღლე უზანგს ჩაეკრა და ქმრის ფეხი გულში ჩაიკრა:

— გოლუაფირო, გოლუაფირო, წუხელის როგორც შემპირდი, ჯოგს რომ დააბინავებ, ჩამოდი, ჯოგი მწყემსებს დაუტოვე, იცოდე, ჩამოდი თორემ ვიტირებ...—და ხელში სამყურა ნედლი ბალახი ჩაუდო, ეს ბალახი კვარაცხელიას მთებში განსაცდელისაგან დაიცავდა: — ღმერთო, მშვიდობით ამგზავრე ჩემი ჯვებე! — აღმოხდა ქალს.

ჯვებე დაიხარა და ცოლს შუბლზე მსუბუქად აკოცა:

— სე აწი, შე ქალო, წადი და დაიძინე, რა მოხდა ამდენი!.. — შემდეგ შემოჰკრა ცხენს მათრახი და-ჰაიტ აფირხანა ამარჯა, [1]—ეზოზე გააგე-

[1]) ჰაიტ აფირხანა ამარჯა — აფხაზური შეძახილია.

ვლა, ნაბადი ფრიალით უკან გაეკიდა და ღამეში გაუჩინარდა.

— ჩემი სიკვდილი იყოს, რაღაც აწუხებს და ვერ ...— ჩაიბუტბუტა ქალმა და ოდაში შებრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიან ისევ...

შუა დღეს საბაჟოს მიაღწიეს. დაიწყო ორწოხები, ბზისა და ნაძვის გაუვალი ტყეები. მდინარე ტეხური კლდეებში მობორგავს, ნაპირებზე კალმახი ხტუნაობს. ახლა ფართო თემშარა საცალფეხო ბილიკად იქცა, რომელიც მთებიდან მთებზე ძაფივით გადახლართულა, ის ხან მწვერვალისკენ მიიწევს, ხან ქვესკნელში იკარგება და ტეხურის ხეილს უერთდება.

—ჰუტ ჰო!..—ყვირიან მწყემსები.

—შენ ამ სახრეს თავზე გადაგამტვრევ, საქონელი არ გადამიჩეხო, ძაღლო!..—აუწია ხმას კვარაცხელიამ, რადგან ამ უკაცურობაში, მთებში და უდაბნოში, თავისი ძალა დაუბრუნდა და შებორკილი ხელფეხიც გაეხსნა.

—საქონელს შენი ყვირილი აფრთხობს!—შეუბედა პასუხი ბარდღუმ და თავის ამხანაგ მწყემსებს დახმარების მაძიებელი თვალებით გადახედა.

—წადი, წადი!..—გაუშვირა წინ თითი მეჯოგემ.

რცხილა და წიფელაც მიილია, სამაგიეროდ ბზა და ნაძვი მომრავლდა. წაბლი და კაკალი უფრო დავაჟკაცდა და მთელ ხეობას მოედო. აქა-იქ საბალახოებიც გამოჩნდა... ხვალიდან საქონელი ნელა უნდა გაერეკათ და გზადაგზა ეძოვებიათ, რადგან სვანეთის საზღვრებთან ჯერ თოვლი იწვა. თანდათან უნდა წაწეულიყვნენ წინ, ისე რომ ერთ თვეში სულ მაღლა, ალპიურ საძოვრებზე ყოფილიყვნენ.

...გავიდა ერთი თვეც და აი ისინი უკვე მაღლა არიან, გადასახედიდან მოსჩანს სვანების ქვის კოშკები. გარშემო არც წიფელა და რცხილაა, არც წაბლი და კაკალი. ალპიური ბალახი მოდებულია მწვერვალიდან მწვერვალამდე და ჰაერი რაღაცნაირად თხელი და მსუბუქია.

ბარდღუმ და სხვა მწყემსებმა შარშანდელი კარავი, რომელიც თოვლს ჩაენგრია, ხელმეორედ გამართეს. ხეობებიდან შეშა ამოზიდეს და ცეცხლი დაანთეს. ივნისის მზე აქ უფერულად ანათებდა, ციოდა. სულ ახლოს ჩანდა ღრმა ძაბრებში წლობით დაგროვილი ჯიშტი თოვლი, ხოლო ღრუბლები ისე ახლოს დაფორთხავდენ, თითქოს ციდან დაბლა ჩამოცვივნულან ან მთები ასულან ღრუბლებამდეო.

ჯვებე კვარაცხელიას წვერულვაში წამოზდოდა, სახე უფრო წამოწითლებოდა, ხოლო ტანსაცმელი შემოხეოდა. მთის ჰაერს და მზეს ღონე და სისხლი შეემატებია.

და, აი, იგი მთელ დღეს იწვა კარავში და უსაშველო აზრი თავიდან ვერ ამოეკვეთა. ის ახლა საკუთარ ბუნაგში იყო. ჭალადიდელი, სამხედრო ფორმაში გამოჯგიმული რევოლვერიანი აქ ვეღარსაიდან მოაწვდენდა ხელს, და ჯვებე ბორგავდა, გულგაღეღილი სოხუმის თუ-

თუნს ახვევდა სიმინდის თხელ ფუჩეჩში და განუწყვეტლივ აბოლებდა და აბოლებდა. გაოფლიანებული, ფართოდ თვალებგაღებული, ამ ტყიდან და ქვერიდან გამოვარდნილს უფრო ჰგავდა. ახლა გახლავთ ის ნაბდვილი ჯვებე კვარაცხელია, ასი მეწველი ძროხის პატრონი, ადამიანურ ქვეყანას მოწყვეტილი, სამაგიეროდ მშობლიურ უდაბურებას შეხიზნული, ყველას მიმართ მუხანათი და დაუნდობელი, წლობით სვანებს შიშის ზარს რომ სცემდა და ამ მთებზე ქუხილივით რომ გადაივლიდა, სადმე დუშმანის ჯოგს მეხივით დაეცემოდა და სანახევროდ სამეგრელოში გადარეკავდა, ან უბრალო ხის კოჭებით დათვს ეკვეთებოდა, ან კიდევ გადარეულ მოზვერს რქებით შეიპყრობდა, მიწაზე დაანარცხებდა და თუ მწყემსები არ მოაშორებდენ, ცოფმორეული და გახელებული კიდევაც გაგუდავდა.

სვანებისა და მეგრელების სისხლით შეღებილია ეს ბალახები. ჯვებე სვანეთის საძოვრებზე რომ ჩაიქროლებდა, პირუტყვზე მეტად ადამიანებს ეტანებოდა. ათასში ერთხელ თუ გადმორეკავდა ჯოგს, მაგრამ თუ კი წამოასხამდა, ას ძროხაზე ნაკლები არ იქნებოდა, ამ ჯოგს მეორე დღესვე უკან დაუბრუნებდა.

სვანები რომ ჯვებეს ჩამოუქროლებდენ და სამაგიეროს უხდიდენ, უფრო მწყემსებს ემტერებოდენ, არც ჯოგს და არც ჯოგის პატრონს ხელს არ ახლებდენ. ის კი არა კვარაცხელიას ბევრჯერ პატიჟობდენ კიდეც და რახით გამობრუჟულს გამოისტუმრებდენ ხოლმე.

წინათ, დაუსრულებელი თავდასხმების შემდეგ, მთავრობა იძიებდა ბოროტმოქმედების კვალს. მაგრამ მაშინდელ სვანეთში და მთიან სამეგრელოში ამაო იყო ქარში დაფანტული ფოთლების ძებნა.

და აი ამ მეჯოგის საქონლიდან ბარდღუს ერგებოდა ოთხი ძროხა თავის ხბორებით, გავა კიდევ ორი თვე, კობრას, ძეკეს, ჭითაშიას და ბოჩოჩხას გაირეკავს წინ და სამუდამოდ წავა. ბევრი ხანია ბარდღუ მწყემსად იყო, მაგრამ უფრო ბევრი ხანია კვარაცხელია მეჯოგეა, ბარდღუსთანა მწყემსიც უამრავი ჰყოლია, მათაც ერგებოდათ „ოთხ-ოთხი“ ძროხა, ისინიც ბარდღუსავით, პირობის თანახმად, მეჯოგეები უნდა გამხდარიყვენ, საქონელი კვარაცხელიასთან უნდა მოემრავლებიათ და გზაც გაეკვლიათ. მაგრამ ასეთ დროს მათ ან სვანები ჰხოცავდენ, ან დათვები სჭამდენ ტყეში. კვარაცხელია მათ აქვე ასაფლავებდა, და მდიდარ მეჯოგეს ხელფასი იშვიათად გადაუხდია. შემდეგ ეს „ოთხ-ოთხი“ ძროხა გამრავლდა, ადუღდა, აფუვდა, მოედო ცას და ქვეყანას, მთასა და ბარს, და ჯვებეს სახელიც დაირხა დუნიაზე. ასე შეჰყარა და მოაშენა მან ეს ასი მეწველი ძროხისაგან შემდგარი ჯოგი.

წრეულს ის განსაკუთრებით ცუდ ხასიათზე იყო. ბარდღუ ჰყავდა ათვალისწინებული.

მგლის ლეკვები დაიჭირა, შეღობა უშველებელი კუნო და იქ ჩაამწყვდია. შემდეგ კვირაობით აშიმშილა. გაცოფებული ლეკვები ერთმანეთს დაერივნენ და ისე დაიხოცენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ბარდღუს სურს, სამჭედლოდან პური გაიტანოს? სამჭედლოდან ძაღლი აბა რას წაიღებს?! ჰაი გიდი, ჰაი გიდი!—აღმოხდა კარავშვი პირალმა მწოლარე ჯვებეს... მაგრამ ეს წოწოლა ქუდიანი, აღდგენილი იქნას. ვ. ლუარსამს, წამოზრდილი წვერულვაშით და კაჟივით მაგარი ომახიანობით, ახლაც ამ კარავში დგას და მეჯოგეს თითქოს შიგ თვალებში შეჰყურებს...

არ უნდა ჯვებეს, არა! დეე წაიყვანოს ბარდღუმ ძროხები და გაშორდეს აქაურობას. რა არის ოთხი მეწველი ძროხა? ოთხმოცდათექვსმეტი კიდევ დარჩება. წაიყვანოს! მისცემს, მხოლოდ ასე უკმეხად ნუ იყურება ეს მოჩვენება...

ჯვებე საწოლიდან წამოვარდა. ეს რამდენჯერ დაემართა. გადასწყვეტდა დაეძახა ბარდღუსათვის, მიეცა თავისი ხელფასი და მოესვენა.

გარეთ გავიდა და ხედავს, ამ უკულმართ მწყემსს თავისი საქონელი—კობრა, ჭითაშია, ბოჩოჩხა და ძეკე ცალკე გაუყვანია. წინ მჭადის ნარჩენები დაუყრია და წყალი დაუდგამს, თითონ ჩამჯდარა ამხანაგ მწყემსებში და არხეინად მუსაიფობს.

გაცოფდა ჯვებე. ხედავ, ძროხები უნდა წამართვას! გულმა ბაგა-ბუგი მორთო. გახელებული ფეხაკრეფით წავიდა და მწყემსებს მიეპარა.—ყური დაუგდო. ბარდღუ ყბედობდა:

—ბიჭებო,—ეუბნებოდა ის თავის ტოლებს,—მე თქვენთვის და ჯვებესთვის არ მითქვამს, თორემ იცით, რატომ მაგზავნიან ქალაქში? საქონლის ექიმი უნდა გამოვიდე, რომ დაგბრუნდები, მანამდე ჯვებეს ჯოგს სულ ჩამოართმევენ, მეც ვიმსახურებ. ეს რომ მეთქვა, თქვენ და ჯვებე სიცილით მოკვდებოდით.

—ხა-ხა-ხა, შენ საქონლის ექიმი უნდა გამოხვიდე? შენ?

—კი, ბიჭო, მაგის ეშინია ჯვებეს! ექიმიც რომ გახდე, შენისთანას მაინც ხუთს შეკოჭავს.

—არა, ჯვებე გაჯავრებულია ჩვენზე, ყველაზე. ხომ ხედავ, ჯერ თქვა, დაგაბინავებთ და სახლში უნდა წავიდეო, ცოლი ჰყავს ახლად შერთული, მაგრამ ისე გაჯავრებულია, ყველაფერი დაავიწყდა, ცოლიც და ბეხრეკი მამაც. ნახეთ ლეკვები როგორ აწამა?!

ამ დროს ჯვებემ ჩაახველა და ქვერიდან გამოჩნდა, რადგან ბიჭებმა ცოლზე დაიწყეს ლაპარაკი და ასე რომ არ მოქცეულიყო, ალბათ, უწმაწურად შეაგინებდენ... მწყემსები ჯერ გაჩუმდენ, შემდეგ სათითაოდ დაიშალნენ. ყველაზე ბოლოს ბარდღუ წამოდგა, ზვიადი ნაბიჯით გაემართა და თავისი საქონელი გარეკა.



თავში სისხლავარდნილი მეჯოგე ისევ კარავში შეგორდა და თითქოს კარებიც თან შეიტანა. რუსული შაშხანა ჩამოხსნა, ვანნებში ჩაიჭედა.

—ჰმ!—მართალი თქვეს, მე სახლში უნდა წავსულიყავ, ვაი დედა!—ამოიკვნესა და ისევ კარვიდან რომ გამოვიდა, ტყეს შეერია, წავიდა სვანეთის გადასახედისაკენ და ჟვერში გაუჩინარდა. ის ახლა სვან მეჯოგეებში უნდა გადასულიყო და გამოსაშვები სისხლი გამოეშვა.

მეჯოგე რომ წავიდა, მწყემსებმა ისევ ერთად მოიყარეს თავი:

—ვახ, ნახავ ჯვებე ახლა ან სვანებს ააწიოკებს, ან დათვებს დახოცავს. ნახავ თუ ცოცხალი ბელები არ მოიყვანოს.—თქვა ბარდღუმ.

—ბიჭებო, მოდი მაწონი ვჭამოთ!—წამოიძახა მეორემ.

—თანახმა ვარ, გამოვიტანოთ...—გამოეხმაურა მესამე.

—ექიმო, თქვენ არ მიირთმევთ?..

მზეზე გამოიტანეს მაწვნით გავსებული დიდი ბარქაში, შემოუსხდენ და დახვრიპეს.

—ახლა, ბიჭებო, მოდი მჟავე წყალი დავლიოთ!

—დავლიოთ, თანახმა ვარ!

—ექიმო, ექიმო, ბარქაში წამოიღე!

მჟავე წყალიც დახვრიპეს.

—ექიმო, ანკესები წამოიღე კალმახი დავიჭიროთ.

—ექიმო, თუ სალამური გასიამოვნებთ, ახლავე დავუკრავთ.

—ექიმო, მოდი ძაღლის ლეკვები გასინჯე, მუცელზე სუსტად არიან.

ეხუმრებოდენ ბარდღუს მთელი დღე მწყემსები. ასე დააღამეს.

მზის ჩასვლისას, როცა ცაცხვის ბათმანიანი ქილები მოსაწველად გამოჰქონდათ, ხოლო ჯოგი იქვე ზემოდ, ტყესთან, იყო გაშლილი, ყვირილი, ძაღლების ყეფა და სროლა მოისმა.

ბარდღუმ იქითქკენ მიიხედა და დაიყვირა:

— სვანები, სვანები!..—და ტყისაკენ გაქანდა, სადაც თავისი ოთხი ძროხა ეგულებოდა. მწყემსებიც გაჰყვენ, ძაღლებიც ყეფით უკან დაედევნენ და მალე ადამიანებს გაუსწრეს, შემდეგ ყველანი ტყეში გაუჩინარდენ, ისმოდა ყვირილი, გინება და საქონლის ბღავილი.

კვარაცხელიას მიერ შემოჩენილმა სვანებმა, განზრახ ნახევარი ჯოგი გაირეკეს, ფერდობი აირბინეს და ახლა მწვერვალზე გადადიოდენ, მაგრამ იქ როგორც სროლის ხმაზე სჩანდა, წინასწარ სვანებთან შეთანხმებით ჩასაფრებული ჯვებე დაუხვდათ. მოჩვენებითი ბრძოლა გაიმართა, ჯვებემ, ხუთი ვაზნა ისროლა ჰაერში, შემდეგ თავის მწყემსების გასაგონად განზრახ დაიქუხა:

— თავი დაანებეთ პირუტყვს, თორემ ღმერთს გიტირებთ!..

ცხადია სვანებმა თავი დაანებეს, ასე იყვნენ შეთანხმებული ჯოგის პატრონთან, ჩქარა დაწყნარდა ყველაფერი, ჯვებემ ჯოგი უვნებლად დააბრუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სუყველა ცოცხალი ხართ?—იკითხა ცალიყბით მეჯოგემ, თუმცა მან თავდამსხმელ სვანებისაგან უკვე იცოდა რა დამართეს ბარდღუს.

— კი ცოცხალი ვართ!..

— მადლობა ღმერთს! მათ ორი კაცი დაუჭერი, ხელით წაიყვანეს!— ქლოშინით წარმოთქვა ტყუილი მეჯოგემ.

— ბარდღუ სადაა?..—იკითხა ერთმა მწყემსმა, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს, ბარდღუ იქ არ იყო.

— აქეთ ტყეში გაიქცა პატონი, პირველად მან დაინახა სვანები.

— საით, ბიჭო?..—გინზრახ გაიოცა მეჯოგემ, ისე, თითქოს მას არაფერი სცოდნოდეს.

— აქეთ!

ტყეში შეცვივდენ და მალე გვერდგაპობილი თავ-გასისხლიანებული ბარდღუ გამოასვენეს.

ავაი ჩემი ცოდვა.

— ავაი ჩემი ცოდვა!..—ტიროდა ჯვეგე და ხელს თავში იშენდა.

ერთი ნაგაზიც მოეკლათ, ეტყობოდა ბარდღუს იცავდა. სვანური ქუდი და ხანჯალი იქ დარჩენოდათ.

— ვაავა, ვაავა!..—ტიროდენ ბარდღუს ტოლი მწყემსები.

ამასობაში მეზობელი, მეგრელი მეჯოგეები შეიყარნენ და ბჭობა გამართეს.

აქ ყველა ერკვეოდა ჯვეგეს მეტად უხეშად დაფარულ მუხანათობაში, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდათ. თვითონაც ბევრჯერ მიუმართავთ ამ ხერხისათვის და კვარაცხელიას ისინი არ გაუმხელია, ამ საქმეში ჯოგის მეპატრონე სვანები მეგრელებს შეეცოდენ, ხოლო მეგრელები სვანებს... და ასე შეხმატკბილებით წლობის განმავლობაში აწყობდენ თავდასხმებს, რათა მოვალე მწყემსები თავიდან მოეშორებიათ.

ნაძვის უშველებელი კვარები აანთეს და ხეობა განათდა. მეჯოგეები არაფერს სწუხდენ, ცალი ყბით აგინებდენ მუხანათ სვანებს და მწყემსებს აჩუმებდენ. აწიოკებული საქონელი ბღაოდა, ძაღლები გულისწამღებად ყმუოდენ და ამ უცნაურობაში ნაძვების კვარი ბრდღვიალით იწოდა. ბარდღუ გააპატიოსნეს, ხელები გულზე დაუწყეს, თვალის ქუთუთოები დაუხუჭეს და გულმკერდი მობანეს.

— იძინე ბარდღუია, იძინე!—ამოიკვნესა ჯვეგე კვარაცხელიამ და პირჯვარი გადაისახა.

შემდეგ მკვდარი კარავში შეასვენეს, თავთან კვარი აუნთეს და ჯვეგე დარაჯად დაუდგა. იმავე ღამეს ერთი მწყემსი მოემზადა ბარში ამბის წასაღებად.

ყველანი რომ დაწყნარდენ, მიცვალებულის დარაჯად დარჩენილმა ჯვეგემ ანგარიში გაუკეთა თავის ნამოქმედარს, ყველაფერი გაიხსენა, ჭალადი-

დიდან წამოსვლა, სახლში შევლა, ცოლი, მგზავრობა და ბარდღუსთან უსიამოვნება. ყველაფერი კეთილად წარმართულად ჩასთვალა.

ამდენი უძილობისა და წვალებისაგან დაოსებულს ბათინებისას ძილბურანი მოერია და, აი, ტანგაუხდელად მძინარეს ცოცხლად მოელანდა უბედურება, რომელიც მის თავზე წისქვილის ქვასავით არახუნდა და დატრიალდა.

მოვიდა კაცი კლდესავით ასხმული, გაიხსნა ხალათის გულისჯიბე და დაკეცილი ქაღალდი უხმოდ ამოიღო. შემდეგ ეს ჯოგი მოხვეტა და სადღაც წაასხა, მარტოა ჯვებე კვარაცხელია. და თავის ჯოგს დაეძებს, რძიანი ალპიური ბალახი გადამხმარა. ჯვებე სწუხს, სად უნდა აძოვოს საქონელი. უნდა მწყემსებს დაუყვიროს, დააყენოს ფეხზე, მაგრამ ისინიც აღარსად არიან.

თვალები გაახილა, უცნაურ სიზმრიდან გამოერკვა. კვარი სანახევროდ დამწვარიყო.

ჯოგი იცოხნებოდა, ქლოშინობდა.

იმ ღამიდანვე აეკვიატა უცნაური შიში. ჭალადიდში დაბრუნებას ერიდებოდა. საქონლის სვანეთში გადარეკა მოინდომა, დღე და ღამ მოსვენება დაკარგულს სულ დაავიწყდა თავისი ოჯახი.

შემდეგ რომ დაუფიქრდა, ეს შიში უაზრობად მიიჩნია, საიდან უნდა გაეგო ძაბრის ქუდიანს საქმის ვითარება, ბოლოს და ბოლოს სულ არ გაეკარებოდა იმ სოფელს. ვინ დაუწყებდა ძებნას.

მოიფიქრა ეს, მეზობელი მეგრელი მეჯოგეები წინ გაუშვა და თვითონ მხოლოდ მაშინ აიყარა, როდესაც ტყე შეიჭირხლა.

განზრახ გზა არია, ხორში და ზანა განზე მოიტოვა, ჭაქვინჯით და გულისკარით ზუგდიდისკენ გამოემართა.

...ის უკვე სამშვიდობოს იყო გასული, როდესაც ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელმა გამოიძახა.

ხიფათს გადარჩენილი კვარაცხელიაც ეახლა... გადასახადი დროზე არ ჰქონდა შეტანილი და ალბათ ამიტომ თუ მეძახიანო: ფიქრობდა ჯვებე.

განიერ სკამზე, სუფთად გამოწყობილი, ის სოფლელი ძაბრის ქუდიანი იჯდა. ჯვებემ კარი რომ შეაღო, მან კიდევ გულის ჯიბე გაიხსნა, კვარაცხელიამ, თითქოს ტყეში ნადირმა შემოუტიაო, გაცოფებული თვალებით მიმოიხედა და როდესაც კუთხესთან თავის ნაცნობი სვანები მოწყენილი შენიშნა, მუხლი ჩაეკეცა. მან იგრძნო რომ მისი მძიმე დანაშაული უკვე გამომჟღავნებული იყო. მის მიერ გაბრიყვებული სვანებიც ამის მოძმენი იყვენ. ნათელი გახდა, რომ მძიმე დანაშაულს—მძიმე სასჯელი მოჰყვებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

რაფიელ ერისთავის პოეზია

მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის რაფიელ ერისთავს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი გასული საუკუნის ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ-ლიტერატურულ ფიგურას წარმოადგენს.

რაფ. ერისთავი თითქმის სამოც წელს ეწეოდა ენერგიულ მუშაობას, როგორც საზოგადო მოღვაწე და მწერალი. იგი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე გასული საუკუნის ორმოციან წლებში და მოღვაწეობდა მეოცე საუკუნის დასაწყისამდის. მის შესახებ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ იგივე, რასაც გერმანელები ამბობენ გოეთეს შესახებ, რომ მან „ამ ქვეყნად შეასრულა ყველა მიწიერი საქმე". და, მართლაც, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რაფ. ერისთავმა ჩაატარა მრავალფეროვანი სამწერლო საზოგადოებრივი მუშაობა.

რაფ. ერისთავი, როგორც ისტორიულ-ლიტერატურული ფიგურა, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს დღემდის ჩვეულებრივად წარმოდგენილი აქვთ. მკითხველი საზოგადოება მას იცნობს როგორც პოეტს, ხოლო მისი მრავალმხრივი მუშაობა სხვა სფეროში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობის თვალსაზრისით, თითქმის სრულიად უცნობია. გარდა პოეზიისა, რაფ. ერისთავი პროზის დარგშიაც მუშაობდა. მას აქვს დაწერილი მთელი წყება მოთხრობებისა. რაფ. ერისთავს თავის დროზე მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი დრამატურგიის სფეროშიც. იგი ავტორია თხუთმეტიოდე ორიგინალური და გადმოკეთებული პიესისა და მრავალი დრამატიული სცენისა. ამასთანავე რაფ. ერისთავი მოღვაწეობდა, როგორც ეთნოგრაფიული მასალების შემკრები თუშ-ფშავ ხევსურეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ. მას მნიშვნელოვანი ფოლკლორისტული მუშაობა აქვს ჩატარებული ხალხური ლექსების, ზღაპრებისა და გამოცანა-ანდაზების შეგროვების სახით. რაფ. ერისთავი ცნობილია აგრეთვე როგორც ლექსიკოლოგი. თავისი რედაქტორობით გამოსცა მან საბა-სულხან ორბელიანის ცნობილი ლექსიკონი და თვით შეადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან. მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის პრობლემებიც. ამ თემაზე აქვს დაწერილი და წაკითხული მთელი ციკლი ლექციებისა. რაფ. ერისთავი ამავე დროს იყო მრავალი უცხოელი და რუსი

ავტორის პოეტურ ნაწარმოებთა კარგი მთარგმნელიც (მიცკევიჩი, ბერანჟე, პუშკინი, კრილოვი და სხვ.)

ასეთი მრავალფეროვანი იყო რაფ. ერისთავის სამწერლო მოღვაწეობა. ამ მოვლენას თავისი ისტორიული გამართლებაც ჰქონდა. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებდა **აკაკი წერეთელი** თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა რაფ. ერისთავის იუბილეზე 1895 წ.: „რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო, და ხომ მოგეხსენებათ, თუ რა ტვირთი აწვება მარტოხელა კაცს ოჯახში, რომ ოჯახი არ დაექცეს და კერა არ გაუცივდეს, ყოველიფერს უნდა წაუპოტინოს ხელი, ესეც აკეთოს, ისიც, აქაც იყოს, იქაც და თავისი სიცოცხლე უნდა ათენ-აღამოს სხვადასხვა მრავალ წვრილმან საქმეების კეთებაში. როდესაც წამოეზრდებიან შვილები და შვილიშვილები, ოჯახი გაკაცსულიანდება და ერთ სამუშაოს ასი და ორასი გაინაწილებს, მაშინ სულ სხვებრ წავა საქმე. საოცარი შესანიშნავიც რომ იყოს მარტოხელა მუშა, რომელიც ბევრს სხვადასხვა რამეს აკეთებს და ერთისათვის მარტო ვერ იცლის, რომელიმე ნასაქმარის სიდიადით ვერ გაგვაკვირვებს. მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნაღვაწი ზღვას, მაგრამ თუ ამას ათასგვარ წვრილმან ნასაქმარს ერთმანეთს შეუხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც. სწორედ ამ თვალით უნდა ვუყურებდეთ ზოგიერთ მესამოცე წლების მოღვაწეებს და მათ რიცხვში რ. ერისთავსაც“ *).

1895 წელს შეჯამებულ იქნა რაფ. ერისთავის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი სალიტერატურო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამ წელს გადაუხადეს მას 50 წ. იუბილე. ეს თარიღი იყო უჩვეულო და სამაგალითო დღესასწაული, მოწყობილი საზოგადო მოღვაწისათვის, მწერლისათვის.

1

რაფ. ერისთავის ხანგრძლივი მოღვაწეობა ჩვენი ისტორიული ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან პერიოდებში მიმდინარეობდა: ერთი მხრით ეს არის პერიოდი, როდესაც ბატონყმური წესწყობილება ჯერ კიდევ არსებობდა, ხოლო მეორე მხრით—ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა.

თვითმპყრობელური რუსეთის გაბატონებამ ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური შინაარსის ღრმა ცვლილებები. მოისპო ფეოდალური პარტიულარიზმი და მთელი საქართველო გაერთიანდა ერთ მთლიან ადმინისტრატიულ ერთეულში. იწყება ნატურალური მეურ-

*) იხ. კრებული „საერო დღესასწაული. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო„, გვ. 109—110.

ნეობის რღვევის პროცესი და კაპიტალისტური ძალების გაძლიერება, გაბატონება. საგრძნობ გადაჯგუფებას აქვს ადგილი სოციალურ ფენებშიაც.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველმა თავად-აზნაურობამ დაკარგა ის დიდი პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა, რომელიც მას ჰქონდა ადრე. ფეოდალური არისტოკრატიის ის ფენები, რომლებიც წინათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკას ქმნიდენ, თანდათან გადაწიეს მმართველობის ასპარეზიდან. ამ მდგომარეობას ეს ფენა, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ ურიგდება. აგი იბრძვის თავისი დაკარგული პრივილეგიებისა და ძლიერების დასაბრუნებლად. 1832 წლის შეთქმულება იყო ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის უკანასკნელი სუსტი ვაბრძოლება თავისი ძველი პოლიტიკური მდგომარეობის დასაბრუნებლად.

1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციით ქართველ თავად-აზნაურობაში არსებითი გარდატეხა მოხდა. თავად-აზნაურობა დარწმუნდა ძველი, ფეოდალური წარსულის დაბრუნების შეუძლებლობაში. საჭირო გახდა ახალი დროის შესაფერისი პროგრამისა და ტაქტიკის გამომუშავება. ამის შემდეგ ქართველი თავად-აზნაურობა მასიურად დგება თვითმპყრობელობის პლატფორმაზე და ერთგულ სამსახურს იწყებს რუსეთის ტახტის საკეთილდღეოდ. თვითმპყრობელურმა მთავრობამ დააფასა თავად-აზნაურობის ასეთი პოლიტიკა და ჩარიცხვა იგი რუსეთის წოდებრივი ბიუროკრატიის რიგებში. ქართველი თავად-აზნაურობის უმთავრესი სარბიელი სამხედრო სამსახური შეიქნა.

თვითმპყრობელურმა რუსეთმა საქართველო პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც თავის კოლონიად გადააქცია. სწორედ ამიტომ საქართველო, შესული რუსეთის ფარგლებში, ვერ ასცდებოდა კაპიტალისტურ განვითარებას, ვინაიდან ამ დროს თვით რუსეთში უკვე მძლავრად ანგრევდა იგი ფეოდალურ ურთიერთობას. რუსეთის პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორი ამ პერიოდში სავაჭრო კაპიტალი იყო, და საქართველოს დაპყრობით ეკონომიურად ფართე გზა გაეხსნა რუსეთის სავაჭრო კაპიტალს საქართველოსა და მთელს ამიერ-კავკასიაში. ამ უკანასკნელის ზეგავლენით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ღრმა ცვლილებები ხდებოდა.

თვითმპყრობელური რუსეთის მთავრობის მიერ წარმოგზავნილ სახელმწიფო მმართველთა და მოხელეთა პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველო და საერთოდ მთელი ამიერ-კავკასია მტკიცედ შეედუღებია რუსეთის სამეურნეო სისტემისათვის. დამახასიათებელია ამ მხრივ მეფის ნაცვლის ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს სამეურნეო პროგრამა. რომელსაც იგი ატარებდა ჩვენში. ეს პროგრამა მთლიანად შეფარდებული იყო თვითმპყრობელურ რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკასთან, მისი ბურჟუაზიის ეკონომიურ და სამხედრო ინტერესებთან. ვორონცოვი ცდილობდა ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ნაწილი დაეახლოვებია ერთმანეთთან და აგრეთვე მთელი ამიერ-კავკასია მტკიცე ეკონომიური რგოლებით დაეკავშირებია რუსეთის ბაზრისათვის.

ამ გარემოების შედეგი იყო ის, რომ ვორონცოვმა ჩვენში გაიყვანა სამხედრო და სავაჭრო გზები, მოიწვია კაპიტალისტები, ბრუნავდა ბასოფლო მეურნეობის რაციონალურად მოწყობაზე და სხვ. ვორონცოვი არ იყო მარტო. ამავე ამოცანებს ემსახურებოდენ უფრო ადრინდელი და მომდევნო მმართველნიც.

ნატურალური მეურნეობის დაშლა ჩვენში მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ფართე ხასიათს ღებულობს. ოცდაათიანი წლებიდან საგრძნობი ხდება სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან და უცხოეთთან. ორმოცდაათიან წლებში რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება წლიურად საშუალო რაოდენობით ხუთ მილიონ მანეთს აღემატებოდა. ამასთანავე ადგილობრივად დამზადებული საქონლის რაოდენობაც დიდად მატულობდა. უკვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ადგილობრივაც გაკეთებული ბევრი ნაწარმოები ხდებოდა ვაჭრობის საგნად.

ქვეყნის ეკონომიურმა ცვლილებამ გამოიწვია ახალი კლასობრივი ძალების გამოსვლა, ხოლო ძველის დასუსტება. სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობის ზრდასთან ერთად ძლიერდება ბურჟუაზია, რომელიც თანდათან უკან წევს წინად ქვეყნის შეუზღუდავ მფლობელს—თავად-აზნაურულ-მემამულთა წოდებას.

ასეთი იყო მე-19-საუკუნის პირველი ნახევრის დამახასიათებელი პროცესები. როგორც დავინახეთ, ამ დროს ჩვენში დიდი მნიშვნელობის მოვლენას ჰქონდა ადგილი. ეს პერიოდი ხასიათდება ნატურალური მეურნეობის კრიზისით, კაპიტალისტური ურთიერთობის ყალიბობით, ძველი წოდებრივი ფენების რღვევით და ახალი სოციალური კლასების გამოსვლით სამოქმედო ასპარეზზე.

2

რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილება აბსოლუტური მონარქიის სისტემაზე იყო აგებული და მისი პოლიტიკის უმთავრეს შინაარსს წარმოადგენდა დაპყრობილი ქვეყნების გადაქცევა ამ სისტემის უბრალო შემადგენელ ელემენტებად. ამ ამოცანის შესასრულებლად კი საჭირო იყო ძირფესვიანად აღმოფხვრა იმ კუთხური კარჩაკეტილობისა, რომელიც დახვდა თვითმპყრობელურ რუსეთს საქართველოში. ღრმა ხასიათის ცვლილებების მოსახდენად საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობაში საჭირო იყო ახალი, უფრო სანდო და გამოსადეგი ძალების გამოყენება. ასეთ ძალათ რუსეთისთვის ჩვენს სინამდვილეში ხდება მ ს ა ხ ურ ი ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა. წინააღმდეგ ფეოდალური არისტოკრატიისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ ეგუებოდა აბსოლუტურ სახელმწიფოებრივ წყობილებას, რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მსახური არისტოკრატიის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მთავრობის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებულ პოლიტიკის დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა ზრუნვა ადგილობრივ კეკლერთა-გან სპეციფიკური პირობების მცოდნე საჭირო მოხელეთა კადრების მომზადებაზე. უმთავრესად ამ მიზნით დანიშნულ სასწავლებლებსა და უწყებებში ამზადებდენ კადრებს, მცოდნე მოხელეებისას ქართველ თავად-აზნაურთა წრიდან*). თვითმპყრობელურ მთავრობას სამოხელეო უწყებაში შეყავდა მხოლოდ თავად-აზნაურული წოდების წარმომადგენლები. მთავრობა დაინტერესებული იყო ქართველი თავად-აზნაურობა გადაემუშავებია ისე, რომ შეეფარდებია თავისი პოლიტიკისათვის, გადაექცია იგი თავის მტკიცე დასაყრდენ სოციალურ ძალად. მთავრობის ასეთ პოლიტიკის გატარებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა თავად-აზნაურობის ეკონომიური დაკნინების პროცესი. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად რუსეთის თვითმპყრობელობამ შეძლო თავისი მიზნის მიღწევა. მან საგრძნობი გარდატეხა მოახდინა ქართველი თავად-აზნაურობის სოციალურ მდგომარეობაში და ფეოდალური არისტოკრატიიდან თანდათანობით განამტკიცა მსახური არისტოკრატია. ეს ახალი ფენა — მსახური არისტოკრატიისა ორგანულად შეეზარდა რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ სისტემას. მოხელეობა დიდი ფაქტორი შეიქნა ჩვენ სინამდვილეში. ეს ფენა გადაიქცი რუსეთის პოლიტიკის აქტიურ გამტარებლად საქართველოში. ბევრი მათგანი წარმატებით აჰყვა ბიუროკრატიული მმართველობის კიბეებს. ზოგიერთი ამ ფენიდან მეტად საპასუხისმგებლო ადგილს იჭერს საქართველოსა და კავკასიის მართველობაში. ამ ფენის წარმომადგენლების წინაშე უკვე აღარ ისმის საკითხი რაიმე ცვლილებების მოხდენის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი უკვე აღარ ოცნებობენ ფეოდალური საქართველოს დაბრუნებაზე. პირიქით, მათ თავიანთი ცხოვრება და არსებობა ვერ წარმოედგინათ გარეშე იმ ახალი სისტემისა, რომელსაც ორგანულ ნაწილად შეეზარდენ ისინი.

რაფ. ერისთავის ახალგაზრდობის წლებში ტფილისისაკენ მოეშურებოდენ არა მარტო მემამულე-არისტოკრატები მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობის მისაღებად, არამედ (უმთავრესად) საშუალო და მცირე შეძლების თავად აზნაურობაც (მათი ეკონომიური მდგომარეობა განსაკუთრებით შერყეული იყო), ისინი დაინტერესებულნი იყვნენ მოწყობილიყვნენ სხვადასხვა უწყებათა კანცელარიებისა და დაწესებულებებში. საშუალო და წვრილი შეძლების თავად-აზნაურობა მასობრივ შედის ბიუროკრატიულ

*) აღსანიშნავია, რომ კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც შემდგომ გიმნაზიად გადაკეთდა, უპირველეს ყოვლისა ამ პოლიტიკურ ამოცანას ემსახურებოდა. ამ გარემოებაზე მიუთითებს დ. ყიფიანი თავის ცნობილ მოგონებაში (იხ. „მემუარები“ 1930 წ., გვ. 10. (ამ სასწავლებელმა მრავალი სახელმწიფო მოხელე გამოუზარდა თვითმპყრობელობას თავად-აზნაურთა წრიდან.

დაწესებულებებში (საგუბერნიო და სამაზრო საადმინისტრაციო უწყებებში და სხვ.). ეს გადასვლა, მემამულის გადაქცევა მოხელედ, ფეოდალთან ფართე ხასიათს ღებულობდა თავად-აზნაურობის მეურნეობის დაცემის ზრდასთან დაკავშირებით. საგლეხო რეფორმის პერიოდში თავად-აზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გადაქცეული იყო მსახურთა ფენად.

3

რაფ. ერისთავი თავის მდგომარეობითა და სოფლმხედველობით მთლიანად დაუკავშირდა მ ს ა ხ ო ს ა ر ا ر ი ს ტ ო კ ر ا ტ ი ا ს. იგი გახდა ამ უკანასკნელის დამახასიათებელი წარმომადგენელი. მან თავისი ცხოვრების უმეტესი დრო გაატარა სახელმწიფო სამსახურში. მისი „სასამსახურო ფურცელი“, ანუ „ატესტატი“, ნათლად გვიჩვენებს იმ გრძელ და მრავალფეროვან სახელმწიფო სასამსახურო კიბეებს, რომელზედაც უხდებოდა რაფ. ერისთავს ასვლა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე.

რაფ. ერისთავი სოციალური წარმოშობით, ოჯახური ტრადიციებითა და აღზრდით ეკუთვნოდა ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლეს წრეს. მისი მამა — დავით ერისთავი — ცნობილი და შეძლებული მებატონე იყო მთელ კახეთში, ხოლო დედა — ავთანდილ ამილახვარის ასული — მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავალი. რაფიელი იზრდებოდა ისეთსავე განსაკუთრებულ პირობებში, როგორც საერთოდ მდიდართა შვილები თავად-აზნაურთა წრიდან.

რაფ. ერისთავის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებში, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, თავად აზნაურობის ნიადაგ-მორღვეულობა თვალსაჩინო იყო. ყოველივე ამას მწვავედ გრძნობდა რაფ. ერისთავიც. იგი, როგორც ორგანული ნაწილი თავად-აზნაურობისა, ვერ მოიძულებდა თავის მშობელ წოდებას, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხედავდა მის დაცემას. მას ამ წოდებასთან აკავშირებდა ისტორია, ტრადიცია და სხვ. მას სწყუროდა ამ წოდების გადარჩენა, სიცოცხლე, მაგრამ ნათლად ხედავდა, რომ ამ წოდების ცხოვრება ახლა სულ სხვა სახით უნდა მოწყობილიყო, რომ უკან დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო. ასეთ გზად ესახებოდა მას მსახურ არისტოკრატიის ფენებთან დაკავშირება, რაფ. ერისთავის, როგორც დაღუპვის გზაზე დამდგარ თავად-აზნაურის წარმომადგენლისათვის, მსახურთა ფენაში გადასვლა იყო თავის გადარჩენის მიზნით ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებთან შეგუების გზა. პირადად მან ამ სოციალური ფენის სოფლმხედველობა მტკიცედ აითვისა და ბოლომდის შერჩა მას.

ტფილისის გიმნაზიის დასრულებისთანავე რაფ. ერისთავი შედის სახელმწიფო სამსახურში, თავისი ცხოვრებისა და მდგომარეობის ამ ახალი, მეტად ღირსშესანიშნავი პერიოდიდან იმსჭვალება იგი შ ე დ ა რ ე ბ ი თ სხვა შეგნებითა და შეხედულებებით, ვიდრე მისი წინაპრები, რომლებიც ტრადიციულ ფეოდალურ-კონსერვატიულ შეხედულებებს არ იყვნენ გაცილე-

ბულნი. რაფ. ერისთავი ორგანულად შეეზარდა მსახური არისტოკრატიის ფენას. ამ ხნიდან დაწყებული თავისი ცხოვრების უკანასკნელ დრომდის რაფიელ ერისთავი განუწყვეტლივ სახელმწიფო სამსახურშია სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1845 წელს იგი შედის თარჯიმნად თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სასამართლოში. აქ დაყო თითქმის ორი წელი. შემდეგ იმსახურა მთავარმართებლის კანცელარიაში „სტოლონაჩალნიკის“ თანაშემწედ. აქედან გადაიყვანეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. ერთხანს ითვლებოდა ახალციხის მაზრის უფროსადაც.

1857 წ. როცა სამეგრელოში მოხდა გლეხთა აჯანყება, იმ აუტანელი პირობების გამო, რომელშიც ჩაყენებული იყო მეგრელი გლეხობა, მთავრობამ რაფ. ერისთავი მიავლინა სამეგრელოში, რათა ხელი შეეწყო აჯანყებულ გლეხობის დამშვიდებისათვის. ამავე წელს დაინიშნა იგი ზუგდიდის მაზრის უფროსად. შემდეგ იგი ითვლება სამეგრელოს მმართველობის საბჭოს წევრად, სამეგრელოს თავად-აზნაურობის უფლებათა გამსინჯველ კომისიაში, მთავრობის მოხელედ და ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საბჭოს წევრად.

თითქმის ორი წლის განმავლობაში იყო რაფ. ერისთავი ქუთაისის მოშრიგებელ მოსამართლედ. 1889—96 წლებში ასრულებდა ქართული ენის ცენზორის თანამდებობას. ეს იყო მისი უკანასკნელი სამსახური. როგორც ლრმა მოხუცებული, თანახმად პირადი თხოვნისა, რაფ. ერისთავი 1896 წელს ოქტომბერში გაათავისუფლეს სახელმწიფო სამსახურიდან.

ასეთი იყო რაფ. ერისთავის ხანგრძლივი სასამსახურო გზა. როგორც ვხედავთ, თითქმის მთელი ორმოცდაათი წელი გაატარა მან ამ ასპარეზზე და ამ მდგომარეობას, რასაკვირველია, არ შეეძლო ლრმა დაღი არ დაეჩნია მის სოფლმხედველობაზე *).

4

რაფ. ერისთავის სამწერლო მოღვაწეობა იყოფა ორ პერიოდად: ორმოციანი წლებიდან სამოცდაათიან წლებამდის და სამოცდაათიანი წლებიდან ლიტერატურული მუშაობის უკანასკნელ დრომდის, რომელიც თითქმის მეოცე საუკუნეს აღწევს **).

*) რაფ. ერისთავის სოფლმხედველობის გასაგებად განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პატარა ლექსი, „ერთი კაცის სურათი“, რომელიც დაწერილია 1870 წელს. ამ პატარა ლექსში იგი საკმაოდ გარკვეულად იძლევა მთელ თავის სოფლმხედველობით credo-ს, როგორც მსახური არისტოკრატიის წარმომადგენელი.

**) დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი მკვლევარებს შორის რაფ. ერისთავის შემოქმედების პერიოდიზაციის საკითხში. ისინი პერიოდიზაციის დროს მხედველობაში ღებულობენ მხოლოდ პოეზიას. ა. ხახანაშვილი რაფ. ერისთავის პოეზიას ყოფს ორ პერიოდად: 1) სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან 1881 წლამდის და 2) 1881 წლიდან სამწერლო მოღვაწეობის უკანასკნელ დრომდის (იხ. „ქართული სიტყვიერების ისტო-

რაფ. ერისთავის სოფლმხედველობის ჩამოყალიბება და განვითარება პირველ პერიოდში მიმდინარეობდა მაშინ, როდესაც ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ თავად-აზნაურული, არისტოკრატიული რომანტიზმი წარმოადგენდა გაბატონებულ მიმართულებას.

როგორც ცნობილია, თავად-აზნაურული რომანტიზმის წარმოშობა ყველგან დაკავშირებული იყო ფეოდალური ურთიერთობის ლიკვიდაციასთან. რომანტიკოსების უმეტესობა იყო მემკვიდრეობითი ფეოდალური არისტოკრატები, ცნობილი თავად-აზნაურული გვარების წარმომადგენლები. წოდებრივი უფლება და როლი მათ აპირისპირებდა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, რომელიც ყალიბდებოდა ახალი საწარმოო ძალების განვითარება-გაბატონების შედეგად. თავად-აზნაურული რომანტიზმის წარმომადგენელ მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში ასახეს მბრძანებელი სიმაღლეებიდან განდევნილი სოციალური ფენის ფსიქო-იდეოლოგია.

რაფ. ერისთავის შემოქმედების თემატიკა, შინაარსი და მხატვრული მანერა პირველ პერიოდში უმთავრესად შეიცავდა ადრინდელი არისტოკრატიული ლიტერატურის ტრადიციების გაგრძელებას. რომანტიული პოეზიისაგან რაფ. ერისთავმა აიღო მეტად განსაზღვრული თემები და მოტივები. იგი გვევლინება ა. ჭავჭავაძის და სხვათა სალხინო-სატრფიალო პოეტური შემოქმედების გამგრძელებლად. აღნიშნულ პოეტთა რწმენასა და იდეალებს არ გასცილებია რაფ. ერისთავი თავის მოღვაწეობის ამ ხანაში. ამ დროის რაფ. ერისთავის შემოქმედება სავსებით მიმდინარეობს ფეოდალურ-თავად-აზნაურული პოეზიის ძლიერი შტოსაგან — კამერული ლირიკისაგან.

რია მე-19 საუკ.“). ვ. კოტეტიშვილი იმეორებს ა. ხახანაშვილის შეხედულებას (იხ. „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ნაწ. 3). მიხ. ზანდუკელი რაფ. ერისთავის პოეზიაში ხედავს სამ პერიოდს: 1) 40 — 50-იანი წლები, 2) 60 — 70-იანი წლები. და 3) 80 — 90-იანი წლები (იხ. „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. მე-2).

ჩვენი აზრით, არც ერთი აღნიშნული მკვლევართაგანი არ არის მართალი. უდავოა, რომ რაფ. ერისთავს თავის სამწერლო განვითარებაში ჰქონდა პერიოდები, მაგრამ მისი პოეზიის პერიოდიზაციის დროს აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი მისი შემოქმედება. თუ რა საგრძნობ წინააღმდეგობაში აქცევს მკვლევარებს ამ მომენტის გაუთვალისწინებლობა, ამის ნათელ ილუსტრაციას იძლევა მიხ. ზანდუკელი. ეხება რა მიხ. ზანდუკელი რაფ. ერისთავის პოეზიის მეორე პერიოდს (თავისი პერიოდიზაციის მიხედვით), იგი იძულებულია ფაქტიური მასალები ამ პერიოდის დამახასიათებლად მოიყვანოს მესამე პერიოდიდან. ზანდუკელი წერს: „რაფ. ერისთავის შემოქმედებისთვის ამ პერიოდში (ლაპარა- კიამეორე პერიოდზე 60—70 წლებზე. შ. რ.) დამახასიათებელია თერდალეულთა მოღვაწეობის სხვა მოტივებიც, მაგ. ეროვნული. რაფ. ერისთავმაც საკმარისად მძლავრად ისუნთჩა ამ გრძნობის ძალა და მთელ რიგ ნაწარმოებში ასახა: „ასპინძის ომი“ „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „დედა-ენა“, “ნეტა რას სტირი, დედილო“, „სამშობლო ხევსურისა“... (იხ. „ახალი ქართული ლიტერატურა“ ტ. 2 გვ. 408—409) „სამწუხაროდ ზანდუკელი ივიწყებს აღნიშნული ლექსების დაწერის თარიღებს. ცნობილია, რომ „ასპინძის ომი“ დაწერილია 1880 წ. „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „დედა-ენა“, „ნეტა რას

თუ შევეცდებით გავეცნოთ რაფ. ერისთავის პოეზიაში გამოხატულ განცდებს, შევაერთებთ მათ „ლირიკული გმირის“ ერთიან სახეში, მაშინვე გეცემათ თვალში მათი სიმარტივე და განსაზღვრულობა „ყოველდღიურ-ზრით“, „კერძო ცხოვრებით“. რაფ. ერისთავის პოეზიის „გმირად“ გვევლინება „კერძო ადამიანი“, რომელიც მიისწრაფის პირად განცდათა დაკმაყოფილებისაკენ. რაფ. ერისთავის ლირიკამ კრიტიკულ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია მიიღო სახელწოდება ანაკრეონისტული, ეპიკურეული ლირიკისა. ამ ლირიკის ძირითადი მოტივებია თავდავიწყებული დატკბობა ცხოვრებით, მისწრაფება სრული კმაყოფილებისაკენ, გადაჭარბებული ვნებიანობა და ბახუსის კულტი.

რაფ. ერისთავის პირველი პერიოდის ლირიკის ძირითად შინაარსს შეადგენს ამქვეყნიურ „სიკეთეთა“ ხოტბა. იგი გამოდის აწყვეტილი ვნების მომღერლად, უსაზღვრო სიამოვნების და ნეტარების მქადაგებლად. მის პოეზიაში მოისმის ენერგიული მოწოდება მხიარულებისაკენ, დროს გატარებისაკენ: უნდა დავივიწყოთ მთელი ქვეყანა, ყველა მიწიერი საქმეები, და ცხოვრება გადავაქციოთ სრულ ზეიმად და დროს გატარებად! რაფ. ერისთავის პოეზიის თემებად ხდება ღვინო და ქეიფი, ქალი და ტრფიალება, იგი გვევლინება ღვინისა და უსაზღვრო ქეიფის აპოლოგეტად. ღვინო პოეტს ცხოვრების უპირველეს და უმთავრეს მოთხოვნილებად წარმოუდგინა:

ტკბილი ყურძნის წვენს, წითელს ვით ლალსა,
ანუ ოქროსფერს, ან ქარვებ მკრთალსა,
ჩვენის ღარიბის ენით ვხმობთ ღვინოდ
და ვსომთ მას მისთვის რომ მოვილხინოთ.
ნეტა ვინ მოთვლის ღვინის ღირსებას,
მის ძლიერებას, მისსა თვისებას?! („ღვინო“)

სტირი, დედილო“ და „სამშობლო ხევსურისა“ — 1881 წ. ასე რომ ზანდუკელის მიერ გათვალისწინებულ მეორე პერიოდს ქრონოლოგიის მიხედვით არ უდგება აღნიშნული ნაწარმოებები. ასევე, ზანდუკელი პირველი პერიოდის (40—50-იანი წლები) პოეზიის დამახასიათებლად იყენებს მეორე პერიოდის ლექსებს (მაგ., „ღვინო“ დაწერილია 1868 წ., „ყანწი“ — 1868 წ. და სხვ.) ცხადია, აქაც შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ რაფ. ერისთავის პოეზიის პერიოდიზაცია მისი შემოქმედების სხვა მხარეთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია, მხედველობაში უნდა მივიღოთ მთელი მისი შემოქმედება (პროზა, პიესები, სურათები, სცენები და სხვ.) მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოცემულ იქნას რაფ. ერისთავის სამწერლო ევოლუციის სხვადასხვა პერიოდის ზუსტი განსაზღვრა.

ისტორიული ფაქტია, რომ რაფ. ერისთავი უკვე გასული საუკუნის 70-იან წლებიდან „დროებაში“ და შემდეგ „ივერია“-ში აქვეყნებს ლექსებს, დრამატიულ სცენებს და სურათებს („რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ და „სცენები“), რომლებშიც ახალ თემებსა და მოტივებს, კერძოდ კი, გლეხობის ცხოვრების დახასიათებას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. სწორედ აქედან უნდა დაიწყოს რაფ. ერისთავის შემოქმედების მეორე პერიოდი.

პოეტი ღვინოში უამრავ თვისებას ხედავს. მისი გაგებით, ღვინოა „ჩვენი სიცოცხლე, ძალა“, „მეფე და სიყვარული“, „გამბედაობა“, „ნუგეში“, „ფული“, ღვინო ცამდის ამაღლებს, აბედნიერებს და ანამებს ადამიანს, ღვინო „კოჭლს აძლევს ფეხებს“, ბრმას „უხელს თვალსა“ და ა. შ.

რაფ. ერისთავი ღვინის ათვისების თავისებურ ტიპურ გზასაც სახავს. ღვინოსთან დაკავშირებულია ყანწი, სუფრა და სხვ. ვინც პირველს ეთაყვანება, უნდა მეორესაც ეტრფოდეს. ჩვენი პოეტიც არ ჭლალატობს ამ აზრს. მისთვის მისაღებია მხოლოდ ყანწი, როგორც თავდავიწყებითი ქეიფისა და დროს გატარების ტრადიციული სიმბოლო:

ყანწი მიყვარს მე სპეტაკად თლილი,
ტურფად მოხრილი, ბოლოში წვრილი;
ყანწით მიყვარს სმა ძველებურათა:
ლხინით, ღიღინით, ტკბილად, ძმურათა!
რათ მინდა ჭიქა, რათ მინდა ბროლი,
მე ყანწი მიყვარს, ყანწი ნასროლი
ტოლუმბაშისგან... აგერ მეც დავცლი
და მეორესა აღარ დავაცლი,
შეიქაქანოს... ქუდსა ვკრამ ჭერსა!
კიდევ ყანწსა ვცლი, შევსტყორცნი მოძმეს,
იგიც მარჯვეა ფიცხლავ იჭერსა!

. . . . . .

გთხოვთ ყველგან ლხინი ყანწით დაიწყოთ;
ყანწი აღარსად არ დაივიწყოთ!..

(„ყანწი“)

ფეოდალური ქეიფისა და დროს გატარების მთელი პროგრამაა მოცემული ამ ლექსში.

ანაკრეონისტულ მოტივებთან არის დაკავშირებული სხეულის კულტი (სხეული — ყველა მიწიერი სიხარულის წყარო), და რადგანაც ამქვეყნიურ სიხარულთაგან ყველაზე ლამაზად ეჩვენება სიყვარული, სწორედ ამიტომაც თავდავიწყებითი ხოტბის საგნად ხდება ჩვენი პოეტისათვის უპირველეს ყოვლისა ქალი.

ქალთა სახეები თითქმის ძირითადია რაფ. ერისთავის პოეზიის სამყაროში. ქალები ყოველთვის ლამაზ, სიყვარულის გამომწვევ ობიექტებს წარმოადგენენ. რაფ. ერისთავი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ქალის გარეგნულ სილამაზეს. აქ მას ყველაფერი გადაჭარბებით მიწიერად, ხორციელად აქვს მოცემული, იგი ეტრფის მომხიბლავ თვალებს და აღტაცებული გვიცხადებს:

ვნახე თვალები, როგორც ისარნი,
ვითა მახვილი განგებისანი,
რა მწველებია, რა მალებია,
რა თვალებია, რა თვალებია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ უწმინდეს ლაჟვარდი ცისა,
უუტკბეს დედის შვილთ ალერსისა,
მოთინათინე, ვით სხივი მზისა...
მაგრამ ყოველგან იგინი სხვისა!
იმ თვალებს ვეტრფი ბედკრული მეცა;
მაგრამ შორსა ვარ მათზე ვით ზეცა! („თვალები")

თვალების დანახვა პოეტში იწვევს გრძნობის აშლას, განწყობილებათა გადასხვაფერებას, თვალების სიყვარულს იგი იქამდის მიყავს, რომ მათი გულდამშვიდებით მზერა არ შეუძლია.

სიყვარულის გრძნობას რაფ. ერისთავი ვნებიანობის გამომწვევი განსაკუთრებული აქსესუარებით გვიხატავს („სიყვარული").

ხორციელი განცდების ტყვეობაში დიდხანს იყო რაფ. ერისთავი, თვით ავტობიოგრაფიული ხასიათის სატრფიალო ლექსებშიაც კი შეჰქონდა მას გადაჭარბებული ფიზიოლოგიური გამოთქმები და შედარებები („წრეს გადასული — წრეში შემოსულს" და სხვ.).

ქალისა და სიყვარულის მოტივების არც ისე მდიდარი ვარიაციები აქვს რაფ. ერისთავს თავის ლექსებში. იგი ყურადღების გარეშე ტოვებდა ქალთა ცხოვრების დამახასიათებელ სხვა მხარეებს.

უცხოელ პოეტთა შემოქმედებაშიაც ამ ხანებში რაფ. ერისთავი უმთავრესად ისეთ ლექსებს ეტანებოდა, რომლებიც ორგანულად ეხამებოდა მის საერთო ტენდენციებს. იგი ჰბაძავდა იმ პოეტებს, აზრებს სესხულობდა იმ პოეტთა შემოქმედებიდან, რომლებიც ტონს აძლევდენ იმ სურვილებსა და ნატვრას, რომლითაც პირველ პერიოდში გამსჭვალული იყო ჩვენი პოეტი (იხ. ლექსი „ვინ შევიყვარო", „ნატვრა", ჩვიდმეტი წლის ქალს", „სინანული" და სხვ.). ასეთივე ხასიათის იყო მისი თარგმნები იურკევიჩიდან („სოფ. მელ-სას"), მიცკევიჩიდან („საუბარი"), ოგარევიდან („Она никогда его не любила") და გრეკოვიდან („იჭვიანი"). ეს ლექსები ქმნიდა ერთიან თემატიკურ კომპლექსს.

რაფ. ერისთავის პოეზია ამ პერიოდში შეიცავდა უმთავრესად ერთ ჟანრობრივ ჯგუფს, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „საოჯახო ლირიკა". აქ წარმოდგენილი იყო რომანსები, მიძღვნები, ელეგიები, ეპიტაფიები, ეპიგრამები და დიფირამბები.

მსგავსი მოტივები და განწყობილებები არ იყო მარტო რაფ. ერისთავის პირადი, ინდივიდუალური საკუთრება. მას ღრმა კლასობრივი საფუძვლები ჰქონდა. ეროტიკა, ღვინისა და ქეიფის კულტი, უდარდელობის აპოლოგია და დეკადანსის სხვა მოტივები ამა თუ იმ კლასში მაშინ ფეხს იდგამს, როდესაც იგი დაცემისაკენ მიემართება. რაფ. ერისთავს მიუხედავად იმისა, რომ „ახალი" გზის ძიებაში იყო, მაინც ბევრი დამაკავშირებელი ძაფი ჰქონდა მომაკვდავ თავად აზნაურულ წოდებასთან. ამასთანავე რაფ. ერისთავს ერთის ხელის დაკვრით არ შეეძლო დაშორებოდა იმ თემატიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არესა და მოტივებს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გამტკიცებული იყო ქართულ ლიტერატურაში. ამ მხრით იგი არც ცდილობდა გამოსულიყო ნოვატორის როლში.

5

40—50-იან წლებში რაფ. ერისთავისათვის არ არსებობდა ბატონისადა ყმის ურთიერთობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანებში მათ შორის გამწვავებული იყო დამოკიდებულება და მძაფრ წინააღმდეგობებს ჰქონდა ადგილი. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში რაფ. ერისთავი ვერ ხედავდა წოდებრივი ურთიერთობის გარკვეულ სახეს და, კერძოდ ყმების ცხოვრების მძიმე პირობებს. გლეხობის მდგომარეობის შესასწავლად მას საკმაოდ დიდი მასალა ჰქონდა პირადი დაკვირვებიდან. ამას ადასტურებს მისი ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები. მხოლოდ 60-იან წლებში სვამს პირველად ამ საკითხს თავის პოეზიაში რაფ. ერისთავი. მიუხედავად მისი პოეზიის საერთო რომანტიული ხასიათისა, ამ ხანებში, რაფ. ერისთავმა მაინც ვერ შესძლო სიჩუმით გვერდის ახვევა იმ დროის ცენტრალური პრობლემისათვის—ყმაგლეხობისათვის. 1857 წ. ეკუთვნის „მთხოვნელი მსაჯულისადმი". ამ ლექსში რაფ. ერისთავი ეხება ბატონყმური სინამდვილის ეპიზოდურ სურათს. გლეხის ქალი ცრემლითა და თავმდაბლობით ემუდარება ბატონს შვილის დაბრუნებას:

მოველ ბატონო, ღმრთისა მსაჯულო,
გენაცვალების შენ ჩემი თავი,
მხურვალეთა გთხოვთ, ცრემლითა გვედრი,
გულს მომაშორე მე ცეცხლი მწვავი;
გთხოვ დამიბრუნო მე ჩემი შვილი;
დედა ვარ მისი, განა მომკლავი?
სხვა რათ პატრონობს ჩემსა ნაშობსა,
რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სვავი?

როგორც ცნობილია, ოფიციალური თავად-აზნაურული აზროვნება, მებატონეთა ლიტერატურა ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდა ფეოდალურ წყობილებაში არსებულ ღრმა და მწვავე კლასობრივ წინააღმდეგობებს, კერძოდ, იმ ზინაღმდეგობებს კერძოდ იმ წინაღმდეგობებს, კერძოდ იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც ქმნიდა ბატონყმური უფლების არსებობა. მებატონეთა ლიტერატურის თვალსაზრისით, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ჩვენში იყო დამყარებული მამა-შვილურ, ჰარმონიულ ურთიერთობაზე. დამახასიათებელია ამ მხრივ ალექსანდრე ორბელიანის განცხადება „ცისკრის" ფურცლებზე: „საქართველოში მებატონეთ ყმობა-მონობა (მონობა მესმის მე დაჩაგვრად) არ ითქმის. მართალია, სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონობას არ აცხადებს. უწინდელს დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვო და იმას შევეხიზნოვო, ამისათვის

რომ მებატონე თავის ყმას შვილივით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის. ყმა თავის მებატონესთან თამამად მივიდოდა. ყოველ საქმეს დაუფარავად მოახსენებდა და როგორც ამხანაგი ისე გაუგრძელებდა ლაპარაკს, მაგრამ დიდის პატივისცემით. ყმა თავის მებატონესთან დაჯდებოდა სადილად, ან ვახშმად, მებატონესთან ერთად იდგომებოდა. მებატონე და ყმა ერთად საუბრობდენ, ერთად შეექცეოდენ და ერთად სიამოვნებდენ. ყმას მებატონე მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდა, მამასავით პატივს სცემდა და ყოველთვის გაფრთხილებული იყო: „არ ვაწყენინო რაო“. ერთგულება ხომ რაღა ითქვას ყმებისგან მებატონისა. ასეთი მაგალითები მომხდარა, რომ ყმა ერთგულებისათვის სახლეულობით მსხვერპლად შეეწირებოდა ბატონს. ბევრ მძიმე ავადმყოფ თავის ბატონს, თავის გლეხი გარს შემოევლებოდა გულმხურვალე ვედრებით: „ღმერთო თუ ამ ჩემ ბატონს სასიკვდილო სჭირდეს რამე, ამის მაგიერ მე მოვკვდე, ოღონდ ეს მშვიდობით ამყოფეო“. ამდენ მსხვერპლსა მებატონენი ძვირად აფასებდენ თავის ყმისას, რომელნიცა ამის სამაგიეროდ თავის თავსა არა შემთხვევაში არა ზოგავდენ იმათი მცირედის მდგმარეობისათვის. არამცთუ დიდი რაიმე საქმე ყოფილიყო თავისის ყმისა. როდესაც მებატონე და გლეხი ერთად იქნებოდენ, გლეხები მებატონის პატივისცემაში იყო, ვითარცა მამისა და მებატონე სიყვარულს აჩვენებდა გლეხს, ვითარცა საკუთარსა შვილსა. ასედა ამგვარად იყვნენ ერთმანეთში გაერთიანებულნი მებატონენი გლეხებთან წრფელის გულით“*)

მეტად იდილიურ სურათს იძლევა ა. ორბელიანი ბატონისა და ყმის დამოკიდებულებაში. ამ წმინდა თავად-აზნაურულ თეორიას კლასთა ჰარმონიისა, რასაკვირველია, არაფერი საერთო არ ჰქონდა სინამდვილესთან. ასეთი მამა-შვილური ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის არასდროს არ ყოფილა ჩვენშიც

ცხადია, ნაბიჯი იყო წინ რაფ. ერისთავის მიერ ბატონყმური სინამდვილის რეალური წინააღმდეგობების გამომხატველი კონკრეტული ფაქტის ჩვენება, იმასთან შედარებით, რასაც ამბობდენ ა. ორბელიანი და სხვ. თავად აზნაური მწერლები, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ საკითხის პრინციპულ-განზოგადოებულ განხილვამდის არ მისულა. რაფ. ერისთავი, რასაკვირველია, არ ფიქრობდა არსებულ წყობილების შერყევას, არ სვამდა საკითხს მებატონეთა პრივილეგიების, ბატონ-ყმობის, როგორც სისტემის, მოსპობის შესახებ. მისი პროტესტი არ სცილდება მორალური მხილების საზღვრებს. დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ყმა შვილი ლექსში მოცემულია როგორც დამორჩილებული, მონურად შერიგებული არსებულ უუფლებო და არაადამიანურ მდგომარეობას („შვილსა შემკრთალსა ბატონისაგან, ვერა ვხედავდე დედისკენ მსვლელსა, რომ მისულიყო, გადაეკოცნა, დედა-შვილურად ჰხვევოდა მკერდსა!“).

*) იხ. „ცისკარი“ 1859 წ. № 11 წერ. „უწინდელ დროს ბატონყმობა საქართველოში“.

„მთხოვარა გლახაკში“ რაფ. ერისთავი გვიხატავს კლასობრივ-ექსპლოატატორული საზოგადოების მიერ ცხოვრების ნორმალური კალაპოტიდან ამოგდებული ადამიანის სახეს. მწვავე სინამდვილეში ბასრად ენერგიული, მოქმედი ადამიანი მათხოვრად, ლუმპენპროლეტარად. იგი ახლა მხოლოდ სხვისი შემყურეა. კლასობრივ საზოგადოებაში მისი არსებობა მეტისმეტად ძნელია, არავინ არის მისი დამხმარე, თანამგრძნობი, ვისაც მიმართავს, ყველა ზიზღითა და მტრობით უყურებს მას. რაფ. ერისთავი გულთბილად ეპყრობა ამ გაუბედურებულ და დაბეჩავებულ ადამიანს. ასეთი მძიმე სურათი მას აფიქრებს და გონებას უმღვრევს, მაგრამ იგი მაინც ვერ გამოდის აქტიური პროტესტანტის როლში. მისი უკმაყოფილება მსგავსი მოვლენებისადმი ძალზე პასიურია. სინამდვილისადმი ასეთივე პასიური დამოკიდებულება გადააქვს პოეტს თვით დავრდომილზე, რომელიც მხოლოდ გაკითხვას თხოულობს, უფალს იშველიებს, რომ მდიდრებს თავი შეაბრალოს.

6

60-იანი წლებისათვის საქართველოში მძლავრი ეკონომიური გარდატეხა მჟღავნდება. კაპიტალიზმის განვითარება თავისებურ სახეს აძლევს მთელ საზოგადოებრივ ყოფას. ფული და ვაჭარი გამოდის სარბიელზე, როგორც აქტიურად მომქმედი ძალა, იგი აძლევს ცხოვრებას ახალ მიმართულებას. ეცლება ნიადაგი ნატურალურ მეურნეობას. ასეთი მეტად მნიშვნელოვანი პროცესები ბუნებრივად იწვევენ გადაჯგუფებას თავად-აზნაურობის სხვადასხვა ფენაში. თავად-აზნაურობის ახალი თაობა („შვილები“) გრძნობს ახალი სიოს შემოჭრას, ხედავს, რომ შეიცვალა ცხოვრების ფორმები და შეუძლებელია ახალ პირობებში უცვლელი, ტრადიციულ იარაღით მოქმედება. „შვილები“ წარმოადგენდენ უმთავრესად თავად-აზნაურობის იმ ფენას, რომელიც ღებულობდა კაპიტალისტური განვითარების ე. წ. პრესიულ გზას. „შვილების“ ამნაირი მისწრაფება უბრალოდ, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. მათი ასეთი მისწრაფებები იწვევს თავად-აზნაურობის ძველი, კონსერვატიული თაობის — „მამების“ სასტიკ პროტესტს. ეს შეჯახება თავის გამოხატულებას პოულობს „მამათა“ და „შვილთა“ ცნობილ ბრძოლაში.

„შვილები“ ანუ თერგდალეულები, მართალია, უპირისპირდებიან, ებრძვიან დაობებულ კონსერვატიზმს და პატრიარქალურ წესებს, მაგრამ კლასობრივად მაინც არ არიან დაშორებული თავად-აზნაურულ სოფლმხედველობას, ისინი მოქმედებენ მხოლოდ როგორც ლიბერალური თავადაზნაურობის ფსიქო-იდეოლოგიის გამომხატველი მწერლები.

რაფ. ერისთავი აქტიურად არ ჩარეულა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში. ეს ბრძოლა მისი მონაწილეობის გარეშე ჩატარდა, მიუხედავად ამისა, მან მაინც განიცადა (თუმცა მოგვიანებით) თერგდალეულთა, „შვილ-

თა“ გავლენა. აქედანაა ბატონყმური ურთიერთობის საკითხის დასმა (მსგავსად თერგდალეულებისა) და მისი თავისებური გადაჭრა მის შემოქმედებაში.

საგლეხო რეფორმა თვითმპყრობელურმა მთავრობამ ისე ჩაატარა, რომ არსებითად მემამულეთა ინტერესებს იცავდა, ამიტომ გლეხობა კვლავ თავად-აზნაურობის უღელში დარჩა. „განთავისუფლებულ“ გლეხებს ჩამოუჭრეს დიდძალი საუკეთესო მიწები, რომლებიც ფაქტიურად მათ სარგებლობაში იყო. მათი ნადელების ფართობი საგრძნობლად შემცირდა. გლეხებს არ მისცეს არც ტყე, არც საძოვარი. გარდა ამისა აღნიშნული რეფორმის წყალობით თავად-აზნაურებმა მოახერხეს სრულებით უმიწაწყლოდ დაეტოვებიათ რამდენიმე ათასი კომლი გლეხი.

მთავრობამ მიწა თავად-აზნაურობის კერძო საკუთრებად გამოაცხადა. მიწის ნაწილი, რომელიც გადაეცა გლეხობას, ითვლებოდა ამ უკანასკნელის მხოლოდ დროებით სარგებლობაში. გლეხებს ყოველწლიურად უნდა ეხადათ განსაზღვრული გადასახადი, სანამ ამ მიწას არ გამოისყიდდენ მემამულეთაგან. ასეთ მდგომარეობაში მყოფ გლეხებს ეწოდათ დროებით ვალდებული გლეხები. დროებითი ვალდებულება ფაქტიურად იმავე ბატონყმობის გაგრძელება იყო, მხოლოდ სხვა სახით. რეფორმით შექმნილი დროებით ვალდებულებათა ინსტიტუტი მეტად მძიმედ დააწვა ისედაც გაძვალტყავებულ გლეხებს.

გლეხობა დატვირთული იყო სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადითა და ბეგარით. გარდა ფულადი სახაზინო და საერობო გადასახადებისა გლეხობა ვალდებული იყო გადაეხადა ნატურალურ-საერობო და სასოფლო-სამეურნეო გადასახადები. უმიწობასა და მემამულეთა ბატონობასთან ერთად გლეხობას შეუბრალებლად ავიწროებდა თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატი, მრავალგვარი სახელმწიფო და საეკლესიო გადასახადი და ჩარჩ ვაჭრების დავალიანება. საგლეხო რეფორმის შედეგად ზოგიერთი ფორმალურ მოქალაქეობრივი უფლებების მოპოებასთან ერთად გლეხობამ დაკარგა ის ეკონომიური საფუძველი, რომელიც მისთვის შეადგენდა არსებობის წყაროს. საგლეხო რეფორმის შედეგების სამართლიანი დახასიათება მოგვცა ლენინმა. იგი წერს: „გლეხებს „ათავისუფლებდენ“ რუსეთში თვით მემამულეები, მემამულეთა მთავრობა, თვითმპყრობელური მეფის მოხელეები, და ამ „განმათავისუფლებლებმა“ ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხებმა მიიღეს „თავისუფლება“ მათხოვრის მდგომარეობაში. მემამულეთა მონობისგან გამოსულები, ისევ ჩავარდენ ამავე მემამულეთა და მათი დამქაშების ბრჭყალებში. არც ერთ ქვეყანაში გლეხობას — „განთავისუფლების“ შემდეგ არ განუცდია ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და აბუჩად აგდება, როგორც რუსეთში“*). ასეთი იყო გლეხთა „განთავისუფლების“ ნამდვილი შინაარსი. ლენინის დახასიათება შეეხება

*) Ленин, ტ. 15, გვ. 109.

რუსეთის მთელ მაშინდელ იმპერიას და, რასაკვირველია, საქართველოსაც. მაგრამ აქ ჩვენ უნდა დავუმატოთ ის, რომ საგლეხო რეფორმა საქართველოში ბევრად უფრო შეზღუდული და არა ხელსაყრელი აყო გლეხობისათვის, ვიდრე რუსეთში.

ფორმალურმა თავისუფლებამ სრულიად ვერ გადაწყვიტა გლეხთა საკითხი. რეფორმის შემდგომ პერიოდში ურთიერთობა ერთი მქრივ გლეხობასა და მემამულეებს შორის და მეორეს მხრივ გლეხობასა და ჩარჩ ვაჭარ-კულაკებს შორის მეტად გამწვავდა და კლასობრივი ბრძოლის მხაფრი სახე მიეცა. ეს კლასობრივი შეტაკება ხშირად შეიარაღებულ აჯანყებამდისაც მიდიოდა, და თვითმპყრობელობის აგენტები ქართველ მემამულეებთან ერთად მთელი სისასტიკით აქრობდენ გლეხთა აჯანყებებს.

ასეთი იყო ხანა, რომელსაც ეკუთვნის რაფ. ერისთავის სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდი. ამ პერიოდში რაფ. ერისთავის პოეზიაში ძირითადი მოტივი ყალიბდება: გლეხობის ყოფის ასახვა-დახასიათება. რაფ. ერისთავის დიდი ძალა და მნიშვნელობა, როგორც პოეტის, დამყარებულია სწორედ ამ ლექსებზე.

თავისი შემოქმედების თემად მეორე პერიოდში რაფ. ერისთვმა მიწათმოქმედი გლეხობის წრე გაიხადა. მან დაგვისურათა უმთავრესად ღარიბი გლეხობის ცხოვრება. ამ ხასიათის ლექსებში მან ერთი და იგივე თემა მრავალი ვარიაციით გადმოგვცა.

რაფ ერისთავი მხატვრულ სახეებში იძლეოდა ღარიბი დაბეჩავებული გლეხობის ერთ ნაწილს, — იმ ნაწილს, რომელიც გრძნობდა ცხოვრებაში გამეფებულ წინააღმდეგობებს, მაგრამ უსიტყვოდ ურიგდებოდა, არ ებრძოდა მას. რაფ. ერისთავი იძლეოდა რუს პოეტ ნ ი კ ი ტ ი ნ ი ს სიტყვებით რომ ვთქვათ, „Бедность несмелая, бедность забытая“. რაფ. ერისთავის მიერ დახატული გლეხობის ცხოვრება მეტისმეტად დუხჭირი იყო.

რაფ. ერისთავი გლეხთა ცხოვრებიდან უმთავრეს ყურადღებას აქცევს მათ შ რ ო მ ა ს. გლეხის ცხოვრების მიზანი ყამირის დამუშავებაა. ასეთი შრომის გარეშე მას თავისი ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, გაზაფხულიდან მოკიდებული იწყებს იგი მიწასთან ბრძოლას და დაზამთრებამდის განაგრძობს მას. და როდესაც თავისი შრომის ნაყოფს ხედავს, სრული ბედნიერია. მისი სიცოცხლე მიწის ჩიჩქნაში ილევა და ამიტომ ყველაფერი უყვარს, რაც კი შრომაში ეხმარება. მეურნე გლეხისათვის მიწა გამხდარა საოცნებო საგნად. იგი ხედავს, რომ მიწა სხვას ეკუთვნის, შრომა და ჯაფა მას. მისი მიზანია, რომ საყიდლად არ ჰქონოდა მიწა, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული მთელი მისი ბედნიერება:

ე როგორ არის ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია:
მიწა სხვისია, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია...

. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ რა ვიცი,
მე რაღა დამაღონებდა?!

(„ბერუას ჩაფიქრება“)

მეტად დამაღონებელი სურათია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხობის ცხოვრებისა. სამწუხაროდ, ჩყენი პოეტი არ ეძებს იმ სოციალურ ძირებს, ასეთ აუტანელ პირობებში რომ აყენებს გლეხობას. იგი ვერ ხედავს თუ რა კავშირი აქვს გლეხობის ცხოვრების მძიმე პირობებს არსებულ ექსპლოატატორულ სახელმწიფოებრივ სისტემასთან.

სესიაც თავის მძიმე ცხოვრებაზე მოთქვამს. მისთვისაც მიწა გამხდარა საოცნებო საგნად. მისთვის მიწაა დედ-მამა, და-ძმა. იგი თავაუღებლივ მუშაობს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს თავისი ოჯახის საარსებო მოთხოვნილების მინიმუმსაც, ყველა მის შრომას შაჰყურებს: მიწის პატრონი, მოხელე, მღვდელი და ერი.

რა ქნას სესიამ, როგორ დააღწიოს თავი ამ აუტანელ მდგომარეობას? სამწუხაროდ, იგი ამ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობს და სრულ უიმედობაში ვარდება, იგი ამ ქვეყნად ვერ ხედავს თავისი მძიმე პირობების შემამსუბუქებელ ძალას. ამაზე მას არც მწერალი მიუთითებს.

ბერუაც, სესიაც და მათი მზგავსი მრავალნი თანამოძმენი მოთქვამენ იმაზე, რომ მათი არსებობის მთავარი პირობა მიწაა, მაგრამ იგი სხვის საკუთრებას შეადგენს. ღარიბ გლეხობას უხდება შრომა, ნაყოფი კი სხვას მიაქვს. რაფ. ერისთავის გლეხი და მისი გრძნობა, აზროვნება, იდეალი, ნატვრა და იმედი გადამეტებით მიწიერია. მიწის სუნი უდის, მისი გლეხი მხოლოდ მიწას ჩასჩერებია, მას ჩაჰკვრია გლეხობა გონებით, მაღლა არ იხედება, წარსულს არ იგონებს, მომავალს მხოლოდ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით უყურებს. ის არც ხვნა-თესვის პროცესს, მოსავალ-მოუსავლობასა და სმა-ჭამას გაცილებია, რაფ. ერისთავის მიერ მოცემულ გლეხებს აზროვნებას არ უმოძრავებს.

თანდილა თავდადებული მშრომელია. იგი ქვეყანას უნდა გაუძღვეს. მაგრამ ეწვია უბედურება — მოუკვდა ხარი გიშერა. მუშა საქონლის დაკლება თანდილასათვის მთელი უბედურებაა. გიშერას სიკვდილმა თანდილას დარდი და მწუხარება შეუქმნა. მას აღარ ჰყავს ცალი ხარი და სასოწარკვეთილი თანდილა მოთქვამს, რომ აწ მისთვის ძნელია ქვეყნის გაძღოლა, ცოლ-შვილის რჩენა („თანდილას დარდი“). აქ გლეხის ცხოვრების შეუფერავი სინამდვილეა მოცემული! ხარის სიკვდილმა მთელი ტრაგედია დაბადა დაბეჩავებულ თანდილაში.

ღარიბი გლეხობის დაუფარავი ექსპლოატაციით აშენებდენ თავის ბედნიერებას გაბატონებული კლასები. მაგრამ ისინი მარტო არ იყვნენ. მათ მიჰყვებოდა მთელი არმია გაიძვერათა და მყვლეფელთა. მათ შორის თვა-

ლსაჩინო ადგილი ეჭირა მაშინდელ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. გლეხობის კისერზე იყო ჩამოკიდებული ყველა და ავიწროებდა მას. სწორედ ამ გარემოების შესახებ ჩივის საწყალი ბერუა:

ყველა მე ჩამოშეკიდა:
მამასახლისი' გზირია,,
როგორ არა ვთქვა ბეჩავმა
მეც ჩემი გასაჭირია?!

(„ბერუას ჩივილი")

ეს გასაჭირი მართლაც დიდი იყო, გზირსა და „ნათლია" მამასახლის მოყვებოდა ვაჭარი, რომელიც ერთხელ გადახდილ ვალს მეორედ ახდევინებდა და სხვ. მაგრამ ბერუამ არ იცის, თუ რა ნიადაგზეა აღმოცენებული სოფლის მოხელის და სხვათა თავგასულობა, რით საზრდოობს მათი თვითნებობა და რაში უნდა ეძიოს მისი ალაგმვის საშუალებები.

რაფ. ერისთავის პოეზიაში გლეხობა გამსჭვალულია მხოლოდ თავისი კერძო საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებით. რაფ. ერისთავის გლეხის მხიარულება და მწუხარება მხოლოდ ინდივიდუალურია. ამიტომ არის, რომ რაფ. ერისთავის ლექსებით ლაპარაკობდა არა ხალხი თავის კოლექტიურ მრავალფეროვანებაში, არამედ განსაკუთრებით წვრილი მეურნე გლეხი, რომელიც სამეურნეო საქმიანობაში ისე იყო ჩაფლული, რომ ძალაუნებურად ჩამოშორებული იყო საერთო ინტერესებისაგან.

გლეხობის მძიმე ცხოვრების საფუძვლები იმ სოციალ-ეკონომიურ პირობებისაგან მომდინარეობდა, რომელშიაც იყო იგი ჩაყენებული. სოფლის პატრიარქალურ ცხოვრებაში შეიჭრა ჩარჩი ვაჭარი, ყოველ მხრით დაბეჩავებული გლეხი, მაგრად ჩაება მის მიერ მოხერხებულად გამართულ ბადეში. სწორედ ასეთ სურათს გვიხატავს პოეტი ლექსში „დემეტრეს ჩივილი". გლეხი დემეტრე ხედავს თავისი ეკონომიური შევიწროების მიზეზს, — ჩარჩ ვაჭარს, რომელიც შემოპარვია „ნათლიად" და რომელსაც მისი სახლკარი გაუხდია „სალაშქროდ", დემეტრე გრძნობს ვაჭრის ბოროტებას და გაუმაძღრობას. მან ვაჭარს თავის დროზე გადაუხადა თავნი და ვახში, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არ ეშვება, სურს მეორედ გადაახდევინოს ვალი. დემეტრე ცდილობს სიტყვებით მაინც წინააღუდგეს ვაჭრის თავგასულობას.

„დემეტრეს ჩივილში" რაფ. ერისთავი დამაჯერებელ სახეებში იძლევა ჩარჩ ვაჭრის გაუმაძღრობის, თაღლითობისა და ბოროტმოქმედების სურათს. ვაჭარი ათასგვარი გაიძვერული ხერხით ცდილობდა გლეხის მოტყუებას, თავის საწველ ფურად გადაქცევას. ეს პროცესი თვალსაჩინო ხდება განსაკუთრებით საგლეხო რეფორმის შემდეგ, როდესაც, ერთის მხრით მეტი გასაქანი მიეცათ სოფლად სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებს თავიანთი ექსპლოატატორული საქმიანობის საწარმოებლად და, მეორეს

მხრით, როდესაც განსაკუთრებით გაუარესდა ბატონყმური მდგომარეობისაგან „განთავისუფლებული“ გლეხობის ეკონომიური პირობები.

გლეხის ცხოვრებისათვის ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. ოჯახის მომუშავე წევრის გამოკლება ან ბუნების სისასტიკე მთელ უბედურებას უქმნის მას. კარგი მეურნე, კარგი მომკალი სესია მოკვდა, დედაბერი მოთქვამს შვილის დაღუპვას, ოჯახის განადგურებას, რომ მას მომვლელი და დამრჩენი აღარ ეყოლება („დედაბერის მოთქმა“). გლეხის არა ნაკლები მტერია ავადმყოფობაც, რადგანაც გლეხს მოუმკალი რჩება ყანა („მოუმკალი ყანა“).

ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულებას რაფ. ერისთავი პრიმიტიულ ფონზე იძლეოდა. თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა პოეტი ბუნების რომანტიულ მხარეს. იგი ნაკლებად ცდილობდა თავის ლირიკულ განცდათა გადმოშლას ბუნების მეშვეობით, ბუნებაზე საუბრის სახით. იგი უფრო უბრალოდ და პირდაპირ უდგებოდა საკითხს, მას უმთავრესად აინტერესებდა გლეხისა და ბუნების უშუალო საწარმოო დამოკიდებულება.

ბუნების ათვისებაში რაფ. ერისთავს ყოველთვის აქვს ჯანსაღი გრძნობა, ღრმა კავშირი ბუნებასთან. მას არა აქვს ლირიკული პეიზაჟი, როგორც უსაგნო ჭვრეტა. მან კარგად შეიგრძნო ბუნების მატერიალური ხელშესახეობა და ისე გვიჩვენა იგი გლეხის ყოფაცხოვრებაში გამოვლინებული. ბუნების აღწერა რაფ. ერისთავის პოეზიაში მოკლებულია სიმბოლიკასა და მისტიკას. იგი ბუნებას არ აქცევს იმპრესიონისტულ მოჩვენებად, არამედ ხედავს მის ნამდვილ და აზრიან საგნობრივობას.

ბუნება, რაფ. ერისთავის პოეზიაში ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანის მოქმედებასთან და მის შრომასთან. ადამიანი ბუნებასთან დაახლოებულია საწარმოო პროცესებით. გლეხის ისედაც აუტანელ მდგომარეობას ზედმიწევნით აუარესებს ბუნების მცირედი ჭირვეულობაც კი. გლეხის ცხოვრებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული ბუნებაზე. ბუნების მოვლენებს სხვადასხვა ხასიათის არსებითი გავლენა აქვს გლეხობის საარსებო მდგომარეობაზე. ყინვა, სიცივე, სიცხე, გვალვა თუ წვიმა სხვადასხვანაირად მოქმედობს გლეხის ცხოვრებაზე. ბუნება ყოველთვის არ არის გლეხის მტერი. უმეტეს შემთხვევაში მას გლეხისათვის სიკეთე მოაქვს. ამ მომენტს რაფ. ერისთავი ხაზს უსვამს მთელ რიგ ლექსებში („ღამის მეხრე“, „გაზაფხული“, „სურათი“ და სხვ.).

7

საგლეხო რეფორმის შემდეგ მთელი სიმძაფრით წაიმიჭრება ხ ი ზ ნ ე ბ ი ს საკითხი. როგორც ცნობილია, ხიზანი პიროვნულად თავისუფალი მიწის მეურნე იყო, ცხოვრობდა ბატონის მამულში, ამუშავებდა მას და იხდიდა ბატონის სასარგებლოდ იმავე გადასახადს, როგორც ყოველი ყმა. ხიზანი ქონებრივად სავსებით დამოკიდებული იყო მემამულისაგან. აქედან

აშკარაა, რომ ხიზნის პირადი თავისუფლება ფაქტიურად არ არსებობდა. მებატონეები ყოველთვის ცდილობდენ ხიზნები ყმურ მდგომარეობაში გადაეყვანათ.

საგლეხო რეფორმა ხიზნებს სრულებით არ შეხებია. მთავრობამ უცვლელად დატოვა მათი მძიმე მდგომარეობა: „ხიზანნი დარჩებიან ხიზნის მდგომარეობაში იმ საფუძველზე, რომელნიც არიან განწესებულნი თავისუფალ კაცთათვის“, — ამბობდა მთავრობის მიერ გამოცემული კანონი. მთავრობამ ხიზნები ეკონომიური მხრით მემამულეების სრულ განკარგულებაში დატოვა. საგლეხო რეფორმის შემდეგ ხიზნების მდგომარეობა გაცილებით გაუარესდა. რაკი ისინი დატოვებულ იქნენ არსებულ მდგომარეობაში, მემამულეთა სრული ექსპლოატაციის საგნად შეიქნენ. მემამულეებს თუ რაიმე დააკლო რეფორმამ, სამაგიეროდ მათ ეს დანაკლისი შეივსეს ხიზნების გაძლიერებული ექსპლოატაციით. გათამამებული მემამულეები ცდილობენ ხიზნები აღიარონ ვადიან მიწის მოიჯარადრეებად. ცდილობენ მათ მიერ მიწის სარგებლობას, წინააღმდეგ ჩვეულებისა დაუდვან ვადა და ვადის გასვლის შემდეგ დააყენონ საკითხი ახალი პირობების ან სხვა პირზე მამულის გადაცემის შე'ახებ. სადაც მემამულე ამას მოახერხებდა, ე. ი. შეეკვროდა საიჯარო პირობით ხიზანს განსაზღვრული ვადის აღნიშვნით, ხიზანი კარგავდა ხიზნური მდგომარეობის დამახასიათებელ თვისებებს, და ხდებოდა მემამულის უბრალო მოიჯარადრედ, რომლის აყრა ბატონს სრულიად უბრალოდ შეეძლო მრავალი წლობით ნაცხოვრებ დამუშავებულ ადგილიდან საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ. ხშირად მემამულე ამას ახერხებდა და ვადის გასვლის შემდეგ ხიზანი განსაკუთრებით აძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა. ასეთმა პირობებმა გაამწვავა დამოკიდებულება მემამულეებსა და ხიზნებს შორის. აუტანელ მდგომარეობაში მყოფი და მოთმინებიდან გამოსული ხიზნები შურის ძიებასაც არ ერიდებოდენ. მემამულეებსა და ხიზნებს შორის გამწვავებული მდგომარეობის არსებობას ვერ უარყოფდენ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებიც კი.

რაფ. ერისთავი, ლექსში „მოხუცებული ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“, სწორედ ამ მწვავე საკითხს ეხება. უუფლებო, მოხუცი ხიზანი, რომლის თავის სამოსახლოდან აყრა განუზრახავს ყმაწვილ მემამულეს, ცდილობს ბატონში გამოიწვიოს „სულგრძელობის“ და „ქველმოქმედების“ გრძნობა. მოხუცი ხიზანი მრავალი ათეული წლის განმავლობაში ერთ ადგილზე ცხოვრების შემდეგ იძულებულია დატოვოს თავისი ნაამაგარი. მძიმეა მისთვის ოჯახის დანგრევა და ამიტომ ემუდარება მემამულეს:

ვაჟო რათ მითხოვ აქედან,
ნეტა რა დაგიშავეა?
ღმერთმა ხომ იცის, მე შენთვის
არა ვყოფილვარ ავია...
ხარჯს ვიძლეოდი რიგიანს,
არ დამიკლია ბეგარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიზანი ვიყავ მე შენი,
შენ ჩემი თავი გებარა.

. . . . . .

ნუ მიზამ ღმერთი გაცოცხლებს,
ი მამა შენის ლხენასა
შემოვხიზნივარ შენ კალთას,
შენგნითვე ველი რჩენასა.

ხიზანი გლეხი მთლიანად მოკლებულია აქტიურობას. თითქოს ჩაკეტილია ყველა გზა, გარდა ექსპლოატატორ-მემამულის კალთებს ქვეშ ცხოვრებისა.

რაფ. ერისთავმა ამ ლექსში მეტად თავისებური გზა დაისახა მემამულის მიერ ხიზნებთან დაწყებული მტრობის შესანელებლად. ისტორიულად ცნობილია, რომ წინააღმდეგობანი მემამულესა და ხიზნებს შორის არა თუ ნელდებოდა, პირიქით, უფრო და უფრო მწვავდებოდა. ხიზნების მდგომარეობა იმდენად ცუდი იყო, რომ ოთხმოციან წლებში ხელისუფლების აგენტები ხშირად იძულებული იყვნენ ეცნობებიათ მთავრობისათვის: ხიზნების მძიმე პირობების გამო მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მათ მდგომარეობას ყურადღება მიექცესო. თუ რამდენად მწვავდებოდა დამოკიდებულება ხიზნებსა და მემამულეებს შორის, ამას გვიჩვენებს სხვა მრავალ ფაქტებს შორის ხიზნების მიერ მემამულეთა მკვლელობანი აგრარულ ნიადაგზე.

ამბობენ, რომ რაფ. ერისთავის ამ თემაზე გადასვლას ხელი შეუწყო ხალხოსნური მიმართულების ჩასახვა-განვითარებამ, რომელიც ჯერ რუსეთში წარმოიშვა და შემდეგ ჩვენშიაც გავრცელდა. იდეალისტური კრიტიკის აზრით, რაფ. ერისთავი დიდი ხალხოსანი მწერალი იყო. ეს მოსაზრება ჩვენ არა მართებულად მიგვაჩნია. არც იდეურად და არც ორგანიზაციულად რაფ. ერისთავი არ იყო დაკავშირებული ხალხოსნურ მოძრაობასა და იდეოლოგიასთან. იგი მოკლებული იყო იმ წინაპირობებს, რომლებიც გახდიდა მას ტიპიურ ხალხოსან მწერლად. თუ გავიხსენებთ ზოგიერთ ეპიზოდს ხალხოსნური მოძრაობიდან ჩვენში, დავინახავთ, რომ მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენელი ხალხოსანი მწერლები გარდა სამწერლო მუშაობისა, რომელშიაც საკმაო გაბედულებით აყენებდენ თავიანთ საზოგადოებრივ შეხედულებებს, პრაქტიკულ მუშაობასაც ეწეოდენ (სოფრომ მგალობლიშვილი, ან. ფურცელაძე და სხვ.).

ხალხოსნების გავლენა რაფ. ერისთავის შემოქმედებაში არ იყო არსებითი, თორემ პოეტი უსათუოდ სხვა ხასიათის სამოქმედო პროგრამას დაისახავდა. რაფ. ერისთავი გლეხობას მონურ მოთმინებას უქადაგებდა, ხალხოსნები კი მთელ თავის იმედებს ამყარებდენ გლეხთა მასების უკმაყოფილებაზე. ხალხოსნებისათვის დადებითი გლეხები იყვნენ ისინი, რომლებიც აქტიურად ებრძოდენ ცხოვრებაში გამეფებულ უსამართლობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფ. ერისთავისთვის კი, — რომლებიც უსიტყვოდ ითმენდენ ყოველგვარ გაჭირვებას.

ამნაირად, რაფ. ერისთავი არ იყო არა თუ დიდი, არამედ ჩვეულებრივი რიგითი ხალხოსანიც, იგი მხოლოდ შორეულად და მეტად მკრთალად განიცდიდა ხალხოსნური მოძრაობის გავლენას.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ მწერლის სოფლმხედველობითი არსი განისაზღვრება ირა იმით, თუ რომელ ყოფას სახავს იგი, არამედ იმით, თუ როგორ სახავს ამ ყოფას, რომელი თვალსაზრისით აშუქებს მას. თემა კი არ განსაზღვრავს მწერლის მიმართულების ხასიათს, არამედ ის, თუ როგორ ესმის ეს თემა და როგორ ანვითარებს მას.

რაფ. ერისთავის დახასიათებით გლეხობის ცხოვრება მეტად მძიმეა. მაგრამ პოეტი ბუნებრივ, ლოლიკურ დასკვნას არ უკეთებდა, არამედ სრულიად მიუღებელ და უაღრესად კონსერვატიულ შეხედულებებს ასკვნიდა. რაფ. ერისთავი ვერ ამჩნევდა იმ სოციალურ პირობებს, რომლებიც იწვევდა მასების გაჭირვებასა და სიღარიბეს. თვით სიღარიბე მისთვის წარმოადგენდა შედეგს უბრალო შემთხვევითობისა. გლეხობას იგი ხედავს ერთიანს, განუყოფელს, აქ ადგილი არ აქვს დიფერენციაციას.

ჩვენ დავინახეთ, რომ გლეხობის ცხოვრება, როგორც ის დაგვიხატა რაფ. ერისთავმა, მძიმეა, აუტანელი. საჭირო იყო გლეხობისათვის რაიმე ეფექტიური მეთოდის წამოყენება ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ასეთი გზა უსათუოდ აქტიურ, რევოლუციურ მომენტს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ რაფ. ერისთავი ასე არ მოქმედებდა. იგი პირიქით, მიუღებელ მოსაზრებებს ავითარებდა გლეხობის ბუნების შესახებ და სრულ აპატიაში აგდებდა მას.

რაფ. ერისთავი არ იყო მებრძოლი მწერალი. მასში შემარიგებლობის ტენდენციები იყო გაბატონებული. აქედან მოჭარბებული ჰუმანიზმი, რომელთაც სხვათა შორის, განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ მისი შემოქმედების მკვლევარნი. რაფ. ერისთავის პოეტური ხედვის ძირითადი თვისებას შეადგენს გრძნობათა ჰარმონია და სულიერ განწყობილებათა ზომიერება: ყოველთვის და ყოველგან, თითქმის იქაც კი, სადაც პირველი შეხედვით ბოროტების მეტი არა ჩანს რა, ეძებს ის სიკეთეს და სიმშვენიერეს. ამიტომ იყო, რომ იგი მეტისმეტად „ალამაზებდა“ გლეხის მძიმე მდგომარეობას („სურათი“, „რას შემომცქერი, ძმობილო“ და სხვ.). რაფ. ერისთავი, გლეხობაში აფასებდა არა ბრძოლის უნარს და მისწრაფებას უკეთესი მომავლისაკენ, არამედ მის მოთმინებას და უსაზღვრო მძიმე შრომას, მცირედით დაკმაყოფილებას და რელიგიურ-ქრისტიანულ სიმშვიდეს.

რაფ. ერისთავის შეხედულება გლეხობაზე ყველაზე უფრო რელიეფურად გამოთქმულია ლექსში „ღმერთი დიდია, ღარიბო“. ამ ნაწარმოებში აშკარავდება რაფ. ერისთავის მთელი ინდივიდუალობა, ბუნება და სოფლმხედველობა. აქ ჩვენ ვხედავთ იმ საზომს, რომლითაც ზომავს ჩვენი პოეტი

მის გარეშემო არსებულ სინამდვილეს. აი როგორ დარიგებას აძლევს იგი ღარიბს: როცა რომ იასაული უსამართლოდ ჩაგაფრინდება და ჩაგრავს, შენ მაშინ ცისაკენ იყურე, რადგან ღმერთი დიდია ღარიბო, გული ნუ შეგიშინდებაო; ნურავის აუტეხ შფოთს, მაგრამ თუ შენი მეზობელი აგიტყდა და აგიღრინდა, მაშინ გახსოვდეს, რომ ღმერთი დიდია ღარიბო, გული ნუ შეგიშინდებაო, „რაც დაგდო ბედმან ვალადა, თავ-თავის დროზე აძლიე, სათემო სამსახური არ შაირჩინო—აძლიე“ და თუ მაშინაც რასმეზე აგიხირდება მამასახლისი,—„ღმერთი დიდია ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“, თუ მღვდელს დაწესებულ საქორწინოს, საკურთხს და სხვა ამისთანეებს მიართმევ, საქებარი იქნები, და თუ მაინც კიდევ მეტი მოითხოვოს, ისევ „ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“. აქ აბსოლუტური თანმიმდევრობით ხაზგასმულია მოსაზრება, რომ ბოროტებას არ გაუწიო წინააღმდეგობა, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა მორჩილად უნდა იქნეს ატანილი. ასე ფიქრობდა თვით რაფ. ერისთავი და ასევე ამოქმედებდა გლეხებსაც.

რაფ. ერისთავის გლეხები უაღრესი რელიგიური გრძნობების მატარებელნი არიან. ყველაფერ უბედურებას ღმერთს უკავშირებენ, „უფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვეთაყვანები“. ამ რელიგიურობას თავის სათავე აქვს უპირველეს ყოვლისა თვით ავტორის სოფლმხედველობაში, რომელშიაც იგი ძლიერად არის დასადგურებული *). რაფ. ერისთავის გლეხები აღსავსენი არიან გულკეთილობით, ისინი არასდროს არ ეცემიან სულით, არ ვარდებიან ცდომილებაში, ბოროტმოქმედებასა და მტრობაში. ისინი ყოველთვის ყველას ხელგაშლილი ხვდებიან, მზად არიან ყველაფერი მიიღონ, ყველაფერს შეურიგდენ, ყველაფერს უპოვნონ გამართლება. რაფ. ერისთავის გლეხები სახარების ტიპების ცოცხალი განსახებაა. მათ არ იციან თავიანთი „მხნეობის“ საზღვარი, ხშირად მათი მხნეობა რაღაც ცხოველური მორჩილების ხასიათს ღებულობს. თედუა ტიპიური წარმომადგენელია ჩვენი პოეტის ასეთი გლეხებისა. იგი „სიღარიბეს არ უთრთის“, „ებრძვის შავ მიწას დღითიდღე“. მაგრამ ამავე დროს „ცის რისხვას, ბატონის წყრომას ქედმოხრით ემორჩილება“ („თედუა“). გაჭირვების დროს გლეხი ნუგეშისათვის ყოველთვის ღმერთს მიმართავს ხოლმე („ბერუას ჩაფიქრება“ და სხვ.).

ასე გვიხატავს რაფ. ერისთავი გლეხობას გადამეტებულ ბედთან შერიგებულს, დაწყნარებულ-დამშვიდებულს, უპროტესტო ოპტიმისტს, რომელიც არ ფიქრობდა თავის თავზე, არ ახდენდა თავისი მდგომარეობის

*) შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსებს შორის რაფ. ერისთავი ყველაზე უფრო გვევლინება როგორც, რელიგიურ-ქრისტიანულ დოგმათა მიმღები და დამცველი. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად რელიგიურ შეხედულებათა პოეტურ-ლიტერატურული გამოთქმა, რომელიც მოცემულია რაფ. ერისთავის მრავალ ნაწარმოებში.

ანალიზს. რასაკვირველია, შესაძლებელია გლეხთა ასეთი ტიპები. მაგრამ მხატვრული რეალობა ირრეალობად იქცევა ხოლმე, როდესაც მწერალი მიზნად ისახავს წინასწარ განზრახული მიზნით შეარჩიოს „სახარების“ ტიპები. მასიურად სინამდვილეში გლეხობის ბუნების დამახასიათებელ თვისებას არ წარმოადგენდა ქედმოხრილობა ყველაფრისადმი და ყველასადმი. ბატონყმობის დროსაც და შემდეგაც დიდი ადგილი ეჭირა გლეხობაში აქტიურ პროტესტს, მღელვარებას. იგი არ იყო ყველაფრით კმაყოფილი და ასეთი უსიტყვო მომთმენი. თუ ზოგჯერ ჩვენი გლეხობა სდუმდა, ამის მიზეზი მის შეუგნებლობაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ვხედავთ, რაფ. ერისთავი ცდილობს მიჩქმალოს კლასთა შორის წინააღმდეგობა. იგი წოდებათა თანამშრომლობისთვის იღწვის და უარყოფს გლეხობის აქტიურ-რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობას თავიანთი მჩაგვრელებისა და შემავიწროებლების წინააღმდეგ. აქ მჟღავნდება სწორედ რაფ. ერისთავის შეხედულების არსებითი შინაარსი.

9

როდესაც ვიხილავთ მწერლის მთლიან შემოქმედებას, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ყველა ელემენტს, რომლისაგანაც შედგება მხატვრული „ორგანიზმი“. ერთი რომელიმე რგოლის გამოტოვებით ჩვენ ვარღვევთ მთლიანობას და ამით ხელს ვუშლით საერთოდ შემოქმედების კონონზომიერების გაგებას, ამიტომ, როდესაც ვეხებით რაფ. ერისთავის პოეზიას, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ერისთავს, როგორც იგავარაკების მწერალს.

რაფ. ერისთავმა საგრძნობი მუშაობა ჩაატარა როგორც იგავარაკების მწერალმა. მან სთარგმნა კრილოვის იგავარაკების დიდი ნაწილი და აგრეთვე თვითონაც დაწერა რამდენიმე იგავარაკი.

იგავარაკი დიდაქტიური პოეზიის ჟანრია. მას ახასიათებს თხრობითი ფორმა და სუბიექტური მთლიანობა. იგავარაკი ყოველთვის გაგებულ უნდა იქნას როგორც ალეგორია განსაზღვრული ყოფაცხოვრებითი და ზნეობითი წესების მიმართ *). იგავარაკს ყოველთვის ახასიათებს „გადაკვრითი“ თქმა ან სემანტიური „ორპლანობა“. აღწერილ მოვლენას აქვს მნიშვნელობა არა თავისთავად, არამედ იგი სიმბოლოს წარმოადგენს.

იგავარაკი ალეგორიული თხრობის სხვა ფორმებიდან განირჩევა მოქმედების ერთიანობით და ამბის მოყოლის სიმჭიდროვით, იგი ვერ ითმენს

*) რაფ. ერისთავს ასე აქვს წარმოდგენილი იგავარაკების დანიშნულება: „მნიშვნელობა იგავარაკისა არის დევნა ბოროტმოქმედებისა და გასწორება ადამიანის მრუდი და უსაქციელო ზნეობისა“ (იხ. „იგავარაკნი“ კრილოვისა, გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული რუსულიდან ქართულად და გალექსილი რაფ. ერისთავისაგან. 1878 წ. წინასიტყვაობა; ანდა: „იგავარაკნი კრილოვისაგან და „სიბრძნე-სიცრუიდან“, გალექსილი რაფ. ერისთავისაგან 1881 წ. წინასიტყვაობა).

დეტალურ დახასიათებებს და სხვა ელემენტებს არათხრობითი ხასიათისა, რომლებიც „ამძიმებენ“ ფაბულის განვითარებას. ჩვეულებრივად ეგავარაკი შეიცავს ორ ნაწილს: 1) თხრობას განსაზღვრულ ამბავზე, რომლის განზოგადოებული წარმოდგენაც ადვილია, და 2)—ზნეობითი სწავლება, რომელიც მიჰყვება მოთხრობის დასასრულს ან წამძღვარებული აქვს დასაწყისში.

ასეთია იგავარაკების საერთო ხასიათი. შეიძლება ითქვას, რომ იგავარაკების წერა ძალზე ძნელია. სწორედ ამ გარემოების შედეგია, რომ თითებზე ჩამოსათვლელია მსოფლიო მნიშვნელობის იგავარაკების მწერლები. ასეთ პირობებში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება რაფ. ერისთავის მიერ ჩატარებულ მუშაობას ამ დარგში. აღსანიშნავია, რომ ამას კარგად გრძნობდენ თვით მისი თანამედროვენიც. კ. ბოროზდინი თავის მოგონებაში რაფ. ერისთავის შესახებ წერს, რომ მან „თავის თანამემამულეთა ჭეშმარიტი სამსახური გაუწია იმით, რომ ქართულად თარგმნა კრილოვის იგავარაკები ხალხისათვის მეტისმეტად გასაგები და დედანთან დაახლოებული ენით“ *). ა. ხახანაშვილი იგავარაკების თარგმანს შესრულებულს რაფ. ერისთავის მიერ შედევრს უწოდებს **).

შეიძლება ბოროზდინს და ხახანაშვილს ყველაფერში არ დავეთანხმოთ. მათ შეხედულებებში ძალზე გადაჭარბება დავინახოთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ ისინი სწორად გადმოგვცემენ რაფ. ერისთავის მიერ პოეზიის ამ ურთულეს დარგში ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობის ხასიათს.

ის, რომ რაფ. ერისთავმა სწორედ კრილოვის იგავარაკები თარგმნა, არ იყო შემთხვევითი. აქ გარკვეულ კლასობრივ მიდგომასთან გვაქვს საქმე. კრილოვი, როგორც რაფ. ერისთავი, თავის შემოქმედებით გამოხატავდა მსახური არისტოკრატიის ფსიქო-იდეოლოგიას. კრილოვის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ფეოდალური წყობილების საზოგადოებრივი ცხოვრების „სუსტ“ მხარეთა ზოგიერთ ნაკლთა „გადაკვრით“ გამომზეურებასა და „გაკრიტიკებას“.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკ. ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ინტერესი იყო კრილოვის იგავარაკებისადმი. მისი თარგმნები მოგვცეს ალ. ჭავჭავაძემ, ალ. ორბელიანმა, გრ. ორბელიანმა, ა. ფურცელაძემ, დ. მგალობელოვმა, კ. აკოპოვმა, ივ. კერესელიძემ, მიხ. ბებუთოვმა და შემდეგ აკაკიმ. ასე რომ რაფ. ერისთავის ამ დარგში მუშაობისათვის ერთგვარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე ჩატარებული იყო.

---

*) იხ. კ. ბოროზდინი „სამეგრელო და სვანეთი“ (1854—1861) სახელგამი, 1934 წ. გვ. 95.

**) იხ. А. Хаханов—„Очерки по истории грузинской словесности“. ნაწ 4, გვ. 202.

რაფ. ერისთავმა თარგმნა კრილოვის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი და ცნობილი იგავარაკები: „გლეხკაცი და მელა“, „სანადრეები“, „მგელი და მელა“, „ყვავი და მელა“, „ღორი“, „მელა და ყურძენი“, „ბაიჭინა და ჭიანჭველა“, „ვირი და ბულბული“, „გედი, კიბო და თევზი“, „მაიმუნი და სარკე“, „მაიმუნი და სათვალეები“ და სხვ.

როგორი სახით გადმოქონდა რაფ. ერისთავს ქართულ ენაზე კრილოვის იგავარაკები? იგი უმეტეს შემთხვევაში „თავისუფლათ“ ეპყრობოდა კრილოვს, მის იგავარაკებს ქართულ იერს აძლევდა, შექონდა მასში ქართული სახეები და მოქმედება გადმოქონდა საქართველოს ნიადაგზე*).

ასეთი პოეტური ექსპერიმენტის შედეგი ხშირად არ იყო სახარბიელო. ამ გარემოებაზე მიუთითებდენ თვით რაფ. ერისთავის სიცოცხლეშივე, როდესაც მან გამოსცა იგავარაკების კრებული. დამახასიათებელია ამ მხრით ი. გოგებაშვილის საფუძვლიანი მოსაზრებანი. აი რას წერდა იგი: „ერთს უმთავრესს ღირსებას კრილოვის იგავარაკებისას შეადგენს მოკლედ და მარჯვედ გამოხატულება აზრისა. მთელი იგავარაკი ისეა შეკუმშული, რომ მეტ სიტყვას ერთსაც ვერ იპოვნით, თავიდან ბოლომდე რომ ბევრიცა სძებნოთ. მარჯვედ გამოხატვა აზრისა, მოკლედ მოჭრა სიტყვისა და მარილიანობა გამოთქმულებისა თანდათან მატულობს კრილოვის ყოველ იგავარაკში და ბოლოს თავდება იმისთანა მარჯვე, მოსხვრეპილი და შეკუმშული ლექსით, რომ ბევრი ამ ლექსთაგანი რუსეთში სახალხო ანდაზად გადაიქცა. სამწუხაროდ, თ. რაფიელის თარგმანში კრილოვის იგავარაკებს ეს ღირსება მეტ-ნაკლებობით დაუკარგავთ. თარგმანი ხშირად ბევრით გრძელია დედანზე. კრილოვის ერთი მუხლის გადმოსაცემად ხშირად ჩვენი მთარგმნელი ხმარობს ორს, სამს და ოთხს მუხლს და მოკლე სიტყვა გრძელად გამოყავს. დედანში ბოლო თითქმის ყოველთვის უკეთესია დასაწყისზე, თარგმანში კი ხშირად მშვენივრად არის დაწყობილი, მაგრამ რამდენიც ქვევით მიდიხართ, იმდენი უფრო სუსტდება გამოხატულება, მარილი აკლდება, კილო ძირს ეშვება და დასასრული იგავარაკისა მოგაგონებთ სწორედ ნაბოლარასა. ვერც ერთ თარგმანში ვერ იპოვით იმისთანა მოკლე და მარჯვე გამოხატულებას, რომელიც საანდაზო იყოს“*). ამ მძაფრ კრიტიკაში ბევრი სიმართლეა.

*) თვით რაფ. ერისთავი ამის შესახებ წერს: „მქონდა რა სახეში განსვენებულის ი. კრილოვისაგან შეკრებილნი საუკეთესო იგავარაკები ეზოპოსისა, ლაფონტენისა და სხვა ფილოსოფოსთა და ჩინებულად გალექსილნი მისგან რუსულ ენაზე, აგრეთვე მრავალნი, ესე გვარნი, მისგანვე შეთხზულნი,—ვისარგებლე ამით და გამოვკრიბე მათგან ორმოცი, ისეთი იგავარაკი, რომლებიც უფრო დაუახლოვდებოდენ ჩვენის ხალხის ნაკლოვანების სურათებს და უფრო გამოიხატებოდენ ქართულს ენაზე, მჭევრადა და მდაბიოდ. ზოგი მათგანი გადავთარგმნე და ზოგი გადავაკეთე (იხ. „იგავარაკნი“ კრილოვისა, გადმოთარგმნილი და გადაკეთებულნი რუსულიდგან ქართულად და გალექსილნი რაფ. ერისთავისაგან“. 1878 წ. წინასიტყვაობა).

*) ი. გოგებაშვილი: „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“ ტომი 1, გვ. 91.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, იგავარაკი შემოქმედების ურთულესი ჟანრია. გამეორება და მრავალსიტყვაობა სრულებით არ შეშვენის მას. ამასთან იგავარაკის ყოველი წინადადება უნდა იყოს გამართული, მკაფიო. მოიგავე პირდაპირ უნდა შეუდგეს თავის საგანს, მოგვითხრობდეს ამბავს ცოცხლად და მოკლედ. რაფ. ერისთავის თარგმნილ იგავარაკებში ბევრი იმისთანა სიტყვა და წინადადებაა ჩართული, რომლებიც სრულებით ზედმეტია. ეს მეტი სიტყვები არც აზრს უმატებენ და არც სურათის გარკვეულობას უწყობს ხელს. ეს მხოლოდ აზრებისა და წინადადების გამეორება და გადათქმა არის (იხ. „მეფე და მხატვარი", „მგელი და მელა", „ყვავი და მელა", „მგელი და კრავი" და სხვ.).

რაფ. ერისთავს თავისი მუშაობა არ შემოუფარგლავს მარტო კრილოვის იგავარაკების თარგმანით. ჯერ უფრო კიდევ ადრეც, სანამ გამოაქვეყნებდა კრილოვის იგავარაკების თარგმნებს, მას უკვე დაწერილი ჰქონდა საკუთარი იგავარაკებიც: „ყადის ჯორი" (1857 წ.), „ბუზები" (1857 წ.), „მომკალი და კელა" (1871 წ.), „დათვი და ცხვრები" (1871 წ.). აღნიშნული იგავარაკები არ არიან მოკლებული მთლიანობას, შინაარსის გარკვეულობას, სიმახვილეს და მხატვრულობას. ამ იგავარაკებში რაფ. ერისთავი გამოდის თავისი დროინდელი ცხოვრების ზოგიერთ უარყოფითი მხარეთა განმქიქებლის როლში. უფრო მოგვიანებით რაფ. ერისთავმა დაწერა მთელი წყება იგავარაკებისა. ეს იგავარაკებია: „ვირი და მგელი", „ობოლი და მისი დედა", „კუ და მორიელი", „დათვი და გლეხი", „ხარბი ქორი", „ქურდი და მკერვალი", „მეხილე და მწყემსი", „ენა", „მეფე და მხატვარი", „სასწაულმოქმედნი", „მეფე და მისი შვილები", „ორი ძმა", „მეფე და მისი შვილი", „განძისუფალი და მეზვერი", „ზეგნელი" და „ღვინის ძალა".

აღნიშნულ იგავარაკებისათვის რაფ. ერისთავს გამოუყენებია ს ულ ხ ან ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „სიბრძნე-სიცრუის" ზოგიერთი არაკი. ეს არც არის გასაკვირი. იგავარაკების თემატიკის ძირითადი საფუძვლები შედარებით მყარია. იგავარაკების სუჟეტები და მოტივები, რომლებიც ცნობილი იყო ინდოეთსა და საბერძნეთის ლიტერატურულ კრებულებში, შემდეგ მრავალი საუკუნის განმავლობაში მეორდებოდა სხვადასხვა ხალხის ლიტერატურაში. მაგრამ ვითარდებოდა რა იგი განსაზღვრულ ნიადაგზე, როგორც მზამზარეული ჟანრი, მასში მძაფრდებოდა და პირველ პლანზე გამოდიოდა ის მხარეები და თვისებები, რაც შესატყვისი იყო ამა თუ იმ სოციალური წრისათვის.

„სიბრძნე-სიცრუის" თემატიკაზე დაწერილ იგავარაკებში რაფ. ერისთავი იყენებს ხალხურ თქმებს, ანდაზებსა და სხვ. ეს უკანასკნელი კი მეტ სიცხოველესა და ეფექტს აძლევენ მის იგავარაკებს. თითოეული მათგანი მხატვრული მინიატურის სახეს ღებულობს. ამ იგავარაკებში ფაბულა არ წარმოადგენს შიშველ ალეგორიას, რომლის დანიშნულებაა იყოს იგავარაკის მორალის მხოლოდ ილუსტრაცია. მას ამავე დროს თავისთავად მხატვრული

მთლიანობის მნიშვნელობაც აქვს. ამ იგავარაკებში ადამიანები და ცხოველები თავიანთი გვაროვნული და ინდივიდუალური თვისებებითა და ნიშნებით მოქმედებენ, როგორც თვით ცხოვრებაში.

ეროვნული

თავის ორიგინალურ იგავარაკებში რაფ. ერისთავი გამოსცემს ქართული სინამდვილის საჭირბოროტო საკითხებს: ამხელდა უსაქმურობაში გადავარდნილ, მაგრამ სხვისი ნაამაგევის მიმსაკუთრებელ ახალგაზრდებს („ბუზები"), ევროპული ცხოვრების ყალბ ბიმბაძველებს („ყადის ჯორი") და სხვ.

მიუხედავად ზოგიერთი სუსტი მხარეებისა, უნდა ვაღიაროთ, რომ რაფ. ერისთავს, როგორც იგავარაკების მწერალს, სულხან საბა ორბელიანისა და აკაკის შემდეგ მაინც საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში.

10

რაფ. ერისთავის პოეზიაში საგრძნობი ადგილი აქვს დათმობილი პატრიოტულ მოტივს. ამ მოტივის გამომხატველი ნაწარმოებებია: „დედა-ენა", „სამშობლო ხევსურისა", „ნეტა რას სტირი, დედილო", „რაზე მიწყრები, ყეენო?" და „ასპინძის ომი". ამავე მოტივს დიდი ადგილი აქვს დათმობილი „თამარიანშიაც".

ეროვნულ-პატრიოტული პრობლემებიდან რაფ. ერისთავი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ქართველთა ეროვნული მეობისა და დედა-ენის შენარჩუნების აუცილებლობას.

ლექსში „დედა-ენა" რაფ. ერისთავი ბუნების კანონით ასაბუთებს სამშობლო ენის უფლებას, როგორც ფრინველთათვის და ცხოველთათვის ისე ადამიანებისათვისაც ბუნებას სხვადასხვა ენა შეუქმნია. ყველა თავისებურად ხატავს თავის გრძნობასა და აზრს. პოეტი ხაზს უსვამს თავის სიყვარულს დედაენისადმი:

მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,
რომლითაც „ნანას" მეტყოდა ისა,
ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,
ჩემი ტოლების მღერა-ყღივილსა!
ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს მე დედაენა.

ეს სიყვარული დედაენისადმი ორგანულად არის შესული რაფ. ერისთავის მთელ შემეცნებასა და საზოგადოებრივ შეხედულებებში. დამახასიათებელია ამ მხრით მისი გამოუქვეყნებელი წერილი: „პასუხი მიწერილი ერთს სასულიერო გვამთან", რომელიც დაწერილია 1872 წ. ამ წერილში რაფ. ერისთავი აცხადებს, რომ „ენა კაცისათვის და მეტადრე ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის: ამაზე მომეტებული დაფასება ენის მნიშვნელობისა, მგონი, არ იქნება".

რაფ. ერისთავის პატრიოტული შეხედულებების დამახასიათებელი ნაწარმოებია „სამშობლო ხევსურისა“. ამ ლექსს თავის დროზე საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა. სწორედ ეს ლექსი გაიხადეს ნაციონალისტურად განწყობილმა ფენებმა თავის „სახარებად“. ხევსურს უსაზღვროდ უყვარს სამშობლო, მაგრამ იგი სამშობლოდ მხოლოდ თავის სალკლდიან კუთხეს — ხევსურეთს სახავდა. ხევსურის წარმოდგენა სამშობლოზე მეტად პრიმიტიული იყო. მისი აზროვნებოდა ვერ გაშორებოდა პატრიარქალურ კარჩაკეტილობასა და მთის პარტიკულიარიზმს.

რაფ. ერისთავის მთელ რიგ ლექსებში („ნეტა რას სტირი, დედილო“, „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო“, „რაზე მიწყრები ყეენო?“ და სხვ.) ვხვდებით ქართველთა წარსული გმირობის და სამშობლოსათვის თავდადების იდეალიზაციას.

ერთა შორის მტრობას ეხება რაფ. ერისთავის ლექსი „მოძმეთადმი“. ამ ბრძოლის საფუძვლად ერებს შორის მას მიაჩნია რელიგიური სხვადასხვაობა. აქედანაა მისი მტრული დამოკიდებულება არაქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელთადმი.

რაფ. ერისთავის პატრიოტულ ლექსებში საერთოდ საგრძნობი იყო ნაციონალისტური „ნოტებიც“.

11

ქართული საბავშო ლიტერატურის განვითარებაში რაფ. ერისთავს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. მართალია, რაოდენობის მხრივ მას ბავშებისათვის არც ისე ბევრი ლექსი აქვს დაწერილი, მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს ჩაითვალოს ერთერთ სანიმუშო ოსტატად საბავშვო ლიტერატურაში.

აღსანიშნავია, რომ საბავშვო ლექსების უმეტესობა რაფ. ერისთავს თარგმნილი ან გადმოკეთებული აქვს რუს და უცხოელ პოეტთა შემოქმედებიდან („მიპატიჟება სასწავლებელში“, ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „დედა და შვილები“, „ჩიტი“, „მებადური და ოქროს თევზი“, „ნანა“, „შვიდნი ვართ“, „ყვავილების სიმღერა“ და სხვ.). მაგრამ იმდენი სიახლე, სიცხოველე და პოეტური დამოკიდებულება აქვს შეტანილი ამ ლექსებში, რომ ხშირად ეს ლექსები გაცილებით უფრო ძლიერი და უკეთესია, ვიდრე მათი პირველწყარო.

რაფ. ერისთავის საბავშვო ლექსებს უაღრესი ბუნებრივობა, თანმიმდევრობა და უშუალობა ახასიათებს, აქ ვერ შეხვდებით რაიმე ნაძალადევობასა და ხელოვნურობას. ამ ლექსებს მთელი სისრულითა და მრავალფეროვანებით ითვისებს ბავშვი, მის შემეცნებაში ლექსის კითხვის დროს არ რჩება „ცარიელი“ ადგილი. ეს მოვლენა პოეტის უდიდეს ღირსებაზე ლაპარაკობს. ამ ღირსებით ბევრ დიდ პოეტსაც არ შეუძლია დაიკვეხნოს, რომელთაც კი ბავშვებისთვის უწერიათ.

რაფ. ერისთავის ორიგინალურ საბავშვო ლექსებს თუ ავიღებთ, („ზამთარი“, „მერცხალი“ და სხვ.), აქაც ბავშვის სამყაროს იშვიათ ცოდნათესთან გვაქვს საქმე. ცოცხალი ხალხური ენა, რომელთაც პოეტი ელაპარაკება ნორჩ თაობას, სრულყოფილ პოეტურ სახეს ატარებს.

მაგრამ შეცდომა იქნება არ აღვნიშნოთ რაფ. ერისთავის საბავშვო ლექსების უარყოფითი მხარეც. ეს შეეხება ორიგინალური და თარგმნილი ლექსის შინაარსს. მთელ რიგ ლექსებში რაფ. ერისთავი ცდილობდა ბავშვებში განევითარებია რელიგიური გრძნობები („ბზობა“, „აღდგომა“, „დედა და შვილები“ და სხვ.). ეს გარემოება, რასაკვირველია, საგრძნობლად ანელებს რაფ. ერისთავის საბავშვო ლექსების მნიშვნელობას თანამედროვე ნორჩი თაობის აღზრდის საქმეში.

12

ცოცხალი და ნამდვილი ხალხური ენა შეადგენს რაფ. ერისთავის პოეტურ ნაწარმოებების უპირველეს ღირსებას. მეორე პერიოდში რაფ. ერისთავმა თავის ლექსებში ბევრი ნამდვილი გლეხური სიტყვა და გამოთქმები შეიტანა და სალიტერატურო ენასაც მიაღებინა. პოეტი შეგნებულად გვერდს უხვევდა ფრაზის ჩამოყალიბებისას ყოველგვარ სირთულეს, იბრძოდა სისადავისათვის.

რაფ. ერისთავის პოეტური ნაწარმოებების უმრავლესობა შაირის ზომით არის დაწერილი. მის ლექსებს სახეების მოკვეთილობა და გარკვეულობა, სისადავე და გამოსახვის სიძლიერე აახლოებს ხალხურ შემოქმედებასთან. მაგრამ აქვეა მოცემული ის ძირითადი პრინციპული განსხვავება, რომელიც არსებობს რაფ. ერისთავის ინდივიდუალურ მუზასა და ხალხურ შემოქმედებას შორის. ხალხური შემოქმედება, სწორედ იმიტომ, რომ იგი კოლექტიურია, ხალხის ცხოვრებას გვიხასიათებს მთელი თავისი სისრულით — მხიარულებით, მწუხარებით, მძიმე შრომით და სხვ. ცხოვრების რომელ მხარესაც არ უნდა ეხებოდეს ხალხური შემოქმედება, იგი ყოველთვის გვიჩვენებს შეუფერავ სინამდვილეს, რომელშიაც სიცილთან ერთად არის ცრემლიც. კერძოდ მიწათმოქმედთა, გლეხთა ცხოვრებისა და შრომას ხალხური პოეზია გვიჩვენებს ყოველმხრივ და სრულიად. მან იცის გლეხის მხიარულება, მაგრამ არა ნაკლებ ნაცნობია მისთვის გლეხის შრომის უარყოფითი მხარეებიც, რაც გამოწვეული იყო გლეხთა ცხოვრების საერთო პირობებით. რაფ. ერისთავი კი იცნობს გლეხთა ცხოვრების მხოლოდ იდეალიზირებულ სახეს. აქ გლეხთა ყოფის სინამდვილე მეტად ვიწროდ და ცალმხრივად გამოიყურება.

ამასთანავე რაფ. ერისთავის ენას ერთი ნაკლოვანებაც სდევს თან: მან ზედმიწევნით იცოდა არა მარტო ცოცხალი ხალხური ენა, არამედ ძველი, წიგნური ენაც და ხშირად არქაულ სიტყვებსა და გამოთქმებს გამოურევ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ხოლმე ლექსებში იქ, სადაც უნდა ეხმარა ცოცხალი სიტყვები და გამოთქმები.

13

რაფ. ერისთავის შემოქმედებით-პოეტური განვითარების პროგრესიულ ეტაპს წარმოადგენს სინამდვილისადმი განსაზღვრული რეალიზმის მეთოდით მიდგომის პერიოდი. სწორედ მის საფუძველზე გამოამჟღავნა მან თავისი პოეზიის უძლიერესი მხარე და გვიჩვენა გლეხობის კონკრეტული სახეები (ბერუა, თანდილა, სესია, ტეტია, დემეტრე და სხვ.). მაგრამ არ იქნება სწორი, რომ გადაჭარბებით შევაფასოთ ეს პერიოდი. რაფ. ერისთავმა გლეხობაში დაინახა და გამოსახა იმდენათ არა საუკუნოებით დაგროვილი ბოლმა და პროტესტი ექსპლოატატორთა წინააღმღეგ, რამდენადაც პატრიარქალური სიმშვიდე და უმწეობა, ფატალისტური მორჩილება ბუნების ძალებისადმი, მონური თავის დადება ღმერთისა და ბატონისადმი.

რაფ. ერისთავი არ გვიჩვენებს ძლიერ მხარეს გლეხობისა, იმ გლეხობის, რომელიც უკვე იბრძოდა აუტანელი ყვლეფისა და შევიწროების წინააღმდეგ. პოეტი სახავდა რა გლეხობის ტანჯვას, აღფრთოვანებული იყო მის ხასიათში იმ თვისებებით, რომელზედაც დამყარებული იყო ექსპლოატატორთა ბატონობა. ეს თვისებები იყო მორჩილება და სიმშვიდე. გლეხების მთელ რიგ კოლორიტულ ფიგურებში რაფ. ერისთავი აპოეტურებს სწორედ ამ მხარეს.

ამგვარად, რაფ. ერისთავის რეალიზმი იყო ძალზე განსაზღვრული და გამოხატავდა ლიბერალურ-მსახურთა ფენების მისწრაფებებს შეერბილებია კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელიც თანდათან მწვავდებოდა. რაფ. ერისთავის რეალიზმი გამოხატავდა სრულს შერიგებას არსებულ სინამდვილესთან. რაფ. ერისთავის რეალიზმი ბევრს რამეში ჯერ კიდევ უკავშირდება მის ადრინდელ რომანტიზმს. ვიწრო-რეალისტური მისვლა სინამდვილესთან საკმაოდ ნათლად მოჩანს რაფ. ერისთავის ლექსებში.

რაფ. ერისთავი თავის პოეტურ ნაწარმოებებში თანმიმდევრობით ატარებდა „ნატურალური სკოლის“ პრინციპებს მისთვის ნიშნეულ ემპირიზმით, განსაკუთრებული გატაცებით დეტალების ჩვენებისას და აღწერის უაღრეს სიზუსტით.

14

რაფ. ერისთავის შემოქმედება წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ეპოქა, რომელშიც მიმდინარეობდა რაფ. ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობა, იყო სოციალ-ეკონომიურ გარდატეხათა ეპოქა, ეპოქა, როდესაც ინგრეოდა ძველი ბატონყმური ურთიერთობა და ბატონდებოდა კაპიტალიზმი. მიუხედავად ისტორიულ და სოციალურ განსაზღვრულობისა, რაფ. ერისთავს, რომელმაც თავის

შემოქმედებაში ასახა ამ გარდატეხითი ეპოქის დამახასიათებელი ეტაპები, უდავოთ თვალსაჩინო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენთვის რაფ. ერისთავი საყურადღებოა არა მარტო როგორც ისტორიული ძეგლი, არამედ უპირველეს ყოვლისა, როგორც მხატვრული გამოცდილების წყარო.

მხოლოდ სუსტი მხარეების გათვალისწინებით შეიძლება გამოვარკვიოთ რაფ. ერისთავის შემოქმედების ობიექტური საზღვრები და პროლეტარიატის ინტერესების სასარგებლოდ კრიტიკულად გამოვიყენოთ ამ მნიშვნელოვანი შემომქმედის ძლიერი და დადებითი მხარეები.

მოხსენება, წაკითხული შ. რუსთაველის
სახ. ენისა და ლიტერატურის საკვლევ ინსტიტუტში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ნადირაძე

პარადოქსი აქტიორის შესახებ

სათეატრო ხელოვნება ყოველთვის გრძნობდა აქტიორული სახიერების პრობლემასა და მისი მეთოდოლოგიური დასაბუთების მნიშვნელობას. ბუნებრივად ისმის საკითხი: რა არის საჭირო იმისათვის, რომ ასეთი პრობლემა საერთოდ წარმოიშვას?

თეატრი რთული სინთეტიური ხელოვნებაა. ავტორი, რეჟისორი და აქტიორი ამ სინთეზის განუყოფელი ელემენტები არიან. მათი შეთანხმებული მუშაობისათვის საჭიროა ერთგვარი საერთო ნიადაგი, რომელსაც უდაოთ დრამატიული ნაწარმოები წარმოადგენს. ტექსტუალური მასალის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია რეჟისორისა და აქტიორის მუშაობა. მაგრამ მთავარი და საგულისხმიერო ის არის, რომ სათეატრო მუშაობის პროცესში არცერთი მათგანი არ აკეთებს მექანიკურ საქმეს. რეჟისორი მარტო მთარგმნელი არ არის ავტორის იდეებისა და არც აქტიორია უბრალო საყვირი ავტორისა და რეჟისორის ხელში. სამივენი შემოქმედების მაღალ პრინციპებს ემსახურებიან და ამდენად ერთი მეორის მიმართ ერთგვარ თავისუფლებას გრძნობენ.

მოკლედ და მკაფიოდ გამოხატა ეს პრინციპი ფრანგული მატერიალიზმის ნიჭიერმა მესიტყვემ დენი დიდრომ: არსებობს სამი სახე: ადამიანი ბუნებრივი, ადამიანი შექმნილი პოეტის მიერ და ადამიანი შექმნილი აქტიორის მიერ.

სათეატრო ხელოვნებაში აქტიორი ისეთივე შემომქმედია, როგორც ავტორი. აქ იგივე პროცესია, ხშირად უფრო რთული და მტკივნეული. როდესაც მსახიობი ცდილობს ავტორის იდეების გაცოცხლებას, მას მექანიკური ამოცანა როდი აქვს გადასაწყვეტი. როცა საფრანგეთის ცნობილმა მსახიობმა დიუმენილმა ვოლტერის დრამის ერთერთი პერსონაჟი განასახიერა, „ფერნეის პატრიარქმა“ აღიარა: „მე არ შემიქმნია ეს პიესა, იგი ქ-ნმა დიუმენილმა შექმნაო“. რით აიხსნება ეს? უეჭველია კონკრეტული სინამდვილის მრავალფეროვანობით და სიმდიდრით; უეჭველია იმით, რომ ათასი მსგავსი ადამიანი მაინც ათასი პიროვნებაა, ყოველგვარი გრძნობა ათასნაირად განიცდება და გამოითქმის. როდესაც ავტორი ჰქმნის ამა თუ იმ სახეს, მას მათემატიკურად კი არა აქვს გამოზომილი მისი ყოფაქცევა. ტიპი ერთია, მაგრამ მისი განსახიერების დეტალები უამრავი. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სიმფონიურ ორკესტრში. ბეთხოვენისა თუ ვაგნერის

შემოქმედება დირიჟორმა უნდა გახსნას და მუსიკალურად გაწრთვნილი ადამიანისათვის ყოველთვის ცხადია, რომ ორი დირიჟორის ხელში ერთი და იგივე სიმფონია არასოდეს ერთნაირად არ სრულდება.

მაშასადამე აქტიორული სახიერების პრობლემის შესაძლებლობისათვის სრულიად გარკვეული აზრი უნდა მივიღოთ: აქტიორი შემომქმედია და ავტორის იდეების ინტერპრეტატორი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასცენო სახიერება მექანიკური საქმე იქნებოდა და მისი პრობლემურობა უთუოდ საეჭვო.

საბერძნეთისა და რომის სათეატრო ხელოვნება ძალიან კარგად იცნობდა იმ მარტივ პრინციპულ მოსაზრებას, რომ აქტიორის სცენიური სახიერება არ წარმოადგენს ერთზომიერ მათემატიკურ ერთეულს, რომელიც ყველა აქტიორმა უნდა მოსძებნოს. არსებობს ერთი დრამატიული სახიერება, რომელიც ნავარაუდევი აქვს ავტორს თავის ნაწარმოებში და მრავალფეროვანი სცენიური სახიერება, რომელსაც აქტიორი იძლევა უშუალო შემოქმედებით.

არისტოტელეს, ციცერონის და კვინტილიანის ნაწერები სრულ საშუალებას გვაძლევენ ამ საკითხზე ვიქონიოთ არა მარტო სავარაუდო ორიენტაცია, არამედ გარკვეული შეხედულებაც. საბერძნეთიდან რომამდე ევოლუცია განიცადეს, როგორც დრამატიული შემოქმედების, ისე აქტიორული სახიერების პრინციპებმა. ესქილის სკოლის ერთერთი მსახიობის — მინისკაოსის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის არისტოტელე თავის „პოეტიკაში“.

მინისკაოსმა „მაიმუნად“ მონათლა ახალი სკოლის მსახიობი კალიპიდასი. იგი ამ ტერმინით, გ. ემიხენის აზრით, გულისხმობდა იმ მიმბაძველობით მიმიკას, რომელზედაც კვინტილიანი სწერს: აქტიორები, რომელნიც წარმოგვიდგენდენ სიდარბაისლეს, ჩვეულებრივ გაურბოდენ ამ მიმიკასო. საერთოდ ესქილის სკოლამ აქტიორულ სახიერებაში განამტკიცა დიადი უბრალოება და ზომიერება.

თეატრის შემდგომი განვითარება ახალ პრინციპებს ადგენს. სოფოკლემ თავისი პრინციპები დაუპირისპირა ესქილის სკოლას. ხელოვნების განვითარებამ შემდგომ საფეხურებზე ეს პრინციპებიც შესცვალა და სასცენო ხელოვნებას სახიერების ახალი პრინციპები შესძინა. ეს გზა დაუსრულებელი იყო ისტორიულად.

რა თქმა უნდა, დღეს ძნელია და იქნებ შეუძლებელიც ყველა იმ პრინციპების აღდგენა, რომლებიც საფუძვლად ედო ანტიკურ სასცენო ხელოვნებას, ზოგიერთი მათგანი დოკუმენტალურად არის დადგენილი. მაგალითად, ციცერონის გადმოცემით, ანტიკური ბერძნული დრამის სასცენო ხელოვნება მთლიანობის პრინციპზე იყო აგებული: დევტარაგონისტი ან ტრიტაგონისტი ხმას დაუწევდა, რომ პროტაგონისტის სიტყვისათვის მკაფიო გამოსახულება მიეცაო. სამაგიეროდ თეატრის ისტორიას ალბად სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკარგა სხვა პრინციპები და იქნებ სამუდამოთაც (იხ. Г. Эмихен: „Греческий и римский театр“, 1894, 291 — 303).

აღსანიშნავია ის, რომ სათეატრო ხელოვნების ჩასახვის დღიდან წამოიჭრა აქტიორული სახიერების პრობლემა და ადამიანის მაძიებელი აზრი გამუდმებით ცდილობდა მის გადაწყვეტას. ყოველ ეპოქას და ყოველ დრამატიულ ხელოვნებას თავისებურად ესმის ეს პრობლემა.

ჩვენი წერილის მიზანია მკითხველს გავუზიაროთ XVIII საუკუნის უნიჭიერესი ფრანგი მატერიალისტის დენი დიდროს თვალსაზრისის კრიტიკული შეფასება და ამ ისტორიულ ექსკურსზე ვცადოთ ამ საკითხის გაშუქება.

დენი დიდრო ყველაზე საინტერესო ფიგურაა ფრანგ მატერიალისტებს შორის. თანამედროვე მკითხველს აოცებს მისი მრავალმხრივობა და უნივერსალური ინტერესი. არ დარჩენილა ცივილიზაციისა და კულტურის არცერთი საკითხი, რომ იგი დიდროს არ გაეშუქებიოს მატერიალისტური ფილოსოფიის პრინციპებით. ფრანგ მექანისტურ მატერიალისტებს შორის დიდრო ყველაზე ახლო იყო სინამდვილის დიალექტიკურ გაგებასთან. დიდი მოაზროვნე და სტილისტი იმავე დროს დაჯილდოვებული იყო ხელოვანის მაღალი გზნებით. XVIII საუკუნის ფრანგ მატერიალისტებში არცერთს არ გამოუჩენია ასეთი ფაქიზი მხატვრული გემოვნება ხელოვნების დაფასებაში. არც ასეთი უნივერსალური გონება გვხვდება მათ წრეში. დიდრო ერთადერთი მოაზროვნეა, რომელმაც იშვიათი გონებამახვილობით შეაფასა თანამედროვე მხატვრობა. მისი „სალონები“ დღესაც საგულისხმიეროა მხატვრობის საკითხებით დაინტერესებულისათვის.

ნიველ დე ლა შოსესთან ერთად დიდრო ავტორია ახალი დრამატიული ჟანრის, რომელიც კლასიკური ტრაგედიისა და კომედიის გვერდით სათეატრო ხელოვნების საღი მიმართულების სახით დამკვიდრდა. სოციალური განვითარების ისტორიამ ამ მიმართულებას დააკისრა საპატიო როლი გაეწმინდა ფრანგული თეატრი კლასიკური პრეციოზული დრამატურგიისაგან და მესამე წოდების გემოვნება განემტკიცებია. მეტად თვალსაჩინოდ მოგვაგონებს დიდრო „ჰამბურგის დრამატურგიის“ ავტორს. აკი იგრძნო ლესსინგმა დიდროს შემოქმედებაში თავისი ეპოქის სურნელება და გერმანელ ბიურგერს დიდროს დრამებიც მიაწოდა.

უნიჭიერესი დიდრო თეატრის თეორიულ პრობლემებსაც შეეხო. მან დაგვიტოვა შესანიშნავი დიალოგი „Paradoxe sur le comèdien“ (პარადოქსი აქტიორის შესახებ).

როგორც თვითონ სახელწოდებიდან ჩანს, „პარადოქსი აქტიორის შესახებ“ აქტიორული სახიერების პრობლემას ეხება. მაგრამ საკითხის გარჩევისა და არგუმენტაციის პროცესში იგი აყენებს თეატრის მრავალ პრობლემას და თვით აქტიორული სახიერების საკითხსაც შემოქმედების თეორიის პრობლემის ფონზე იხილავს.

შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკითხების განხილვა ბუნებრივად უნდა დაეყრდნოს ინტროსპექციის გზით მოპოებულ მასალას. ულიდესი მნიშვნელობა აქვს თვითონ ხელოვანის ჩვენებას (ავტობიოგრაფიები, მემუარები, დღიურები, კერძო წერილები, სხვადასხვა სახის პირადი დაკვირვებანი — სისტემატიური და შემთხვევითი და სხ.).

დენი დიდროს „პარადოქსი“ ასეთ მასალაზეა აგებული. უნიჭიერესი ფრანგი მატერიალისტი პირადათ იყო დაახლოვებული იმ დროის გამოჩენილ მსახიობებთან, დიდი ყურადღებით აკვირდებოდა მათ შემოქმედებას და ერთ დროს თვითონაც ფიქრობდა გამოსულიყო ფრანგული თეატრის სცენაზე.

1763 წელს პარიზს ეწვია სახელგანთქმული ინგლისელი მსახიობი დავით გარიკი, რომელთანაც დიდად დაახლოვებული ყოფილა დიდრო. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პარიზის თეატრებს და განსაკუთრებით „ფრანგული კომედიის“ თეატრს მრავალი უნიჭიერესი მსახიობი ჰყავდა. „პარადოქსის“ ავტორი ხშირად იმოწმებს ამ სცენის ოსტატებს. განსაკუთრებული სიმპატიით და ნდობით ეპყრობა დიდრო სახელმოხვეჭილ მსახიობ ქალს კლერონს.

„პარადოქსი აქტიორის შესახებ“ დაწერილია დიდროსათვის ჩვეული გონებამახვილობით და იმ დიადი უბრალოებით, რომელიც აღსავსეა სიბრძნით, მაგრამ მოკლებულია დინჯ აკადემიურ ტონს და სისტემას. ასეთი იყო საერთოდ დიდროს სტილი. გენიალური ენციკლოპედისტი ამ არააკადემიურ ტონში ჰპოულობდა იმ უშუალობას, რომელიც გენიოსების ხვედრია და იმ გამჭვირვალე და ნათელ სტრიქონებს, რომლებიც XVIII საუკუნის ფრანგულმა კლასიციზმმა განამტკიცა ფრანგი მოაზროვნის მეტყველებაში. „პარადოქსის“ ავტორი ამ დიადი უბრალოებისათვის ხოტბას ასხამს რომაელებს და ამავე უბრალოებისათვის უსაყვედურებს მეორე გენიალურ ენციკლოპედისტს — ჰელვეციუსს.

ჰელვეციუსის ერთერთი ფილოსოფიური შრომის შესახებ ასეთი სტრიქონები დასწერა დიდრომ: „ეს წიგნი დაწერილია მეთოდიურად და ეს არის მისი ერთერთი მთავარი ნაკლი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეთოდიურობა, როდესაც იგი თვალში გცემს, მკითხველში გულცივობას იწვევს, იგი ნელია და მძიმე; მეორე იმიტომ, რომ იგი მთელს შინაარსს ართმევს თავისუფლებისა და გენიალობის სურნელებას; მესამე იმიტომ, რომ მას აქვს არგუმენტაციის სახე; მეოთხე — და ეს განსაკუთრებით ეხება განსახილველ ნაწარმოებს — იმიტომ, რომ დამტკიცების დროს არაფერი არ მოითხოვს ნაკლებ აფექტიურობას, ნაკლებ ხმაურს, მეტ მოკრძალებას ისე, როგორც პარადოქსი. პარადოქსალურმა ავტორმა არასოდეს არ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, არამედ მან ყოველთვის წინ უნდა დააყენოს თავისი დასაბუთებანი: იგი მალვით უნდა შეიჭრას თავისი მკითხველის სულში და არა ძალით... გარდა ამისა, ხაზგასმული მეთოდიურობა ჰგავს იმ ხარაჩოებს,

რომლებიც დასტოვეს მას შემდეგ, რაც შენობა უკვე ააგეს. ეს ისეთი ნივთია, რომელიც საჭიროა მუშაობისათვის, მაგრამ ის ადარ უნდა — ჩანდეს მას შემდეგ, რაც დამთავრდა სამუშაო. მეთოდიურობა [illegible] მშვიდსა და თავდაჭერილ გონებას. გამომგონებელი გონება ღელავს, მოძრაობს, უწესრიგოდ დაფორიაქობს, — იგი ეძიებს; მეთოდიური გონება ანაწილებს და აწესრიგებს ყველაფერს, რადგან გულისხმობს, რომ ყველაფერი უკვე ნაპოვნია" („Размышления по поводу книги Гельвеция „об Уме", избр. соч., II, 11).

ეს ამონაწერი შესანიშნავი ავტობიოგრაფიაა დენი დიდროსი და მისი „პარადოქსის" პროგრამა.

ვნახოთ ეს პარადოქსული აზრი.

„უკიდურესი გრძნობიერება ჰქმნის საშუალო ნიჭის აქტიორებს, საშუალო გრძნობიერება ჰქმნის ცუდი აქტიორების ბრბოს და მხოლოდ სრული არაგრძნობიერება ჰქმნის შესანიშნავ აქტიორებს". ასეთია „პარადოქსი" (იხ. Парадокс", II). მაგრამ ეს როდი ითქმის მარტო აქტიორზე. დიდროს შეხედულებით ეს არის უნივერსალური პრინციპი, რომელიც თანაბრად სავალდებულოა ყოველი ხელოვანისათვის. „რატომ უნდა განსხვავდებოდეს აქტიორი პოეტის, მხატვრის, ორატორის, მუსიკოსისაგან?" ნაწარმოების დამახასიათებელი ნიშნები თავს იჩენენ „მშვიდსა და ცივ წუთებში, სრულიად მოულოდნელ მომენტებში".

„უდიდესი პოეტები, უდიდესი აქტიორები, შესაძლოა საერთოდ ბუნების ყველა უდიდესი იმიტატორები, ვინც არ უნდა იყვნენ, დაჯილდოვებულნი არიან მდიდარი ფანტაზიით, ფართო აზრით, ფაქიზი ტაქტით და მეტად უტყუარი გემოვნებით, — ისინი ყველაზე ნაკლებ გრძნობიერი ადამიანები არიან (8).

დიდროს შეხედულებისათვის შეგვეძლო ინტელექტუალისტური თეორია გვეწოდებია. შემოქმედების პროცესი წმინდა გონებრივი ოპერაცია არის. გრძნობა სრულიად ზედმეტი სამკაულია. ჭეშმარიტ ხელოვანს და კერძოდ აქტიორს ასეთი რამ არ გააჩნიათ. გრძნობა საშუალო ნიჭის თანამგზავრია, გენიოსი შემომქმედის სულში მას ადგილი არა აქვს განკუთვნილი. „განა მეგობრის ან სატრფოს დაკარგვის შემდეგ უმალვე დაიწყებდით თქვენ პოემის შეთხზვას მათი გარდაცვალების გამო? არა. ვაი იმას, ვინც ასეთ წუთში ისარგებლებს თავისი ნიჭით! მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე გადიყარა ძლიერი სევდა, როდესაც დაჩლუნგდა გრძნობათა უკიდურესი სიმწვავე, კატასტროფა გადავიდა შორეულ წარსულში, სულმა დაიბრუნა სიმშვიდე, მაშინ შეიძლება გაიხსენოთ ჩამქრალი ბედნიერება, მაშინ შეიძლება დააფასოთ დანაკარგი... მხოლოდ მაშინ გეურჩება თავი და ლაპარაკობ კარგად"... არ ტირიან, როდესაც ეძებენ ძლიერ ეპიტეტს ან ცდილობენ ჰარმონიულობა შესძინონ ლექსს. „არის მძლავრი სიხარული და ღრმა სევდა. ასეთი სიხარული და ასეთი სევდა უტყვია".

შემოქმედების ინტელექტუალისტურ თეორიას საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს თვითონ ხელოვნებათა წრეშიაც. ექსპერიმენტული რომანის ავტორი ემილ ზოლა მწერლისაგან მოითხოვს გამჭრიახ თვალს და საღი აზროვნების უნარს. ამერიკელი პოეტი ედგარ პოე თავის Newermor-ის შესახებ სწერდა: არცერთი პუნქტი არ წარმოადგენს შემთხვევის ან ინტუიციის შედეგს. ეს ნაწარმოები შეიქმნა თანდათანობით, მან თავის დამთავრებულობას მათემატიკური პრობლემის სიზუსტით და სასტიკი თანამიმდევრობით მიაღწიაო. ინტელექტუალისტების აზრით, შემოქმედება თავიდან ბოლომდე გონების წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტაა. ხელოვანი „აკეთებს“ ნივთებს და „გაკეთებისათვის“ ღვთაებრივი ემანაცია კი არ არის საჭირო, არამედ გაწვრთნილი ხელი და საღი აზროვნება.

და მართლაც, შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ ხელოვანი ინტელექტუალური მუშაობის გარეშე? შემოქმედებას წინ უსწრებს შემეცნებითი მუშაობა, რომლის ფარგლები ხშირად განსაცვიფრებლად ფართოა და ღრმა. შემოქმედების მომენტში ხელოვანის ინტელექტი დიდი ინტენსივობით მუშაობს. მოხდენილი ეპიტეტის მონახვა მარტო მხატვრულ გემოვნებას კი არ გულისხმობს, არამედ მარჯვე დაკვირვების უნარს და ამტან მეხსიერებასაც. აზროვნება შემოქმედების აუცილებელი თანამონაწილეა. ხელოვანისთვის საჭიროა ცოდნა, დაკვირვება და გამოცდილება. ამაზე ამბობდა დიდრო: „მე მუდამ ვხედავ, რომ მათ მუხლზე უბის წიგნი უდევთ და ხელში ფანქარი უკავიათო.

ჩვენ ქვევით კიდევ დავუბრუნდებით ამ საკითხს. მაშინ ვნახავთ რამდენად მართებული დასკვნა გააკეთა დიდრომ ამ დებულებიდან ე. ი. რამდენად სწორია მთელი შემოქმედებითი პროცესის გადაქცევა ინტელექტუალურ პროცესად.

ბუნებრივად ისმის საკითხი: თუ აქტიორი მოკლებულია გრძნობიერებას, მაშინ როგორ უნდა განასახიერეროს მან სცენაზე თვითონ გრძნობა, როგორ უნდა გადმოგვცეს მან განრისხება, მწუხარება, აღფრთოვანება ან ფაქიზი ტრფიალების განცდა. თუ ცივი ინტელექტუალური გარინდება ადვილად დაემორჩილება არაგრძნობიერ მსახიობს, ხომ არ შეიძლება გაუხარელი გახარება, აუღელვებელი აღელვება ან მშვიდათ განრისხება.

დიდრო გვიპასუხებს, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. ჩვენ შევეცდებით სისტემაში მოვიყვანოთ დიდროს არგუმენტაცია.

ხელოვნებას ასაზრდოებს სინამდვილე. ეს არის დიდროს ესთეტიკის გამოსავალი წერტილი. მაგრამ ხელოვნება სინამდვილის დაგეროტიპული ასახვა როდია. ხელოვანი არასოდეს არ იღებს სინამდვილიდან „შეუფერავ“ სახეებს. მოლიერის „ძუნწსა და ტარტიუფში“ განსახიერებულნი არიან მთელი ქვეყნის ყველა ტუანარები და ყველა გრიზელები*. აქ გამოსახულია

* დიდროს თანამედროვე მოქალაქენი. ტუანარი — თვალსაჩინო სახელმწიფო მოხელე იყო. გრიზელი — პარიზის ეკლესიის მსახური.

მათი ყველაზე ზოგადი და ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები; მაგრამ ეს არ არის არცერთი მათგანის პორტრეტი და ამიტომ არავის არ შეუძლია თავისი თავი გამოიცნოს მათ სახეში". ამ პრინციპის საფუძველზე ადვილია ანსხვავებს სატირას კომედიისაგან. პირველის ობიექტია ესათუ ის ტარტიუფი, მეორის ობიექტია ტარტიუფი საერთოდ. „ქვეყანაზედ რომ მხოლოდ ერთი და ორი პრანჭია არსებობდეს, აქედან შესაძლებელი იქნებოდა სატირის გაკეთება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კომედიისაო".

თუ ხელოვნების ობიექტი არის ტიპიური სახე, როგორ უნდა განასახიეროს იგი აქტიორმა?

ხელოვნებაში ცნობილია შემოქმედების მეთოდი, რომელსაც ტრავესტი ეწოდება. ხშირად ხელოვანი შექმნილ სახეებში იძლევა საკუთარი იდეების, განცდების და მისწრაფებების ინკარნაციას. ასეთი სუბიექტივისტური მეთოდი ზოგჯერ ხელოვანის მთელ შემოქმედებაში მეღავნდება. მაგალითად, ლიტერატურის ისტორიკოსები ლორდ ბაირონის ტიპებში უმეტესად ხედავენ ისევ ბაირონს, რომელიც მხოლოდ ტანისამოსს იცვლის (travesti—ტანისამოსის გამოცვლა). შპილგაგენმა თავის წიგნში „Beiträge zur Theorie und Technik Romans" (1883 წ.) ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ თანამედროვე რომანში (ლაპარაკია XIX საუკუნის ბურჟუაზიულ რომანზე) ცენტრალურ პიროვნებას წარმოადგენს ან ავტორი ან მისი მონათესავე პიროვნება. შპილგაგენი სწერს: „...ჰომერის ობიექტურ და უპიროვნო ეპოქასთან შედარებით თანამედროვე რომანი სუბიექტურია და არის „ein Jch — Roman". შერერი ცდილობდა გოეთეს შემოქმედებაზე შეემოწმებია მისივე სიტყვები: „ყველა ჩემი ნაწერები ჩემი ცხოვრების უდიდესი აღსარების ნაწყვეტებია მხოლოდ".

შპილგაგენის აზრი ბურჟუაზიული მწერლობის გარკვეულ მიმართულებას მეტად მოსწრებულად და მართებულად ახასიათებს. მაგრამ შპილგაგენს მხედველობაში აქვს ისეთი ლიტერატურა, რომელსაც ტრავესტი შემოქმედებითი მეთოდის სიმაღლემდე აჰყავს. სწორად გაგებულ ტრავესტის პრობლემას არაფერი არა აქვს საერთო ამ თვალსაზრისთან. არსებითად აქ საკითხი იმას შეეხება თუ რამდენად შეუძლია ხელოვანს ობიექტური სახეების აგების დროს სავსებით განთავისუფლდეს პიროვნულისაგან. განა იშვიათია შემთხვევები, როდესაც რეალისტი მწერალი თავის გმირებს საკუთარი გამოცდილებით, საკუთარი მოგონებებით, საკუთარი მისწრაფებებით და გემოვნებით აჯილდოვებს? რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის.

რას ნიშნავს ტრავესტის პრობლემა სცენაზე? რამდენად შეუძლია აქტიორს განთავისუფლდეს საკუთარი პიროვნებისაგან, როდესაც იგი ანსახიერებს ამა თუ იმ როლს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენად შეუძლია მას საკუთარი პიროვნული რკალის გარღვევა და „სხვად ქცევა“?

დიდროს თვალსაზრისით სრულიად დაუშვებლად უნდა ვიგულისხმოთ ტრავესტული მეთოდი აქტიორულ სახიერებაში. თუ დრამატურგმა უნდა გამოჰკვეთოს ტიპიური სახეები, როგორ შეიძლება მსახიობმა განასახიეროს თავისი თავი? ეს ხომ ტიპიური სახის ინდივიდუალური ტრანსკრიპცია იქნება! დიდრო სწერს: „როდესაც აქტიორი გამოხატავს თავის საკუთარ ხასიათს, ეს არის ცუდი და უმნიშვნელო სახიერება. თქვენ ხართ ტარტიუფი, ძუნწი, მიზანტროპი და თქვენ კარგად გადმოგვცემთ მათ სცენაზე; მაგრამ თქვენ ვერ გადმოგვცემთ ვერაფერს იმისაგან, რაც შეჰქმნა პოეტმა, ვინაიდან მან შეძქმნა ტარტიუფის, ძუნწის და მიზანტროპის ზოგადი სახე“. დიდრო მიგვითითებს „ფრანგული კომედიის“ სახელგანთქმულ ქალზე — კლერონზე, რომელიც არასოდეს არ ანსახიერებს სცენაზე საკუთარ თავს. საკმარისია კლერონმა თავისი პიროვნება დააყენოს რამპის წინაშე, რომ შთაბეჭდილება არარაობად იქცეს როდესაც ცნობილი ინგლისელი მსახიობი დავიდ გარრიკი მისულა პარიზში, დიდროს მასთან ამ საკითხზეც ჰქონია საუბარი და უდიდეს ტრაგიკოსს განუცხადებია, რომ სასცენო ოსტატობის საიდუმლო სწორედ ის არის, რომ იგი სცენაზე იძლევა არა საკუთარ პიროვნებას, არამედ პოეტის ფანტაზიით შექმნილ სახეს. დიდრო ასე მიმართავს გარრიკს: „მოგიხმობ მოწმედ ინგლისელო როსტიუს, სახელგანთქმულო გარრიკ, ყველა არსებულ ხალხების მიერ აღიარებულო ყველა დროის პირველ აქტიორად, — დაადასტურე ჩემი სიტყვების სიმართლე!“.

ასეთივე აზრს გამოსთქვამს კომისარჟევსკაია: „по моему нельзя сыграть хорошо роль, где так часто себя узнаешь. С той только минуты начинаешь хорошо играть, когда отрешаешься от себя и вскочишь в изображаемое лицо, а себя есть ли охота подавать“.

ჩვენ ქვევით დავუბრუნდებით ამ დებულებას და იქ ვნახავთ რამდენად მართებულია „სხვად-ქცევის“ პრობლემის ასეთი გაგება. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ დიდროს საინტერესო დიალოგში ტრავესტული მეთოდის კრიტიკა არც ატარებს დებულების ხასიათს. უფრო სწორედ, ეს არის არგუმენტაცია, რომელსაც დიდრო თავისი ძირითადი დებულების განმტკიცებისათვის მიმართავს. სულ სხვა საკითხია: შეიძლება თუ არა დასაბუთებისათვის გამოვიყენოთ პრობლემატიური დებულება, რომელიც თვითონ საჭიროებს ამოხსნას და დასაბუთებას. თუ აქტიორი სცენაზე საკუთარ თავს კი არ ანსახიერებს, არამედ ტიპს, დიდროსთვის უწინარეს ყოვლისა ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიორული სახიერება მოკლებულია გრძნობიერებას, რადგან ტიპი ინტელექტუალურად აგებული სახეა და მასში რაციონალისტური ელემენტის შეტი სხვა არაფერი შეიძლება იყოს.

დიდროს შეხედულებით სინამდვილის ელემენტებისაგან შეკოწიწებულ ტიპს არავითარი შინაგანი განცდები არ შეიძლება გააჩნდეს. სიხარული და მწუხარება შეუძლია მსახიობ ქალს კლერონს მაშინ, როდესაც იგი თავის საკუთარ ბუდუარში იმყოფება. მაგრამ საკმარისია კლერონმა ფეხი დადგას „ფრანგული კომედიის“ სცენაზე, რომ იგი ვეღარ მოახერხებს გრძნობიერების ფარგლებში გაჩერებას. დიდრო სრულიადაც არ ფიქრობს უნივერსალურ ემპირიულ ფაქტად აღიაროს ეს დებულება. პირიქით, არიან მსახიობები, რომლებიც ემოციების ინფექციას აჩენენ სცენაზე. აი, თუნდაც კლერონის მოქიშპე, ცნობილი დიუმენილი. მისი სახიერება კლერონის სახიერების სრული წინააღმდეგობაა. ის განიცდის მიტომ, რომ ანსახიერებს საკუთარ თავს და არა იდეალურ სახეს, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს განცდა.

რუსული სცენის ისტორია იცნობს ასეთი დიამეტრალური ტიპის მსახიობებს: მოჩალოვს და კარატიგინს. აპოლონ გრიგორიევის სიტყვით თუ კარატიგინი მოგვაგონებდა ფაქიზად მოლამაზებულ ბაღს, მოჩალოვი იყო ნამდვილი ატეხილი ტყე, ვეებერთელა ხეებით და უწესრიგოთ აყრილი ტოტებით. დიდრო შენიშნავს, რომ გრძნობიერი მსახიობის სახიერება მოკლებულია თანაბარზომიერებას, მაშინ როდესაც ინტელექტუალურად გაკეთებული როლი ლარივით სწორია და ყველა მომენტებში ერთნაირი ღირსებით დაჯილდოვებული.

ამრიგად ტიპი ინტელექტუალური კატეგორიაა და დიდროს შეხედულებით მსახიობს შეუძლია იგი მათემატიკური ზედმიწევნილობით ააგოს. „მე მოვითხოვ (აქტიორისაგან) უწინარეს ყოვლისა მსჯელობის დიდ ძალას. ჩემი შეხედულებით ის უნდა იყოს ცივი და მშვიდი დამკვირვებელი. და ამიტომ მე მოვითხოვ მისგან გამჭრიახობას და არავითარ გრძნობიერებას... მსახიობს განვითარებული უნდა ჰქონდეს მიმბაძველობის უნარი. მან მთელი თავისი მასალა ბუნებიდან უნდა ამოჰკრიფოს გამჭრიახი თვალით და მახვილი ყურით. ავიღოთ, მაგალითად, სევდიანი ხმები. განა ამ ხმებს მწუხარების რეალური განცდა იწვევს? სრულიადაც არა! ეს ხმები მათემატიკურად გაზომა მსახიობმა. ისინი მეოთხედი ტონის მეოცედი ხაწილითაც-კი მაღლა ან დაბლა რომ წარმოითქვან უთუოდ ყალბ შთაბეჭდილებას დასტოვებენ. აქტიორმა ეს ხმები სინამდვილიდან აიღო, მათემატიკურად გაზომა და მიმბაძველობის გზით განასახიერა იგივე ითქმის ყოველი გრძნობის შესახებ. აქტიორმა მხოლოდ გარეგანი ფიზიოლოგიური ნიშნები უნდა გადმოგვცეს და გრძნობიერების კომუნიკაციისათვის ეს სრულიად საკმარისია. აქტიორი სარკეა სინამდვილის და როგორც სარკეს არ შეუძლია შინაგანი მდგომარეობის ასახვა, ისე აქტიორსაც არ შეუძლია ემოციების განცდა. აქტიორისათვის საჭიროა და აუცილებელი მხოლოდ სმენა, მეხსიერება და სარკე“.

ასეთია დენი დიდროს პარადოქსი. შემთხვევით არ სწერდა დიდრომ თავის შეხედულებას პარადოქსი. დიდროს აზრით, არცერთი ხელოვანი არ გაგვიმხელს ამ სიმართლეს. ამერიკელი პოეტი ედგარ პოე სწერდა, რომ ხელოვანი ყოველთვის გაურბის თავისი შემოქმედებითი კულისების მხილებას. ძნელია ხელოვანისათვის აღიაროს საჯაროთ, რომ შემოქმედების პროცესში მან მათემატიკურად გამოზომა სტრიქონები და ცალკე ეპიტეტების შერჩევისთვის მთელი თავისი შემეცნებითი აპარატი მოიშველია. ძნელია იმის აღიარება, რომ მხატვრული შემოქმედების დროს ოფლი უთუოდ უნდა დაიღვაროს.

რამდენად პარადოქსალურია დიდროს შეხედულება?

სავსებით სწორია დიდროს შეხედულება, რომ შემოქმედება საერთოდ და აქტიორული შემოქმედება კერძოთ ცნობიერი პროცესია თავიდან ბოლომდე. ხელოვანი მთელი თავისი არსებით მიწაზე დგას და სრულიად შეგნებულად „აკეთებს“ მხატვრულ ნივთებს. იდეალისტური კონცეპციის წარმომადგენელნი მხატვრული შემოქმედების პროცესში ღვთაებრივი ნებისყოფის ემანაციას ხედავენ. გოეთეს აზრით ხელოვანის შემეცნება მისტიური ხილვაა საგნების და სახეების. ეკკერმანთან საუბარში გოეთემ ასე ახსნა „ფაუსტის“ შემოქმედება: „მე რომ ანტიციპაციის მეოხებით საკუთარ სულში არ მეტარებია სამყარო, გახელილი თვალებითაც კი დავრჩებოდი ბრმა და მთელი ჩემი გამოკვლევა და ცდები ამაო და მკვდარი შრომა აღმოჩნდებოდაო“.

დენი დიდრო ამ საკითხში მატერიალისტურ პოზიციას იცავს. მან კარგად იცის რომ „არაფერი არ შეიძლება იყოს წარმოდგენაში, რაც არ ყოფილა შეგრძნებაში“. აქედან არც ხელოვანის შემოქმედებაა გამორიცხული. ამიტომ ხელოვანმა თავისი სახეები უნდა ეძებოს მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებაში. აქტიორი სინამდვილის მარჯვე დამკვირვებელი უნდა იყოს. მას ათასი ხასიათი და მდგომარეობა სჭირდება. სად შეუძლია ყოველივე ამის ამოკითხვა თუ არა სინამდვილის ყველაზე გონიერ წიგნში, სადაც უამრავი სიბრძნეა ჩაწერილი, უამრავი ფერებია გაბნეული. შეისწავლე სინამდვილე, იარე უბის წიგნითა და ფანქრით ხელში, ბუნება, ცხოვრება აგავსებს იდეებით, სახეებით, განცდებით.

ასეთია დიდროს ბრძნული რჩევა.

რა შეიძლება ითქვას ამის წინააღმდეგ? განა გოეთე არ კითხულობდა ბუნების წიგნს? XVIII და XIX საუკუნის უღელტეხილზე ბუნების წიგნის ასეთი ნიჭიერი წამკითხველი მსოფლიომ მეორე არ იცის. „ექსპერიმენტული რომანის“ ავტორმა ემილ ზოლამ სინამდვილის შესწავლა მწერლობის აუცილებელ პირობად გამოაცხადა. ონორე დე ბალზაკი თავის „მოხუც გორიოზე“ სწერდა: „...ეს დრამა არც გამოგონილია, არც რომანია

All ist true" (ყველაფერი სიმართლეა), ყოველი დიდი მხატვრული ბუნებისაგან სწავლობს გამოსახვის სიმართლეს.

მაგრამ დიდრო არც ფიქრობს პარადოქსულად ჩასთვალოს ეს დებულება. უდიდესი პოეტები, უდიდესი აქტიორები, შესაძლოა საერთოდ ბუნების ყველა უდიდესი იმიტატორები, ვინც არ უნდა იყვნენ, დაჯილდოვებულნი არიან მდიდარი ფანტაზიით, ფართო აზრით, ფაქიზი ტაქტით და მეტად უტყუარი გემოვნებით, — ისინი ყველაზე ნაკლებ გრძნობიერი ადამიანები არიან". „მხოლოდ სრული არაგრძნობიერება ჰქმნის შესანიშნავ აქტიორს". — აი პარადოქსი.

ამ დიალოგში დიდრო ამომწურავად ასაბუთებს თავის პარადოქსს. ჩვენ უკვე ვნახეთ ეს ძირითადი არგუმენტები. მათ შორის მთავარია ის გარემოება, რომ აქტიორი სცენაზე ანსახიერებს იდეალურ სახეს (ტიპს) და მაშასადამე მას არ შეუძლია განიცადოს ემპირიული ადამიანისთვის დამახასიათებელი გრძნობები. ხელოვნება ტიპიური სახეების მხილებაა. ტიპის შექმნისათვის მართლაც საჭიროა სინამდვილის ინტელექტუალური ანალიზი, არსებითი ნიშნების შერჩევა და მათი იდეალური სინთეზი. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ტიპი გადაიქცა უსიცოცხლო *სქემად*, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ განცდებს? რა თქმა უნდა, არა. დიდროს მხედველობიდან გამორჩა ის განსხვავება, რომელიც არსებობს ფორმალური ლოგიკის ცნებას და ტიპიურ სახეს შორის. *ტიპი — მთლიანობის ცნებაა, იგი აღსავსეა კონკრეტული შინაარსით.* თუ ფორმალური ლოგიკის ცნებას ფართო მოცულობა აქვს და ვიწრო შინაარსი, ტიპი, პირიქით, ფართო მოცულობასთან ერთად უფართოეს შინაარსსაც ჰგულისხმობს. როდესაც ხელოვანი ანზოგადოებს პიროვნებას, იგი მარტო აბსტრაქციის ოპერაციას როდი ახდენს. ტიპიური სახის დატვირთვა უამრავი კონკრეტული ნიშნებით, მისი ცალკე მხარეების გაშუქება სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ მას მეტი რეალობა და სიცოცხლე შეემატოს. ტიპიური სახე არავითარ შემთხვევაში არ არის სქემა. ეს ასეც უნდა იყოს, თუ კი სწორია ის გარემოება, რომ ტიპი რეალური ნიშნების კონდენსირებული სახეა.

დიდრო ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით იხილავს ტიპის კონსტრუქციას. ამიტომ მას მხედველობიდან გამორჩა მისი ცოცხალი, კონკრეტული შინაარსი.

თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად დაუჯერებელია დიდროს დებულება, რომ აქტიორს არ შეუძლია ტიპიური სახეების განსახიერების დროს განიცადოს ის, რასაც ცალკეულად განიცდის ყოველი ადამიანი. როდესაც მსახიობი ასრულებს ტარტიუფის როლს, მან სცენაზე მისი სქემა კი არ უნდა მოგვცეს, არამედ ცოცხალი სახე.

ასეთია „პარადოქსის„ ცენტრალური დებულება, რომელიც მეთოდოლოგიურ შეცდომას ემყარება. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ თავისი

შეხედულების შემუშავების დროს დიდროს მხედველობაში ჰქონდა ფსიქოლოგიური დაკვირვების გზით მოპოებული მასალა. რამდენად სწორი იყო ეს დაკვირვება? დიდრო ერთი მეორეს ადარებს თავისი თანამედროვე მსახიობების არტისტულ მეთოდს და დიუმენილზე მაღლა აყენებს კლერონს, რომელიც როლის სინთეტიური აგების დროს მხოლოდ ინტელექტუალური ხასიათის ოპერაციებით ხელმძღვანელობდა, კლერონი თავის ცნობიერებაში აგებდა იდეალურ სახეს, რომელსაც შემდეგ მიმბაძველობათ ანსახიერებდა. დიდრო გვარწმუნებს, რომ კლერონს არავითარი განცდები არ ჰქონდა სცენაზე.

დიდროს „პარადოქსში" ყველაზე უფრო საეჭვოა ეს დებულება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ აბსოლუტურად „ცივი" მსახიობის ყოფნა სცენაზე. შეუძლებელია მსახიობს არავითარი ემოციური განწყობილება არ ჰქონდეს. მსახიობი ხომ იგივე ადამიანია. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი კაცი, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში არაფერს არ იგრძნობს? გაჭედილი პარტერის წინაშე ვერც ერთი მსახიობი ვერ გაჩერდება უემოციოდ. A priori შეიძლება ითქვას, რომ ექსპერიმენტული ანკეტა ამ დებულებას უდაოთ გახდის. მაგრამ მნიშვნელოვანი და მთავარი ეს გარემოება როდია. აქტიორული სახიერების მთელი პრობლემატიურობა ის არის თუ რამდენად შეეფერება აქტიორის განცდები იმ გმირის განცდებს, რომელსაც იგი ანსახიერებს. აქტიორი შეიძლება ცუდ გუნებაზე იყოს მაშინ, როდესაც იგი, ვთქვათ, აღტაცებულ ადამიანს გვისახავს, ან პირიქით: აქტიორი შეიძლება ძალიან მხიარულად იყოს განწყობილი მაშინ, როდესაც როლი უკარნახებს მწუხარებას და ცრემლებს.

ამ პრობლემას ღრმად ჩასწვდა კ. სტანისლავსკი, რომელმაც ორი შესანიშნავი ცნება შემოიტანა აქტორული შემოქმედების მეთოდოლოგიაში: ცნება აქტიორული თვითგანწყობილებისა (актерское самочувствие) და ცნება შემოქმედებითი თვითგანწყობილებისა (творческое самочувствие). კ. სტანისლავსკის აზრით, როლის განსახიერების დროს აქტიორს ხელს უშლის საკუთარი თვითგანწყობილება. გენიალურ მსახიობს ჩვენ იმას ვუწოდებთ, რომელიც შესძლებს შემოქმედებით თვითგანწყობილებაში გადასვლას (იხ. К. С. Станиславский: „Моя жизнь в искусстве", 1928, 507—527).

დიდროს შეხედულებით აქტიორისთვის სრულიად ზედმეტია შემოქმედებითი თვითგანწყობილება. დიდრო სწერს. „უკიდურესი გრძნობიერება ქმნის საშუალო ნიჭის აქტიორებს, საშუალო გრძნობიერება ჰქმნის ცუდი აქტიორების ბრბოს და მხოლოდ სრული არაგრძნობიერება ჰქმნის შესანიშნავ აქტიორებს". დიამეტრალურ თვალსაზრისზე სდგას კ. სტანისლავსკი. „სპექტაკლის წინ აუცილებელია არა მარტო სხეულის, არამედ, უმთავრესად სულის ტუალეტი. საჭიროა შემოქმედების დაწყებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესძლო იმ სულიერ ატმოსფეროში შესვლა, რომელშიაც შესაძლოა მხოლოდ შემოქმედების საიდუმლო“ (იხ. იქვე, 511)“.

როგორ უნდა მიაღწიოს მსახიობმა იმას, რომ აქტიორული თვითგანწყობილება თავისი განსახიერებული გმირის განწყობილებად გადააქციოს? ეს არის აქტიორული სახიერების უდიდესი პრობლემა, რომელსაც დიდრო არ იცნობდა და მას არც შეეძლო მისი ცოდნა იმ თეორეტიული პრინციპების მეოხებით, რომლებსაც იგი იზიარებდა.

აქ უადგილო იქნებოდა ამ საკითხის განხილვა მთელი იმ მოცულობით, რომელსაც თვითონ პრობლემის სირთულე მოითხოვს. საჭიროა მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება.

აუცილებლად ისმის საკითხი: როგორია აქტიორული გრძნობიერების ბუნება? საყოველდღიო ცხოვრებაში ადამიანი განიცდის გრძნობათა დაუსრულებელ გამას. პრინციპიულად ყველა ამ გრძნობათი განსახიერების საკითხი, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე ბუნებისაა, მაგრამ არიან ისეთი ემოციური მდგომარეობანი, რომელნიც ყველაზე უფრო მკაფიოდ ამჟღავნებენ აქტიორული გრძნობიერების სირთულეს და შესაძლოა პრობლემატიურადაც ხდიან მას. ასეთია, მაგალითად, ა ფ ე ქ ტ ე ბ ი, რომლებიც საყოველდღიო ცხოვრებაში ხასიათდებიან ერთგვარი სტიქიური მიმდინარეობით, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ თავდავიწყებას ვუწოდებთ.

როგორ განიცდის აქტიორი აფექტს? უცნაური იქნებოდა გვეთქვა, რომ მთელ აფექტიურ პროცესს აქტიორი სრული თავდავიწყებით ჩაატარებს, რასაც ჩვეულებრივ ვხვდებით ყოველდღიურობაში. რა თქმა უნდა, მე არ ვლაპარაკობ აქ გამონაკლის შემთხვევებზე, თუმც სადაოა საერთოდ არსებობა ისეთი შემთხვევისა, რომ აქტიორს ოდესმე დავიწყებოდეს, რომ ის სცენაზე იმყოფება. უმეტესად აქტიორის აფექტი თ ე ა ტ რ ა ლ უ რ ი ხ ა - ს ი ა თ ი ს ა ა, მისი მიმდინარეობა არ არის სტიქიური და იგი ადვილად ახერხებს აფექტიური მდგომარეობის დაოკებას. აპრიორი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი ხასიათი აქვს აქტიორულ გრძნობიერებას საერთოდ. სცენაზე განცდილი გრძნობა არ შეიძლება საყოველდღიო ცხოვრებაში განცდილი გრძნობის ბუნებისა იყოს. თეატრალური მდგომარეობა საკმაოდ თავისებურია და განსხვავებული საყოველდღიო მდგომარეობისაგან, რომ ემოციურმა განცდებმა თავისი მიმდინარეობა უცვლელად შეინარჩუნონ.

რასაკვირველია, ამ დებულებას ცდისეული შემოწმება სჭირდება, მაგრამ ყველაფერი ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ საკითხი აქტიორული განცდების ს პ ე ც ი ფ ი უ რ ი ბ უ ნ ე ბ ი ს სასარგებლოდ გადაწყდება.

ამ საკითხთან არის დაკავშირებული ტრავესტული მეთოდის პრობლემა. დიდრო პრინციპიალურად უარყოფდა აქტიორულ ტრავესტს. თუ მსახიობმა უნდა განასახიეროს გარკვეული ტიპი, როგორ შეიძლება ლაპარაკი ტრავესტზე? ეს ხომ იგივე იქნებოდა, რომ ზოგადი სახე შეგვეცვალა ინდივიდუალური სახით.

ჩვენი აზრით, ეს არ არის საკითხის მართებულად დასმა. ერთია ის, რაც სასურველია იყოს, მეორეა ის, რაც შესაძლებელია არსებობდეს.

შეუძლია თუ არა ადამიანს ისე გადასჭრას „სხვად-ქცევის“ პრობლემა, რომ სახიერებაში პერსონიფიცირებული მომენტებისათვის სრულიად აღიკვეთოს გამომჟღავნების შესაძლებლობა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ამოცანას ადამიანი ვერასოდეს ვერ გადასჭრის აბსოლუტური „სხვად-ქცევის“ სასარგებლოდ. არცერთ აქტიორს არ შეუძლია საკუთარი პიროვნული განცდების მიტოვება ისე, რომ განსახიერებულ ტიპში თავი არ იჩინოს მისი ფსიქოლოგიური განწყობილების ამა თუ იმ მხარემ.

აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ „სხვად-ქცევის“ შდგომარეობასთან მიახლოვებაზე, აბსოლუტური გადასვლა მეორე პიროვნებაში აქტიორის სიკვდილს მოასწავებს.

საერთოდ მსახიობის პიროვნება მეტად სერიოზული ფაქტორია სასცენო სახიერებაში და არსებითად მას ემყარება ე. წ. ა მ პ ლ უ ა. რამდენადაც უფრო ფართოა აქტიორის ამპლუა, იმდენად ფართოა მისი „სხვად-ქცევის“ დიაპაზონი და პირიქით. ეს გარემოება სწყვეტს ტრავესტის პრობლემასაც. აქტიორული სახიერების მეთოდი ტრავესტის უარყოფიდან უნდა გამომდინარეობდეს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქტიორი ოდესმე მოახერხებს საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური ქერქიდან აბსოლუტურად გასვლას და იმ საზღაპრო არსებად გადაქცევას, რომლისთვისაც ბუნებას საკუთარი „მე“ არ მიუნიჭებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს

გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელმა გამცემლურმა მოქმედებამ დიდი აღელვება და სამართლიანი ზიზღი გამოიწვია საბჭოთა მწერლებს შორის. პირწავარდნილ ბურჟუაზიულმა მწერალმა რობაქიძემ თავისი ლოღიკური დასასრული ჰპოვა ფაშისტურ კონტრრევოლუციის კალთებში. მთელი თავისი საჭწერლო მოღვაწეობის მანძილზე, დაწყებული რევოლუციის წინადროინდელი ნაწარმოებებით და თეორიებით და დამთავრებული უკანასკნელი დროის რომანებით, რობაქიძე თუმცა ხშირად მიკიბ-მოკიბულად, მაგრამ მაინც რეაქციურ საქმეს აკეთებდა. დღეს რობაქიძე კლასობრივი მტრების პოზიციებზე დაუფარავად დადგა. ეს მდგომარეობა რასაკვირველია, იოტის ოდენათაც ვერ იმოქმედებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე. მომაკვდავი ბურჟუაზიის ფაშისტური აგენტები — რობაქიძეები ვერ შეაფერხებენ სოციალისტური კულტურის ძლევამოსილ მშენებლობას, მთელი საბჭოთა მწერლები ერთსულოვნად არიან დარაზმული საბჭოთა ხელისუფლების, ლენინ-სტალინის პარტიის და დიდი ბელადის გარშემო და თავდადებით მონაწილეობენ სოციალისტურ მშენებლობაში. ეს მათ უპირველეს ყოვლისა თავიანთი შემოქმედებით დაამტკიცეს.

ქვემოთმოყვანილი დოკუმენტები ნათლად ღაღადებს თუ როგორი შეგნებით შეხვდა მთელი საბჭოთა მწერლობა მოღალატე რობაქიძის საქციელს. საბჭოთა მწერლები ერთხმად გმობენ მოღალატე რობაქიძის უკანასკნელ საქციელს და აღვიარებენ, რომ არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს-რობაქიძეს!

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს.

რაც უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა, რომელსაც კომუნისტური პარტიისა და მისი გენიალური ბელადის იოსებ სტალინის მეთაურობით ასეთის განსაცვიფრებელი წარმატებით ეწევა გამარჯვებული მუშათა კლასი, რაც უფრო მეტ სიყვარულსა და თანაგრძნობას პოულობს მთელს მოწინავე მსოფლიოში ჩვენი სოციალისტური სამშობლო, — მით უფრო მძაფრდება განწირულ კაპიტალისტურ ქვეყნების მხრივ შემოტევა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მით უფრო აძლიერებს წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირში აშკარა ბრძოლაში განადგურებული კლასობრივი მტრის ნამსხვრევები. კაპიტალისტურ მძარცველებს სურთ თავიდან აიცილონ

ისტორიის სასიკვდილო განაჩენი და არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რათა შეინარჩუნონ უფლება მშრომელთა კაცობრიობის ექსპლოატაციისა.

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ყოველი პატიოსანი მშრომელი, ... პროგრესიული ძალები მთელს მსოფლიოში დღითი-დღე ირაზმება ლენინის — სტალინის უკვდავ იდეათა დროშის ქვეშ, რათა უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში გაანადგურონ კაპიტალისტების ხროვა, რომლის უკიდურესი იდეური გამომსახველი არის თანამედროვე ფაშიზმი და განსაკუთრებით ჰიტლერ-როზენბერგის გათავხედებული ბანდები.

ეს საშუალო საუკუნოების ბარბაროსები დღეს სწვავენ და ანადგურებენ ყველაფერს, რაც შეუქმნია მოწინავე კაცობრიობის აზროვნებას, აძევებენ თავის ქვეყნიდან სამშობლოს რჩეულ შვილებს, ხვრეტენ, საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ალპობენ მებრძოლი პროლეტარიატის საუკეთესო ძალებს. ყოველ პატიოსან მშრომელისათვის, მწერლისათვის, ხელოვანისათვის ფაშისტური ქვეყანა ხდება ჩაგვრის, წამების და განწირვის ჯოჯოხეთად.

ასეთ დროს ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ ყოველ საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისათვის.

ეს მწერალი არის გრიგოლ რობაქიძე.

ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარებისა, ატყვილებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს.

და ეს ზრახვები დღეს გრიგოლ რობაქიძემ განახორციელა საბჭოთა საქართველოდან ქურდულად უცხოეთში წასვლით, ფაშიზმის ბანაკში აშკარად გადასვლით და იქ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატური, გამცემლური მუშაობით.

მისი ღალატის გამომჟღავნების შემდეგ ჩვენთვის აშკარაა, რომ ქართული საბჭოთა მწერლობისათვის ამ უჩვეულო საქციელს სარჩული წარსულშიც ჰქონდა. და ვინც გაიხსენებს რობაქიძის მუშაობას რუსულ შავრაზმულ პრესაში, მის ბულვარულ რომან „ფალესტრას“ და იდეალისტურ რასისტულ წიგნს „გველის პერანგს“ და მთელ მის მხატვრულ პროდუქციას, გამსქვალულს გადაგვარებულ კლასთა იდეურ სიღატაკით და დაკნინებულს მხატვრული ფორმით, — მისთვის რობაქიძის ეს უმსგავსო და ბოროტი საქციელი გასაგები ხდება, როგორც ლოღიკური დასკვნა ამ განდიდების სენით შეპყრობილ, გადადგვარებულ პიროვნების მუშაობისა.

ამ უღირსი საქციელის საპასუხოდ ჩვენ, საბჭოთა მწერლობასთან ერთად, მწერლობის რიგებიდან უკვე ზიზღით განდევნილ რობაქიძის წინააღმდეგ, კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს კომუნისტურ პარტიის გარშემო და მთელი ჩვენი შემოქმედებითი უნარით ვიბრძოლებთ ახალი სოციალისტური ხელოვნებისათვის.

საბჭოთა საქართველო მოწინავე რესპუბლიკად ხდება ჩვენი კავშირის რესპუბლიკათა შორის. შენდება ახალი ქარხნები, ელექტრო-ჰიგანტები, კოლხიდის დამპალი ჭაობები იქცევა ციტრუსების მთლიან ბაღად, დღითი-დღე იზრდება ჩვენი საბჭოთა მწერლობა, რომელმაც უდიდესი გამარჯვება ჰპოვა პირველ საკავშირო ყრილობაზე, ქართული თეატრი მიჩნეულია როგორც მსოფლიო მნიშვნელობის თეატრი, წინად დაბეჩავებული და გაღატაკებული ქართველი გლეხი დღეს უკვე შესდგა შეძლებული კოლმეურნის მტკიცე გზაზე და უკანასკნელ პერიოდში მიღწეულ გამარჯვებათა შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბს დღეს ემატება დიადი ლენინის სახელობის ბრწყინვალე ორდენი.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ ჩვენი წინსვლის გზა განათებულია უდიდესი ბელადის და უსაყვარლესი ადამიანის — იოსებ სტალინის აზრთა სხივით, რომ ამ

აზრთა პრაქტიკული განხორციელება და ამისათვის შემოქმედებითი სამსახური ჩვენ უდიდეს, უკეთილშობილეს და სასიქადულო საქმედ მიგვაჩნია.

ეროვნული

გინვაგრძობთ რა ამ, ისტორიით გამართლებულ გზაზე წინსვლას, ჩვენ ერთი სუთითაც არ შევჩერდებით გრიგოლ რობაქიძის სახელთან, რომელიც ამიერიდან მკვდარია საბჭოთა მწერლობისა და ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქისათვის.

ჩვენ, ქართველი მწერლები, რომელნიც ერთ დროს უახლოვეს ლიტერატურულ შემოქმედებითი დამოკიდებულებაში ვიყავით გრიგოლ რობაქიძესთან, მივმართავთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს, რომ ფაშისტი გრიგოლ რობაქიძე, სოციალისტური სამშობლოს ღალატისათვის და გამცემლური მუშაობისათვის გამოცხადებულ იქნას სოციალისტურ სამშობლოს მოღალატედ და აღიძრას საკითხი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ სათანადო სახელმწიფოებრივი აქტის განხორციელების შესახებ.

პაოლო იაშვილი

[illegible]

ვალერიან გაფრინდაშვილი

[illegible]

1935 წ. 5 აპრილი
ტფილისი.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა, განიხილა რა ფაშისტ გრიგოლ რობაქიძის გამცემლური მუშაობის შესახებ მწერალთა ერთი ჯგუფის — პ. იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის და ნ. მიწიშვილის განცხადება, რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა საქართველოს საბჭოთა კავშირის მთელი აქტივი, დაადგინა:

ეთხოვოს ს. ს. ს. რ. ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრიგოლ რობაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისა, თვალთმაქცურად გადასული კონტრრევოლუციურ, ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატედ და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგების განხორციელებით.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ფაშალიშვილი — „ძველ ყამირებზე". სახელგამი. 1934 წ.

ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ლიტერატურის ჟანრებს შორის მხატვრული ნარკვევი სამართლიანად იკავებს საპატიო ადგილს. დღევანდელი დღის ამბები, დიდი და გაუგონარი ტემპებით წარმოებული მშენებლობა განსაკუთრებულ დაკვეთას აძლევს მხატვრულ ლიტერატურას. მხატვრული ნარკვევი, რომლის რაობისა და დანიშნულების შესახებ კამათი ჯერაც არ დასრულებულა, არ არის, როგორც ეს ბევრს ჰგონია, მცირე ფორმის მხატვრული ლიტერატურა და როგორც მკითხველი, ისე თვით ასახვის ობიექტი სრულებით არაფერს არ კარგავს, თუ ეს უკანასკნელი ნარკვევის რკალში მოექცევა.

სარეცენზიო ნაშრომს ავტორი არ ნათლავს ასეთი ჟანრის ნაწარმოებად, მაგრამ წინასიტყვაობაში იგი სამართლიანად აცხადებს მხატვრულობის პრეტენზიას და ნაწარმოები ნაწილობრივ მართლაც ასეთია. ჩვენ ეს ნაწარმოები ერთგვარი შერეული ტიპის ნაწარმოებად მიგვაჩნია და აი რატომ: მასში მხატვრულად და ოსტატობით არის ასახული პეიზაჟი, პერსონაჟი, მაგრამ დიდძალი მასალა მოცემულია ნედლად, ყოველგვარი მხატვრული დამუშავების გარეშე. ამით, რასაკვირველია, არ შეიძლება გაქარწყლებულ იქნას ამ მეტად სასარგებლო და კარგი წიგნის მნიშვნელობა. მას სიამოვნებით წაიკითხავს ყოველი საბჭოთა მკითხველი, რომლისთვისაც ძვირფასია ჩვენი დიდი მშენებლობისა და მიღწევების ამბები. განსაკუთრებით სასიამოვნო საკითხავი იქნება იგი საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის. მათ სარეცენზიო წიგნი, სიამოვნების გარდა, ბევრს სარგებლობასაც მოუტანს და ყოველდღიურ მუშაობაში ბევრსაც დაეხმარება.

თუმცა წიგნი დაწერილია არა სპეციალისტის მიერ, მაგრამ ავტორს იმდენად კეთილსინდისიერად უმუშავნია მასალის დაგროვებასა, შესწავლასა და წესრიგში მოყვანაზე, რომ თითქმის არ ახდენს ასეთ შთაბეჭდილებას (ე. ი. არა სპეციალისტის მიერ რომ არის დაწერილი). ბევრგან გაკვირვებთ ავტორის მიერ და საგნის სიღრმეში ჩაწვდენა. ხშირად იგი მეცხვარეობის, მემინდვრეობის და მეურნეობის სხვა დარგების სპეციალობის დეტალებშიც კი კარგად ერკვევა და მით მოთხრობილ ამბავს დიდი დამაჯერებლობით ავსებს.

ქართულ ენაზე, თუმცა ძალიან მცირედ, მაგრამ მაინც მოიპოვება ასეთი ჟანრის ლიტერატურა.

საუკუნეთა განმავლობაში სრულიად გამოუყენებელი მრავალი ათასი და მილიონი ჰექტარი ძველი ყამირი და ხრიოკი ადგილი დღეს წალკოტად არის გადაქცეული, ისეთ წალკოტად, რომელსაც თავისი დიდი და თვალსაჩინო წვლილი შეაქვს სოციალისტური ქვეყნის დოვლათიანობის ზრდაში. ეს დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა ყოველგვარი ხმაურის გარეშე. მკითხველი ზოგჯერ გაზეთებში შეხვდება ცნობებს უდაბნოს მეურნეობის შესახებ.

უდაბნოს გარდა, მკითხველი წიგნში ხვდება მეტად საინტერესო მასალას ელდარი, გიაურარხის, ციხისჯვრის, ალაზნის აუზის, შირაქის, მილარის, წინანდლის, ხირსის, ყვარელის და ვაჰევის საბჭოთა მეურნეობებზე. ეცნობა აგრეთვე იმას, თუ რა პირობებში აღმოცენდენ ისინი, როგორი თანდათანობით გაიზარდენ და გაძლიერდენ კარგი ხელმ-

ძღვანელებისა და მუშათა მასების ენერგიული მუშაობის მეოხებით. წიგნში ძირავლადაა ნაჩვენები დაბლიდან წამოსული ახალი ადამიანები, ჯერ კიდევ გუშინ წერაკითხვის უცოდინარნი, ისინი, როშელნიც დღეს დიდ საქმეებს უდგანან სათავეში და ტრესტებსაც უძღვებიან.

ბიბლიოთეკა

ავიღოთ თუნდაც ხევსური ბრიგადირი ნინოშვილი. გუშინ ის წერაკითხვის უცოდინარი იყო, მან პირველად ნახა მატარებელი, როდესაც ხევიდან ქედში ჩამოვიდა. დღეს კი მოწინავე ადამიანია, დამკვრელი ბრიგადირი, რომელსაც ხედმიწევნით აქვს ათვისებული უზარმაზარი მანქანის—კომბაინის რთული ტექნიკა. ასეთი ნინოშვილი უთვალავია. მათ, როგორც ნინოშვილი მოხდენილად აცხადებს, „ცოდნაი დროებამ მისცა და რაისთვის შაეშინდების!!!"

სარეცენზიო ნაწარმოებს, ბევრ ღირსებასთან ერთად, აქვს ზოგიერთი ნაკლიც. ასეთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს თუნდაც საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში სუსტი მხარეების შეუმჩნევლობა, მისი გამოუტანლობა, მასზე საზოგადოების ყურადღების მიუქცევლობა.

ზოგიერთი მისი მტკიცებაც არ მიგვაჩნია სწორად.

სტილისტიურ შეცდომებად და მხატვრულად გაუმართლებელ ადგილებად მიგვაჩნია შემდეგი ადგილები: „შენობიდან გამომავალი ლაპარაკის ხმა ავსებს აქაურობას"; „შემოთხვევითი ამოსული ბინები ორიოდე მიწურით კმაყოფილდებოდენ"; „ცაზე უკვე ვარსკლავები ყვაოდენ" და სხვა.

ვიმეორებთ, მიუხედავად ამ მცირე ნაკლისა, სარეცენზიო წიგნი საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს.

მ. გ.

პ. პავლენკო — „ბარიკადები". სახელგამი. 1934 წ.

მხატვრული ნაწარმოების სრულყოფისათვის ორი პირობაა საჭირო: იმ საგნის ცოდნა, რომლის შესახებაც სწერ და მხატვრული ოსტატების ტექნიკის ათვისება. ორივე ამ პირობას აკმაყოფილებს პავლენკოს „ბარიკადები".

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არ ირჩევს ნაკლები წინააღმდეგობის გზას და არ აკეთებს ტრაფარეტულ რომანს გმირებისა და ბელადების ცხოვრებიდან. რომანის ძირითადი ფონი, მისი უმთავრესი ტილო რევოლუციის მასებია, რევოლუციის ქვედა ფენები, თავიანთი შეუდრეკელი ნებისყოფით, თავიანთი ცეცხლოვანი რევოლუციური ენტუზიაზმით.

რომანი უეჭველად მშვენიერი სარკეა პარიზის კომუნისა, მაჩვენებელი მისი სუსტი და ძლიერი მხარეებისა. ავტორიც კარგად ერკვევა და მკითხველიც კარგად ხედავს, თუ რაში იყო პარიზის კომუნის ეს სიძლიერე და სისუსტე.

„ბარიკადებში" რელიეფურად და სამართლიანად არის ხაზგასმული პარიზის კომუნის პროლეტარულ-ინტერნაციონალური შინაარსი, მასში ყველა ერის საუკეთესო რევოლუციონერ-წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა, ამ რევოლუციის აღიარება ყველა ერის წარმომადგენელთა მიერ თავიანთ განმათავისუფლებელ რევოლუციად. გერმანელი, რუსი, ებრაელი, ინგლისელი, — ყველანა ბარიკადების მოწინავე პოზიციებზე დგანან და დიდის თავგამოდებით იბრძვიან, მარტო იმიტომ კი არა, რომ სხვებს დაეხმარონ განთავისუფლებაში: ისინი ამ ბრძოლაში ხედავენ თავიანთი თავის განთავისუფლებასაც.

ამ მხრივ, ამ თვალსაზრისით, პავლენკოს „ბარიკადები" საბჭოთა ლიტერატურის მეტად დიდი და ძვირფასი განძია და მასში დიდი რევოლუციური პათოსით და უფრო დიდი მხატვრული ოსტატობით შეგრძნობილია მე-19 საუკუნის რევოლუციური მოძრაობის უდიდესი მწვერვალი — პარიზის კომუნა, პროლეტარული რევოლუციების ეს პირველი მერცხალი.

უეჭველად დიდი მხატვრული ზომიერებით არიან ასახული პარიზის ინტელიგენციის ძირითადი მასები ამ კომუნისადმი დამოკიდებულებაში, მათი კლასობრივი ბრაზი და გახელება კომუნიზმის წინააღმდეგ.

ავტორი ზოგიერთ მომენტში ერთგვარ ზომიერების საზღვარს გადაცილებულ ამბოხებულთა ამა თუ იმ თვისებას, საქციელს ფეტიშიზმამდის ანვითარებს. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ პარიზის მეამბოხე კომუნარებს შორის ძლიერი იყო ყოველივე ძველის და ხავსმოკიდებულის დანგრევის ყინი, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ავტორს უფლებას არ აძლევდა, რომ მეამბოხე ხალხი ასე დაეხატა:

„ნგრევის ყინით იყო გახელებული ეს ხალხი. რასაც კი ხელთ იგდებდენ, მაშინვე ტყავს გააძრობდენ და თუ დასამტვრევი არა ჰქონდათ რა, მაინც მოუსვენრად ათამაშებდენ მტვრევას, მსხვრევას და რღვევას მიჩვეულ თითებს. ყველაფერს შლიდენ, რომ გაენთავისუფლებიან საგანი ფორმისაგან, გაენთავისუფლებიათ ორგანიზებული მასალა. მეამბოხენი იყვნენ სულით ხორცამდე ოცნებით გატაცებული, რაღაც უცნაური, არ არსებული საგნები ელანდებოდათ დამპალ მჩვარისა, დაჟანგული რკინისა, ქაღალდის აყროლებულ ფაფაისა.“

ვფიქრობთ, აქ უფრო მეტია ფსიქოლოგია ბრბოსი, ვიდრე განსაზღვრული მიზნებით ამოძრავებული და რევოლუციური ენტუზიაზმით ანთებული ადამიანებისა, მასისა.

ივ. მაჭავარიანი, რომელსაც ეკუთვნის სარეცენზიო წიგნის თარგმანი, კარგ მთარგმნელად და ენის საუკეთესო მცოდნედ ითვლება. მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მის მიერ შესრულებული თარგმანი ზოგან მოისუსტებს. როგორც ჩანს დღემდე ძველი ენის პოზიციებზე დარჩა, რისთვისაც მისი ზოგიერთი ქართული ანაქრონიზმად ჩაითვლება. მოვიყვანოთ მაგალითები: „სიცილი დაიწყო შეკდემილმა“; „ერთ პირთაგან მეორეთადმი“; „პირველ იმპერიის დროს გაწყვა“; „ვისღაც კაბინეტში“, „დაეშვა სიჩქარე-მილეული“; „მრუდ-ლიყიანი“; „ცხარი ცრემლი წასკდა“; „მაგიტომ მობრძანდით“, „ღამე ნესტიანად ძვრებოდა ბულვარში“; „მოიკიდა ყველგან ძირი აზრმა“; „მიუგო ზეიმოვნად“; ნამრავლი ანუ შედეგი მასის“; „შეაორგანიზოს უცხოელები „და სხვ.“

მ. გ.